FRIEDRICH
SCHILLER

DON KARLOS
INFANT VON SPANIEN

19 • TBILISSI • 52

83
შ-64

ფრიდრიხ
შილერი

დონ კარლოსი
ესპანეთის უფლისწული
დრამატული პოემა

19 თბილისი 52

მოქმედი პირები

ფილიპე II, ესპანეთის მეფე.

ელისაბედ ვალუა, მისი მეუღლე.

დონ კარლოსი, ტახტის მემკვიდრე.

ალექსანდრე ფარნეზე—პრინცი პარმისა, მეფის ძმისწული.

მეფის ასული კლარა ევგენია, სამი წლის ბავშვი.

ჰერცოგინია ოლივარესი, უფროსი სეფე ქალი.

მარკიზა მონდეკარი
პრინცესა ებოლი
გრაფინია ფუენტესი } დედოფლის სეფე ქალები.

მარკიზ პოზა, მალტიელი რაინდი
ჰერცოგი ალბა
გრაფი ლერმა, მეფის ქეშიკთა უფროსი
ჰერცოგი ფერია, ოქროს საწმისის ორდენის კავალერი
ჰერცოგი მედინა სიდონია, ადმირალი
დონ რაიმონდ ტაქსის, ფოსტის უფროსი
დომინგო, მეფის მოძღვარი. } ესპანეთის დიდებულნი.

სამეფოს დიდი ინკვიზიტორი.

წინამძღვარი—კარტეზიანთა მონასტრისა.

პაჟი დედოფლისა.

დონ ლუდვიგ მერკადო, დედოფლის კარის ექიმი.

მანდილოსნები და დიდებულები. პაჟები. ოფიცრები. ქეშიკები და სხვა მდუმარე პირნი.



პირველი მოქმედება

მეფის ბაღი არანხუესში

პირველი გამოსვლა

კარლოსი. დომინგო.

დომინგო

აი დამთავრდა სიხარულით სავსე დღეები
არანხუესში, მაგრამ თქვენი უმაღლესობა,
ჩანს, უწინდელზე მხიარული მას არა სტოვებს.
ამაო იყო, უფლისწულო, აქ ყოფნა ჩვენი.
აწ დაარღვიეთ უცნაური თქვენი დუმილი
და გული თქვენი გულს მამისას გადაუშალეთ.
დიდ ფასს გაიღებს მბრძანებელი, ოღონდ თავის შვილს—
თვის ერთადერთ ვაჟს—დაუბრუნოს სულის სიმშვიდე.

(კარლოსი თავჩაღუნული დგას და სდუმს.)

ნუთუ არსებობს ისეთი რამ სურვილი კიდევ,
რაზედაც ზეცამ თვის ძვირფას შვილს უარი უთხრა?
იქ ვიყავ მაშინ, როს ტოლედოს კედლებთან მდგარი,
ამაყი კარლოს ერთგულების ფიცს ღებულობდა,
როს მეფეები აწყდებოდნენ ერთმანეთს მისთვის,
რომ ესპანეთის ხელმწიფის შვილს მთხვეოდნენ ხელზე,

და როს ერთბაშად, როს ერთბაშად მეფის ძის
ფერხთით
ექვსი სამეფოს მბრძანებელი დაემხო კრძალვით...
მე იქ ვიდექი, დავინახე, ვით ათამაშდა
ზვიადი სისხლი მის ღაწვებზე და მისი გული
როგორ შფოთავდა ხელმწიფური ზრახვებით სავსე;
ვნახე ისიც, თუ ნეტარებით დამთვრალი მზერა
როგორ მოავლო აღტაცებით დიდებულთ კრებას...
მაშინ ის მზერა ყველას ასე გვეუბნებოდა:
„კმაყოფილი ვარ“.

(კარლოსი ხურგს შეაქცევს.)

და ახლა კი, ხელმწიფის შვილო,
ეს საზეიმო მდუმარება, ნაღველი ჩუმი,
რასაც რვა თვეა თქვენს თვალებში ვკითხულობთ უკვე,
რაც მთელ სასახლეს გამოცანად გადაჰქცევია,
რის გამოც მთელი ესპანეთი შიშს მისცემია,
მრავალ უძილო, მძიმე ღამედ დაუჯდა მეფეს
და დედათქვენსაც მრავალ ცრემლად.

კარლოსი

(სწრაფად მიუბრუნდება დომინგოს)

როგორ? დედაჩემს?
—ჰოი ზეცაო, მომანიჭე ისეთი ძალა,
მას მივუტევო, ვინაც იგი დედად მარგუნა!

დომინგო

რა ბრძანეთ, პრინცო?

კარლოსი

(გამოერკვევა და შუბლზე ხელს გადაისვამს)

ღირსეულო, წმინდაო მამავ,
უბედური ვარ, უბედური დედების მხრიდან.
ჩემი პირველი საქმე, როცა ნათელ ქვეყანას
მე მოვევლინე, დედაჩემის მკვლელობა იყო.

დომინგო

ნუთუ ნამდვილად ეგ ასეა, ხელმწიფის შვილო?
მაგ საყვედურს თუ ძალუძს თქვენი სინდისის ქენჯნა?

კარლოსი

და ეს ახალი დედაც განა მე არ დამიჯდა
სანაცვლო ფასად მამაჩემის სიყვარულისა?
ძლივს შემიყვარა მამაჩემმა და ჩემ ღვაწლს მხოლოდ
ის შეადგენდა, რომ ხელმწიფის მე ერთადერთი
შვილი ვიყავი. მას მეუღლემ ასული მისცა...
ო, ან ვინ იცის, მომავალი რაღას მოგვიტანს?

დომინგო

თქვენ ალბათ ხუმრობთ, მეფის ძეო. დედოფალს ჩვენსას
აღმერთებს მთელი ესპანეთი. მხოლოდ თქვენ ერთი
უნდა უმზერდეთ მას აღსავსე სიძულვილითა?
მის შეხედვისას თუ მოუსმენთ გონებას მხოლოდ?
რას ამბობთ, თქვენო ბრწყინვალებავ? მთელ ქვეყანაზე
ულამაზესი დედაკაცი და დედოფალი...
იგი ხომ თქვენი საცოლოც კი იყო ოდესღაც?
შეუძლებელი არის, პრინცო, ვერ გერწმუნებით!
ვინც ყველას უყვარს, მას კარლოსი ვერ შეიძულებს;
ასეთ უცნაურს და თავისსვე წინააღმდეგსა
ლაპარაკს იგი არ დაიწყებს. გაფრთხილდით, პრინცო,
თვით დედოფალმა არ შეიტყოს, რომ შვილს ასე სძულს,
თორემ ეს ცნობა მას გულს ატკენს.

კარლოსი

თქვენ ეგა გჯერათ?

დომინგო

თუ კიდევ გახსოვთ, უფლისწულო, უკანასკნელი
ასპარეზობა დიდებულთა სარაგოსაში,
სად ჩვენი მეფე შუბისაგან ოდნავ დაშავდა...

მაშინ იქ იჯდა დედოფალი, მანდილოსნებში,
სასახლის შუა ტრიბუნასთან, და გაჰყურებდა
რაინდთა ბრძოლას, როს ვიღაცამ წამოიძახა:
„მეფეს სისხლი სდის!“—ეს სიტყვები ელვის სისწრაფით
გადასცეს ერთურთს და დამსწრეთა მძაფრმა ჩურჩულმა
თვით დედოფლამდე მიაღწია. „პრინცს?“—შეჰკივლა მან
და სურდა მაღალ აივნიდან ძირს გადაშვება.
— „არა, თვით მეფეს!“ — უპასუხეს. — „მაშ ექიმს
უხმეთ!“—
თქვა დედოფალმა და შეწყვიტა მღელვარე სუნთქვა.

(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

რას ფიქრობთ, თქვენო ბრწყინვალებავ?

კარლოსი

დიდად მანცვიფრებს,
ასე ძლიერ რომ დაოსტატდა მეფის მოძღვარი,
მახვილგონივრულ, თავშესაქცევ ამბავთ თხრობაში.

(სერიოზულად და პირქუშად)

თუმც ჩემთვის ხშირად ისიც უთქვამთ, რომ ქვეყანაზე
ჯაშუშებსა და ენის მიმტანთ მეტი სიავე
ჩაუდენიათ, ვიდრე მკვლელის შხამსა და ხანჯალს.
ამაოდ დაშვრით, წმინდა მამავ, და თუ რაიმე
მადლობას ელით, ხელმწიფესთან მიბრძანდით მაშინ.

დომინგო

ძალზე კარგს შვრებით, ჩემო პრინცო, რომ ასე
ფრთხილობთ
და ასე ძლიერ ერიდებით ადამიანებს...
მაგრამ თქვენ მათი განსხვავებაც უნდა შეიძლოთ.
თვალთმაქცთან ერთად მეგობარსაც ნუ უკუაგდებთ.
მე ხომ სიკეთე მინდა თქვენთვის.

კარლოსი

ფრთხილად იყავით,
თორემ მანტიას უნდა წამსვე გამოეთხოვოთ,
თუ ეს გაგიგოთ მამაჩემმა.

დომინგო

რა?

კარლოსი

დიახ, ასე!
თქვენ ხომ შეგპირდათ მამაჩემი პირველ მანტიას?

დომინგო

რატომ დამცინით?

კარლოსი

დამიფაროს მაღალმა ღმერთმა,
რომ მე დავცინო იმ საშიშ კაცს, რომელსაც ძალუძს
ნეტარ სულებში მამაჩემი ჩარიცხოს, ანდა
წაწყმიდოს იგი საუკუნოდ.

დომინგო

მე ვერ გავბედავ
მაგ მწუხარების მიზეზების გამოძიებას
და ვერც იდუმალ თქვენს ფიქრებში შემოვიჭრები.
მაგრამ ვთხოვ მე თქვენს ბრწყინვალებას აწ გაიხსენოს,
რომ ადამიანთ აღშფოთებულ სინდისისათვის
ეკლესია ქმნის საიმედო თავშესაფარსა,
რის გასაღები ხელმწიფეთაც არ გააჩნიათ
და სადაც თვითონ მოქმედება უბოროტესი
დაბეჭდილია საიდუმლო წმინდა ფიცითა.
თქვენ კარგად იცით, რას ვგულისხმობ, ხელმწიფის
შვილო.
საკმარისად ვთქვი ყველაფერი.

კარლოსი

ღმერთმა მაშოროს,
რომ შევაცდინო საიდუმლო ბეჭდის მფლობელი!

დ ო მ ი ნ გ ო

მაგ უნდობლობით არ აფასებთ თქვენს ერთგულ მსა-
ხურს.

კ ა რ ლ ო ს ი

(გაუყრის ხელს)

წმინდა მამაო, გირჩევნიათ ჩამომეცალოთ.
ქვეყანამ იცის, რომ წმინდანი კაცი ბრძანდებით...
მაგრამ წაბრძანდით, რად ირჯებით ზედმეტად ჩემთვის?
გზა უნდა განვლოთ ეკლიანი და ძალზე შორი,
ვიდრე თქვენ ახვალთ ტახტზე პეტრე მოციქულისა.
ბევრის ცოდნა კი თქვენ უთუოდ დაგამძიმებდათ.
ასე უთხარით მეფეს, ვინც თქვენ აქ გამოგგზავნათ.

დ ო მ ი ნ გ ო

მე გამომგზავნა?..

კ ა რ ლ ო ს ი

ასე ვთქვი მე. ო, საუცხოოდ,
მე საუცხოოდ ვიცი, რომ ამ სასახლის კარზე
გაცემული ვარ და რომ უკვე მრავალი თვალი
ფხიზლად მდარაჯობს. ისიც ვიცი, რომ მამაჩემმა,
მეფე ფილიპემ, უკანასკნელ მონას მიმყიდა,
ჩემგან წამომცდარ თითოეულ სიტყვისთვისაც კი
ამ სიტყვის მიმტანს გასამრჯელოს მეფურად უხდის,
რაც მას არასდროს არ უქნია კეთილ საქმისთვის.
დიახ, მე ვიცი... მაგრამ წყნარად! კმარა ამაზე!
გული აღმევსო ბრაზითა და უკვე ისედაც
ძალზე ბევრი ვთქვი.

დ ო მ ი ნ გ ო

მეფეს ჩვენსას განზრახული აქვს,
მადრიდს ჩავიდეს საღამომდე. მთელი სასახლე
უკვე მზადაა წასასვლელად, ხელმწიფის შვილო.
და მაქვს პატივი მოგახსენოთ...

კ ა რ ლ ო ს ი

კეთილი, მოვალ!

(დომინგო გადის. რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ.)

შესაბრალისი ხარ, ფილიპე, ვით შენი შვილი!—
კარგად ვხედავ, რომ, მოწამლული საბიზღარ ეჭვით,
სისხლით იცლება შენი გული და შენი ცნობის-
მოყვარეობა ავბედითი როგორა ცდილობს
ამ უსაშინლეს საიდუმლოს ახადოს ფარდა.
მაგრამ რარიგად გაშმაგდები, როს ამას შესძლებ.

მეოთხე გამოსვლა

კ ა რ ლ ო ს ი. მ ა რ კ ი ზ ი ს ი ზ ა.

კ ა რ ლ ო ს ი

ამას ვის ვხედავ?.. ეს ვინ მოდის?.. კეთილნო სულნო!
ჩემო როდრიგო!

მ ა რ კ ი ზ ი

ჩემო კარლოს!

კ ა რ ლ ო ს ი

ნუთუ ნამდვილად
ეს შესაძლოა? ნუთუ მართლა, ეს შენ ხარ თვითონ?
დიახ, ეს შენ ხარ! კვლავ მხურვალედ გიკონებ მკერდში
და ისევ მესმის შენი გულის ძლიერი ფეთქვა.
ო, ისევ კარგად შეიცვალა აწ ყველაფერი.
შენმა მოხვევნამ გამიმრთელა სნეული გული.
კვლავ ჩემს როდრიგოს ყელით ყელზე ვეჭდობი ახლა.

მ ა რ კ ი ზ ი

სნეული გული?.. ყველაფერი აწ ისევ კარგად?..
ან რისი შეცვლა გჭირდებოდათ თქვენ ისევ კარგად?
ხელმწიფის შვილო, ეგ სიტყვები დიდად მანცვიფრებს.

კარლოსი

რამ მოგიყვანა ასე უცბად ბრიუსელიდან?
ვის ვუმადლოდე შენს ჩამოსვლას მოულოდნელსა?
კიდევ ვკითხულობ? აპატიე, ზეცის განგებავ,
სიხარულით მთვრალს შეცოდება შეუნდობელი!
ვის ვუმადლოდე, თუ არა შენ, ყოვლად კეთილო?
შენ მომივლინე, განგებაო, ეს ანგელოზი,
რადგან იცოდი, მარტოდ ვიყავ, უანგელოზოდ..
აბა, რალა მაქვს საკითხავი?

მარკიზი

ხელმწიფის შვილო,
გთხოვთ მომიტევოთ, რომ ასეთ მძაფრ აღფრთოვა-
ნებას
მე ვხვდები მხოლოდ უდიდესი განცვიფრებითა.
არ მოველოდი, ამგვარად მყოფს თუ ვიხილავდი
დონ ფილიპეს შვილს. გადაგკვრიათ ფერმკრთალ ღაწ-
ვებზე
სიწითლე არაბუნებრივი და ბაგეებიც,
ათრთოლებული, უჩვეულოდ გაგფითრებიათ.
რალა ვირწმუნო უნდა ახლა, ძვირფასო პრინცო?..
მე ვეღარ ვხედავ იმ ლომ ჭაბუკს, ვისთანაც ხალხმა,
ესდენ ჩაგრულმა, გმირმა ხალხმა გამომაგზავნა.
მე თქვენს წინ ვდგევარ ახლა არა როგორც როდრიგო,
არც როგორც ბიჭი, მოთამაშე კარლოსთან ერთად,
არამედ როგორც დეპუტატი მთელი ქვეყნისა,
გეხვევით მე თქვენ... ეს ქვეყანა კი ფლანდრიაა,
რომელიც ყელზე გეკონებათ აცრემლებული
და გადარჩენას მარტოოდენ თქვენგან მოელის.
დაიღუპება ეს ქვეყანა, თუ ბრიუსელში
ჰერცოგი ალბა, ჯალათი და ფანატიკოსი,
გამოცხადდება ესპანური კანონებითა.
ქვეყანა ესე უკანასკნელ იმედს თავისას
კარლოს მეხუთის შვილიშვილზე ამყარებს მხოლოდ.

დაიღუპება იგი მაშინ, თუ თქვენი გული
უწინდებურად აღარ ფეთქავს ხალხთ სასიკეთოდ-

კარლოსი

დაიღუპება.

მარკიზი

ვაგლახ! ეს რა სიტყვები მესმის!

კარლოსი

შენ რომელ დროზეც ლაპარაკობ, წარვიდა იგი.
ო, მაშინ მეც ხომ ვოცნებობდი სულ სხვა კარლოსზე-
რომლის ღაწვებზე ცეცხლის ალი აინთებოდა,
როდესაც ვინმე ახსენებდა თავისუფლებას...
მაგრამ ის უკვე დაიმარხა დიდი ხანია.
აქ ვისაც ხედავ, ის კარლოსი როდია ისევ,
წამოსვლისას რომ ალკალაში გამოგეთხოვა,
რომელიც ტკბილად ოცნებობდა, რომ ესპანეთში
შეიქნებოდა შემოქმედი ოქროს ხანისა...
ო, რა ბავშვური იყო მაშინ განზრახვა ჩემი,
მაგრამ რაოდენ დიდებული! ოცნება იგი
წარვიდა, გაჰქრა.

მარკიზი

ოცნებაო, ხელმწიფის შვილო?
მაშ ის ოცნება იყო მხოლოდ?

კარლოსი

ნება მიბოძე,
რომ დავაფრქვიო შენს გულ-მკერდზე ცრემლები ცხელი.
ამ თვალუწვდენელ, უზარმაზარ დედამიწაზე
არავინა მყავს მე შენს გარდა სხვა მეგობარი.
ძლიერ შორს აღწევს მბრძანებლობა მამაჩემისა,
შორს მისცურავენ ხომალდები ჩვენი ალმებით,
მაგრამ არაა იქ მცირედი ადგილიც არსად,

სადაც შემეძლოს თავისუფლად მე ცრემლთა ფრქვევა;
მხოლოდ აქ ძალმიძს. ო, როდრიგო, გაფიცებ ყველას,
რისიც ოდესმე ჩვენ ზეცისგან მიღება გვსურდა,
უარს ნუ მეტყვი, ნუ გამდევნი შენი გულიდან.

მ ა რ კ ი ზ ი

(უსიტყვოდ, გულაჩუყებული მიიყრდნობს კარლოსს მკერდზე)

კ ა რ ლ ო ს ი

წარმოიდგინე, თითქოს ვიყო ობოლი ბავშვი,
თითქოს მიპოვე მეფის ტახტთან და მიპატრონე.
უფლისწული ვარ და არ ვიცი, რას ჰქვია მამა...
თუ მართალია, რასაც გული მე მეუბნება,
თუ მრავალთ შორის შენ იგი ხარ, ვინც მე გამიგებს,
თუ მართალია, რომ ბუნების შემოქმედ ძალამ
განიმეორა აწ როდრიგო კარლოსის სახით
და ჩვენთა სულთა უხილავი სიმები ნაზი
ჩვენი სიცოცხლის გაზაფხულზე შეახმატკბილა,
თუ ერთი ცრემლი, რომელიც მე შვებას მანიჭებს,
შენ ძვირად გიღირს, ვიდრე ჩემი მამის წყალობა...

მ ა რ კ ი ზ ი

მთელ ქვეყანაზე უფრო ძვირად.

კ ა რ ლ ო ს ი

ისე დავმდაბლდი,
ისე დავეცი და შევიქენ ისე ღარიბი,
რომ ახლა უნდა მოგაგონო ბავშვობის წლები
და გთხოვო დიდ ხნის დავიწყებულ ვალის გადახდა,
რასაც შემპირდი მაშინ, როცა ვსწავლობდით ერთად...
ოდეს ძე და შენ, ორი ბიჭი, ცელქი ზნისანი,
ძმებივით ერთად ვიზრდებოდით, გულს ჩემსას მხოლოდ
ის აწუხებდა, რომ გონებით მჩრდილავდი მუდამ...
და გადავწყვიტე შეყვარება შენი უსაზღვროდ,
რადგან ვიცოდი, არ შემწევდა იმდენი ძალა,

რომ ვყოფილიყავ შენი მსგავსი და თანატოლი.
და მე დაგიწყე გაწამება ჩემი აზიზი
სიყვარულითა და ალერსით ეგოდენ დიდად;
შენ კი ჩემს გრძნობებს პასუხობდი ძალიან ცივად.
ხშირად შენს ახლოს ვიდექ, მაგრამ არც კი მამჩნევდი;
მწარედ ვტიროდი, როდესაც შენ, ჩემგან ლტოლვილი,
აღტაცებული ეხვეოდი მდაბიო ბავშვებს.
„რატომ მხოლოდ მათ?—ვყვიროდი მე დამწუხრებული,—
მათზე ნაკლებად თუ მიყვარხარ?“ მაგრამ შენ ცივად
მუხლს მოიყრიდი ჩემს წინაშე და თან მეტყოდი:
„ისე უნდაო უფლისწულის პატივისცემა.“

მ ა რ კ ი ზ ი

ო, კმარა, ნუღარ მომაგონებ ბავშვობის ამბებს,
ახლაც სირცხვილით ვწითლდები მათ გახსენებისას.

კ ა რ ლ ო ს ი

მე შენი გული ვეღარაფრით მოვინადირე.
და თუმცა ჩემ გულს აწამებდი, უკუაგდებდი,
მისი თავიდან მოცილება ვერ შესძელ მაინც.
სამჯერ უარჰყავ ესპანეთის ტახტის მემკვიდრე,
სამჯერ წარმოდგა ის კვლავ შენს წინ, ვით მათხოვარი,
გეეედრებოდა სიყვარულსა და სურდა იგი
შენთვის თავს ძალით მოეხვია. და, რაც კარლოსმა
ვერ მოახერხა, ის შეიძლო შემთხვევამ მხოლოდ.
ეს მოხდა ერთხელ, ჩვენი ერთად თამაშობის ჟამს,
როს მამიდაჩემს, დედოფალსა ბოჰემიისას,
თვალში ეძგერა ბურთი, შენი გამოსროლილი.
იმას ეგონა, თითქოს ბურთი განზრახ მოარტყეს,
მეფეს შესჩივლა ცრემლიანმა ამის შესახებ.
მსწრაფლ შემოკრიბეს ყმაწვილები მთელი სასახლის
და მოითხოვეს დამნაშავის დასახელება.
ხელმწიფემ ჰფიცა, რომ სასტიკად დასჯიდა იგი
ამ საქმის ჩამდენს, ყოფილიყო თუნდ მისი შვილი.

მე დაგინახე, შორს იდექი და კანკალებდი,
წინ წამოვდექი, ჩავუვარდი ხელმწიფეს ფერხთით,
წამოვიძახე: „ეს ამბავი ჩემი ბრალია,
შური იძიე, მამაჩემო, საკუთარ შვილზე!“

მ ა რ კ ი ზ ი

რად გამახსენეთ ეგ ამბავი!..

კ ა რ ლ ო ს ი

ეს ასეც მოხდა!
მთელი სასახლის შინაყმათა თანადასწრებით
და სიბრალულით აღსავსეთა შუაში მდგარი,
მე სამარცხვინო სასჯელს მიმცეს, ვითარცა მონა.
შენ შემოგხედე და ტირილი არ დამიწყია,
თუმც ტკივილისგან კბილებს აწარედ ვაღრჭიალებდი.
სასტიკი დარტყმით იღვრებოდა მეფური სისხლი.
შენ გიცქეროდი და სულაც არ ავტირებულვარ...
მაშინ მოხვედი და ტირილით დაემხე ჩემს წინ,
მითხარი: „ჩემი სიამაყე დაძლიე ამით,
ვალს გადაგიხდი, როცა მეფე შეიქნებიო.“

მ ა რ კ ი ზ ი

(გაუწვდის კარლოსს ხელა)

და გადაგიხდით, ჩემს ბავშვურ ფიცს გაგიმეორებთ,
როგორც ვაჟკაცი. შეიძლება ამის დროც დადგეს...

კ ა რ ლ ო ს ი

ო, მაშ ახლავე, ნუ აყოვნებ—დრო დადგა უკვე,
რომ მაშინდელი შენი აღთქმა აწ აღასრულო.
მე სიყვარულსა ვსაჭიროებ.—უსაშინლესი
საიდუმლოთი ანთებულა დღეს ჩემი გული.
ის შენს წინ უნდა გადმოვშალო და შენს სახეზე
მსურს სასიკვდილო განაჩენი ამოვიკითხო.
მაშ მომისმინე და გამტერდი გაოცებისგან...

წინააღმდეგს კი ნურას მეტყვი ამის შესახებ...
მე მიყვარს დედა, ჩემო მარკიზ.

მ ა რ კ ი ზ ი

ო, ღმერთო ჩემო!

კ ა რ ლ ო ს ი

ო, არა, არა! მე არა მსურს ეგ შებრალება.
სთქვი, რომ ჩემსავით უბედური ადამიანი
ამ დედამიწის ზურგზე არვინ მოიპოვება.
სთქვი, მაგრამ უკვე წინასწარ ვგრძნობ, თუ რასაც
მეტყვი.
შვილს უყვარს დედა. ზნე ქვეყნისა, ბუნების წესი,
რომის კანონი ამგვარ ვნებას სასტიკად სჯიან.
როგორ საშინლად უმხედრდება სურვილი ჩემი
მამის უფლებას, მე ვგრძნობ ამას და მაინც მიყვარს.
ეს გზა მიმიყვანს სიგიჟემდე ან ეშაფოტთან.
მე იგი მიყვარს უიმედოდ... ბიწიერ გრძნობით...
სიკვდილის შიშით და სიცოცხლის უდიდეს საფრთხით...
ყველაფერ ამას კარგად ვხედავ და მაინც მიყვარს.

მ ა რ კ ი ზ ი

იცის თუ არა დედოფალმა სურვილი თქვენი?

კ ა რ ლ ო ს ი

განა შემეძლო მისთვის გული გადამეშალა?
იგი ფილიპეს მეუღლეა და დედოფალი,
ეს ადგილი კი მიწა გახლავს ესპანეთისა.
მას მამაჩემის ეჭვიანი თვალი სდარაჯობს,
შეზღუდულია ყოფაქცევის სასტიკი წესით,
როგორ შევძლებდი მარტოდმარტო მენახა იგი?
მას შემდეგ უკვე რვა თვემ განვლო ჯოჯოხეთურმა,
რაც უკან მიხმო უმაღლესი სკოლიდან მეფემ,
რათა ვხედავდე მას ყოველდღე, ვიტანჯებოდე
და მაინც ვიყო საფლავივით დადუმებული.

რვა თვე შესრულდა. მეგობარო, ჯოჯოხეთური,
რაც გულს მიდაგავს ტრფობის ცეცხლი დაუცხრომელი;
ო, რაოდენჯერ მოსდგომიან ბაგეებს ჩემსას
სიტყვები ეგრეთ საშინელი აღსარებისა,
მაგრამ შიშისგან ისევ გულში უკუქცეულან.
ჩემო როდრიგო, ერთი წუთით მაინც მენახა
მე იგი მარტო.

მ ა რ კ ი ზ ი

მამათქვენი, ხელმწიფის შვილო?

კ ა რ ლ ო ს ი

რად მომაგონეთ, მეგობარო, მე იგი ახლა?
დე მოევლინე სინდისს ჩემსას სასტიკ მსაჯულად
და მამაჩემს კი ნურასოდეს ნუ გამახსენებ.

მ ა რ კ ი ზ ი

რატომ? გძულთ მამა?

კ ა რ ლ ო ს ი

არა! არა! მე მამა არ მძულს,
მაგრამ სასტიკი შიში, ძრწოლა ბოროტმოქმედის
მისი სახელის ხსენებაზე შემიპყრობს ხოლმე.
მე რა ვქნა, როცა ჭაბუკ გულში მონური აღზრდით
უკვე ჩამიკლეს ნაზი გრძნობა სიყვარულისა?
მაშინ ექვსი წლის ვიყავ, როცა თვალებმა ჩემმა
პირველად ნახეს საზარელი კაცი, რომელიც
როგორც გადმომცეს, იყო ჩემი მშობელი მამა.
ეს იყო მაშინ, როცა ხელი მოაწერა მან
ოთხ სასიკვდილო განაჩენზე ფეხზემდგომარემ.
მას შემდეგ მე მას მარტოოდენ ვხედავდი მაშინ,
როდესაც სასჯელს ცელქობისთვის განმიცხადებდა.
რა ძლიერ ენავგესლიანობ... ო ღმერთო ჩემო!
შორს, შორს გავცილდეთ ჩვენ ამ ადგილს.

მ ა რ კ ი ზ ი

არა, მეფის ძევ,
თქვენ უნდა ახლა ყველაფერი გამოამჟღავნოთ,
რადგან სიტყვები განტვირთავენ გულს დამძიმებულს.

კ ა რ ლ ო ს ი

ხშირად ვებრძოდი საკუთარ თავს; შუაღამისას,
როს მცველთ ეძინათ, ვემბობოდი მარადქალწული
ღვთისმშობლის ხატთან მწუხარე და აცრემლებული,
და მას შევთხოვდი, კვლავ მოეცა ბავშვური გული.
მაგრამ იგი მე არ მისმენდა. ჩემო როდრიგო!
ამიხსენ შენ ეს გამოცანა ციურ განგების —
ათას მამაში წილად რად მხვდა ასეთი მამა,
ათას კარგ შვილში რატომ ვერგე ასეთი შვილი?
ორი ამგვარი განსხვავება გასაოცარი
ბუნებასაც კი თავის წოეში ვერ უპოვია.
ან თვით ბუნებამ როგორ შესძლო და კაცთა მოდგმის
ორი ასეთი განშტოება უკიდურესი
წმინდა კავშირით ერთურთთან ვით შეაკავშირა?
ეს რატომ უნდა მომხდარიყო, სასტიკო ბედო!
ჩვენ ხომ ყოველთვის ერთურთს ასე ვერიდებოდით,
მაშ რადღა შევხვდით ახლა ერთი სურვილის გზაზე?
შენ აქ, როდრიგო, ხედავ ორ მტრულ მნათობს, რო-
მელნიც
დროს უსასრულო დინებაში შვეულსა გზაზე
ერთხელ ერთმანეთს დაეჯახნენ, რომ დაემსხვრიათ
ერთიმეორე, ხოლო შემდეგ კი უკუიქცნენ
ერთმანეთისგან სამუდამოდ.

მ ა რ კ ი ზ ი

წინასწარ ვხედავ
უბედურებით აღსავსე წამს.

კ ა რ ლ ო ს ი

და მე თვითონაც.
როგორც უფსკრულის ფურიები, უკანა მდევენ
სიზმარნი, ერთობ შესაზარნი და საშინელნი.
ეჭვით აღსავსე ებრძვის ჩემი კეთილი სული
საშინელ ზრახვებს და სოფიზმის ლაბირინთებში
დახეტიალობს ავბედითი გონება ჩემი,
ვიდრე ბოლოს არ შეძრწოლდება უფსკრულის პირას.
ოი როდრიგო, მასში მამას თუ დავივიწყებ,—
ვხედავ, გაფითრდი და მიმიხვდი, რისი თქმაც მინდა,—
როცა მე მასში დავივიწყებ საკუთარ მამას,
რაღა იქნება ჩემთვის მეფე?

მ ა რ კ ი ზ ი
(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

ძალმიძს გავბედო
და ერთი თხოვნით მივმართო მე მეგობარს ჩემსას?
რის ქმნაც არ უნდა მოისურვოთ, აღმითქვით, კარლოს,
რომ უჩემოდ არ შეასრულებთ განზრახვას თქვენსას.
ხომ შემპირდებით თქვენ მე ამას?

კ ა რ ლ ო ს ი

ო, სუყველაფერს,
რასაც კი შენი სიყვარული მოითხოვს ჩემგან.
ახლა მთლიანად შენს ხელთა ვარ.

მ ა რ კ ი ზ ი

როგორც ამბობენ,
ჩვენს მბრძანებელს სურს გაემგზავროს ქალაქში დღესვე-
დრო მცირე დარჩა. თუ თქვენ გინდათ, რომ საი-
დუმლოდ
ელაპარაკოთ დედოფალსა, ეს სხვაგან არსად
არ მოხერხდება, თუ არა აქ, არანხუესში.
წყნარი კუთხეა და სოფლური თავისუფლება
ხელს მოგვიმართავს.

კ ა რ ლ ო ს ი

მეც მაგისი იმედი მქონდა,
მაგრამ ამაოდ ჩამიარა.

მ ა რ კ ი ზ ი

არც თუ მთლიანად.
მივდივარ, რათა გამოვცხადდე მე მის წინაშე.
თუ ესპანეთშიც იგი კიდევ ისეთი არის,
როგორიც იყო ჰაინრიხის სასახლის კარზე,
თუ კვლავ გულწრფელი ვპოვე იგი, თუ მის თვალებში
თქვენთვის რაიმე საიმედო ამოვიკითხე,
თუ დავითანხმე იგი თქვენთან სალაპარაკოდ,
ერთიღა რჩება: სეფე ქალნი ჩამოვაცილოთ...

კ ა რ ლ ო ს ი

ბევრი მათგანი ერთგული მყავს, დიდ პატივსა მცემს...
განსაკუთრებით მონდეკარი, ვისი გულიც მე
მოვიგე თვითონ მისი ვაჟის საშუალებით,
რომელიც ჩემი პაჟი არის.

მ ა რ კ ი ზ ი

მით უკეთესი.
მაშ ახლოს სადმე იყავით აქ, ხელმწიფის შვილო,
რომ ჩემს ნიშანზე გამოცხადდეთ დაუყოვნებლად.

კ ა რ ლ ო ს ი

დიახ, მეც ეგ მსურს... მეც ეგ მინდა... იჩქარე ოღონდ.

მ ა რ კ ი ზ ი

არც ერთი წუთი აღარ მინდა დავკარგო ახლა.
მივდივარ უკვე. მაშ ნახვამდის, ხელმწიფის შვილო!
(გადიან სხვადასხვა მიმართულებით.)

დედოფლის რეზიდენცია არანხუესში

უბრალო სოფლური ადგილი, შუაზე გაჭრილი ხეივნით,
უკანა პლანზე დედოფლის საზაფხულო სახლი.

მესამე გამოსვლა

დედოფალი, ჰერცოგინია ოლივარესი, პრინცესა ებოლი და მარკიზა მონდეკარი, რომელნიც გამოდიან ხეივნიდან.

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(მონდეკარს)

ნუ მიმატოვებთ, ისევ ჩემთან დარჩით, მონდეკარ,
მთელი დილაა, რაც მაწამებს პრინცესას მზერა,
ეგრეთ ლაღი და მხიარული. შეხედეთ ერთი,
ჩვენი ებოლი ძლივსღა ფარავს თავის სიხარულს,
ამ სოფლურ კუთხეს რომ შორდება.

ე ბ ო ლ ი

მე სრულებითაც
არ მსურს ვიცრუო, დედოფალო; დიდად მახარებს,
რომ ისევ მალე ჩემს საყვარელ მადრიდს ვიხილავ.

მ ო ნ დ ე კ ა რ ი

და თქვენ კი არა, დედოფალო? ნუთუ თქვენ მართლა
არ გიხარიათ მიტოვება არანხუესის?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ამ მშვენიერი ადგილისა?—ძალზე ნაკლებად.
აქ თავს ისე ვგრძნობ, ვით საკუთარ ჩემს ქვეყანაში.
დიდი ხანია ავირჩიე მე ეს ადგილი.
აქ მესალმება მომხიბლავი სოფლის ბუნება,
ვით გულითადი მეგობარი ჩემი ყრმობისა.
აქ ისევ ვპოვე უდარდელი ბავშვობა ჩემი,
აქ ჩემი ტურფა საფრანგეთის ნიავი მოჰქრის,
ნუ დამდებთ ბრალსა ამისათვის. ყოველი გული
მიიწევს მშობელ ქვეყნისაკენ.

ე ბ ო ლ ი

მაგრამ როგორი
ყრუ, ჩამკვდარი და მწუხარეა აქ ყველაფერი.
კაცს ეგონება ლა-ტრაპეში ვიმყოფებიო.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

არა, პირიქით! მე მგონია, მხოლოდ მადრიდში
არის ჩამკვდარი ყველაფერი... მაგრამ რას გვეტყვის
ოლივარესი ჩვენ ამაზე?

ო ლ ი ვ ა რ ე ს ი

მე, დედოფალო,
იმას გეტყვით, რომ ჩვეულება ჩვენ ასეთი გვაქვს:
ერთ თვეს აქ დავყოფთ, მეორე თვეს პარდოში წავალთ,
ხოლო ზამთარს კი გავატარებთ ქალაქ მადრიდში.
დაწესებული ასე არის ეს იმის შემდეგ,
რაც მბრძანებლობენ მეფეები ესპანეთისა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

დიახ, თქვენ ხომ ეს კარგად იცით, ჰერცოგინია;
თქვენთან კამათზე სამუდამოდ ავიღე ხელი.

მ ო ნ დ ე კ ა რ ი

მადრიდში ფრიად მხიარული ცხოვრება გველის!
კორიდისათვის განამზადეს პლასა-მაიორ,
აუტო-და-ფეს ჩვენებასაც უკვე შეგვპირდნენ...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

უკვე შეგვპირდნენ? და ეს მესმის ჩემი უწყინარ
მონდეკარისაგან? ღმერთო ჩემო!

მ ო ნ დ ე კ ა რ ი

რატომაც არა?
კოცონზე სწვავენ მხოლოდ ბოროტ ერეტიკოსებს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვიმედოვნებ, რომ სხვაგვარ ფიქრობს ჩემი ებოლი.

ე ბ ო ლ ი

მე? დედოფალო, ძალიან გთხოვთ, არ მიმიჩნიოთ
მონდეკარზე ცუდ ქრისტიანად.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

აჰ! დამავიწყდა,
თუ სად ვარ ახლა.—სხვა რამეზე ვილაპარაკოთ!..
მგონი, სოფელზე ვსაუბრობდით. მე მეჩვენება,
რომ ამ ერთმა თვემ გაიარა საოცრად ჩქარა.
მე აქ უფრო მეტ, დიდ სიხარულს ველოდებოდი,
მაგრამ ვერ ვპოვე იგი, რისი იმედიც მქონდა.
ნუთუ ასევე ემართება ყოველგვარ იმედს?
აჰ, ვერას გზით ვერ გავიხსენე სურვილი იგი,
რომელმაც ასე შემაცდინა და მომატყუა.

ო ლ ი ვ ა რ ე ს ი

ჩვენო ებოლი, არაფერი არ გითქვამთ ჩვენთვის,
გომესი თქვენზე იმედოვნებს ისევ თუ არა?
ან როდის უნდა მოგილოცოთ ბედნიერება?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

კარგი ჰქენით, რომ გამახსენეთ, ჰერცოგინია.
(პრინცესას)
დიახ, მე მთხოვენ თქვენს წინაშე შუამდგომლობას.
მაგრამ ეს ძალმიძს? კაცს, რომელსაც ჩემი ებოლით
დავაჯილდოვებ, ღირსეული კაცობა მართებს.

ო ლ ი ვ ა რ ე ს ი

და ღირსეული კაციც არის ის, დედოფალო,
კაცი, რომელსაც მწყალობელმა ჩვენმა ხელმწიფემ
თვისი მეფური მოწყალებით პატივი დასდო.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

კაცს ეს წყალობა მართლაც დიდად აბედნიერებს...
მაგრამ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, მას თუ შეუძლია
სიყვარული, და სიყვარულის დამსახურება.—
ებოლი, მე თქვენ გეკითხებით.

ე ბ ო ლ ი

(სდუმს, დარცხვენილია, თვალები ძირს დაუხრია, ბოლოს დაემხობა
დედოფლის ფერხთით)

გთხოვთ შემიცოდოთ,
დიდსულოვანო დედოფალო. ღვთის გულისათვის,
ნებას ნუ მისცემთ, რომ მიმსხვერპლონ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორ? გიმსხვერპლონ?
საკმარისია ჩემთვის უკვე. აბრძანდით ფეხზე!
მსხვერპლად გახდომა ქალისათვის მწარე ხვედრია.
მე მჯერა თქვენი, წამოდექით. დიდი ხანია,
რაც გრაფს უარი განუცხადეთ?

ე ბ ო ლ ი
(წამოდგება)

დიდი ხანია,
მაშინ კარლოსი იყო, ვგონებ, სასწავლებელში.

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(გაოცდება და გამომცდელი მზერით დააკვირდება)

მერე ჯეროვნად ყველაფერი ასწონ-დასწონეთ,
თუ რა მიზეზით უარყავით?

ე ბ ო ლ ი
(რამდენადმე გაცხარებით)

ო, არასოდეს
არ შეიძლება, რომ ეგ მოხდეს! ო, არასოდეს!
საკმაოდ ბევრი მიზეზია.

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(ძალზე სერიოზულად)

ერთიცა კმარა.
თქვენ ის არ გიყვართ. ჩემთვის უკვე გასაგებია.
გვეყო ამაზე ლაპარაკი.

(მიუბრუნდება სხვა მანდილოსნებს)

დღეს არ მინახავს
მეფის ასული, ოლივარეს, მომგვარეთ იგი.

ო ლ ი ვ ა რ ე ს ი
(დახედავს საათს)

ჯერ დრო არაა, დედოფალო.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჯერ დრო არაა,
რომ მე დედობა მოვისურვო? სამწუხაროა!
ძალიან ცუდი. გამახსენეთ, არ დაგავიწყდეთ,
როცა დრო მოვა შვილის ნახვის.

(შემოდის პაჟი და ჩუმად ელაპარაკება ოლივარესს, რომელიც შემდეგ დედოფალს მიმართავს.)

ო ლ ი ვ ა რ ე ს ი

მარკიზ დე პოზა...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მარკიზ დე პოზა?

ო ლ ი ვ ა რ ე ს ი

ჩამოვიდა საფრანგეთიდან
და ნიდერლანდთა ქვეყანიდან. ნახვის ნებას გთხოვთ,
რომ ხელთ გადმოგცეთ ბარათები დედათქვენისა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაქვს ამის ნება?

ო ლ ი ვ ა რ ე ს ი
(გაუბედავად)

დედოფალო, ჩემს განაწესში
მსგავსი შემთხვევა სულ არაა მოხსენებული,
რომ კასტილიელ დიდებულსა უფლება ჰქონდეს
ხელში გადასცეს წერილები უცხო სასახლის,
და ისიც ბაღში, დედოფალსა ესპანეთისას.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რაკი ასეა, თვით მე ვაგებ მაგაზე პასუხს.

ო ლ ი ვ ა რ ე ს ი

მაგრამ მანამდე, დედოფალო, ნება მიბოძეთ,
რომ გაგეცალოთ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მოიქეცით როგორც გენებოთ,
ჰერცოგინია ოლივარეს.

(ოლივარესი გადის. დედოფალი ანიშნებს პაჟს, რომელიც მაშინვე გადის.)

მეოთხე გამოცვლა

დ ე დ ო ფ ა ლ ი. პ რ ი ნ ც ე ს ა ე ბ ო ლ ი. მ ა რ კ ი ზ ა მ ო ნ დ ე კ ა რ ი
და მ ა რ კ ი ზ პ ო ზ ა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მოხარული ვარ,
რომ ესპანეთში დაბრუნებულს გხედავთ, რაინდო.

მ ა რ კ ი ზ ი

და მეც ისეთი სიამაყით ჯერ არასოდეს
მიწოდებია ამ ქვეყნისთვის სამშობლო ჩემი,
როგორც ამჟამად, დედოფალო.

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(ორივე მანდილოსანს)

მარკიზ დე პოზა,
ის, ვინც რაიმსის სარაინდო შეჯიბრებაზე
თვით მამაჩემთან შუბი ორად გადაამსხვრია

და ჩემი ფერი სამჯერა ჰყო გამარჯვებული...
იგი პირველი ესპანელი გახლავთ, რომელმაც
მე მაგრძნობინა, შემასწავლა, თუ რაოდენად
საამაყოა დედოფლობა ესპანეთისა.

(მიმართავს მარკიზს)

როს დუვრში ვნახეთ ერთმანეთი უკანასკნელად,
მაშინ, რაინდო, ალბათ, სიზმრად ვერც კი ნახავდით—
კასტილიაში გახდებოდით ჩემი სტუმარი.

მ ა რ კ ი ზ ი

რას ვიფიქრებდი, დედოფალო, აბა მე მაშინ,
რომ საფრანგეთი დაგვითმობდა იმ ერთადერთ განძს,
რომელიც მისთვის დიდად გვშურდა ყველა ესპანელს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჰოი, ამაყო ესპანელო! ერთადერთიო?
ეს ერთადერთი ასულია ვალუას მოდგმის?

მ ა რ კ ი ზ ი

აწ ძალმიძს მხოლოდ, დედოფალო, მე ამისი თქმა,
რადგანაც ახლა თქვენ ჩვენი ხართ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

გავიგე, მარკიზ,
რომ მგზავრობისას საფრანგეთზე გამოგივლიათ,—
რა მომიტანეთ პატივცემულ დედაჩემისა
და დაუვიწყარ, უსაყვარლეს ჩემთა ძმათაგან?

მ ა რ კ ი ზ ი

(გადასცემს ბარათებს)

მე დედათქვენი, დედოფალო, სნეული ვპოვე,
ყველა ქვეყნიურ სიხარულზე აეღო ხელი
და ერთადერთი იმედიღა ანუგეშებდა,
რომ ქალიშვილი ესპანეთის სამეფო ტახტზე
ბედნიერი ჰყავს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ბედნიერი არ უნდა იყოს
განა ის, ვისაც იგონებენ ნათესავები,
ეგრე მხურვალედ, ეგრე ნაზად, ეგოდენ ტკბილად?..
თქვენ მგზავრობისას სტუმრებიხართ მრავალ სასახლეს,
ალბათ, გინახავთ ბევრი ხალხის ზნე-ჩვეულება...
ახლა კი, როგორც მე გადმომცეს, განზრახული გაქვთ
მშობელ მხარეში მხოლოდ თქვენთვის იცხოვროთ
წყნარად,
ვით უფრო დიდმა მეფემ მყუდრო ზღუდეთა შორის,
ვიდრე თვით მეფე ფილიპეა სამეფო ტახტზე,—
თავისუფალმა მოაზროვნემ, ფილოსოფოსმა!
ძალიან ვეჭვობ მოგეწონოთ ჩვენი მადრიდი.
იქ მეტისმეტი სიწყნარეა.

მ ა რ კ ი ზ ი

მაგრამ იქ მაინც
ბევრად მეტია იგი, რათაც მთელი ევროპის
დანარჩენ ქვეყნებს შეუძლიათ დაიტრაბახონ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მეც ეგ მსმენია. ქვეყნიური ამბებისაგან
ან მარტოოდენ მოგონება შემომრჩენია.

(პრინცესა ებოლის)

ჩემო პრინცესა, მგონია, იქ სუმბული ჰყვავის...
ხომ არ ინებებთ მომიტანოთ?

(პრინცესა მიდის იმ ადგილისაკენ. დედოფალი ცოტა ხმადაბლა, მარკიზს)

ან დიდად ვცდები,
ან თქვენმა მოსვლამ ერთ ბედნიერ კაცით ამჟამად
ასე უეცრად გაამდიდრა სასახლე ჩვენი.

მ ა რ კ ი ზ ი

ძალზე მწუხარე ვპოვე იგი მე, დედოფალო,
ამქვეყნად იმას გაახარებს ერთი რამ მხოლოდ...

(პრინცესა ბრუნდება ხელში ყვავილით.)

ე ბ ო ლ ი

რაინდს მრავალი უცხო მხარე უნახავს თვალით,
უვეჭველია, ბევრი კარგი ამბავი იცის,
მანდილოსნები შეგვაქციოს, დაგვიტკბოს სმენა.

მ ა რ კ ი ზ ი

რაღა თქმა უნდა. შემთხვევათა ძიება გახლავთ
რაინდის ვალი ამა ქვეყნად. ეს ყველამ იცის.
მაგრამ ქალთ დაცვა უფრო წმინდა ვალია მისი.

მ ო ნ დ ე კ ა რ ი

გოლიათთაგან! მაგრამ ახლა გოლიათები
აღარ არიან.

მ ა რ კ ი ზ ი

საბუხაროდ, ძალმომრეობა
სუსტებისათვის გოლიათი არის ყოველთვის.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რაინდი მართალს ლაპარაკობს, გოლიათები
კვლავ არსებობენ, რაინდნი კი აღარ არიან.

მ ა რ კ ი ზ ი

როს ვბრუნდებოდი ამას წინათ ნეაპოლიდან,
მოწმე შევიქენ აღმაშფოთარ, მწუხარე ამბის,
რაც მეგობრობის აღსარებამ წმიდათა წმიდამ
გადააქცია ეს ამბავი ჩემს საკუთრებად.
რომ არ ვშიშობდე, დედოფალო, მისი მოყოლით
თქვენს შეწუხებას, თქვენი სმენის მოღალვას, მაშინ...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

სხვა არჩევანი განა მრჩება? ჩემი პრინცესა
ცნობისმოყვარე არის დიდად და მე თვითონაც
ძალიან მიყვარს მოვისმინო რამე ახალი.
გისმენთ, რაინდო, გთხოვთ დაიწყოთ.

მ ა რ კ ი ზ ი

კეთილშობილმა

ორმა ოჯახმა — მცხოვრებლებმა მირანდოლაში,
გატანჯულებმა ერთმანეთის მოსისხლე მტრობით,
გიბელინებს და გველფებს შორის რომ სწარმოებდა
საუკუნეთა გრძელ მანძილზე და იგი მტრობა
ამ ოჯახთაც რომ გადმოეცა მემკვიდრეობით —
გადაწყვიტა, რომ დამოყვრებით ერთმანეთს შორის
ხანგრძლივი ეყოთ სასურველი მტკიცე მშვიდობა.
დისწული მძლავრი პიეტროსი, ვაჟი ფერნანდო,
ხოლო ასული კოლონასი, ტურფა მატილდა —
ეს ორნი იყვნენ, ამ ქალ-ვაჟის დაქორწინებას
უნდა შეეკრა მეგობრობა მტრულ ოჯახთ შორის.
თვითონ ბუნებას ორი გული ასეთი სათნო
არ წარმოეშვა ერთურთისთვის და არც ქვეყანას
ასეთი კარგი არჩევანი არ მოეხდინა.
მაგრამ ფერნანდო თვის საცოლოს, სიყვარულის ღირსს,
მხოლოდ სურათით თუ იცნობდა და თაყვანს სცემდა,
და უდიდესი მღელვარებით ელოდა იგი,
როდის ნახავდა თავის თვალით და ირწმუნებდა
მას, რასაც სურათს და ოცნებას არ უჯეროდა.
პადუაშივე, სადაც სწავლა მას აყოვნებდა,
უცდიდა იგი სიხარულით აღსავსე იმ წამს,
როდესაც ნებას უბოძებდნენ, მატილდას ფერხთით
რომ წარმოეთქვა აღსარება სიყვარულისა.

(დედოფალი უფრო ყურადღებით უსმენს. მარკიზი მცირე ხნის დუმილის შემდეგ კვლავ აგრძელებს თხრობას და, რამდენადაც კი დედოფალს იქ ყოფნა ნებას აძლევს, მიმართავს უფრო პრინცესა ებოლის.)

ამასობაში დაქვრივდება ბიძა პიეტრო.
ახალგაზრდული გატაცებით ისმენს მოხუცი
ნაზი მატილდას გასაოცარ მშვენების ქებას.
მივიდა! ნახა! შეიყვარა! ახალი ვნება
მასში ჩაახშობს მაშინათვე ბუნების სუსტ ხმას.

ბიძა ძმისწულის საცოლოზე დაინიშნება
და ქორწინებით განამტკიცებს თვის ყაჩაღობას.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ფერნანდომ რაღა გადაწყვიტა?

მ ა რ კ ი ზ ი

ის სიყვარულის
ლაღად მქროლ ფრთებით სამშობლოსკენ მიეშურება,
არც იცის, თუ რა საშინელი ცვლილება მოხდა.
ჟამსა ვარსკვლავთა აღმოხდომის მიადგა იგი
თავისი მერნით ეზოს ჭიშკარს, სად ყური მოჭრა
მოქეიფეთა ფლეიტის ხმას, დაფდაფთა ცემას,
გაკაშკაშებულ დარბაზიდან რომ მოისმოდა.
ათრთოლებული არბის კიბის საფეხურებზე
და, ვით უცნობი, საქორწინო დარბაზში შედის,
სად ღვინით დამთვრალ სტუმართ შორის იჯდა პიეტრო,
ხოლო მის გვერდით ანგელოზი, ცით მოვლენილი,
ვისაც იცნობდა ფერნანდო და თავისად რაცხდა
და ვინც ასეთი მშვენიერი, ასე ბრწყინვალე
ოცნებითაც კი ვერასოდეს წარმოედგინა.
მხოლოდ შეხედა და ფერნანდო მაშინვე მიხვდა,
თუ რას ფლობდა და რა დაკარგა მან სამუდამოდ.

ე ბ ო ლ ი

ოი საბრალო!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ხომ დასრულდა ამბავი უკვე?
მგონია, იგი უნდა იყოს დასრულებული.

მ ა რ კ ი ზ ი

არცთუ მთლიანად, დედოფალო.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

თქვენ არ გვითხარით,
რომ თქვენი კარგი მეგობარი იყო ფერნანდო?

მ ა რ კ ი ზ ი

მასზე ძვირფასი მეგობარი არავინა მყავს.

ე ბ ო ლ ი

გთხოვთ გააგრძელოთ ეგ ამბავი, რაინდო პოზა.

მ ა რ კ ი ზ ი

ძალზე მწუხარე არის იგი და მოგონება
კვლავ განმიახლებს გულისტკივილს. ნუ მათქმევინებთ
ამბის დასასრულს.

(საერთო დუმილი)

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(მიმართავს პრინცესა ებოლის)

ახლა მაინც არ მიბოძებენ
იმის ნებას, რომ ასულს ჩემსას გადავეხვიო?
წადით, პრინცესა, მომიყვანეთ.

(ებოლი გადის, მარკიზი ანიშნებს პაჟს, რომელიც სცენის სიღრმეში მოჩანს, და იგი მაშინვე გაუჩინარდება. დედოფალი გახსნის მარკიზის მიერ გადაცემულ ბარათებს და, როგორც ჩანს, ძალზე გაოცებულია. ამ ხნის განმავლობაში მარკიზი საიდუმლოდ ელაპარაკება მარკიზა მონდეკარს და რაღაცაში დაჟინებით არწმუნებს. დედოფალმა წერილები გადაიკითხა და მიმართა მარკიზს გამომცდელი მზერით.)

თქვენ მატილდაზე
არაფერი სთქვით? შეიძლება მან არც კი იცის,
თუ რა ძლიერად ეწამება ფერნანდოს გული?

მ ა რ კ ი ზ ი

მატილდას გულში ჯერ ვერავინ ვერ ჩაიხედა,
დიადნი სულნი მუდამ ჩუმად იტანჯებიან.

 დ ე დ ო ფ ა ლ ი

ირგვლივ რატომღა იცქირებით? ვის ეძებთ თვალით?

მ ა რ კ ი ზ ი

მე ვფიქრობ, თუ რა ბედნიერი შეიქნებოდა
აქ ერთი ვინმე, ვერ ვახსენებ მე იმის სახელს,
ჩემს ადგილას რომ იყოს ახლა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვისი ბრალია
რომ მოკლებული არის ის ამ ბედნიერებას?

მ ა რ კ ი ზ ი

(ფიცხლად შეაწყვეტინებს)

როგორ? გავბედო, დედოფალო, და თქვენი სიტყვა
ისე განვმარტო, როგორც მე მსურს? მაშ მიუტევებთ,
თქვენს წინაშე რომ გამოცხადდეს იგი ახლავე?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(შეშინებული)

ახლავე, მარკიზ? თქვენ ამითი რისი თქმა გინდათ?

მ ა რ კ ი ზ ი

მაშ გაებედა... მაშ იმედი ჰქონიყო თქვენი?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(უფრო მეტი დაბნეულობით)

თქვენ მე მაშინებთ... ალბათ, იგი...

მ ა რ კ ი ზ ი

აქ არის უკვე.

მეხუთე გამოსვლა

დ ე დ ო ფ ა ლ ი. კ ა რ ლ ო ს ი.

(მარკიზ პოზა და მარკიზა მონდეკარი სცენის სიღრმეში მიიმალებიან.)

კ ა რ ლ ო ს ი

(დაეცემა დედოფლის ფერხთით)

და აჰა, დადგა საბოლოოდ ის წამი, როცა
კარლოსი ბედავს ამ ძვირფასი ხელის შეხებას.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რა გაბედული ნაბიჯია,—სასჯელის ღირსი,
მოულოდნელი თავხედობა. ადექით ახლავ!
დაგვინახავენ. აქვე არის სასახლე ჩემი.

კ ა რ ლ ო ს ი

მე არ ავდგები, სამუდამოდ მსურს ასე დავრჩე
აქ, ამ ადგილზე, ვით თილისმით გაქვავებული...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჰოი ხელქმნილო! ნუთუ ასე გაგათამამათ
ჩემმა წყალობამ? როგორ? ნუთუ არ იცით, პრინცო,
რომ ის, ვისთანაც ამ კადნიერ საუბარს ბედავთ,
თქვენი დედაა და ამ ქვეყნის დედოფალია,
და რომ მე თვითონ... მე თვითონვე ამის შესახებ
დიდებულ მეფეს...

კ ა რ ლ ო ს ი

დაე თუნდა ახლავე მოვკვდე!
თუნდ აქედანვე ეშაფოტზე გამგზავნოს მეფემ!
ეს ერთი წუთი, სამოთხეში გატარებული,
განა არა ღირს, რომ სიკვდილით გამოვისყიდო?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

და მერე, თქვენი დედოფალი?

კ ა რ ლ ო ს ი

(წამოდგება)

ო, ღმერთო, ღმერთო!
მივდივარ... გტოვებთ... ან უარი ვით გაგიბედოთ,
როდესაც ამას, დედოფალო, ა ს ე მოითხოვთ?
როგორ საშინლად მათამაშებთ, ო დედა, დედა!
ერთი ნიშნება, ერთი სიტყვა თუ შემოხედვა
ან გადამარჩენს, ან მთლიანად გამანადგურებს.
სხვა რაღა გნებავთ, ან ამ მზის ქვეშ რაა ისეთი,

რომელიც მსხვერპლად მე ხალისით ვერ შემოგწიროთ,
თუ თქვენ ისურვებთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

გაიქეცით!

კ ა რ ლ ო ს ი

ო ღმერთო ჩემო!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მხოლოდ ერთსა გთხოვთ, გევედრებით ცრემლმორეული:
სასწრაფოდ წადით!.. ვიდრე ჩემი სეფე ქალები...
ვიდრე დარაჯნი არ გვნახავენ და მამათქვენთან
არ დაგვასმენენ...

კ ა რ ლ ო ს ი

ჩემი ბედის განაჩენს ველი...
დე ან სიცოცხლე იყოს იგი ანდა სიკვდილი.
როგორ? ამისთვის ვამყარებდი მთელ იმედს ჩემსას
მხოლოდ ამ წამზე, ერთადერთზე, რომელმაც თქვენთან
განმარტოებით შეხვედრა და ყოფნა მაღირსა,
რომ ყალბმა შიშმა აწ მიზნიდან გადამაცდინოს?
ო, არა, არა, დედოფალო! ეს დედამიწა
ასჯერ, ათასჯერ პოლუსთ ირგვლივ მოტრიალდება,
ვიდრე შემთხვევა შეხვედრისა განმეორდება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

და ეს არც უნდა განმეორდეს აღარასოდეს.
ბედშავო კარლოს! რად მოხვედით, რა გნებავთ ჩემგან?

კ ა რ ლ ო ს ი

ო დედოფალო, თვითონ ღმერთი მოწმეა იმის,
თუ ვით ვებრძოდი საკუთარ თავს; ვებრძოდი ისე,
როგორც ჯერ არც ერთ მოკვდავ კაცსა არ უბრძოლია,
მაგრამ ამაოდ, დედოფალო!.. მაინც დავმარცხდი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჩემი სიმშვიდის გულისათვის .. ნუღარას მეტყვით...

კ ა რ ლ ო ს ი

ჩემი იყავით... თქვენ თავს მთელი ქვეყნის წინაშე
აღიარებდა ჩემად ორი დიდი სამეფო
და მას ბუნებაც, თვითონ ზეცაც მე აღმითქვამდა,
მიგრამ ფილიპემ თქვენი თავი წამართვა ძალით.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მამაა თქვენი.

კ ა რ ლ ო ს ი

თქვენი ქმარი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რომლისაგანაც
გადმოგეცემათ თქვენ სამეფო უზარმაზარი.

კ ა რ ლ ო ს ი

და თქვენ კი – დედად.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

დიდო ღმერთო! კარლოს, გაგიჟდით...

კ ა რ ლ ო ს ი

იცის კი მეფემ, რა სიმდიდრის მფლობელი გახდა?
თუ შეუძლია დააფასოს მან თქვენი გული?
არა, არ მინდა დავიჩივლო, მსურს დავივიწყო,
თუ რა უზომოდ ბედნიერი შევიქნებოდი
თქვენს გულთან ერთად, ბედნიერი რომ იყოს იგი.
მაგრამ არაა ბედნიერი... და ჯოჯოხეთიც
ესაა სწორედ! ბედნიერი არ არის მეფე
და არც იქნება არასოდეს ის ბედნიერი.
შენ მე წამართვი ჩემი ზეცა მხოლოდ იმისთვის,
რომ დაგეორგუნა ის ფილიპეს გაყინულ მკერდზე.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

საზიზღარია შენი აზრი

კ ა რ ლ ო ს ი

მე კარგად ვიცი,
ეს ქორწინება ვინც მოაწყო... ან მამაჩემმა
როგორ გითხოვათ; ისიც ვიცი, თუ როგორ ძალუძს
მას სიყვარული. დედოფალო, ერთი მიბრძანეთ,
რას წარმოადგენთ, ვინ ბრძანდებით ამ სამეფოში?
ქვეყნის მმართველი?—არასოდეს! ასე რომ იყოს,
მაშინ ალბები ქვეყნად როგორ იმძვინვარებდნენ?
როგორ შეეძლოთ დაექციათ ფლანდრიელთ სისხლი
სარწმუნოების გულისათვის? როგორ? ნამდვილად
ცოლი ბრძანდებით ფილიპესი? ვით შეიძლება!
ვერ დავიჯერებ. ცოლი თავის ქმრის გულს განაგებს.
მისი გული კი ვის ეკუთვნის? და თუ ის ზოგჯერ
ალერსს გთავაზობთ სიცხიანი, მან ეს ალერსი
არ გამოსტაცა სკიპტრასა და თავის ჭალარას?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვინ მოგახსენათ, რომ თითქოს მე ფილიპეს ხელში
ასეთი მწარე ხვედრი მერგო?

კ ა რ ლ ო ს ი

ჩემივე გულმა,
რომელმაც იგრძნო, თუ რაოდენ სვებედნიერი
შეიქნებოდით ჩემთან ყოფნით.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ზვიადო კაცო!
მაშინ რას იტყვით, გული სხვას რომ მეუბნებოდეს?
რომ მე ფილიპეს, სიყვარულის გამომხატველი,
მდუმარე მზერა და სინაზე მოკრძალებული
გულს უფრო მეტად მითრთოლებდეს, ვიდრე თვით მისი

ამაყი შვილის კადნიერი მჭევრმეტყველება?
და რომ მოხუცის გონივრული პატივისცემა...

კ ა რ ლ ო ს ი

ეგ სხვა საქმეა... მაშინ... მაშინ... გთხოვთ მომიტევოთ.
ეს არ ვიცოდი... არ ვიცოდი, რომ ჩვენი მეფე
ასე გიყვარდათ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მეფისადმი პატივისცემა.
შეადგენს ჩემს წრფელ სურვილსა და კმაყოფილებას.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ თქვენ არავინ გყვარებიათ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რა უცნაური
შეკითხვა არის!

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ არავინ არ გყვარებიათ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მე აღარავინ მიყვარს ახლა.

კ ა რ ლ ო ს ი

და მერე, ამას
გული გიშლით, თუ ერთგულების აღთქმა გიკრძალავთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

გთხოვთ ჩამომეხსნათ, უფლისწულო, ჩემთან ასეთი
საუბრისათვის არასოდეს აღარ მოხვიდეთ.

კ ა რ ლ ო ს ი

გული გიშლით, თუ ერთგულების აღთქმა გიკრძალავთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მოვალეობა... უბედურო, აბა, რას გვარგებს,
რომ გავგულისდეთ და ამაოდ ბედს ავუმხედრდეთ,
როდესაც უნდა ორივენი მას ვმორჩილებდეთ?

კ ა რ ლ ო ს ი

მას ვმორჩილებდეთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორ? კარლოს, ეგ საზეიმო
კილო რას ნიშნავს?

კ ა რ ლ ო ს ი

იმას, რომ მე არ განმიზრახავს
დამორჩილება. მე მწადია და უფლებაც მაქვს
ამ წადილისა; და არც ვფიქრობ, ამ სამეფოში
დავრჩე ყველაზე უბედური, როდესაც ძალმიძს
კანონთ შემუსვრით მოვიპოვო ბედნიერება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ნუთუ კვლავ ბედავთ, ნუთუ კიდევ თავს იიმედებთ,
როს ყველაფერი, ყველაფერი დაღუპულია?

კ ა რ ლ ო ს ი

მე მხოლოდ მკვდრები მიმაჩნია დაღუპულებად.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

და იმედს თქვენსას დედათქვენზე, ჩემზე, ამყარებთ?

(უცქერის ხანგრძლივი, გამგმირავი მზერით. შემდეგ ლაპარაკობს
მკაცრად და ღირსებით.)

რატომაც არა? ო, ხელმწიფეს, ახლად არჩეულს,
მეტის ქმნაც ძალუძს. შეუძლია საკუთარ მამის

ბრძანებებიც კი ცეცხლს მისცეს და მთლიანად მოსპოს,
ვაანადგუროს თვისი მშობლის ქანდაკებანი,
ძალუძს აგრეთვე — ვინ დაუშლის? — მისი მუმიაც
ესკურიალის სავანედან ზეამოაგდოს
და შებილწული მისი ფერფლი ქარს გაატანოს,
შემდეგ კი, შვილმა ღირსეულად რომ დაასრულოს...

კ ა რ ლ ო ს ი

ღვთის გულისათვის, ნულარ იტყვით, შეწყვიტეთ,
კმარა!

დ ე დ ო ფ ა ლ ო

შემდეგ კი შვილმა თვისი დედა ცოლად შეირთოს.

კ ა რ ლ ო ს ი

წყეულო შვილო!

(ერთ წამს გარინდებულია და მდუმარე)

გაქრა, გაქრა აწ ყველაფერი.
ახლა აშკარად, ცხადადა ვგრძნობ, რაც უნდა ჩემთვის
დარჩენილიყო სამუდამოდ მოცული ბნელით.
დაკარგული ხართ, დედოფალო, თქვენ უკვე ჩემთვის,
დაკარგული ხართ, დაკარგული აწ სამუდამოდ!
ახლა გადაწყდა ჩემი ბედი. ამიერიდან
აღარ არსებობთ ჩემთვის უკვე... ო, ამის გრძნობა
ჯოჯოხეთია საზარელი... და უფრო მეტად
ჯოჯოხეთია ისიც, რომ მსურს თქვენ დაგეუფლოთ.
ვაგლახ! მე აღარ შემიძლია მიღწევა ამის,
ლამის ძარღვები ჩამეწყვიტოს, ლამის გავთავდე.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მართლაც ღირსი ხართ შებრალების, ძვირფასო კარლოს!
ვგრძნობ იმ საშინელ, გამოუთქმელ ტანჯვა-წამებას.
ახლა თქვენს გულში რომ მძვინვარებს. ეგ თქვენი
ტანჯვა,
ისე ვით თქვენი სიყვარული, უსაზღვრო არის.

და ვით უსაზღვრო არის იგი, ისე უსაზღვროდ
სასახელოა დაძლევა და დათრგუნვა მისი.
მაშ მიაღწიეთ ამ დიდებას, ჭაბუკო გმირო.
ეს ჯილდო შეჰფერს იმ მამაცი მებრძოლის სახელს,
იმ ჭაბუკს, ვისი გულიც ფეთქავს ესდენ მრავალი
გვირგვინოსანი წინაპარის სათნოებითა.
გამხნევდით, პრინცო, შვილიშვილმა დიდი კარლისამ
დე იქ დაიწყოს ბრძოლა, სადაც სხვა კაცთა შვილნი
ფარ-ხმალს დაჰყრიდნენ, უსასოოდ დამარცხებულნი.

კ ა რ ლ ო ს ი

აწ გვიანაა! ღმერთო ჩემო, ძლიერ გვიანი!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვაჟკაცად ყოფნა? ჰოი კარლოს, რა დიადი და
დიდია ჩვენი სათნოება მაშინ, როდესაც
მის მისაღწევად იმსხვრევიან გულები ჩვენი!
განგებამ მაღლა დაგაყენათ მილიონ ძმებზე,
მიკერძოებით მოგცათ იგი თავის საყვარელს,
რაც სხვებს წაართვა. იკითხავენ მილიონები:
„ნუთუ მან დედის მუცელშივე დაიმსახურა,
რომ ასე მაღლა დგას ის ჩვენზე, თვის მოკვდავ ძმებზე?“
მაშ გაამართლეთ არჩევანი ზეცისა, კარლოს!
დაიმსახურეთ თქვენი ქვეყნის წინამძღოლობა,
მსხვერპლად გაწირეთ, რაც არავის არ გაუწირავს!

კ ა რ ლ ო ს ი

მაგას მეც შევძლებ, დედოფალო. რომ მოგიპოვოთ—
გოლიათი ვარ, რომ დაგკარგოთ კი—უსუსური.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

გამოტყდით, კარლოს, რომ ეგ მხოლოდ ჯიუტობაა,
გამწარება და ზვიადობა, თქვენ სურვილებს რომ
ასე მძვინვარედ მიმართავენ დედათქვენისკენ.
გული, რომელსაც თქვენ მე მწირავთ დაუზოგავად,

კუთვნილებაა იმ ქვეყნისა, რომელიც შემდგომ
თქვენ უნდა მართოთ. ხედავთ, როგორ დაიწყეთ უკვე
დოვლათის, თქვენზე მონდობილის, განიავება.
სიყვარულია თქვენი დიდი მოვალეობა.
გზასაცდენილი ის დედისკენ მიისწრაფოდა...
აწ დაუბრუნეთ თქვენს მომავალ სამეფოს იგი,
სინდისის მწვავე ქენჯნის ნაცვლად იგრძენით შვება,
იგრძენით, თუ რა დიადია ღვთაებად ყოფნა.
ელისაბედი იყო თქვენი პირველი სატრფო,
ამის შემდეგ კი—ესპანეთი იყოს მეორე.
სიამოვნებით დავუთმობდი, კეთილო კარლოს,
თქვენს გულს უფრო დიდ და უკეთეს შეყვარებულსა-

კ ა რ ლ ო ს ი

(გრძნობამორეული დაეცემა დედოფლის ფერხთით)

რა დიადი ხართ, ღვთაებრივო!—დიახ, ყველაფერს,
რასაც მოითხოვთ, შევასრულებ. დე ასე იყოს!

(წამოდგება)

და მე, აქ მდგარი, შებორკილი ღვთაების ხელით,
ვიძლევი აღთქმას, გეფიცებით, რომ სამუდამოდ...
ო ზეცავ, არა! საუკუნო დუმილი ძალმიძს,
დავიწყება კი—არასოდეს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვით შემიძლია,
ის მოვითხოვო კარლოსისგან, რასაც მე თვითონ
ვერ შევასრულებ?

მ ა რ კ ი ზ ი

(შემორბის ხეივნიდან)

მეფე!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ღმერთო!

მ ა რ კ ი ზ ი

განშორდით სწრაფად
ამ ადგილს, პრინცო!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მისი ეჭვი საზარელია,
თუ დაგინახათ ჩემთან მყოფი...

კ ა რ ლ ო ს ი

მე აქა ვრჩები.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

და მაშინ მსხვერპლი ვინ იქნება?

კ ა რ ლ ო ს ი
(ეწევა მარკიზის ხელს)

შორს, შორს აქედან!
წამო, როდრიგო.

(მიდის, ერთჯერ კიდევ შემობრუნდება)

დედოფალო, რას მისახსოვრებთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

თქვენივე დედის მეგობრობას.

კ ა რ ლ ო ს ი

ო დედა, დედა!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

და ამ მწარე ცრემლთ სვეუბედურ ნიდერლანდელთა.

(გადასცემს რამდენიმე წერილს. კარლოსი და მარკიზი გადიან. შეშფოთებული დედოფალი დაეძებს თავის მანდილოსნებს, რომელნიც ალარსად მოჩანან. იმ დროს, როცა დედოფალს სურს სცენის სიღრმისკენ გაემართოს, გამოჩნდება მეფე.)

მე ძვსე გამოსვლა

მ ე ფ ე. დ ე დ ო ფ ა ლ ი. ჰ ე რ ც ო გ ი ა ლ ბ ა. გ რ ა ფ ი ლ ე რ მ ა-
დ ო მ ი ნ გ ო. რამდენიმე მანდილოსანი და დიდებულნი, რომელნიც უკანმოშორებით რჩებიან.

მ ე ფ ე
(გაკვირვებული ირგვლივ იცქირება და რამდენიმე ხანს სდუმს)

მარტო სეირნობთ, ქალბატონო, სრულიად მარტო?
ისე რომ, ე რ თ ი სეფე ქალიც არ გახლავთ გვერდით?
ეს მე მანცვიფრებს... სად არიან მანდილოსნები?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჩემო მოწყალე მეუღლეო...

მ ე ფ ე

რატომ ხართ მარტო?
(ა მ ა ლ ა ს)

დედოფალს ჩვენსას დღეს ვინ უნდა ხლებოდა გვერდით?
ვის შეხვდა რიგით დედოფალთან დღეს სამსახური?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ნუ განრისხდებით, მოწყალეო ჩემო მეუღლევ...
თვით მე გახლავართ დამნაშავე, რადგან ებოლი
ჩემი ბრძანებით გამეცალა.

მ ე ფ ე

თქვენი ბრძანებით?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მოახლე ქალის მოსახმობლად, ჩემო მეუღლევ,
რადგანაც ძლიერ მომენატრა ასულის ნახვა.

მ ე ფ ე

და ამისათვის განიშორე მთელი ამალა?
მაგრამ ეს პირველ მანდილოსანს ამართლებს მხოლოდ.
მეორე ქალი სადღა არის?

მ ო ნ დ ე კ ა რ ი

(რომელიც ამასობაში უკან დაბრუნდება და სხვა მანდილოსნებში გაერევა, გამოდის წინ)

დიდო ხელმწიფევ,
ვგრძნობ, რომ ღირსი ვარ სასჯელისა.

მ ე ფ ე

და ამის გამო
ნებას გიბოძებთ, რომ ათი წლის განმავლობაში
ამ დანაშაულს ჩაუფიქრდეთ მადრიდის გარეთ.

(ცრემლმორეული მარკიზა უკან დაიხევს. საერთო დუმილი. ყველა გაოცებით შეჰყურებს დედოფალს.)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჩემო მარკიზა, ვ ი ს დასტირით?

(მეფეს)

თუ მე შევცოდე,
ჩემო მოწყალე მეუღლეო, ხელმწიფის გვირგვინს,
რომლისკენაც მე არასოდეს მივისწრაფოდი,
უნდა შეეძლოს ჩემი დაცვა ამ შერცხვენისგან.
იქნებ ისეთი კანონია ამ სამეფოში,
რომ სამსჯავროს წინ წააყენონ ასული მეფის?
ესპანელთ ცოლებს ძალადობა სდარაჯობს მხოლოდ?
იქნება იცავს ჯაშუშობა მათ უფრო მეტად,
ვიდრე მათივე საათნოება და ერთგულება?
მაგრამ ახლა კი გთხოვთ შემინდოთ, ჩემო მეუღლევ:
არა მჩვევია, რომ მტირალი გავუშვა იგი,
ვინც სიხარულით მემსახურა.—ჩემო მონდეკარ!

(შემოიხსნის ქამარს და გადასცემს მარკიზას.)

მე არ გიწყრებით, განარისხეთ თქვენ მხოლოდ მეფე...
ამიტომ ჩემგან გთხოვთ მიიღოთ ეს მცირე ძღვენი,
ჩემი წყალობის და ამ წუთთა მოსაგონებლად...
წადით, განშორდით ამ სამეფოს. თქვენ შეცოდება
მიგიძღვით მხოლოდ ესპანეთში; ჩემს საფრანგეთში

ამნაირ ცრემლებს სიხარულით შეგიმშრალებენ.
ნუთუ ეს დამრჩეს სამუდამო მოსაგონებლად?

(მიეყრდნობა უფროს სეფე ქალს და სახეს ხელებში ჩაიმალავს.)

ჩემს საფრანგეთში სულ სხვა იყო.

მ ე ფ ე

(ოდნავ აღელვებული)

ნუთუ გეწყინათ
თქვენ საყვედური ჩემი წრფელი სიყვარულისა?
თუ გაწყენინათ ერთმა სიტყვამ, რომელიც ნაზმა
ხრუნვამ გულისამ ათქმევინა ბაგეებს ჩემსას?

(მიმართავს დიდებულებს)

აი, აქ დგანან ვასალები ჩემი ტახტისა.
განა ოდესმე მომიხუჭავს შანამდე თვალი,
ყოველ საღამოს ვიდრე ჯერ არ გამომეთვალოს
შორ ქვეყნებშიც კი მაჯის ცემა ჩემი ხალხების?
და ნუთუ უნდა ჩემ ტახტს უფრო დავკანკალებდე,
ვიდრე ჩემივე გულის რჩეულს, მეუღლეს ჩემსას?
ჩემი ხალხების თავდებია ჩემი ხმალი და...
ჰერცოგი ალბა; ეს თვალნი კი—თავდები მხოლოდ
ჩემი მეუღლის სიყვარულის.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

თუ მოგაყენეთ
შეურაცხყოფა, მეუღლეო...

მ ე ფ ე

მე ვიწოდები
მთელ ქრისტიანულ სამყაროში უმდიდრეს კაცად
და მზე არ ჩადის თვალუწვდენელ ჩემს სამეფოში,
მაგრამ ყველაფერ ამას უწინ სხვა განაგებდა
და ჩემს შემდეგაც მას მრავალი დაეუფლება.
ცოლია ჩემი საკუთრება. რაც ხელმწიფეს აქვს,
ის ბედს ეკუთვნის... ფილიპეს კი—ელისაბედი.
აი, აქა ვარ მე მოკვდავი ადამიანი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

თქვენ გეშინიათ, ხელმწიფეო?

მ ე ფ ე

არ მეშინოდეს
ამ ჭაღარა თმის? მაგრამ, თუ მე შიში შემიპყრობს,
მაშინვე შევწყვეტ...

(დიდებულებს)

მე აქა ვხედავ ჩემი სამეფოს
დიდებულებსა... პირველი კი მათ შორის არ ჩანს.
სადაა ნეტავ დონ კარლოსი, მემკვიდრე ჩემი?

(პასუხს არავინ აძლევს.)

ეს ბიჭი ჩემთვის საშიშარი ხდება თანდათან.
იმის შემდეგ, რაც ალკალიდან დაბრუნდა იგი,
ჩემთან შეხვედრას ერიდება, გამირბის თითქოს.
მისი სისხლი დუღს, მაგრამ მზერა რატომ აქვს ცივი?
რადაა ასე გულგრილი და თავდაჭერილი?
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ.

ა ლ ბ ა

აქ ვარ, ხელმწიფევ,
სანამდე ფეთქავს ჩემი გული ამ ჯაგშნის შიგნით,
ხელმწიფეს ჩემსას ძალუძს მშვიდად ძილს მისცეს თავი.
როგორც ღვთაების ქერუბიმი სამოთხის კართან,
ჰერცოგი ალბა დგას ტახტის წინ.

ლ ე რ მ ა

გავკადნიერდე
და ჩემს ბრძენ მეფეს მოვახსენო წინააღმდეგი? –
ეგოდენ დიდად პატივს ვცემ თქვენს უდიდესობას,
რომ მწამს, შვილს ასე აჩქარებით არ განსჯის მკაცრად.
პრინცი კარლოსის ცხელი სისხლი დიდად მაშინებს,
მისი გული კი—სულაც არა.

წიგნი №
ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ფ ე

თქვენ, გრაფო ლერმა,
კარგად მეტყველებთ, მამამისი რო მოისყიდოთ,
მაგრამ ხელმწიფეს დაიფარავს ჰერცოგი ალბა...
კმარა ამაზე...

(მიმართავს ამალას)

ახლა მადრიდს მივეშურები.

მეძახის ჩემი ხელმწიფური მოვალეობა.
ერეტიკოსთა სენი ჩემ ხალხს ისევ ედება
და მღელვარებაც კვლავ იზრდება ნიდერლანდებში.
დრო დადგა უკვე, რომ ისევ სწორ გზას დავუბრუნოთ
გზააბნეულნი საზარელი მაგალითითა.
ის დიდი აღთქმა, რაიც დასდო საქრისტიანოს
ყველა ხელმწიფემ, მინდა ხვალე რომ აღვასრულოთ.
სისხლის სამჯავრო უნდა იყოს უმაგალითო;
მთელი სასახლე ამ ზეიმზე მოწვეულია.

(მეფეს გაჰყავს დედოფალი, დანარჩენებიც მისდევენ.)

მეშვიდე გამოსვლა

დ ო ნ კ ა რ ლ ო ს ი ხელში წერილებით, მ ა რ კ ი ზ ი პ ო ზ ა
შემოდიან მოპირდაპირე მხარეებიდან.

კ ა რ ლ ო ს ი

უკვე გადაწყდა, მე ფლანდრია უნდა დავიხსნა.
ეს მან ისურვა და ჩემთვისაც საკმარისია.

მ ა რ კ ი ზ ი

და აღარც უნდა დაიკარგოს არც ერთი წამი.
როგორც ამბობენ, კაბინეტის დადგენილებით,
იქ ჩვენი მეფის მოადგილედ ალბა დანიშნეს.

კ ა რ ლ ო ს ი

ხვალვე მადრიდში ვინახულებ მეფეს პირადად
და მოვთხოვ, რომ მე მიბოძოს ეგ თანამდებობა.

ეს ხომ პირველი თხოვნა არის, მას რომ ვუბედავ,
და მამაჩემი როგორ მეტყვის ამაზე უარს?
დიდი ხანია უხალისოდ მიცქერის იგი,
მადრიდში რომ ვარ. და ახლა თუ შორს გავეცლები,
მისთვის ამაზე სასურველი რაღა იქნება!
გარდა ამისა—გამოგიტყდე, ჩემო როდრიგო?
მე უფრო მეტის იმედიც მაქვს... ეგება შევძლო,
პირისპირ ნახვით დავიბრუნო წყალობა მისი.
მას ბუნების ხმა ჯერ აროდეს მოუსმენია.
დაე ვცდი ახლა, თუ რას შესძლებს, ჩემო როდრიგო,
ხმა იგი ამ ჩემს ბაგეთაგან გადმოფრქვეული.

მ ა რ კ ი ზ ი

აი ახლა კი, როგორც იქნა, ჩემს კარლოსს ვუსმენ,
აი ახლა კი თქვენივე თავს ეკუთვნით ისევ.

მერვე გამოსვლა

ი გ ი ნ ი ვ ე. გ რ ა ფ ი ლ ე რ მ ა.

ლ ე რ მ ა

უკვე დატოვა ჩვენმა მეფემ არანხუესი.
ნაბრძანები მაქვს...

კ ა რ ლ ო ს ი

კარგი, ლერმა, აი ახლავე
მეც ვეახლები ხელმწიფესა.

მ ა რ კ ი ზ ი

(თავი ისე უჭირავს, თითქოს წასვლა სურს. რამდენადმე ოფიციალურად)

სხვას ხომ არაფერს
მიბრძანებს კიდევ, პრინცო, თქვენი უდიდესობა?

კ ა რ ლ ო ს ი

არა, რაინდო, აღარაფერს. გისურვებთ მხოლოდ,
რომ ბედნიერი გინახულოთ დედაქალაქში.
კიდევ მომითხრობთ ფლანდრიაზე უფრო ბევრ რამეს.

(ლერმას, რომელიც ისევ იცდის)

ახლავე უკან გამოგყვებით.

(გრაფი ლერძა გადის)

მეცხრე გამოსვლა

დ ო ნ კ ა რ ლ ო ს ი. მ ა რ კ ი ზ ი.

კ ა რ ლ ო ს ი

მიგიხვდი, მარკიზ.
დიდადა გმადლობ. მაგრამ ქცევა ნაძალადევი
გეპატიება უცხო პირის დასწრების გამო.
განა ჩვენ ძმები არ ვართ ახლა? ამიერიდან
გავდევნოთ ჩვენი კავშირიდან ერთურთისადმი
ხარისხის დარად მიმართვა და მსახიობობა.
გთხოვ, დაარწმუნო შენი თავი, რომ ჩვენ ორივე
მეჯლისში შევხვდით ნიღბოსანნი ერთიმეორეს,
შენ-ღარიბ მონის სამოსელით, მე—მოსასხამით.
სანამდე ღელავს კარნავალი, ჩვენც პატივსა ვცემთ
ამ სიცრუეს და მასხრულ როლებს ვასრულებთ დინჯად,
რომ ბრბოს ნეტარი აღტაცება არ დავარღვიოთ.
მაგრამ ნიღბიდან შენი კარლოს განიშნებს ხელით,
გამომიწოდებ შენც მარჯვენას, როცა ჩამივლი,
და ერთმანეთის კარგად გვესმის.

მ ა რ კ ი ზ ი

თქვენი ოცნება
ღვთაებრივია, მაგრამ ხომ არ გაქრება იგი?
თუა კარლოსი თავის თავში დარწმუნებული,
რომ დაამარცხებს მეუფების ცდუნებას დიდსა?
ჯერ კვლავ წინაა უდიდესი დღე... დღე, როდესაც
თქვენი გმირული სული—მინდა ეს გაგახსენოთ—
წარსდგება უცებ უდიდესი გამოცდის წინა.
როს დონ ფილიპე გარდიცვლება, საქრისტიანოს
ყველაზე დიდი სახელმწიფო დარჩება კარლოსს.

მაშინ უფსკრული საშინელი მოკვდავთ მოდგმისგან
ჩამოაშორებს მას და იგი, ვინც გუშინ იყო
ადამიანი, დღეს ღვთაებად გადაიქცევა.
გაქრება მისი სისუსტე და თვით უწმინდესი
მოვალეობა დადუმდება კარლოსის სულში.
კაცობრიობა, რომელიც დღეს კიდევ ძვირფასი
სიტყვაა მისთვის, ხვალ დაკარგავს ამ მნიშვნელობას
და თვის კერპის წინ გლახაკივით დაიწყებს ხოხვას.
გაქრება მისი სიბრალულიც ტანჯვასთან ერთად,
განცხრომისაგან სათნოება მოიქანცება,
სისულელისთვის პერუ ოქროს გამოუგზავნის,
ცოდვებისათვის თვის სასახლეს ეშმაკად აქცევს.
გაბრუებული ჩაიძინებს ამ ცის წიაღში,
თვისმა მონებმა ვერაგულად რომ განუმზადეს.
იგი ღმერთია, ვიდრე სძინავს, და ვაი იმ გიჟს,
შეეცოდება ვისაც იგი და გააღვიძებს.
მაგრამ, მითხარი, რა უნდა ქნას როდრიგომ მაშინ?
მეგობრობა ხომ მამაცი და გულახდილია
და მის მხილებას, სიმართლის შუქს ეგრეთ საშინელს,
ავადმყოფური ბრწყინვალება ვერ გადაიტანს.
თქვენ ვერ მოითმენთ ჯიუტობას მოქალაქისას
და მე კი—მეფის ქადმაღლობას.

კ ა რ ლ ო ს ი

ჭეშმარიტია
და საშინელი მეფის ასე დასურათება.
დიახ, მწამს შენი. მაგრამ მხოლოდ ავხორცობაა
მაგის მიზეზი, რაიც ხშირად მეფეთა გულში
კარს უღებს ცოდვას, ყოველნაირ ბიწიერებას.
მე კი—უმანკო, ოცდასამი წლის ჭაბუკი ვარ.
რაც ჩემზე უწინ ათასებმა ხვევნა-ალერსში
სინდისწარხოცილ ფუფუნებით გაფლანგეს უხვად—
სულის ნაწილი უკეთესი, ვაჟკაცის ძალა—
მე მომავალი მბრძანებლისთვის დავზოგე იგი,

ვის შეუძლია გამოგდევნოს ჩემი გულიდან,
როცა ეს ქალსაც კი არ ძალუძს?

მ ა რ კ ი ზ ი

მე თვითონ ძალმიძს.
ვით შევძლებ მე თქვენს წრფელ სიყვარულს, ხელმწიფ
შვილო
როს უნდა თქვენი მეშინოდეს?

კ ა რ ლ ო ს ი

ეგ არ მოხდება.
რად დაგჭირდება? ეგებ გხიბლავს ოქრო და ვერცხლი,
ან იქნებ გინდა მათხოვრობა ტახტის წინაშე?
ქვეშევრდომიც კი მდიდარი ხარ ჩემზე, თუმცა მე
ოდესმე მეფე შევიქნები... იქნებ გწყურია
პატივისცემის მოპოვება, მაგრამ შენ იგი
ხომ ჭაბუკმავე მოიპოვე და უკუაგდე.
მაშ ვინ იქნება ჩვენ ორ შორის მევალე ან
დავალებული?.. დუმხარ? კიდეც კანკალებ განა
ამ ცდუნების წინ? ან იქნება საკუთარ თავის
აღარც კი გჯერა?

მ ა რ კ ი ზ ი

კარგი! კარგი! მე უკვე გითმობთ.
ჰა, ჩემი ხელი!

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ ჩემი ხარ?

მ ა რ კ ი ზ ი

სამარადისოდ,
ამ სიტყვის ძალზე გაბედული მნიშვნელობითა.

კ ა რ ლ ო ს ი

როცა ოდესმე ტახტზე ავალ, ხელმწიფისადმიც
იქნები ასე ერთგული და ასე გულთბილი,
როგორც ამჟამად პრინცის მიმართ?

მ ა რ კ ი ზ ი

ვფიცავ ყველაფერს!

კ ა რ ლ ო ს ი

მაშინაც კიდევ, როცა ამ გულს შემოეხვევა
და დაღრღნის ჭია მზაკვრობის და მლიქვნელობისა,
როცა ეს თვალნი ცრემლთა ფრქვევას დაივიწყებენ,
თვალნი, რომელთაც უტირიათ წინათ მრავალჯერ,
როს ყურნიც აღარ შეისმენენ ტანჯულთ ვედრებას,
შენ, უშიშარო მცველო ჩემი სათნოებისა,
თუ გააღვიძებ მიძინებულ გენიას ჩემსას
და მოუწოდებ სწორი გზისკენ?

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ, ნამდვილად.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ ერთი თხოვნაც: მიწოდებდე მუდამ „შენობით“,
შენთა ტოლთათვის მე ეგ სიტყვა ყოველთვის მშურდა,
გამომხატველი შენთან წრფელი სიახლოვისა.
ჩემს გულს და სმენას ეს ძმური „შენ“ მოაჯადოვებს,
ვით ტკბილი გრძნობა მეგობრული თანასწორობის,
არა მითხრა რა, ვიცი, რისი თქმაცა გწადია.
ვიცი, ეს შენთვის წვრილმანია, უმნიშვნელოა,
მაგრამ ჩემთვის კი, მეფის ძისთვის, იგი ბევრს ნიშნავს.
გსურს ჩემი ძმობა?

მ ა რ კ ი ზ ი

შენი ძმა ვარ!

კ ა რ ლ ო ს ი

ახლა მეფესთან!
მე აღარაფრის მეშინია... შენთან ხელიხელ-
ჩაკიდებული გადავლახავ ამ საუკუნეს.

(გადიან.)

მეოთხე მოქმედება

მეფის სასახლეში, მადრიდში

პირველი გამოსვლა

მ ე ფ ე ფ ი ლ ი პ ე ზის მოჩარდახებულ სამეფო ტახტზე. ჰ ე რ ც ო გ ი ა ლ ბ ა, მეფისაგან რამდენადმე მოშორებით, ქუდმოხდილი. კ ა რ ლ ო ს ი.

კ ა რ ლ ო ს ი

ჯერ მოგახსენონ სახელმწიფო საქმის შესახებ.
სიამოვნებით ვუთმობ მინისტრს მე პირველ ადგილს.
ის ლაპარაკობს ესპანეთის საქმეზე თქვენთან,
მე კი—შვილი ვარ სასახლისა.

(მეფეს თავს დაუკრავს და უკან დაიწევს.)

ფ ი ლ ი პ ე

ჰერცოგი ალბა
დაგველოდება, ჯერ მეფის ძემ ილაპარაკოს.

კ ა რ ლ ო ს ი
(მიმართავს ალბას)

მაშ უნდა ვთხოვო, ჰერცოგო, თ ქ ვ ე ნ ს დიდსულოვნებას,
რომ მეფე, როგორც საჩუქარი, მარტოდ დამითმოს.
შვილის გულს ხშირად—თქვენც ხომ იცით—ბევრი
რამე აქვს
მხოლოდ მამასთან გასამხელი, სალაპარაკო,

რისი მოსმენა მესამე პირს როდი შეჰფერის.
ამით, ჰერცოგო, თქვენ ხელმწიფე არ წაგერთმევათ,
რადგან მე მხოლოდ მამა მინდა მცირეოდენ ხნით.

ფილიპე

აქა დგას მისი მეგობარი.

კარლოსი

მაგრამ განა მეც
დავიმსახურე, რომ მეგობარს ვხედავდე მასში?

ფილიპე

ან კი შეგეძლო შენ ამისი დამსახურება?
მე როდი მომწონს ის შვილები, რომელნიც უფრო
კარგს აირჩევენ, ვიდრე თვითონ მამები მათი.

კარლოსი

ალბას რაინდულ სიამაყეს თუ შეუძლია,
რომ ყური უგდოს ამგვარ სცენას, ამგვარ საუბარს?
სიცოცხლეს ვფიცავ, ამ აბეზარ ჩამციებლობას
და მოუხმობლად ჩამორევას მამა-შვილს შორის,—
ისე რომ იგი სირცხვილისგან არც კი წითლდება
და კვლავ ჩვენს წინ დგას, თუმც გრძნობს თავის
არარაობას,
ვერ შევიძლებდი, ვფიცავ ღმერთსა, ვერ ვიკადრებდი,
თუნდა ამისთვის დიადემა მრგებოდა ჯილდოდ.

ფილიპე

(ტახტიდან წამოდგება და პრინცს განრისხებით გადახედავს)
დაგვტოვეთ, ალბა!

(ჰერცოგი მიდია მთავარი კარისკენ, რომლიდანაც კარლოსი შემოვიდა, მეფე უჩვენებს მეორე კარს.)

არა, შედით იმ კაბინეტში,
სანამდე ისევ მოგიხმობდეთ.

მეოთხე გამოსვლა

მეფე ფილიპე. დონ კარლოსი.

კარლოსი

(ჰერცოგის წასვლისთანავე მიდის მეფესთან და უდიდესი აღელვებით დაემხობა მის ფეხთით).

აწ ისევ ჩემი
მამა ბრძანდებით, ისევ ჩემი, დიდადა გმადლობთ
ამ წყალობისთვის.—მამაჩემო, ხელი მიბოძეთ.—
ო, ტკბილო დღეო! თქვენ შვილს, უკვე კარგა ხანია,
არ ღირსებია ნეტარება ამ ამბორისა.
ასე დიდი ხნით რად გამდევნეთ თქვენი გულიდან,
მამაო ჩემო, საამისო რა დავაშავე?

ფილიპე

შენთვის უცხოა, მეფის ძეო, ასეთი ქცევა.
თავი ანებე, ვერ ავიტან.

კარლოსი

(წამოდგება)
ეს იყო სწორედ!
მე მაგ სიტყვებში კარისკაცთა აზრები მესმის.
სწორი არაა ყველაფერი, არ არის სწორი,
რასაც ამბობენ ხუცესი და მომხრენი მისნი.
არა, არა ვარ, მამაჩემო, ასე ულირსი.
მხურვალე სისხლი არის ოდენ სიავე ჩემი,
ჩემ სიჭაბუკეს დამნაშავედ იგი ხდის მხოლოდ.
ბოროტი არ ვარ, მამაჩემო, არ ვარ ბოროტი...
თუმცა ველური გაშმაგება ჩემ გულს ჩირქსა სცხებს,
მაინც კეთილი არის იგი...

ფილიპე

მე კარგად ვიცი,
რომ უმანკოა შენი გული, ვით შენი ლოცვა.

კ ა რ ლ ო ს ი

ან ახლა ანდა არასოდეს!—ჩვენ მარტონი ვართ
და ჩვეულების ავი ზღუდე, მამა-შვილს შორის
შიშსა და კრძალვას რომ მოითხოვს, დანგრეულია.
ან ახლა ანდა არასოდეს! იმედის შუქი
აენთო ჩემში მზის სხივივით და წინაგრძნობა,
ესოდენ ტკბილი, ჩამესახლა გულის სიღრმეში.
თითქოს ზეცაც კი მხიარული ანგელოზებით
დაბლა დაეშვა და თვით ღმერთი—წმინდა სამება
უცქერის დიად და მშვენიერ სანახაობას!—
გთხოვთ შემირიგდეთ, მამაჩემო!

(დაეცემა მის ფეხთით)

ფ ი ლ ი პ ე

ფეხზე წამოდექ
და ჩამომეხსენ!

კ ა რ ლ ო ს ი

მამაჩემო, გთხოვთ შერიგებას!

ფ ი ლ ი პ ე

(სურს კარლოსისაგან თავი გაინთავისუფლოს)

ამ კომედიამ თავხედობის სახე მიიღო...

კ ა რ ლ ო ს ი

თავხედობაა სიყვარული თქვენი შვილისა?

ფ ი ლ ი პ ე

ნამდვილად სტირი? საზიზღარი სანახავი ხარ!
შორს ჩემს თვალთაგან!

კ ა რ ლ ო ს ი

ან ახლავე ან არასოდეს!
გთხოვთ შემირიგდეთ, მამაჩემო!

ფ ი ლ ი პ ე

შორს ჩემს თვალთაგან!
თუნდ შერცხვენილი დამიბრუნდე ცხარე ბრძოლიდან,
ჩემი მკლავები მოსახვევად მოგეგებება,—
მაგრამ ასე კი მე არ ძალმიძს მიღება შენი.—
მხოლოდ მშიშარა დამნაშავე ცდილობს თავისი
დანაშაული სამარცხვინო ცრემლით ჩარეცხოს.
ის, ვინც სირცხვილით არ წითლდება სინანულის დროს,
მონანიებას ვერ შეიძლებს.

კ ა რ ლ ო ს ი

ვინა დგას ჩემს წინ?
რომელ შეცდომით მოგვევლინა ეს უცხო არსი
ადამიანად?—ცრემლი კაცთა თანამგზავრია,
ხოლო თვალები მისი ასე რამ ამოაშრო?
ჩანს, ის არაა ძე კაცისა, ქალის შობილი.
ო, აიძულეთ თვალნი თქვენნი, რომ შეისწავლონ
ცხარე ცრემლთ ფრქვევა, სანამ კიდევ დრო არის ამის,
თორემ, ვინ იცის, შეიძლება მძიმე წუთებში
დაგჭირდეთ იგი.

ფ ი ლ ი პ ე

იქნებ ფიქრობ, რომ შეარყიო
ლამაზ სიტყვებით მძიმე ეჭვი მამაშენისა?

კ ა რ ლ ო ს ი

ეჭვი? მე მინდა, რომ ეგ ეჭვი მოვსპო მთლიანად.
მსურს მამაჩემის მკერდს მივეყრდნო და მის გულიდან
ძირფესვიანად ამოვგლიჯო ეგ მძიმე ეჭვი.
ვინ, ვინ არიან ეგ სასტიკნი ადამიანნი,
რატომ მისპობენ მოწყალებას ჩემი მეფისას?
რა შესთავაზა ბერმა მამას საკუთარ შვილში?
რა უნდა მისცეს მას ჰერცოგმა მარტოს, უშვილოს,
ასე უაზროდ განვლილ წლების სამაგიეროდ?

სიყვარული გსურთ, მამაჩემო? აი, ამ გულში
გამოდის წყარო უფრო წმინდა, უფრო ცხოველი,
ვიდრე იმ მღვრიე, ჭაობიან წყალსაცავებში,
რომელთაც თქვენი ოქრო აღებს.

ფ ი ლ ი პ ე

გაჩუმდი კმარა,
თავხედო კაცო! კარისკაცნი, ვისაც შენ ჰკილავ,
ბევრგზის ნაცადი მსახურები არიან ჩემი
და შენც მათ უნდა პატივი სცე.

კ ა რ ლ ო ს ი

მე? არასოდეს!
უკვე შევიცან ჩემი თავი. რაც ალბებს ძალუძთ,
იგი კარლოსსაც შეუძლია, და უფრო მეტიც.
რა ედარდება ნაქირავებს იმ სამეფოსი,
რომელიც მისი არ იქნება? რა ენაღვლება,
ფილიპე მეფის ჭალარა თმა თუ გათეთრდება?
მაგრამ კარლოსს კი თქვენ ყოველთვის ეყვარებოდით.
— ფიქრიც კი მზარავს იმაზე, თუ როგორ ძნელია
სამეფო ტ ა ხ ტ ზ ე მარტოდ ყოფნა.

ფ ი ლ ი პ ე

(ამ სიტყვებით შეძრწუნებული დგას ღრმად დაფიქრებული. რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

მართლაც, მარტო ვ ა რ.

კ ა რ ლ ო ს ი

(მიუახლოვდება ფილიპეს გულთბილი გრძნობით)

მარტო იყავით. ნულარ გძულვართ. მე შეგიყვარებთ
ბავშვურ სიწრფელით, გულმხურვალე, ცხოველი გრძნობით,
ოღონდ ნუ გძულვართ.—რა აღმტაცი და ნეტარია,
როცა თავსა ვგრძნობთ უცხო სულში გაღმერთებულად,
ვიცით, რომ ჩვენი სიხარული სხვასაც ახარებს,
რომ ჩვენი შიში სხვისა გულსაც ათრთოლებს შიშით

და ჩვენი ტანჯვა სხვის თვალებსაც ცრემლს აფრქვევინებს.
რა მშვენიერი, დიდებული არის, როდესაც
ძვირფას, საყვარელ შვილთან ერთად ხელჩაკიდებით
მეორედ განვლით მოვარდულ გზას სიჭაბუკისას,
რომ კვლავ იხილოთ ამ სიცოცხლის სიზმარი ტკბილი;
ო რა ტკბილი და დიდია, როს თქვენი საქმე,
უკვდავქმნილი და გაუხრწნელი, იცოცხლებს მარად
მთელი ქვეყნისთვის თქვენი შვილის სათნოებაში!—
მშვენიერია, როცა სთესავთ და იმის ნაყოფს
ოდესმე თქვენი საყვარელი შვილი მოიმკის,
როს იხვეჭთ დოვლათს, რასაც იგი გააორმაგებს
და იცით, რომ ის მადლიერი დაგრჩებათ დიდად.
ძალიან ბრძნულად სდუმდენ თქვენი წმინდა ბერები
ამქვეყნიურსა სამოთხეზე.

ფ ი ლ ი პ ე

(არცთუ აუღელვებლად)

ეხ, ჩემო შვილო!
საკუთარ თავზე ჯოხი შენვე გადაიმსხვრიე.
ფრიად წარმტაცად მისურათებ ბედნიერებას,
რომელიც ჩემთვის არასოდეს არ მოგიძღვნია.

კ ა რ ლ ო ს ი

დაე ეგ თვითონ ყოვლისმცოდნე ღმერთმა განსაჯოს!—
თქვენ, თქვენ თვითონვე გამაძევეთ მშობლის გულიდან
და მონაწილე არ გამხადეთ თქვენი კვერთხისა.
აბა მითხარით, ეს კარგია, სამართლიანი,
რომ ესპანეთის უფლისწული—ტახტის მემკვიდრე
დღემდე, ვით უცხო, პატიმარი, დავიარები
იმავ მიწაზე, სად ოდესმე უნდა ვიმეფო?
აბა მითხარით, ეს კარგია, სამართლიანი?
ო, როგორ ხშირად, როგორ ხშირად, მშობელო ჩემო,
თვალთ დაბლა ვხრიდი სირცხვილისგან გაწითლებული,
როდესაც ელჩნი, უცხო ქვეყნით წარმოგზავნილნი,
ანდა ფურცელნი გაზეთისა მე მომითხრობდნენ
არანხუესის სასახლეში მომხდართა ამბავთ!

ფ ი ლ ი პ ე

მძლავრად ჩუხჩუხებს შენს ძარღვებში მძვინვარე სისხლი.
შენ მხოლოდ ნგრევას შეიძლებდი.

კ ა რ ლ ო ს ი

დე დავანგრიო,
ნება მიბოძეთ, მამაჩემო. მძლავრად ჩუხჩუხებს
მძვინვარე სისხლი ჩემს ძარღვებში. ოცდასამი წლის
ჭაბუკი ვხდები და ჯერ ჩემი დიდებისა და
უკვდავებისთვის არაფერი არ შემიქნია.
აწ გავიღვიძე, ვიცან თავი.— ხმა შინაგანი
ტახტისკენ მიხმობს, ვითაარცა მევალე ჩემი,
მაფხიზლებს იგი თვლემისაგან და სიჭაბუკის
ფუჭად განვლილი საათები უკვე ხმამაღლა
მომიწოდებენ აღვასრულო ღირსების ვალი.
აჰა, ეს წამიც, დიდებული და მშვენიერი,
რომელიც ჩემგან ამ დიდ ვალის სარგებელს ითხოვს:
მიხმობს დიდება წინაპართა და ისტორია,
როგორც მქუხარე, მოგუგუნე ხმა ნაღარისა.
აწ უკვე დროა, რომ დიდების ფართო ჭიშკარი
გაიღოს ჩემს წინ... ჩემო მეფევ, ძალმიძს გავბედო
და მოგახსენოთ იგი თხოვნა, რომელმაც თქვენთან
მე მომიყვანა?

ფ ი ლ ი პ ე

კიდევ თხოვნა? სთქვი, რა გსურს ჩემგან?

კ ა რ ლ ო ს ი

ბრაბანტში ხალხის აჯანყება იზრდება, მეფევ.
მეამბოხეთა ჯიუტობა რომ აილაგმოს,
საჭირო არის მკაცრი, ბრძნული საშუალება.
ამბოხებულთა მღელვარების დასამშვიდებლად,
ხელმწიფის მიერ აღჭურვილმა სრული უფლებით,
ჰერცოგმა ალბამ ესპანეთის ურიცხვი ჯარი

უნდა სასწრაფოდ ფლანდრიაში გადაიყვანოს.
ო, რა ღირსებით აღსავსეა ადგილი იგი
და შესაფერი იმისათვის, რომ თქვენი შვილი
სახელოვანი შეიყვანოს დიდების ტაძრად.
მე, მე მომანდეთ, ჩემო მეფევ, ლაშქარი თქვენი,
ძლიერ ვუყვარვარ ნიდერლანდელთ და მეცა ვბედავ,
თქვენს წინ თავდებად რომ დავუდგე მათ ერთგულებ

ფ ი ლ ი პ ე

ვით მეოცნებე, ისე მსჯელობ. ადგილი იგი
არა ნორჩ ჭაბუკს, გამობრძმედილ ვაჟკაცს მოითხოვ

კ ა რ ლ ო ს ი

მოითხოვს მხოლოდ ადამიანს, მაგრამ ალბა კი
ადამიანი არასოდეს არა ყოფილა.

ფ ი ლ ი პ ე

შფოთს დააწყნარებს მარტოოდენ შიში და ზარი,
შებრალება კი იქნებოდა უგუნურება...
ნაზია, შვილო, შენი სული, ალბა კი—მკაცრი.
თავი ანებე თხოვნას შენსას.

კ ა რ ლ ო ს ი

გამგზავნეთ, მეფევ,
ფლანდრიელებთან თქვენი ლაშქრით. გაბედეთ და ეგ
საქმე მოანდეთ ნაზ სულს ჩემსას. მარტო სახელი
უფლისწულისა, ჩემს დროშებს რომ წინ წარუძღვება
დაიმორჩილებს ყოველივეს იქ, სადაც ალბას
ჯალათნი მხოლოდ წალეკავენ, ააოხრებენ.
ჩემს სიცოცხლეში პირველია ამგვარი თხოვნა—
მომანდეთ, მამავ, ფლანდრიელნი...

ფ ი ლ ი პ ე

(ათვალიერებს უფლისწულს გამგმირავი მზერით)

და მასთან ჩემი
რჩეული ჯარიც ჩავაბარო შენს მბრძანებლობას?
დანა გადაკცე ჩემიე მკვლელს?

ო, ღმერთო ჩემო!
მიზანს სულაც ვერ მივაღწიე, ნუთუ ეს არის
ნაყოფი, ეგრეთ სასურველი, დიად წუთების?
(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ, ოდნავი სერიოზულობით
ღირსი გამხადეთ ალერსიან პასუხის მაინც!
ნუ გამისტუმრებთ, მამაჩემო, გულმოკლულს ასე!
არ ვისურვებდი ეგ პასუხი მიმეღო თქვენგან
და ასე მძიმედ გულნატკენი დაგშორებოდით.
უფრო მოწყალედ მომექეცით. ეს არის ჩემი
უკიდურესი ერთადერთი საჭიროება.
სასომიხდილი საბოლოოდ ამასღა ვცდილობ...
როგორ გავიგო, ხელმწიფეო, ან ვაჟკაცურად
ვით ავიტანო, სასტიკ უარს რომ მეუბნებით
მთლად ყველაფერზე, ყველაფერზე, ყოველივეზე
და გინდათ ახლაც მომიცილოთ შეუწყნარებლად.
მოტყუებული ათასეულ ტკბილ იმედთაგან,
მივდივარ თქვენგან, მამაჩემო, თქვენი ალბა და
თქვენი დომინგო იმეფებენ ძლევამოსილნი
იქ, სად თქვენი ძე, ძირს განრთხმული, ტიროდა მწარედ-
კარისკაცთა ბრბო, მოცახცახე დიდებულები,
ბერთა ამქარი, ცოდვილივით გაფითრებული,
მოწმენი იყვნენ, რომ შეხვედრის ნება მიბოძეთ.
მაშ ნუ შემარცხვენთ! ნუ დამკოდავთ მე სასიკვდილოდ!
ნუ გადამაქცევთ კარისკაცთა დაცინვის საგნად!
იტყვიან, რომ სხვებს მოწყალებას უხვად ათოვებთ,
თქვენმა შვილმა კი ვერაფერი ვერ მოიპოვა.
ნიშნად იმისა, რომ გსურთ ჩემი პატივისცემა,
გამგზავნეთ ჯარით ფლანდრიაში!

ფ ი ლ ი პ ე

გაჩუმდი, კარლოს!
ეგ სიტყვა ჩემთან სხვა დროს აღარ გაიმეორო,
თუ არ გსურს, რომ თავს დაიტეხო ხელმწიფის რისხვა-

დე თავს დამატყდეს მეფის რისხვა, უკანასკნელად
გთხოვთ, ხელმწიფეო, მე მომანდეთ ფლანდრიელები.
უნდა დავტოვო ესპანეთი. ჩემი აქ ყოფნა
იმასა ნიშნავს, რომ ვსუნთქავდე ჯალათის ხელში—
მადრიდის ზეცა მძიმედ მაწევს და სულს მიხუთავს,
როგორც შეგრძნება მკვლელობისა. ადგილის შეცვლა
უფრო იოლად, უფრო მალე გულს განმიკურნავს.
თუ გსურთ ჩემი ხსნა, გამაგზავნეთ დაუყოვნებლად
მე ფლანდრიაში.

ფ ი ლ ი პ ე

(ძალდატანებული სიმშვიდით)

ჩემო შვილო, ასეთ ავადმყოფს,
როგორიც შენ ხარ, მკურნალობა და კარგი მოვლა
სჭირდება უფრო. ესპანეთში დარჩები, კარლოს,
ხოლო ჰერცოგი ფლანდრიაში გაემგზავრება.

კ ა რ ლ ო ს ი

(მოთმინებიდან გამოსული)

ო, მაშ ახლავე შემეწიეთ, სულნო კეთილნო...

ფ ი ლ ი პ ე

(ერთი ნაბიჯით უკან დაიხევს)

შესდექ! რას ნიშნავს შენი კილო?

კ ა რ ლ ო ს ი

(ათრთოლებული ხმით)

მშობელო ჩემო,
ნუთუ არ შესცვლით მოსაზრებას, ბრძანებას თქვენსას?

ფ ი ლ ი პ ე

იგი თქვა მეფემ!

კ ა რ ლ ო ს ი

ჩემი საქმეც დამთავრდა უკვე.
(გადის ძლიერ აღელვებული)

მეხამე გამოსვლა

ფ ი ლ ი პ ე დგას რამდენიმე ხანა მწუხარე ფიქრებში ჩაძირული... ბოლოს დაიწყებს წინ და უკან სიარულს. ა ლ ბ ა დაოცხვენილი უახლოვდება.

ფ ი ლ ი პ ე

ყოველ საათში მოელოდეთ ბრძანებას ჩემსას,
რათა ბრიუსელს გაემგზავროთ.

ა ლ ბ ა

ჩემო ხელმწიფევ,
უკვე მზადაა ყველაფერი.

ფ ი ლ ი პ ე

კაბინეტში ძევს
ბარათი თქვენი რწმუნებისა ბეჭედდასმული.
გამგზავრებამდე დედოფალი ნახეთ, ჰერცოგო,
უფლისწულთანაც გამოცხადდით, დაემშვიდობეთ.

ა ლ ბ ა

შმაგს მიუგავდა კარლოსს სახე, ჩემო მეფეო,
როდესაც თქვენი დარბაზიდან გამოდიოდა.
და ვხედავ, თქვენი ხელმწიფური უდიდესობაც
თავის ჭკუაზე აღარაა, აღელვებულა...
იქნებ საგანი საუბრისა?..

ფ ი ლ ი პ ე

(რამდენჯერმე გავლა-გამოვლის შემდეგ)

საგანი იყო
ჰერცოგი ალბა.

(მეფე დააშტერდება ჰერცოგს, შემდეგ პირქუშად)

შემიძლია სიამოვნებით
მოვისმინო, რომ კარლოსსა ს ძ უ ლ ს ჩემი რჩეულნი,
მაგრამ ის კი მწყინს, რომ ისინი მას ე ზ ი ზ ღ ე ბ ა.

ა ლ ბ ა

(ფერი ეცვლება და მზადაა რისხვით აენთოს)

ფ ი ლ ი პ ე

ახლა ნურაფერს მიპასუხებთ. ნებას გიბოძებთ,
პრინცს შეურიგდეთ.

ა ლ ბ ა

ხელმწიფეო!

ფ ი ლ ი პ ე

ერთი მითხარით:
ვინ იყო იგი, ვინც პირველად მე გამაფრთხილა
ჩემი შვილის ბნელ განზრახვაზე? მხედართმთავარო,
მე მაშინ მხოლოდ თ ქ ვ ე ნ გისმენდით და არა ი მ ა ს.
მეფის ძე უნდა გამოვცადო. ამიერიდან
ის ტახტის ახლოს მეყოლება. წაბრძანდით ახლა.

(მეფე შედის კაბინეტში, ჰერცოგი კი გადის მეორე კარიდან.)

მისაღები დარბაზი დედოფლის ოთახის წინ

მეოთხე გაჯოსვლა

ფ ო ნ კ ა რ ლ ო ს ი შემოდის შუა კარიდან პ ა ჟ ო ა ნ საუბრით. კარისკაცები, რომლებიც წინა დარბაზში იმყოფებოდნენ, მისი შემოსვლისას გაიფანტებიან მეზობელ ოთახებში.

კ ა რ ლ ო ს ი

ბარათსა მწერენ? — რისთვის მინდა ეს გასაღები?
ან ორივ ასე საიდუმლოდ რად გადმომეცი?
მომიახლოვდი. შენ ესენი საიდან მოგაქვს?

პ ა ჟ ი

როგორც მანიშნა ეს მე ქალმა, მას უფრო სურდა
ამას უთქმელად მიმხვდარიყვნენ.

კ ა რ ლ ო ს ი

(უკან დაიხევს)

ვინა? ქალმაო?

(ყურადღებით ათვალიერებს პაჟს)

რა?.. როგორ?.. მითხარ, შენ ვინა ხარ?

პაჟი

დედოფლის პაჟი.

კარლოსი

(შეშინებული მივარდება და პირზე ხელს დააფარებს)

ვიცი. გაჩუმდი, უბედურო! სიკვდილი გელის.

(სწრაფად ხსნის წერილს და მიდის დარბაზის კუთხეში მის წასაკითხად. ამ დროს შემოდის ჰერცოგი ალბა, პრინცის შეუმჩნევლად, მის ახლოს გაივლის და დედოფლის ოთახში შედის. ძლიერი თრთოლვით შეპყრობილი კარლოსი ხან ფითრდება და ხან წითლდება. წაკითხვის შემდეგ დიდხანს დგას მდუმარედ დაბაზტერდება ბარათს. ბოლოს მიმართავს პაჟს)

თვითონ მან მოგცა ეს ბარათი?

პაჟი

საკუთარ ხელით.

კარლოსი

თვითონ მან მოგცა ეს ბარათი?—ნუ ხუმრობ, ყრმაო!
მისი ნაწერი არაფერი არ წამიკითხავს—
მის ხელს ვერა ვცნობ. გერწმუნები, თუ შემომფიცავ,
და თუ იცრუე, გულახდილად გამოტყდი მაშინ,
ჩემთან ხუმრობას ნუ დაიწყებ.

პაჟი

ვისთან დავიწყებ?

კარლოსი

(კიდევ დახედავს ბარათს და პაჟს ეკვიანი, გამომცდელი მზერით აკვირდება. დარბაზში გავლის შემდეგ)

მშობლები ისევ ცოცხლები გყავს? კი? მამაშენი
აქაურია და ხელმწიფეს ემსახურება?

პაჟი

იგი დაეცა სენ-კენტენთან... ის პოლკოვნიკად
გამწესებული იყო ჰერცოგ საოიენთან
და უწოდებდნენ მას ალონზო გრაფ დე-ჰენარესს.

კარლოსი

(პაჟს ხელს ხელზე მოჰკიდებს და თვალებში ჩააშტერდება)

ეს ბარათი შენ მეფემ მოგცა?

პაჟი

(შეშფოთებული)

ხელმწიფის შვილო,
ნუთუ ეგეთი უნდობლობა დავიმსახურე?

კარლოსი

(კითხულობს წერილს)

„ეს გასაღები იმ ოთახის კარებს გააღებს,
რომელიც გადის დედოფალის პავილიონში,
უკანასკნელი კარით შეხვალთ ერთ კაბინეტში,
სადაც ჯაშუშის ფეხს ჯერაც ვერ შეუღწევია.
იქ სიყვარული თავისუფლად გამოგიმჟღავნებთ
მას, რასაც მხოლოდ განიშნებდათ თქვენ ასე დიდხ
მხდალი მიჯნური იქ მოისმენს სიყვარულის ხმას
და იქვე ელის მორცხვ წამებულს ძვირფასი ჯილდო

(თითქოს გაბრუებისგან გამოერკვიაო)

არა, არ ვბოდავ და ამას არც სიზმარში ვხედავ...
ეს ჩემი ხელი არის სწორედ... ეს ჩემი ხმალი...
აქ კი სწერია ეს სიტყვები... სინამდვილეა,
სუყველაფერი ცხადად ხდება... დიახ, ვუყვარვარ,
მე-მას ვუყვარვარ!

(ძალზე აღელვებული და ხელაპყრობილი გაივლ-გამოივლის ოთახ

პაჟი

წამობრძანდით, ხელმწიფის შვილ
მე გაგაცილებთ.

კარლოსი

დამაცადე, ჯერ გონს მოვიდე.
ნუთუ არა ვთრთი ამ საშინელ ბედნიერებით?
განა ოდესმე მექნებოდა ამის იმედი?

განა ოდესმე გავბედავდი, რომ ეს ოცნებით
წარმომედგინა? ან სადაა კაცი, რომელიც
ასე სასწრაფოდ შეეჩვია ღვთაებად ყოფნას?
ვინ ვიყავ დღემდე და აწ ვინ ვარ? ეს სულ სხვა ზეცა
დამცქერის თავზე, ეს სულ სხვა მზემ გამოანათა,
ვიდრე ოდესმე მე მიხილავს... მე მას ვუყვარვარ!

პაჟი
(სურს მისი წაყვანა)

ხელმწიფის შვილო, აქ არ არის მაგის ადგილი...
თქვენ დაგავიწყდათ.

კარლოსი
(უეცარი შიშით გარინდებული)

მამაჩემი, მეფე!

(ხელებს ჩამოუშვებს. ირგვლივ მიმოიხედავს და თანდათან გონს მოდის)

ეს მართლაც
საშიშარია, მეგობარო, შენ მართალი ხარ.
გმადლობ, მე არც კი ვეკუთვნოდი ჩემ თავს მთლიანად...
საშინელია, რომ მე უნდა ვდუმდე და გულში
გამოვამწყვდიო ესდენ დიდი ბედნიერება.

(პაჟს ხელს მოჰკიდებს და კუთხეში გაიყვანს)

რაც ნახე—გესმის?—და იგიცა, რაც არ გინახავს,
ვით სამარეში, ყველაფერი გულს დაიმარხე.
ახლა კი წადი, მე გონს მოვალ, არ შემოგვისწრონ.
წადი...

პაჟი
(სურს წასვლა)

კარლოსი

მაგრამ ჯერ მოიცადე! ჯერ მომისმინე!—

(პაჟი მობრუნდება. კარლოსი მას მხარზე ხელს დაადებს და სერიოზულად, დიდის ამბით შესცქერის.)

შენ საშინელი საიდუმლო თან მიგაქვს ახლა,
რომელიც, მსგავსად ძლიერ შხამის, ჭურჭელსაც
ამსხვრევს.—
არ გაგამჟღავნოს შენმა სახემ. დე შენმა ჭკუამ
ის ვერ შეიტყოს, რაც შენს გულში დაფარულია.
როგორც მკვდარ რუპორს, ბგერებს სწრაფად რომ
ღებულობს დ
უკან აბრუნებს, მაგრამ თვითონ არა ესმის რა,
შენც ამ ამბისა არაფერი არ შეისმინო.
შენ ჯერ ბიჭი ხარ, დაე ისევ ბიჭი იყავი
და კვლავ განაგრძე მხიარული თამაში შენი...
რა გონივრულად მოქცეულა ამის დამწერი,
რომ სიყვარულის შიკრიკად შენ აურჩევიხარ.
მეფე თქვენ შორის არ დაიწყებს გველების ძებნა

პაჟი

და მე კი იმით ვიამაყებ, ბატონიშვილო,
რომ ხელმწიფეზე მდიდარი ვარ ახლა მე ერთი
საიდუმლოთი.

კარლოსი

საცოდავო, სულელო ყრმაო,
სწორედ ესაა. რის წინაშეც შენ უნდა თრთოდე.
თუ ჩვენ მოგვიხდეს, გარეშეთა თანადასწრებით,
ერთად შეხვედრა, მოკრძალებით უნდა მომეპყრო.
რაგინდ მოწყალე გექნეს პრინცი, არ გაზვიადდე
და შენ მას რამე არ ანიშნო თავის დაქნევით.
შვილო, იმაზე მძიმე ცოდვას შენ ვერ ჩაიდენ,
რომ თავი რითმე მომაწონო... ამიერიდან
ნუ მეტყვი სიტყვით, შენს ბაგეებს ნუ მიენდობი;
აზრთა გამოთქმის საერთო გზით ნუღარასოდეს
მე ნუ მაუწყებ სათქმელს შენსას... მელაპარაკე
თითის ჩვენებით მარტოოდენ, წამწამთ შერხევით;
მე მზერითაც კი მიგიხვდები. აქ თვით ჰაერი
და სინათლეც კი მორჩილებენ ხელმწიფის ნებას,

ყრუ კედლებიც კი გასამრჯელოს იღებენ მისგან.
აქეთ მოდიან.

(დედოფლის ოთახის კარი იღება და გამოდის ჰერცოგი ალბა.)

გასწი ჩქარა! გასწი! ნახვამდის!

პაჟი

ოღონდ ოთახი კი არ შეგცდეთ, ხელმწიფის შვილო!

(გადის.)

კარლოსი

ჰერცოგი არის... არა, არა! ძალიან კარგი!
თავს დავეუფლე.

მეხუთე გამოსვლა

დონ კარლოსი. ჰერცოგი ალბა.

ალბა

(გადაულობავს გზას)

ორი სიტყვა, ხელმწიფის შვილო.

კარლოსი

ძალიან კარგი... არა, ისევ სხვა დროსთვის დარჩეს.

ალბა

ადგილი მართლაც შესაფერი არ არის. იქნებ
ინებოს თქვენმა ხელმწიფურმა უდიდესობამ
და თვის ოთახში მომისმინოს?

კარლოსი

რისთვის? ეს აქაც
შესაძლებელი არის, მგონი... ოღონდაც სწრაფად,
ოღონდაც მოკლედ...

ალბა

გეახელით, ხელმწიფის შვილო,
რათა მადლობა უმდაბლესი გადაგიხადოთ.

კარლოსი

მადლობა? რაზე? და მადლობა ჰერცოგ ალბასგან?

ალბა

იმაზე, რომ, თქვენ გამოხვედით თუ არა მეფის
საბრძანებლიდან, ეე მეუწყა ხელმწიფის პირით
ქალაქ ბრიუსელს გამგზავრება.

კარლოსი

ბრიუსელს? აჰა!

ალბა

ნუთუ სხვა რამეს, თუ არა თქვენს შუამდგომლობას
წინაშე მისი ხელმწიფური უდიდესობის,
შემიძლია ეს მივაწერო?

კარლოსი

მე? სულაც არა...
მე სრულიადაც არ მეკუთვნის მადლობა თქვენი.
მიემგზავრებით... დაე ღმერთმა გზა წაგიმართოთ.

ალბა

სხვა არაფერი? ეს, მეფის ძევ, დიდად მანცვიფრებს.
მაშ თქვენ არაფერს დამაბარებთ ფლანდრიელებთან?

კარლოსი

აბა, რა უნდა დაგაბაროთო?

ალბა

ამას წინათ კი
ყველას ეგონა, თითქოს ბედი ამ ქვეყნებისა
საჭიროებდა თქვენს იქ ყოფნას.

კ ა რ ლ ო ს ი

ნუთუ? კი, მაგრამ...
დიახ, სწორია... და ეს იყო წინათ... ახლა კი
ასეა კარგი, უფრო კარგი და უკეთესი...

ა ლ ბ ა

ხელმწიფის შვილო, თქვენი სიტყვა დიდად მაოცებს.

კ ა რ ლ ო ს ი
(დაცინვის გარეშე)

ვინლა არ იცის, რომ თქვენ დიდი გენერალი ხართ?
ამას შურიც კი დაიფიცავს და დაამტკიცებს.
მე კი ვარ ნორჩი ახალგაზრდა, გამოუცდელი,
ალბათ, მეფემაც ეს მიიღო მხედველობაში.
იგი სავსებით მართალია, ძალზე მართალი.
ახლა ვგრძნობ ამას და სრულიად კმაყოფილი ვარ.
ამით დამთავრდა ყველაფერი... კეთილ მგზავრობას
გისურვებთ. ახლა, როგორც ხედავთ, არ შემიძლია,
რომ უსათუოდ... თანაც ცოტა არცა მცალია...
სჯობს ხვალ განვაგრძოთ, ან როდესაც თქვენ
მოისურვებთ,
თუნდ მაშინ, როცა დაბრუნდებით ბრიუსელიდან.

ა ლ ბ ა

როგორ?

კ ა რ ლ ო ს ი
(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ, როცა დაინახავს, რომ ჰერცოგი
წასვლას არ აპირებს)

კარგი დრო აირჩიეთ მგზავრობისათვის...
თქვენ გზად გაივლით მილანზე და ბურგუნდიაზე,
ლოტარინგიელთ ქვეყანაზე, გერმანიაზეც...
აჰ, გერმანია? ჰო, ეს იყო გერმანიაში!
იქ კარგად გცნობენ!—ახლა უკვე აპრილი არის;
გავა მაისი, ივნისიცა და თქვენ ივლისში

სწორედ ივლისში და თუ გზაში დაგაგვიანდათ,
მაშინ აგვისტოს დასაწყისში მიხვალთ ბრიუსელს.
ო, მე სულაც არ მეეჭვება, მხედართმთავარო,
რომ მალე თქვენი გამარჯვების ხმას გავიგონებთ.
თქვენ ღირსეულად გაამართლებთ ჩვენს კეთილ ნდობას.

ა ლ ბ ა
(მრავალმნიშვნელოვნად)

და გავამართლებ ნდობას ჩემი არარაობით?

კ ა რ ლ ო ს ი
(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ, ღირსეულად და ამაყად)

თქვენ ნაწყენი ხართ, ჰერცოგო, და ეს მართლაც
გმართებთ.
უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი მხრივ მცირედ დაგზოგეთ.
თქვენზე აღემართე იარაღი, მაგრამ არ ძალგიძთ,
პასუხი გამცეთ.

ა ლ ბ ა

მაშ არ ძალმიძს?

კ ა რ ლ ო ს ი
(ღიმილით გაუწვდის ხელს)

სამწუხაროა,
რომ სწორედ ახლა დრო არა მაქვს, არა მცალია,
ჰერცოგ ალბასთან ღირსეული ბრძოლა გავმართო.
სხვა დროსთვის დარჩეს.

ა ლ ბ ა

მე კი ვფიქრობ, ხელმწიფის შვილო,
ორივე ვცდებით ანგარიშში სხვადასხვა სახით.
თქვენ, მაგალითად, ოცი წლით ხართ უმცროსი ჩემზე.
მე კი—უფროსი თქვენზე სწორედ ამდენივე ხნით.

კ ა რ ლ ო ს ი

შერე?

ა ლ ბ ა

და აზრად ისიც მომდის, რომ ჩვენი მეფე
პორტუგალიელ მეუღლესთან, თვით დედათქვენთან,
ეგრეთ მშვენიერ მეუღლესთან, რაოდენ ღამეს
გაატარებდა, ოღონდაც კი თვისი ტახტისთვის
ეშოვა ისე მტკიცე ხელი, როგორიც მე მაქვს.
მან, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ იოლია
მეფეთა შექმნა, ვიდრე თვითონ სამეფოების...
და უფრო მალე უზრუნველყოფთ სამეფოს მეფით,
ვიდრე ხელმწიფეს—სამეფოთი!

კ ა რ ლ ო ს ი

ძლიერ სწორია!
მაგრამ, ჰერცოგო...

ა ლ ბ ა

ჰოდა, სისხლი თქვენი ხალხისა
რაოდენ ბევრი დაიღვარა, სანამდე ორი
წვეთი სისხლისა შეიძლებდა თ ქ ვ ე ნ ს გამეფებას.

კ ა რ ლ ო ს ი

ღვთის მადლმა, სრული სიმართლეა. მაგ ორ სიტყვაში
ყველაფერია, რაც ერთმანეთს წინ დაუყენებს
დამსახურებით მოპოვებულ სიამაყესა
და სიამაყეს ბედისაგან მონიჭებულსა.
მაგრამ არაფერს დაუმატებთ, ჰერცოგო, კიდევ?

ა ლ ბ ა

და ვაი იმ ნორჩ ხელმწიფის შვილს, ვინც აკვანშივე
ძიძას აიგდებს სასაცილოდ. რა ტკბილად, მშვიდად

სძინავს მას ჩვენი გამარჯვების ფაფუკ ბალიშზე.
გვირგვინში ბრწყინავს მარტოოდენ მარგალიტები
და არა სისხლი და არა ის ღრმა ჭრილობები,
რომელთა მიერ მოხვეჭილი იქნენ ისინი...
ჩემი მახვილი უცხო ხალხებს კანონს უწერდა,
იგი მრისხანედ ელვარებდა ჯვარცმის წინაშე
და ქვეყანაზე სისხლიანი საშინელებით
ღრმა კვალს ავლებდა რწმენის მარცვლის დასათესავად-
ღმერთი ზეცაში მსჯავრმდებლობდა, მე კი—მიწაზე...

კ ა რ ლ ო ს ი

ეგ ღმერთი არის თუ ეშმაკი—ორივ ერთია!
მისი მარჯვენა თქვენ იყავით. ეს კარგად ვიცი...
ამაზე ნულარ ვიბაასებთ... მე ვისურვებდი,
რომ გამეფანტა ეს ნაცნობი მოგონებანი.
მამის არჩევანს დიდ პატივს ვცემ. მას ვიღაც ალბა
სჭირდება უფრო და მეფისა ის კი არა მშურს,
რ ო მ იგი ალბას საჭიროებს, არამედ სულ სხვა.
დიდი კაცი ხართ... შეიძლება ეს ასეც იყოს;
ეს მეც მტკიცედ მწამს. ოღონდ ვშიშობ, რომ ამ
ქვეყანას
თქვენ რამდენიმე ათასი წლით ადრე ეწვიეთ.
ამ დედამიწას, ჩემი აზრით, ჰერცოგი უნდა
ქვეყნის დაღუპვის მოციქულად მოვლინებოდა,
როდესაც ცოდვა უდიდესი თავს აიწყვეტდა
და აღმოფხვრიდა ზეცის მომთმენ დიდსულოვნებას,
როს ბოროტების მოსავალი აღერდებოდა
და მოითხოვდა იგი მომკელს განსაკუთრებულს,
აი თქვენ მაშინ თქვენს ადგილზე აღმოჩნდებოდით.
ღმერთო! ო, ჩემო სამოთხეო! ჩემო ფლანდრია!..
მაგრამ აწ კმარა!.. აღარ მმართებს ამაზე ფიქრი!..
ლაპარაკობენ, რომ წინასწარ ხელმოწერილი
მარაგად მიგაქვთ სასიკვდილო განაჩენები.
ქების ღირსია ეგ სიფრთხილე. კაცი უშიშრად

უნდა გრძნობდეს თავს ყოველგვარი საფრთხის წინაშე.
ო მამაჩემო, შენი აზრი ცუდად გავიგე,
დანაშაულად ჩაგითვალე ეგ სისასტიკე,
რადგან უარი განმიცხადე შენ იმ საქმეზე,
რითაც ბრწყინავენ მარტოოდენ ალბები შენი...
მაგრამ შენ ამით პატივი მეც.

ა ლ ბ ა

ხელმწიფის შვილო,
ეგ თქვენი სიტყვა იმსახურებს...

კ ა რ ლ ო ს ი
(გაცხარებით)

რას?

ა ლ ბ ა

მაგრამ გიცავთ
მეფის ძეობა.

კ ა რ ლ ო ს ი
(ხმალზე ხელს წაივლებს)

ეს სისხლს ითხოვს!—ახლავ იშიშვლეთ
ხმალი, ჰერცოგო!

ა ლ ბ ა
(ცივად)

ხმალი ვისზე?

კ ა რ ლ ო ს ი

მახვილი ჩქარა,
თორემ გაგაპეთ.

ა ლ ბ ა
(ხმალს იშიშვლებს)

რაკი ასე საჭირო არის...
(იბრძვიან)

მეექვსე გამოსვლა

დ ე დ ო ფ ა ლ ი. დ ო ნ კ ა რ ლ ო ს ი. ჰ ე რ ცო გ ი ა ლ ბ ა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(შეშინებული გამოდის თავის ოთახიდან)

შიშველი ხმლები! ვაგლახ ამას რას ვხედავ!
(პრინცს, ნწყრალი და მბრძანებლური ტონით)

კარლოს!

კ ა რ ლ ო ს ი
(დედოფლის დანახვისას შეძრწუნდება, ხელს ჩამოუშვებს, დგას უმოძრაოდ და გაბრუებული, შემდეგ სწრაფად მივარდება ჰერცოგს და აკოცებს)

შევრიგდეთ, ალბა! დავივიწყოთ სუყველაფერი!
(მდუმარედ დაეცემა დედოფლის ფერხთით, შემდეგ სწრაფად წამოხტება და გიჟივით გარეთ გავარდება.)

ა ლ ბ ა
(დგას დიდად განცვიფრებული და თვალს არ აშორებს ორივეს)

საოცარია, ღმერთის მადლმა!..

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(დგას რამდენიმე ხანს შეშფოთებული და დაეჭვებული, შემდეგ ნელა გაემართება თავისი ოთახისკენ, როდესაც მიაღწევს კართან, შემოტრიალდება)

ჰერცოგო ალბა!
(ჰერცოგი შეჰყვება მას ოთახში.)

პრინცესა ებოლის კაბინეტი

მეშვიდე გამოსვლა

პ რ ი ნ ც ე ს ა, იდეალურად მორთული, ლამაზად, მაგრამ სადად ჩაცმული, უკრავს ბარბითს და მღერის. შემდეგ შემოდის დედოფლის პაჟი.

პ რ ი ნ ც ე ს ა
(სწრაფად წამოხტება)

ის მოდის!

პ ა ჟ ი
(აჩქარებით)

როგორ, მთლად მარტო ხართ? ფრიად
მანცვიფრებს,
რომ აქ უფლისწულს ვერა ვხედავ; მაგრამ ის უნდა
ახლავე თქვენთან გამოცხადდეს.

პ რ ი ნ ც ე ს ა

უნდა? ეს ნიშნავს,
რომ ს უ რ ს კიდევაც.—მაშ გადაწყდა აწ ყველაფერი...

პ ა ჟ ი

იგი ფეხდაფეხ მომდევს უკან... ჩემო პრინცესა,
თქვენ მას უყვარხართ ისე, ისე, როგორც არასდროს
არ ჰყვარებია ქალიშვილი არც ერთ მამაკაცს.
ოჰ, რა ვიხილე, რა არ ვნახე!

პ რ ი ნ ც ე ს ა
(მოუთმენლად მიიზიდავს თავისკენ)

სასწრაფოდ მითხარ!
ელაპარაკე? აბა, აბა! მითხარი, რა თქვა?
როგორ მოიქცა? ან რომელი წარმოთქვა სიტყვა?
იგი გაოცდა, დაიმორცხვა? თუ გამოიცნო
ის პიროვნება, გასაღები ვინც გაუგზავნა?
სასწრაფოდ მითხარ: მიხვდა? ვერა? იქნება არც კი
სურდა მიხვედრა? ან იქნება მას სხვა ეგონა?
ერთ სიტყვასაც არ მეუბნები? ფუ შენ! გრცხვენოდეს:
ასე ხესავით უხეში და აუტანელი
არა ყოფილხარ არასოდეს.

პ ა ჟ ი

ჩემო მოწყალევ,
როდისღა მაცლით მოვიფიქრო რაიმე სიტყვა!
მას გასაღები და წერილი გადავეც თქვენი
წინა დარბაზში დედოფლისა. იგი განცვიფრდა

და გაოცებით შემომხედა. როდესაც ვუთხარ,
რომ მოციქული ვიყავ მასთან ერთი ქალისა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

იგი განცვიფრდა? ძალზე კარგი! ჩინებულია!
მაგრამ განაგრძე, მომიყევი, რა მოხდა შემდეგ.

პ ა ჟ ი

მინდოდა კიდევ მეთქვა რამე, მაგრამ გაფითრდა,
უცებ ხელიდან გამომტაცა წერილი თქვენი,
შემდეგ მუქარით შემომხედა და თანაც მითხრა,
რომ ყველაფერი იცის უკვე. მერე ბარათი
გადაიკითხა აღელვებით და მსწრაფლ ათრთოლდა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

მან ყველაფერი უკვე იცის? სუყველაფერი?
ნუთუ მან ეს თქვა?

პ ა ჟ ი

შემეკითხა სამჯერ თუ ოთხჯერ,
რომ ნამდვილად თქვენ, თქვენ მომეცით მართლა თუ არა
წერილი იგი.

პ რ ი ნ ც ე ს ა

რომ ნამდვილად მე გადმოგეცით?
მაშასადამე, მან ახსენა ჩემი სახელიც?

პ ა ჟ ი

სახელიც?—არა, არ ახსენა...—აქ შეიძლება,—
მითხრა მან,—ჯაშუშთ ყური მოჰკრან საუბარს ჩვენსას
და ხელმწიფესთან დაგვასმინონ.

პ რ ი ნ ც ე ს ა
(განცვიფრებული)

მაშ ეს თქვა იმან?

პ ა ჟ ი

ხელმწიფისათვის, თქვა მეფის ძემ, იქნება ფრიად
გასაოცარი და ძალიან მნიშვნელოვანიც,
რომ ამ ბარათზე მას რაიმე შეატყობინონ.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ხელმწიფისათვის? და შენ სწორად კი გაიგონე?
მაშ მან პირდაპირ ასე გითხრა?

პ ა ჟ ი

დიახ, პრინცესა!
მან საშინელი საიდუმლო უწოდა ამას
და გამაფრთხილა: არც სიტყვებით და არც ნიშნებით
არ გაეცე იგი, რომ ამით არ აღეძრას მეფეს
რაიმე ეჭვი.

პ რ ი ნ ც ე ს ა

(რამდენიმე ხნის ფიქრის შემდეგ, გაოცებული)

ყველაფერი ერთზე მეტყველებს.
სხვაგვარად ეს არც შეიძლება... მან ეს ამბავი
უკვე გაიგო, როგორცა ჩანს... საოცარია,
მიუწვდომელი!.. ნეტავი ვინ შეატყობინა?
ვინ? და კიდევაც რომ ვკითხულობ? – ვინ იხედება
ასე შორს, თუ არ სიყვარულის მახვილი თვალი?
მაგრამ განაგრძე: წაიკითხა ხელმწიფის შვილმა
ჩემი წერილი?

პ ა ჟ ი

ეს წერილი, მითხრა მე პრინცმა,
ნეტარებაა, რის წინაშე ის უნდა თრთოლდეს,
რაზე ოცნებაც კი ვერასდროს ვერ გაუბედავს.
საუბედუროდ, შემოვიდა დარბაზში ალბა
და მისმა მოსვლამ გვაიძულა...

პ რ ი ნ ც ე ს ა
(გულმოსული)

ღვთის გულისათვის,
ახლა იქ ჰერცოგს რა უნდოდა? მაგრამ სად არის
პრინცი აქამდის? რად არ მოდის? რად იგვიანებს?
ხომ ხედავ, როგორ მოგატყუეს, საბრალო ბიჭო!
რა ბედნიერი იქნებოდა ის ამ წუთებში,
რაიც დახარჯე შენ აქ ჩემთვის მის მოსათხრობლად,
თუ ვით სურდა პრინცს, ბედნიერი რომ გამხდარიყო.

პ ა ჟ ი

მე მეშინია, რომ ჰერცოგი...

პ რ ი ნ ც ე ს ა

ისევ ჰერცოგი?
მას აქ რა უნდა? მხედართმთავარს რა ესაქმება
ჩემს სიყვარულთან და ან ჩემს მშვიდ ნეტარებასთან?
პრინცს მიტოვება, მოცილება შეეძლო მისი.
ამქვეყნად ამას ვინ არ შესძლებს?.. ო, ჭეშმარიტად,
მაგ შენ პრინცს თვითონ სიყვარულიც, ცხადია უკვე,
ისევე ცუდად ესმის, როგორც გული ქალისა.
მან არც კი იცის, თუ რას ნიშნავს წუთები... ჩუმად!
ფეხის ხმა მესმის. გასწი! მგონი, პრინცია იგი.

(პაჟი მირბის)

გასწი, გაიქეცი!—რა ვუყავი ბარბითი ჩემი?
დე განცვიფრებულს შემომისწროს.. ჩემმა სიმღერამ
უნდა ნიშანი მისცეს იმას.

მერვე გამოსვლა

პ რ ი ნ ც ე ს ა და თითქმის მაშინვე დ ო ნ კ ა რ ლ ო ს ი.

პ რ ი ნ ც ე ს ა

(სავარძელში ჩაეშვება და უკრავს)

კ ა რ ლ ო ს ი

(ოთახში შემოიჭრება. იცნობს პრინცესას და მეხდაცემულივით შეჩერდება)

ო ღმერთო ჩემო!
სად ვიმყოფები?

პ რ ი ნ ც ე ს ა

(დააგდებს ბარბითს და კარლოსს მიეგებება)

პრინცო კარლოს? ნამდვილად თქვენ ხართ!

კ ა რ ლ ო ს ი

ჯოჯოხეთური მოტყუება... სად ვიმყოფები?
ალბათ, ოთახი შემეშალა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

რა კარგა ძალუძს
კარლოსს შემჩნევა იმ ოთახის, სადაც ასულნი
იმყოფებიან მთლად მარტონი, მოწმეთ გარეშე.

კ ა რ ლ ო ს ი

პრინცესა, ვითხოვ პატიებას... წინა დარბაზის
კარი დამიხვდა გაღებული.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ნუთუ ნამდვილად?
მე კი მეგონა, ჩემი ხელით დავკეტე იგი.

კ ა რ ლ ო ს ი

ეს თქვენ გეგონათ, თქვენ გეგონათ... მაგრამ შემცდარ-
ხართ.
იქნებ გინდოდათ დაგეკეტათ, ეგ მეცა მჯერა...
მაგრამ დაჰკეტეთ? რა თქმა უნდა, არ დაგიკეტავთ...

თანაც მომესმა, რომ ვიღაცა უკრავდა ბარბითს...
ბარბითი იყო ხომ ნამდვილად?

(დაეჭვებული ირგვლივ იცქირება)

დიახ, აგერ ძევს.
და ბარბითი კი, ღმერთმა უწყის, რა ძლიერ მიყვარს.
მთლად სმენად ვიქეც, ვერ გავიგე, რა დამემართა
და თქვენს ოთახში შემოვიჭერ ასე სასწრაფოდ,
რომ ის გრძნეული ხელოვანი მენახა თვალით,
რომელმაც ასე დამიპყრო და მომაჯადოვა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

სანუკვარია თქვენი ცნობისმოყვარეობა,
რომელიც დაცხრა უფრო მალე, ვიდრე შევძლებდი
მე თქვენთან ჩემი ხელოვნება გამომეჩინა.

(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

მე მოვალე ვარ დავაფასო ის მორცხვი კაცი,
ვინაც სიცრუით თავგზას იბნევს, რომ ამით ქალი
დარცხვენისაგან გამოიხსნას.

კ ა რ ლ ო ს ი

(ბულწრფელად)

პრინცესა, თვითონ
მეც კარგად ვხედავ, ამით მხოლოდ ვაუარესებ
იმავე საქმეს, რომლისაც მსურს გამოსწორება.
მაშ დამიხსენით ამ როლისგან, მე ამისათვის
უვარგისი ვარ, ვერ შევიძლებ მის ასრულებას.
თქვენ ამ ოთახში ეძიებდით მყუდრო სავანეს
და თავშესაფარს ქვეყნისაგან. გსურდათ ხალხისგან
განცალკევებით თქვენს სურვილებს ეცხოვრათ მშვიდად.
მაგრამ გამოვჩნდი აქ მე, შვილი უბედურების,
და წამსვე შეწყდა მშვენიერი სიზმარი თქვენი.
სამაგიეროდ ჩემი წასვლით...

(სურს წასვლა)

პრინცესა

(გაოცებული და შეძრწუნებული, მაგრამ მალე ეუფლება თავის თავს)

ხელმწიფის შვილო,
ბოროტებაა ეს თქვენი მხრით.

კარლოსი

მესმის, პრინცესა,
თუ რასაც ნიშნავს ამ ოთახში ეგ შემოხედვა,
და მაგ სიმორცხვეს, ესდენ სათნოს, პატივს ვცემ დიდად.
ვაი იმ ვაჟკაცს, ვისაც ქალის კდემამოსილი
შეკრთომა, ღაწვთა გაწითლება მხნედ გადააქცევს!
მე კი მხდალი ვარ, როს ასულნი ჩემს წინა თრთიან.

პრინცესა

ნუთუ ნამდვილად?—სინდისია უმაგალითო
ახალგაზრდისთვის და მერე თვით უფლისწულისთვის!
დიახ, მეფის ძევ, უნდა დარჩეთ თქვენ ახლა ჩემთან.
თვით მე გთხოვთ ამას: ასეთ დიად სათნოებასთან
სწრაფად გაუვლის ყოველ ქალწულს შიში და ძრწოლა.
მაგრამ იცით, რომ უეცარმა თქვენმა შემოსელამ
შემაწყვეტინა საყვარელი ჩემი სიმღერა?

(იგი მიიყვანს პრინცს სავარძელთან და ბარბათს კვლავ ხელში აიღებს.)

მე იმ სიმღერას, პრინცო კარლოს, აწ ერთხელ კიდევ
ვიმღერებ ახლა, თქვენ კი უნდა მე მომისმინოთ,
თქვენი სასჯელი ეს იქნება.

კარლოსი

(ჯდება პრინცესას გვერდით არცთუ მთლად ძალდაუტანებლად)

ო, ეგ სასჯელი
სასურველია, როგორც ჩემი დანაშაული.
მართლაცდა, ისე მომეწონა თქვენი სიმღერა,
სიტყვები, ესდენ მშვენიერი და ღვთაებრივი,
რომ მესამედაც შემიძლია მოსმენა მისი.

პრინცესა

როგორ? ნუთუ თქვენ მოისმინეთ სუყველაფერი?
ძალზე ცუდია ეს თქვენი მხრით, ხელმწიფის შვილო.
მგონი, სიტყვები ღაღადებდნენ მწველ სიყვარულზე?

კარლოსი

და ლაღ, ბედნიერ სიყვარულზე, თუ არა ვცდები.—
ლამაზ შინაარსს გადმოსცემდა ლამაზი ბგერა,
თუმც სილამაზე მეტი იყო იმ სიმღერაში,
ვიდრე სიმართლე.

პრინცესა

მაშ არ გჯერათ სიმართლე მისი?

კარლოსი

(სერიოზულად)

ვეჭვ, რომ კარლოსი და პრინცესა ებოლი ერთურთს
კარგად მიუხვდნენ სიყვარულის განმარტებაში.

(პრინცესა განცვიფრდება, კარლოსი შეამჩნევს ამას და განაგრძობს თაკისუფალი თავაზიანობით)

რადგან, აბა, ვინ ერწმუნება ამ ვარდისფერ ღაწვთ,
რომ ვნებამ ასე აღაშფოთა ეგ ნაზი გული?
ნუთუ ებოლის განსაცდელი ელის ისეთი,
ოხრავდეს იგი უნუგეშოდ? ნამდვილ სიყვარულს
გრძნობს მარტოოდენ უიმედოდ შეყვარებული.

პრინცესა

(უწინდელი მხნეობით)

კარგი, იკმარეთ! ეს ხომ მართლაც საშინელია.
ნუთუ ყველაზე მძიმე ბედი მოგერგოთ, პრინცო,
და ისიც ახლა, სახელდობრ დღეს, აქ ჩემთან მყოფელს?

(ხელს გაუყრის და ელაპარაკება შემპარავი თანაგრძნობით)

არა, თქვენ არ ხართ მხიარული, კეთილო პრინცო...
თქვენ იტანჯებით... ვფიცავ ზენას, ძალიან ნაღვლობთ.

და ასე რატომ ეწამებით, ხელმწიფის შვილო?
როს მოგიწოდებთ ამა ქვეყნის განცხრომა თვისკენ,
როს უხვ ბუნებას შეუმკიხართ ყოველგვარ ნიჭით
და უფლება გაქვთ ამ ცხოვრების სიტკბოებაზე?
თ ქ ვ ე ნ ხართ ძე დიდი ხელმწიფისა და უფრო მ ე ტ ი ც,
ო, გაცილებით უფრო მეტი, ვინც აკვანშივე
აღჭურვილ იყო ყოველგვარი ნიჭით და მადლით,
თქვენი ხარისხის გრწყინვალებას ასე რომ ჩრდილავს.
თქვენ ის ხართ, ვისაც მანდილოსანთ მკაცრ სამსჯავროში
მოსყიდული გყავთ მსჯავრმდებელნი, თვითონ ასულნი,
რომელნიც ვაჟკაცთ ღირსებასა და იმათ სახელს
მოურიდებლად, პირუთვნელად განსჯიან ხოლმე.
ი გ ი, ვინც, სადაც ქალს შ ე ნ ი შ ნ ა ვ ს, დაიპყრობს
იქვე,
ცეცხლს იქ უკიდებს, სად თვით რჩება ყოველთვის ცივი,
და სად აღგზნებას მოისურვებს, იქ თვით სამოთხე
და ღვთაებრივი ნეტარება საჩუქრად მიაქვს...
კაცი, რომელიც შეუმკია გულუხვ ბუნებას
ერთეულთა და ათასეულთ საბედნიეროდ,
თვით უბედური უნდა იყოს?—ჰოი ზეცაო!
შენ, რომელმაც მას მიანიჭე სუყველაფერი,
უარი რატომ განუცხადე მხოლოდ თვალებზე,
რომლითაც თავის გამარჯვებას დაინახავდა?

კ ა რ ლ ო ს ი

(რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ძლიერ დაბნეული იყო, პრინცესას გაჩუმების შემდეგ უცბად გონს მოვა და წამოიწევს)

საუცხოოა, ღვთაებრივი, მიუბაძავი!
ჩემო პრინცესა, ეს ადგილი მიმღერეთ კიდევ.

პ რ ი ნ ც ე ს ა

(შესაცქერის გაოცებული)

კარლოს, თქვენ ახლა სად იყავით?

კ ა რ ლ ო ს ი

(წამოხტება)

დიახ, ღვთის მადლმა,
სწორედ მარჯვე დროს გამახსენეთ... უნდა გაგშორდეთ,
უნდა სასწრაფოდ გაგეცალოთ.

პ რ ი ნ ც ე ს ა

(აკავებს)

საით?

კ ა რ ლ ო ს ი

(ძლიერ შეშინებული)

მივდივარ
ძირს, ღია ცის ქვეშ. ნუ მაკავებთ. ასე მგონია,
მთელი ქვეყანა ჩემ ზურგს უკან ხანძარში იწვის.

პ რ ი ნ ც ე ს ა

(ძალით აკავებს)

რა გემართებათ, უფლისწულო, ასე უჭკუოდ
და უცნაურად რად იქცევით?

(კარლოსი შეჩერდება და ფიქრებში ჩაიძირება. ებოლი ამ წუთებით ისარგებლებს და შეეცდება იგი სავარძლისაკენ მიიზიდოს.)

ძვირფასო კარლოს,
სიმშვიდე გინდათ... თქვენი სისხლი აწ ძლიერ ღელავს...
გვერდს მომიჯექით... შავი ფიქრი უკუიცილეთ!
გულწრფელად ჰკითხეთ საკუთარ თავს, თქვენმა გონებამ
იცის თუ არა, ასე ძლიერ გულს რა გიმძიმებთ?
და თუ მან იცის, ნუთუ ამდენ რაინდთა შორის,
სამეფო კარზე რომ არიან, ამდენ ქალთ შორის
არავინაა ისეთი, რომ განკურნოს იგი,
რომ მიუხვდეს მას, მსურდა მეთქვა... ნუთუ მათ შორის
არავინაა მისი ღირსი?

კ ა რ ლ ო ს ი

(უცბად, დაღფიქრებლად)

იქნებ პრინცესა

ებოლი...

პრინცესა

მართლა?

კარლოსი

გეევედრებით. ბარათი მომცეთ...
მიშუამდგომლოთ მამაჩემთან. ამბობენ, თითქოს
თქვენ სიტყვას დიდი გავლენა აქვს.

პრინცესა

ვინ ამბობს მაგას?
(მაშ ეს ეჭვია, პრინცს რომ ბაგე შეეკრა ასე!)

კარლოსი

ალბათ, აწ ყველამ უკვე იცის ამის შესახებ.
მე უცებ აზრად მომივიდა ბრაბანტში წასვლა,
დავიმსახურო, იქნება, იქ დეზები მაინც.
ეს კი მამაჩემს როდი ნებავს... კეთილმა მამამ
უარი მითხრა, ეშინია, ჯართუფროსობა
ყელს ამატკიებს, ხმას ჩამიხლეჩს.

პრინცესა

ო, როგორ ყალბად
თამაშობთ, კარლოს. აღიარეთ, რომ მაგ გველური
ფანდით გინდოდათ, რომ ხელიდან მე გამსხლტომოდით-
თვალთმაქცო, აბა, გამისწორეთ პირდაპირ: თვალი!
ის, ვინც რაინდულ საქმეებზე ასე ოცნებობს,
არ დამდაბლდება ისე ძლიერ, ხომ მეთანხმებით,
რომ იგი ლენტი, რომელიც ქალს ძირს დაუვარდა,
ჩუმად აიღოს—მაპატიეთ—

(თითების მსუბუქი მოძრაობით გაუხსნის კარლოსს გულისპირს
და იქიდან ამოიღებს დამალულ ლენტს.)

და შეინახოს.

კარლოსი
(გაოცებით დაიხევს უკან)

მეტისმეტია ეს, პრინცესა! – გაცემული ვარ.
როგორც ჩანს, თქვენი მოტყუება არავის ძალუძს,
დემონებთან და ავსულებთან შეთანხმებულხართ.

პრინცესა

ნუთუ განცვიფრდით ამის გამო? თქვენ ეს გაკვირვებთ?
ნაძლევი დავდოთ, უფლისწულო, რომ მოგაგონოთ
ძველი ამბები, გარდასული სცენები ძველი...
თუ გნებავთ, სცადეთ, შემეკითხეთ რაიმე მათზე.
როს ჟინიანი აზიზობა, ბგერა, თქვენს მიერ
უცებ ჩურჩულით წარმოთქმული, ანდა ღიმილი,
წამსვე ჩამქრალი სერიოზულ სახის მიღებით,
თუ თვითონ სახის სწრაფი შეცვლა, თქვენი სული რომ
შორად მიფრენდა, ჩემს მკვირცხლ მზერას ვერ წაუვიდა,
აბა განსაჯეთ, მაშ მე კარგად მესმის თუ არა,
თუ რა გნებავდათ თქვენ ამითი გაგეგებინათ?

კარლოსი

ძალიან დიდი გაბედვაა. მე თანახმა ვარ,
რომ დაგნაძლევდეთ. მაგრამ თქვენ ხომ უკვე შემპირდი
აღმოგეჩინათ ჩემს გულში ის, რაიც მე თვითონ
არც კი ვიცოდი.

პრინცესა
(ოდნავ შეურაცხყოფილად და სერიოზულად)

არ იცოდით, ხელმწიფის შვილო?
გთხოვთ გაიხსენოთ უფრო კარგად! მიმოიხედეთ;
ეს კაბინეტი როდი არის ჩვენი დედოფლის
ოთახი, სადაც თვალთმაქცური ნიღბის ტარება
საქებარია ზოგჯერ კიდეც. თქვენ შეკრთით უკვე?
სახეზე უცბად აილეწეთ? ო, რა თქმა უნდა,
ეინ იყო ისე გამბედავი, ჭკუამახვილი,
ისე მოცლილი, კარლოსისთვის რომ მოესმინა,

როდესაც მისგან შეუმჩნევლად თვლიდა თავის თავს?
ანდა სასახლის უკანასკნელ ბალზე ვინ ნახა,
კარლოსმა როგორ მიატოვა ცეკვის დროს ქალი,
გვირგვინოსანი მოცეკვავე, და მის მაგიერ
უცბად ებოლის გაუწოდა თავისი ხელი?
და ეს შეცდომა, უფლისწულო, თვითონ მეფემაც,
რომელიც იმ დროს შემოვიდა, მსწრაფლ შეამჩნია!

კ ა რ ლ ო ს ი

თვითონ მ ე ფ ე მ ა ც? მაგრამ ეს ხომ, კარგო პრინცესა,
განსაკუთრებით უცნაური არ იყო მ ი ს თ ვ ი ს?

პ რ ი ნ ც ე ს ა

ვით ის შემთხვევა, რაიც მოხდა ჩვენი სასახლის
სამლოცველოში და რომელიც დონ კარლოსს იქნებ
აღარც კი ახსოვს. თქვენ იყავით წმინდა ქალწულის
წინ დამხობილი, ჩაძირული მხურვალ ლოცვაში,
როცა უეცრად – ამაში რა დამნაშავე ხართ? –
თქვენს უკან ცნობილ ქალთ კაბებმა გაიშრიალა.
თრთოლვა დაიწყო დონ ფილიპეს მამაცმა ვაჟმა,
ისე ვით წმინდა სამსჯავროს წინ ერეტიკოსმა;
მის გაფითრებულ ბაგეებზე უეცრად შეწყდა
ვნების ცეცხლისგან მოშხამული ლოცვა-ვედრება.—
ამაღელვებელ ფარსს მოჰგავდა ეს, უფლისწულო!—
თქვენ ხელი სტაცეთ ღვთისმშობლის ხელს, ციხეს და
უწმინდესს,
და მარმარილოს დააფრქვიეთ ცრემლების წვიმა.

კ ა რ ლ ო ს ი

თქვენ უსამართლოდ ცილსა მწამებთ. ეს იყო მხოლოდ
ღვთისმშობლისადმი მოკრძალება, თაყვანისცემა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

მაშინ სხვა ამბავს გაგახსენებთ, ხელმწიფის შვილო...
ალბათ, ეს მაშინ მოხდა მხოლოდ წაგების შიშით,

როცა კარლოსი, დედოფალთან და ჩემთან მჯდარი,
კარტს თამაშობდა და საოცარ დახელოვნებით
მომპარა მან ეს ხელთათმანი...

(კარლოსი თავზარდაცემული წამოხტება)

რომელიც შემდეგ
ძირს ჩამოაგდო კარტის ნაცვლად თავაზიანად.

კ ა რ ლ ო ს ი

ო ღმერთო... ღმერთო... ღმერთო ჩემო! რა ვქენი მაშინ?

პ რ ი ნ ც ე ს ა

ვფიქრობ, ისეთი არაფერი, რომ აწ უარყოთ.
და როგორ შევკრთი სიხარულით, როს უცაბედად
თითებში მომხვდა მე წერილი, რომელიც ასე
მოხერხებულად გადამალეთ ამ ხელთათმანში.
წერილი კი ეს მგრძნობიარე რომანსი იყო,
რომელიც...

კ ა რ ლ ო ს ი
(სწრაფად შეაწყვეტინებს)

მხოლოდ პოეზია!.. სხვა არაფერი.
ჩემს ტვინზე ხშირად საოცარი ბუშტები ხოლმე
გამოსხდებიან და მაშინვე სკდებიან ისევ.
აი, ეს იყო ყველაფერი. ნულარას მეტყვით.

პ რ ი ნ ც ე ს ა

(გაოცებული გაეცლება პრინცს და რამდენიმე ხანს შორიდან
ათვალიერებს)

ძალა არ მყოფნის, ყველა ჩემი ცდა აისხლიტა
გველის ჭარიანით მოლიპულმა ობროდის კანმა.

(მცირე ხნის დუმილის შემდეგ)

ნუთუ ვაჟკაცის სიამაყე იგია მხოლოდ,
რომ ის სიმორცხვეს, როგორც ნიღაბს, საჭიროებდეს
და ამით დატკბეს უფრო მეტად?—ნუთუ ასეა?

(იგი კვლავ მიუახლოვდება პრინცს და ეჭვიანად ათვალიერებს.)

გადამიშალეთ თქვენი გული. მე თქვენს წინ ვდგევარ,
ვით გრძნეულ ხელით გადაკეტილ კარადის წინა,
და ყველა ჩემი გასაღები მღალატობს უკვე.

კარლოსი

როგორც მე ვდგევარ თქვენს წინაშე...

პრინცესა

(სწრაფად მიატოვებს პრინცს, რამდენჯერმე გაივლ-გამოივლის კაბინეტში და, ჩანს, რაღაც მნიშვნელოვანზე ფიქრობს; ბოლოს, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ლაპარაკობს სერიოზული და საზეიმო ტონით)

დე ასე იყოს...
თვითონ მე უნდა გამოგიტყდეთ. თქვენ აგირჩიეთ
ჩემს მოსამართლედ, რადგანაც ხართ კეთილშობილი
ადამიანი, მამაკაცი, რაინდი, პრინცი,
მინდა თქვენს მკერდზე მოვისვენო. თქვენ მე დამიხსნით,
ხელმწიფის შვილო, და ხსნა თუკი არ მიწერია,
ო, მაშინ ჩემზე თანაგრძნობით იტირეთ მაინც.

(პრინცი მიუახლოვდება თანამგრძნობელის გაკვირვებით და მოლოდინით)

მეფის თავხედი ფავორიტი რუი გომესი,
გრაფი დე სილვა, ჩემ ხელს ითხოვს, მეფე ფილიპეც
თანახმა არის, ამ საქმეზე მორიგდნენ უკვე
და მე მიმყიდეს ამ მედროვეს.

კარლოსი

(ძლიერ აღელვებული)

მაშ თქვენ მიგყიდეს?
ისევ მიგყიდეს? მაშ თქვენ უკვე გაყიდული ხართ
ამ მთელ სამხრეთში სახელგანთქმულ მოვაჭრის მიერ?

პრინცესა

ჯერ მომისმინეთ ყველაფერი. ის როდი კმარა,
რომ სახელმწიფოს პოლიტიკას შემწირონ მსხვერპლად,
საფრთხე მოელის ჩემს სინდისს და უმანკოებას...
აი, ამ ფურცელს შეუძლია შებღალვა მისი.

(კარლოსი ხელში აიღებს ქაღალდს და ისე დაძაბულად უსმენს პრინცესას, რომ ვეღარ იცლის წერილის წასაკითხად.)

ხსნა სადღა ვპოვო, უფლისწულო? ჩემს სათნოებას
ჩემი ქალური სიამაყე იცავდა დღემდე;
მაგრამ ბოლოს კი...

კარლოსი

თქვენ დაეცით, დაეცით უკვე?
ო, არა, არა! ღვთის გულისთვის! ნუ იზამთ.

პრინცესა

(ამაყად და ღირსებით)

ვისთან?
ეს საცოდავი ფანდი გახლავთ. უსუსურია
იგი ძლიერი სულებისთვის! ქალთ აწყალობლობას
და სიყვარულის ნეტარებას ნივთს ადარებენ
და მათ ერთნაირ ფასს ადებენ! მაგრამ იგი ხომ
ამ დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთადერთია,
რაიც სხვა მყიდველს ვერ მოითმენს, თვის თავის გარდა.
თვით სიყვარული არის ფასი სიყვარულისა.
ფასდაუდებელ ალმასს ჰგავს ის, რომელსაც მე ან
გ ა ვ ა ს ა ჩ უ ქ რ ე ბ, ან დ ა ვ მ ა რ ხ ა ვ მთლად ხელუხ-
ლებელს,
იმ უდიდესი ვაჭრის მსგავსად, ვინც ვერ მოხიბლა
რიალტოს ოქრომ და, მეფენი რომ შეერცხვინა,
თავის ძვირფასი მარგალიტი კვლავ მდიდარ ზღვაში
გადაისროლა, რადგან ისე ამაყი იყო,
რომ არ ისურვა დ ა ბ ა ლ ფასში გაცემა მისი.

კარლოსი

(მაღალ ღმერთს ვფიცავ, რომ ეს ქალი მშვენიერია!)

პრინცესა

დაე უწოდონ ამას ჟინი და ქედმაღლობა!
მე ჩემს სიბარულს არასოდეს დავანაწევრებ.

მხოლოდ ერთადერთ მამაკაცსა, არჩეულს ჩემგან,
მივცემ ყველაფერს ყველაფრისთვის. გავასაჩუქრებ
მხოლოდ ერთხელ და სამუდამოდ. ერთს გავხდი მხოლოდ
მე სიყვარულით ბედნიერსა — ერთს მარტოოდენ,
მაგრამ ეს ერთი თვით ღვთაება იქნება ჩემთვის.
თანხმოვანება სულთა ჩვენთა... ამბორი ერთი...
თვითონ მწყემსური სიხარულის წუთები ამო
და ჯადოსნობა ზეციური მშვენიერების
არიან მხოლოდ ერთი სხივის მსგავსი ფერები,
მხოლოდ ფურცლები მარტოოდენ ერთი ყვავილის
და ამ ყვავილის მშვენიერ ჯამს მე უგუნურმა
ყველა ფურცელი ნუთუ უნდა მოვწყვიტო ახლა
მხოლოდ იმისთვის, რომ ცალ-ცალკე გავასაჩუქრო?
ქალთა დიდება, უდიდესი ქმნილება ღმერთის,
ნუთუ თვითონვე უნდა ძალად დავამახინჯო,
რომ მე დავატკბო დარდიმანდის საღამო ამით?

კარლოსი

(არა არ მჯერა! როგორ? ნუთუ მადრიდში იყო
ასეთი ქალი, მაგრამ მე კი, მე კი პირველად
ეს დღეს გავიგე?)

პრინცესა

დავტოვებდი მე ამ სასახლეს,
მივატოვებდი ამ ქვეყანას, ჩემს ქალწულობას
წმინდა კედლებში დავმარხავდი; მაგრამ მე ერთი
რგოლი ჯაჭვისა მაკავებს კვლავ, რგოლი, რომელიც
ამ ქვეყანასთან მაკავშირებს ძლიერი ძალით.
ახ, იქნებ ვცდები, მეჩვენება! მაგრამ ის ძვირად
მიღირს. მე მიყვარს და არა ვარ შეყვარებული.

კარლოსი

(ცხოველი გრძნობით მიდის მასთან)

ვფიცავ ღვთაებას, რომ თქვენცა ხართ შეყვარებული
ენით უთქმელი სიძლიერით.

პრინცესა

თქვენ? მაშ თქვენ ჰფიცავთ?
ჩემმა მფარველმა ანგელოზმა წარმოსთქვა იგი.
დიახ, რაკი თქვენ ამაზე ჰფიცავთ, მეც მჯერა მაშინ,
შეყვარებული ვყოფილვარ მეც.

კარლოსი

(ძალიან ნაზად მოხვევს მკლავებს პრინცესას)

სულზე უტკბესო.
გრძნობით აღსავსე ქალიშვილო, თაყვანის ღირსო!
მე შენს წინ ვდგევარ მთლად სმენად და მზერად ქცეული,
შეპყრობილი ვარ აღტაცებით და განცვიფრებით.
ვით დაიქადებს, ვინც კი ნახავს ამ ღია ცის ქვეშ,
რომ მას ამქვეყნად [illegible] ჰყვარებია?
მაგრამ, ცოდვა ანგელოზო, აქ რას ეძიებ,
რა დაგრჩენია შენ ფილიპეს სასახლის კარზე?
აბა, რა გინდა [illegible] და მათ მიმდევრებთან?
ცუდი ჰავაა აქ ასეთი ყვავილებისთვის.
მათი მოწყვეტა მოისურვეს? მათ მოისურვეს...
ო, მე ეს მჯერა... მაგრამ არა! სიცოცხლეს ვფიცავ!
ხელს შემოგხვევ და ჩემს მკლავებზე გადასვენებულს
ჯოჯოხეთიდან გამოგიყვან. მიბოძე ნება,
რომ ვიყო შენი ანგელოზი.

[illegible]

პრინცესა

(სიყვარულით აღსავსე მზერით)

ო, კარლოს, კარლოს!
თურმე თქვენ კარგად არ გიცნობდით. როგორ
უსაზღვროდ,
რაოდენ უხვად აჯილდოებს მათ თქვენი გული,
რომელნიც უკვე მოიღალნენ მის მისაწვდომად.

(იღებს მის ხელს და სურს ეამბოროს)

კარლოსი

(ხელს უკან წაიღებს)

გონს მოდით.

პრინცესა

(ნაზად და მოხდენილად, დაჟინებით უცქერის მის ხელს)

ო, რა მშვენიერი და რა მდიდარი
არის ეს ხელი! მაგრამ ამ ხელს თან ახლავს კიდევ
ორი ძვირფასი საბოძვარი გაუცემელი:
კარლოსის გული და გვირგვინი, და ეს ორივე
იქნებ ერთ მოკვდავს ერგოს წილად? დიახ, ერთ
მოკვდავს!..
ეს უდიდესი, ღვთაებრივი საჩუქარია!
ძალზე დიდია იგი ერთი მოკვდავისათვის!
იქნება ფიქრობთ, პრინცო, თქვენ მათს განაწილებას?
დედოფლებს ცოდად უყვართ ხოლმე, უბრალო ქალს კი,
ვისაც ეს ძალუძს, გვირგვინისა არა ესმის რა.
უკეთესია, მეფის ძეო, გაანაწილოთ
ისინი ახლა, ო, ახლავე... როგორ? იქნება,
ეს უკვე კიდეც მოახდინეთ? ნუთუ ნამდვილად?
ან მე თუ ვიცნობ ამ ბედნიერს?

კარლოსი

დიახ, შენ იცნობ.
ქალწულო, მე შენ ყველაფერში გამოგიტყდები...
შენ გადაგიშლი ჩემი სულის უფიანკოებას,
ამ სასახლეში ერთადერთი, უპირველესი
და ღირსეული შენ მიმიხვდი. დაე იცოდე!
მე არ ვიცრუებ—დიახ, მიყვარს!

პრინცესა

ბოროტო კაცო!
ასე ძალიან გაგიჭირდა გამომეღალენება?
მაშ ცრემლის ღირსი უნდა ვიყო, თუკი ნამდვილად
ღირსად მთელი შენი სიყვარულის?

კარლოსი

(სახტად დარჩენილი)

როგორ? რას ამბობ?
ეს რასა ნიშნავს?

პრინცესა

ასე რატომ თამაშობთ ჩემთან?!
მეფის ძევ, მართლაც, ეს ამბავი კარგი არ იყო.
გასაღებზეც კი უარი სთქვით!

კარლოსი

ახ, გასაღები!

(ძლივს გაიხსენებს)

ჰო, მაშ ეს იყო... ახლა ვხედავ... ო ღმერთო ჩემო!

(მუხლები აუკანკალდება, სკამს დაეყრდნობა და სახეს ხელებში ჩაიმალავს.)

პრინცესა

(ხანგრძლივი დუმილი. უცებ პრინცესა ხმამაღლა წამოიყვირებს და ძირს დაეცემა)

საშინელია! ეს რა ვქენი! ო ღმერთო ჩემო!

კარლოსი

(გასწორდება, საშინელი გულისტკივილით)

როგორ დავმდაბლდი, გამიცრუვდა ყველა იმედი.
საზარელია!

პრინცესა

(სახეს ბალიშში ჩამალავს)

ღმერთო ჩემო! რად გავამეღალენე?

კარლოსი

(დამშვიდებული ებოლის ფერხთით)

პრინცესა, ბრალი არ მიმიძღვის... ეს მხოლოდ ვნება...
ეს ავბედითი შეცდომაა... მაღალ ღმერთს ვფიცავ!
მე დამნაშავე არ გახლავარ.

პრინცესა
(ხელს ჰკრავს)

შორს ჩემს თვალთაგან,
ღვთის გულისათვის...

კარლოსი

არასოდეს! არასდიდებით!
როგორ დაგტოვოთ ასე ძლიერ შეძრწუნებული?

პრინცესა
(ძალით მოიცილებს თავიდან)

დიდსულოვნების, სიბრალულის გამო, წაბრძანდით,
შორს ჩემს თვალთაგან!—ჩემი მოკვლა ხომ არა გნებავთ?
დასანახავად მეზიზღებით!

(კარლოსს სურს წასვლა)

ჩემი ბარათი
და გასაღები დამიბრუნეთ ახლავე უკან.
ის სხვა ბარათიც რა უყავით?

კარლოსი

რა სხვა ბარათი?
რომელ ბარათზე ლაპარაკობთ?

პრინცესა

მეფის ბარათზე.

კარლოსი

ვისი ბარათი?

პრინცესა

ცოტა ხნის წინ რომ გადმოგეცით-

კარლოსი

მეფის ბარათი? და მერე ვის? თქვენ?

პრინცესა

ღმერთო ჩემო!
როგორ საშინლად დავიბენი! წერილი ჩქარა!
მომეცით აქვე! ის წერილი მე უნდა მქონდეს.

კარლოსი

მეფის წერილი, და ისიც თქვენ?

პრინცესა

დიახ, წერილი!
ყველა წმინდანის გულისათვის!

კარლოსი

თვით ის, რომელიც
ააშკარავებს ჩემს წინაშე ხელმწიფის სინდისს?

პრინცესა

მე დავიღუპე!—მომეცით აქ!

კარლოსი

წერილი იგი...

პრინცესა

ეს რა გავბედე, ეს რა ვქენი მე უგუნურმა!

კარლოსი

თვით ის წერილი, ხელმწიფისგან თქვენ რომ მიიღეთ?
დიახ, პრინცესა, ეს ყველაფერს სულ სხვაგვარად
სცვლის.

(გამაჯვებული იერით უკავია წერილი მაღლაწეულ ხელში.)

ო, ეს წერილი ძვირფასია... უძვირფასესი...
მას თვით ფილიპეს გვირგვინები ვერ შეისყიდის.
ამ წერილს ჩემთვის შევინახავ.

(გადის)

პრინცესა
(გაეკიდება, რომ გზა გადაუღობოს)

მე დავიღუპე!

მეცხრე გამოსვლა

პ რ ი ნ ც ე ს ა

(რამდენიმე ხანს დგას თავზარდაცემული და დაბნეული. პრინცის წასვლის შემდეგ, იგი ისწრაფის უკან გამოეკიდოს მას და დააბრუნოს)

მეფის ძევ, კიდევ ერთი სიტყვა გთხოვთ მომისმინოთ...
იგი წავიდა! ვეზიზღები... მე აქა ვდგევარ
სრულიად მარტო, სამუდამოდ უარყოფილი.

(ჩაეშვება სავარძელში. პაუზის შემდეგ)

ო, არა! მხოლოდ დაჩაგრული მეტოქისაგან.
კარლოსს რომ უყვარს, აქ საეჭვო არაფერია.
ეს ხომ თვითონვე აღიარა. მაგრამ ვ ი ნ ა ა
ის ბედნიერი? ერთი რამ კი აშკარა არის:
მას იგი უყვარს, სიყვარული არ მართებს ვისიც.
გამჟღავნებისა ეშინია. მეფის წინაშე
მალავს თვის ვნებას. მაგრამ რატომ უმალავს იმას,
ვინც ამას თვითონ ისურვებდა? და თუ ის მამას
თავის მამაში სრულიადაც არ უფრთხის, მაშინ?
როცა შეიტყო მეფის ზრახვა, ესოდენ მრუში,
როგორ გაბრწყინდა მისი სახე, აღსავსე შვებით.
ილხენდა, როგორც ბედნიერი... ეს როგორ მოხდა,
რომ მასში მკაცრი სათნოება დადუმდა წამსვე?
სწორედ მაშინვე? სწორედ იმ წამს? ან რა შეეძლო
მოეგო ამით ხელმწიფის შვილს, როდესაც მეფე
თავის დედოფალს...

(უეცრად შეჩერდება, ერთი რომელიღაც აზრით განცვიფრებული... იმავე წუთს უბიდან ამოიღებს ლენტს, რომელიც მან კარლოსს გამოართვა, სწრაფად დააკვირდება და იცნობს.)

ო, გიჟი ვარ! ახლა კი მივხვდი,
ჩემთვის ცხადია... ან აქამდე სად მქონდა ჭკუა?
თვალი ახლაღა ამეხილა... მათ ერთმანეთი
უყვარდათ ადრე, ვიდრე მეფე ცოლს შეირთავდა.
მეფის ძე ჩემში მხოლოდ ი მ ი ს სახეს ხედავდა,
მ ა ს ზ ე ფიქრობდა, როს მე მწამდა, თითქოს ვუყვარდი
ასე გულთბილად, ასე ძლიერ, ასე უსაზღვროდ.

ო მოტყუებავ, სასტიკო და უმაგალითო!
დედოფალსაც რომ გამოვუტყდი ჩემ სისუსტეში!..

(დუმილი)

რომ მას უყვარდეს დედოფალი მთლად უიმედოდ?
მე ეს არ მჯერა... სიყვარული, იმედის გარე,
დამარცხდებოდა ამ ბრძოლაში. გამარჯვება იქ,
სად უდიდესი ხელმწიფეც კი ამა ქვეყნისა
ამაოდ ოხრავს... ჭეშმარიტად! ასეთი მსხვერპლი
არ გაიცემა უიმედო სიყვარულისთვის.
რა მწველი იყო მისი კოცნა! ო, როგორ ნაზად,
როგორ სათუთად მიხუტებდა თვის მფეთქავ გულთან!..
ეს ძლიერ, ძლიერ გაბედული გამოცდა იყო
რომანტიკული, უიმედო ერთგულებისთვის.
გასაღებს იღებს და ჰგონია ეს გასაღები
მას დედოფალმა გაუგზავნა მსახურის ხელით.
და სიყვარულის ამ უდიდეს ნაბიჯის სჯერა...
აქეთ ისწრაფის, აქეთ მოდის, მოდის ნამდვილად!
სწამს, ამ სიგიჟეს რომ ჩაიდენს ფილიპეს ცოლი.
ვით გაბედავდა, თუ არ ჰქონდა თანხმობა მისი?
აშკარა არის—ელისაბედს კარლოსი უყვარს!
ზენაარს ვფიცავ, ეს წმინდანიც სიყვარულსა გრძნობს!
როგორ ცბიერი არის იგი!.. და მე კი ვთრთოდი
ამ სათნოების კეთილშობილ საფრთხობელას წინ,
ჩემს გვერდით იდგა უმაღლესი არსება ქვეყნის;
მის შუქში ჩავქრი. მშურდა მისი მშვენიერების
ესოდენ მშვიდი გულგრილობა, თავისუფალი
მოკვდავ სულების ყოველგვარი მღელვარებისგან.
და ეს სიმშვიდე იყო მხოლოდ მოჩვენებითი?
მას ერთდროულად ორ სუფრასთან განცხრომა სურდა?
მოჩვენებითი სათნოების ღვთაებრივ შუქით
იყო მოსილი და თან ასე ჩუმად უნდოდა,
გულის ცოდვიან აღტკინებით რომ დამტკბარიყო?
ეს შეიძლება? მოახერხებს თვალთმაქცი ისე,
რომ ამისთვის არ დაისაჯოს?.. არა, ღვთის მადლმა!

მას ვაღმერთებდი... ეს მოითხოვს შურისძიებას!
მეფემ შეიტყოს ეს ღალატი... დიახ, ნამდვილად ..

(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

ეს გზა სწორია... მბრძანებელის ყურთან მიმიყვანს.

ოთახი მეფის სასახლეში

მეათე გამოსვლა

დ ო მ ი ნ გ ო

თქვენ რა გნებავდათ ჩემთვის გეთქვათ?

ა ლ ბ ა

დღეს მოვახდინე
მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომლის შესახებ
თქვენს განმარტებას ვისურვებდი.

დ ო მ ი ნ გ ო

რა აღმოჩენა?
რას შეეხება თქვენი სიტყვა?

ა ლ ბ ა

პრინცი კარლოსი
და მე ერთმანეთს შევხვდით დღესა, ჟამს შუადღისას,
წინა ოთახში დედოფლისა. მან მომაყენა
შეურაცხყოფა. ჩვენ გავცხარდით. ცოტა ხმამაღლა
შევეკამათეთ ერთმანეთსა. ხმლებს ხელი ვიღლეთ.
ხმაურობაზე დედოფალმა თვისი ოთახის
კარი გააღო, სწრაფად ჩადგა ჩვენ შორის იგი
და პრინცს შეხედა განდობილი და მკაცრი თვალით...
ეს მზერა იყო რაღაც სულ სხვა, გასაოცარი...
პრინცს მკლავი წამსვე გაუშეშდა... გადამეხვია...
ვიგრძენი მისი ცხელი კოცნა... და იგი სწრაფად
გაუჩინარდა.

დ ო მ ი ნ გ ო

(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

ეს ძალიან საეჭვო არის.
ჰერცოგო, რაღაც მომაგონეთ. მსგავსი აზრები,
გამოგიტყდებით, წარმოიშვნენ დიდი ხნის წინათ
ამ ჩემს გულშიაც... მაგრამ მე მათ ვდევნიდი მუდამ...
ისინი არვის არ გავანდე. ძლიერ ვუფრთხოდი
ქვეყნად ორლესულ იარაღს და ორპირ მეგობრებს.
ძნელია კაცთა განსხვავება ერთმანეთისგან,
ხოლო იმათი გამოცნობა კი—უფრო ძნელი.
შეურაცხყოფილ თანამზრახველს ჰგავს ჩვენი სიტყვა,
ამიტომ ჩემი საიდუმლო გულს დავიმარხე,
სანამდე დრო მას სინათლეზე არ გამოიტანს;
საშიშარია სამსახური ხელმწიფეთადმი...
და გაბედული ნასროლი კი მსროლელსვე ხვდება...
ამას წმინდანთა ნაწილებზეც დავიფიცავდი...
მაგრამ ჩვენებას დამსწრისას და ყურმოკრულ სიტყვას,
ერთ ფურცელ ქაღალდს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ,
ვიდრე ჩემს გრძნობას... ჰოი, როგორ სამწუხაროა,
რომ ესპანეთში ვიმყოფებით.

ა ლ ბ ა

რად ბრძანებთ ამას?

დ ო მ ი ნ გ ო

სხვა სასახლეში ამგვარ ვნებას დაივიწყებდნენ,
აქ კი საშინელ კანონთაგან ის უნდა ძრწოდეს.
მე მტკიცედ მწამს, რომ დედოფლები ესპანეთისა
ძნელად სცოდავენ, მაგრამ, მათდა საუბედუროდ,
მხოლოდ ესაა, სწორედ ესა, რაც გვიადვილებს
მათ კვალს მივაგნოთ და უეცრად თავზარი დავცეთ.

ა ლ ბ ა

ისმინეთ შემდეგ... დღეს კარლოსი მიიღო მეფემ.
თითქმის ერთ საათს გრძელდებოდა შეხვედრა მათი.

ნიდერლანდიის მფარველობას სთხოვდა ის მეფეს.
სთხოვდა ხმამაღლა, გაცხარებით. მე კაბინეტში
მესმოდა მათი ლაპარაკი. კარლოსს თვალები
დასწითლებოდა ცრემლისაგან, როს კართან შევხვდი-
შუადღისას კი მოზეიმე სახით გამოჩნდა,
აღტაცებული იყო თითქოს, რომ მე ხელმწიფემ
მას მამჯობინა. „მადლობა მას“, თქვა უფლისწულმა,
„აწ სულ სხვაგვარად, უკეთესად წავიდა საქმე“.
კარლოსს არ ძალუძს თვალთმაქცობა... ვით შევათავსო
ვითარებანი ერთმანეთის წინააღმდეგი?
პრინცს უხარია, რომ მეფე მას უკან აყენებს,
მე კი ხელმწიფე განრისხებულ სახით მიცხადებს
თვის მოწყალებას... რაღა უნდა ვიფიქრო ახლა?
ეს წარჩინება, ჭეშმარიტად, მოაგავს უფრო
ძალით განდევნას სამშობლოდან, ვიდრე წყალობას.

დ ო მ ი ნ გ ო

ნუთუ აქამდე, მაშ აქამდე მივიდა საქმე?
და ერთმა წამმა დაამსხვრია აწ ყველაფერი,
რაც ჩვენ ვაშენეთ მთელი წლების განმავლობაში?
თქვენ კი მშვიდად ხართ? ასე მშვიდად? იცნობთ თუ არა
ამ ახალგაზრდას? გრძნობთ, რა ბედი მოგველის მაშინ,
როდესაც იგი გამეფდება?.. ხელმწიფის შვილი...
— არა, მე არ ვარ მისი მტერი. სხვა საზრუნავი
მაფორიაქებს, საზრუნავი ღვთისთვის, ტახტისთვის,
ეკლესიისთვის. პრინცს კი (ვიცნობ, მე ჩავწვდი მის
სულს,)
ფრიად საშიში განზრახვა აქვს. გახსოვს ტოლედო?..
მას საშინელი განზრახვა აქვს: სურს იმეფოს და
სარწმუნოებას ანგარიში არ გაუწიოს.
გული ეკითება მას ახალი სათნოებისთვის,
რომელიც—მტკიცე, ამაყი და თვითკმაყოფილი—
სარწმუნოებას არაფერს სთხოვს... იგი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ს!
მას ტვინი უხურს უცნაური ქიმერისაგან...

დიდ პატივსა სცემს ადამიანს... ჰერცოგო ალბა,
თუ გამოდგება ის ჩვენს მეფედ?

ა ლ ბ ა

ფუჭი ოცნება!
სხვა რაა ვითომ? ეგ ჭაბუკის ზვიადობაა!
როლის თამაში უნდა ალბათ, თუ რჩება კარლოსს
სხვა არჩევანი? ეგ ოცნება გაუვლის მალე,
როდესაც მისი მბრძანებლობის დადგება რიგი.

დ ო მ ი ნ გ ო

არა მგონია. ის ამაყობს თავისუფლებით,
ვერ მიეჩვია ჯერ მონობას, რომლითაც უნდა
იგივ მონობა მოისყიდოს... ივარგებს იგი
ჩვენი ტახტისთვის? მისი სული გოლიათური
მთლიანად შესცვლის ჩვენი წყობის მიმართულებას.
ამაოდ ვცადე ავხორცობით მოქანცვა მისი.
მან ეს გამოცდა ჩააბარა. საშიშარია
ასეთი სული ამ სხეულში... და ფილიპე კი
მალე სამოცის შესრულდება.

ა ლ ბ ა

თქვენი თვალები
ძლიერ შორს სწვდება.

დ ო მ ი ნ გ ო

უფლისწული და დედოფალი
ერთსულოვანნი არიან და, თუმცა ფარულად,
ორივეს გულში შეიპარა სიახლის შხამი;
მაგრამ ის მალე დაიკავებს უდიდეს ადგილს
და ესპანეთის სამეფო ტახტს დაეუფლება.
მე კარგად ვიცნობ ამ ვალუებს. ეს მშვიდი მტერი
ჩვენზე სასტიკად შურს იძიებს, როცა ფილიპე
დაუძლურდება სიბერისგან. ბედი ჯერ კიდევ

ჩვენს მხარეზეა. სჯობს ზომები მივიღოთ ადრე.
ერთი მარყუჟით ორივენი უნდა გავგუდოთ...
ერთი ნიშანიც მეფისათვის საკმარისია,
თუნდა დამტკიცდეს თუნდა არა — ეს სულერთია...
თუ ის დაეჭდვა, ჩვენ ამითი მოვიგებთ ძლიერ...
ხოლო ჩვენ ხომ ეს სრულებითაც არ გვეეჭვება.
ის, ვისაც სჯერა, დაარწმუნებს ადვილად სხვასაც.
ჩვენ, რა თქმა უნდა, აღმოვაჩენთ ბევრ რამეს კიდევ,
ოღონდ დავრწმუნდეთ, დავრწმუნდეთ, რომ ეს საჭიროა.

ალბა

მაგრამ აქ კითხვა იბადება მნიშვნელოვანი:
თავზე ვინ იდებს, რომ ეს მეფეს შეატყობინოს?

დომინგო

არც თქვენ და არც მე. მაშ იცოდეთ, ჰერცოგო ალბა,
ის, რასაც დიდხანს ჩემი მშვიდი, ბეჯითი შრომა
უდიდეს გეგმით ამ მიზნისკენ მიაჩქარებდა.
კიდევ აკლია კავშირს ჩვენსას მესამე პირი —
მნიშვნელოვანი პიროვნება... ხელმწიფეს ჩვენსას
უყვარს ებოლი... მე ამ ვნებას ვზრდი და ვამხნევებ,
რადგან ის ჩემი განზრახვისთვის სასარგებლოა.
მე ვარ ხელმწიფის მოციქული — ებოლი ჩვენი
გეგმებისათვის გამოვზარდე... თუ მოვახერხე,
ეს ახალგაზრდა ბანოვანი უნდა შეიქნეს
ჩვენი ერთგული მოკავშირე და დედოფალი.
ამ ოთახშიაც ახლა თვითონ ებოლიმ მიხმო.
მე იმედი მაქვს ყველაფრისა... იქნებ ზვიადი
ვალუას მოდგმის ის შროშანა ამ ესპანელმა
ქალწულმა მოსრას ერთ ღამეში.

ალბა

ეს რაღა მესმის?
მაშ მართალია, რაც გავიგე? — ო ღმერთო ჩემო!

დიდად მანცვიფრებს! აი, მართლაც ნამდვილი დარტყმა!
დომინიკანელო, შენი ჭკუით დიდად მაოცებ,
ახლა კი ბრძოლა ჩვენ მოვიგეთ.

დომინგო

წყნარად! ვინ მოდის?
ეს იგი არის... თვითონ იგი.

ალბა

მე ამ მეზობელ
ოთახში გავალ და როდესაც...

დომინგო

კარგით. მოგიხმობთ.

(ჰერცოგი ალბა გადის.)

მეთერთმეტე გამოსვლა

პრინცესა. დომინგო.

დომინგო

მხადა ვარ თქვენდა სამსახურად, ჩემო პრინცესა.

პრინცესა

(ცნობისმოყვარეობით გააყოლებს თვალს ჰერცოგს)

სულ მარტონი ვართ? როგორც ვხედავ, აქ თქვენ გყოლიათ
კიდევ სხვა მოწმეც!

დომინგო

როგორ?

პრინცესა

აბა, ვინ იყო იგი,
ახლა აქიდან რომ წავიდა?

დ ო მ ი ნ გ ო

ჰერცოგი ალბა.
ჩემს მერე თქვენს წინ წარმოდგომის ნებართვას ითხოვს.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ჰერცოგი ალბა? რა სურს ნეტავ? რა შეუძლია
ისურვოს ალბამ? იქნებ იცით და შეგიძლიათ
თქვენ ეგ მაუწყოთ?

დ ო მ ი ნ გ ო

მე? და ნუთუ ამას გავბედავ
მანამდე, ვიდრე არ შევიტყობ: რა მნიშვნელოვან
შემთხვევის გამო მეძლევა ეს დიდ ხნის ნანატრი
ბედნიერება, რომ კვლავ წარვდექ ებოლის წინა?

(პაუზა, რომლის დროსაც დომინგო ელოდება პრინცესას პასუხს)

ხომ არ აღმოჩნდა ისეთი რამ, ბოლოს და ბოლოს,
მეფის სურვილთა სასარგებლოდ რომ მეტყველებდეს?
განა ტყუილად მწამდა, რომ თქვენ უკეთ განსჯიდით
და მიიღებდით ჩვენი მეფის წინადადებას,
რომელსაც მხოლოდ ჯიუტობით უკუაგდებდით?
მე აღსავსე ვარ მოლოდინით...

პ რ ი ნ ც ე ს ა

უკანასკნელი
ჩემი პასუხი გადაეცით ხელმწიფეს ჩვენსას?

დ ო მ ი ნ გ ო

ჯერ დავაყოვნე სასიკვდილოდ დაკოდვა მისი,
ჯერ კიდევ დროა, მოწყალეო ჩემო პრინცესა;
კვლავ შეგიძლიათ შეარბილოთ პასუხი თქვენი.

პ რ ი ნ ც ე ს ა

მეფეს აცნობეთ, რომ მას ველი.

დ ო მ ი ნ გ ო

მაშ შემიძლია
მე ეს სიმართლედ მივიჩნიო, ტურფა პრინცესა?

პ რ ი ნ ც ე ს ა

არ გეხუმრებით! ღმერთმანი, თქვენ მთლად შემაშინეთ.
როგორ? ისეთი აბა ახლა რა ჩავიდინე,
რომ თვითონ თქვენც კი, თვითონ თქვენც კი გაფითრ-
დით ასე?

დ ო მ ი ნ გ ო

არ მოველოდი... ველარ ძალმიძს ამის გაგება,
ჩემო პრინცესა...

პ რ ი ნ ც ე ს ა

დიახ, დიახ, წმინდაო მამავ,
ამის გაგება არცა გმართებთ. თუნდ მთელი ქვეყნის
ელადიდებაც კი მოეცათ, არ ვისურვებდი
თქვენ ეს შეგეტყოთ. თქვენთვის კმარა, რომ ეს ასეა.
და ნურასოდეს ნუ ეცდებით გამოარკვიოთ,
ვის სიტყვებს უნდა უმადლოდეთ ამ ცვლილებისთვის.
თქვენს სანუგეშოდ მხოლოდ დავსძენ, რომ ამ ცოდვაში
წილი არ გიდევთ, ეკლესიაც უცოდველია.
თუმც მიმტკიცებდით, თითქოს იყოს შესაძლებელი
ის შემთხვევებიც, როცა თვითონ ეკლესიაც კი
დიად მიზნისთვის მსხვერპლად სწირავს ქალწულთა
სხეულს.
ო, მაგრამ არა. ამნაირი საღმრთო საბუთი
მიუწვდომელი არის ჩემთვის.

დ ო მ ი ნ გ ო

სიამოვნებით
ვიბრუნებ უკან, თუ ის ახლა ზედმეტი გახდა.

პრინცესა

და ჩემს მაგიერ მეფეს სთხოვეთ, ეს საქციელი
არ ჩამომართვას სხვანაირად. რაც უწინ ვიყავ,
იგი ვარ ახლაც, მხოლოდ საქმის მდგომარეობა
მას შემდეგ უკვე შეიცვალა. როდესაც მისი
წინადადება უარვყავი მე აღშფოთებით,
მაშინ მწამდა, რომ მშვენიერი დედოფლის ხელში
ის ბედნიერი იყო დიდად და რომ ერთგული
მისი მეუღლე ღირსი იყო ჩემი მსხვერპლისა.
ასე მჯეროდა ეს მე მაშინ... მაშინ... ახლა კი.
ახლა ეს უფრო კარგად ვიცი...

დომინგო

განაგრძეთ! მერე?
პრინცესა, მგონი, ერთმანეთის ჩვენ კარგად გვესმის.

პრინცესა

მხილებულია იგი ახლა! არც შევიბრალებ!
ცბიერი ქურდი გაბმულია მახეში უკვე.
მეფე, მე, მთელი ესპანეთი მან მოგვატყუა.
მას უყვარს. ვიცი, რომ მას უყვარს! მე წარმოვუდგენ
ისეთ საბუთებს, რომელნიც მას აათრთოლებენ!
მოტყუებული არის მეფე, მაგრამ, ღმერთმანი,
ის შურს იძიებს დედოფალზე. მე ჩამოვაგლეჯ
არამქვეყნიურ უარყოფის უწმინდეს ნიღაბს,
რომ ცოდვილ სახით წარდგეს იგი ქვეყნის წინაშე,
საშინელ ფასად დამიჯდება ეს ყველაფერი,
მაგრამ მე ისღა მაღფრთოვანებს და სიხარულს მგვრის,
რომ მას მოუწევს უფრო დიდი ფასის გადახდა.

დომინგო

ახლა მომწიფდა ყველაფერი. ნება მიბოძეთ,
რომ ჰერცოგს ვუხმო.

(გადის.)

პრინცესა
(გაკვირვებული)

ეს რას ნიშნავს?

მეთოთხმეტე გამოსვლა

პრინცესა. ჰერცოგი ალბა. დომინგო.

დომინგო
(რომელსაც ჰერცოგი შემოჰყავს)

ჰერცოგო ალბა,
ჩვენმა ცნობებმა აქ ძალიან დაიგვიანა.
თვითონ პრინცესა გაგვიმხელს ჩვენ იმ საიდუმლოს,
რაც ჩვენგან უნდა გაეგო მას.

ალბა

ჩემი სტუმრობა
ოდესაღაც ნუ განაცვიფრებს პრინცესას ჩვენსას,
ვერ ვერწმუნები მე ჩემ თვალებს. ამგვარი საქმის
აღმოჩენისთვის საჭიროა დიაცის თვალი.

პრინცესა

აღმოჩენაო?—თქვენ ასე სთქვით...

დომინგო

გვინდა ვიცოდეთ,
ჩვენო პრინცესა, თუ რომელი დრო და ადგილი
იქნება თქვენთვის უმჯობესი...

პრინცესა

კეთილი! მაშინ
ხვალ შუადღისას სასახლეში დაგელოდებით.
მიზეზიცა მაქვს, რომ მე ახლა აღარ დავმალო
ეს საიდუმლო, უდიდესი სასჯელის ღირსი...
ერთ, აწ ვეღარ დავუმალავ მე ამას მეფეს.

ა ლ ბ ა

აქ სწორედ ამან მომიყვანა. უნდა ახლავე
შეიტყოს მეფემ ეს ამბავი. და თვითონ თქვენგან
უნდა შეიტყოს, თვითონ თქვენგან. თორემ, აბა, სხვას
ვის დაუჯერებს იგი უფრო, თუ არა თვისი
ცოლის მკაცრ და ფრთხილ მეგობარ ქალს?

დ ო მ ი ნ გ ო

ვის ერწმუნება
ის უფრო მეტად, თუ არა მას, რომელსაც ძალუძს,
რა წამს ისურვებს, მბრძანებელი შეიქნეს მისი?

ა ლ ბ ა

აშკარა მტერი ვარ პრინცისა.

დ ო მ ი ნ გ ო

კარგა ხანია
სწორედ ამასვე გულისხმობენ ჩემს შესახებაც.
ამისგან მხოლოდ ებოლია თავისუფალი.
იქ, სად ჩვენ გვმართებს გაჩუმება, თქვენ სამსახურის
მოვალეობა გაიძულებთ ილაპარაკოთ.
მეფე ხელიდან ვერ წაგვივა, როს იმოქმედებს
თქვენი ნათქვამი გადაკრულად. ამის შემდეგ კი
საქმეს ჩვენ თვითონ დავასრულებთ.

ა ლ ბ ა

მაგრამ უეცრად,
ახლავე უნდა მოხდეს ესა. ერთი წამიც კი
ძვირფასი არის. ყოველ საათს მოახლოებულს
ძალუძს ბრძანება მომიტანოს გამგზავრებისა.

დ ო მ ი ნ გ ო

(რამდენიმე ხნის დაფიქრების შემდეგ მიმართავს პრინცესას)
ნუთუ ვერ შევძლებთ, წერილები ჩავიგდოთ ხელში?

პრინცის ბარათი მოახდენდა გავლენას მასზე...
ბა დაეფიქრდეთ... ხომ სწორია? მგონი თქვენ გძინავ
ერთ საღამოში დედოფალთან.

პ რ ი ნ ც ე ს ა

არა, მახლობლად.
მაგრამ ეს რისთვის დამჭირდება?

დ ო მ ი ნ გ ო

არავინაა
ისეთი ეინმე, საკეტების გაეგებოდეს?
თუ შეგინიშნავთ, სად ინახავს ელისაბედი
თავის ზარდახშის გასაღებსა?

პ რ ი ნ ც ე ს ა
(დაფიქრდება)

ამას კი მართლა
შეეძლო ჩვენი დახმარება... ჰო, მაგ გასაღებს,
მგონი, ვიპოვით.

დ ო მ ი ნ გ ო

ერთმანეთთან წერილთა გზავნა
შიშრიკებს ითხოვს... დედოფალს ჰყავს ამალა დიდი...
და აქ რომ ვინმე წასწყდომოდა რაიმე კვალსა...
ოქროს ბევრი რამ შეუძლია...

ა ლ ბ ა

ვერვინ შენიშნა,
პრინცს განდობილი არავინ ჰყავს?

დ ო მ ი ნ გ ო

არ ც ე რ თ ი კაცი,
არ ც ე რ თ ი კაცი მთელს მადრიდში.

ა ლ ბ ა

უცნაურია!

დ ო მ ი ნ გ ო

მე დამერწმუნეთ. ეზიზღება მთელი სასახლე.
მოწმე ვყოფილვარ ამ ამბისა მე არაერთხელ.

ა ლ ბ ა

როგორ იქნება? სწორედ ახლა მე გამახსენდა,
როცა დედოფლის სავანიდან გამოვდიოდი,
მის პაჟთან იდგა უფლისწული და საიდუმლოდ
ლაპარაკობდნენ...

პ რ ი ნ ც ე ს ა
(სწრაფად შეაწყვეტინებს)

არა, არა! სულ სხვა რამეზე,
სულ სხვა რამეზე საუბრობდნენ.

დ ო მ ი ნ გ ო

საიდან ვიცით...
არა, საეჭვო არის დიდად ეს ვითარება.

(ჰერცოგს)

თქვენ იმ პაჟს იცნობთ?

პ რ ი ნ ც ე ს ა

ეს ბავშვური გართობა გახლავთ!
სხვა რა იქნება? კარგად ვიცი. საკმარისია!
მაშ, მეგობრებო, ჩვენ ერთმანეთს კიდევა ვნახავთ,
ვიდრე მეფესთან ვისაუბრებ. ამასობაში
კიდევ ბევრი რამ აღმოჩნდება.

დ ო მ ი ნ გ ო
(გაიყვანს კუთხეში)

მაშ ჩვენ ხელმწიფეს
იმედი ჰქონდეს? მართლა? ძალმიძს ეს მას ვაუწყო?
ან რომელ ნეტარ საათს ძალუძს, რომ აღასრულოს
მისი სურვილი? შეიძლება ახლავე მითხრათ?

პ რ ი ნ ც ე ს ა

ადრე გავხდები ამ დღეებში; დედოფლისაგან
განმაშორებენ — ასეთია ჩვენი სასახლის
ზნე-ჩვეულება, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ.
და მე დავრჩები ჩემს ოთახში.

დ ო მ ი ნ გ ო

მშვენიერია!
მოგებულია უდიდესი თამაში უკვე.
ვი დედოფალს...

პ რ ი ნ ც ე ს ა

ჩუ! ხმა მესმის. მე მკითხულობენ.
თვით დედოფალი მიხმობს ალბათ. ახლა ნახვამდის.

(აჩქარებით გადის.)

მეცამეტე გამოსვლა

ა ლ ბ ა. დ ო მ ი ნ გ ო.

დ ო მ ი ნ გ ო

(პაუზის შემდეგ, რომლის დროსაც მან თვალი გააყოლა პრინცესას)
ჰერცოგო ალბა, ეს ვარდი და თქვენი ბრძოლები...

ა ლ ბ ა

და შენი ღმერთი... ვერ შემაკრთობს ახლა თვით მეხიც,
რომელიც ასე გვემუქრება განადგურებით.

(გადიან.)

კარტეზიანთა მონასტერში

მეთრამეტე გამოსვლა

დ ო ნ კ ა რ ლ ო ს ი. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი.

კ ა რ ლ ო ს ი

(შემოდის წინამძღვართან ერთად)

მაშ ის აქ იყო? ძლიერ ვწუხვარ, რომ ვერა ვნახე.

წინამძღვარი

დღეს დილას აქეთ იგი უკვე მესამედ იყო.
ერთი საათის წინ წავიდა.

კარლოსი

არ დაბრუნდება?
ხომ არაფერი დაგაბარათ გადმოსაცემად?

წინამძღვარი

კიდევ მოვალო შუადღემდე—ასე შემპირდა.

კარლოსი

(მიდის სარკმელთან და ათვალიერებს ადგილმდებარეობას)

ეს მონასტერი გზიდან ძლიერ შორს მდებარეობს.
იქ ჩანს კოშკები მადრიდისა, ხოლო აქეთ კი
მიმდინარეობს მანსარესი—ო, როგორ მომწონს
მე ეს ადგილი, აქ ყოველგან სიწყნარე სუფევს,
თითქოს მოცულა ყველაფერი იდუმალებით.

წინამძღოლი

და თითქოს არის შესასვლელი სხვა ცხოვრებაში.

კარლოსი

თქვენს ერთგულებას მივანდე მე, წმანდაო მამავ,
რაც ჩემთვის მეტად ძვირფასია, წმიდათა წმიდა.
დაე ვერც ერთმა მოკვდავმა ვერ გაიგოს, ვისთან
ვსაუბრობდი მე საიდუმლოდ. ძალიან ბევრი
მნიშვნელოვანი მიზეზი მაქვს, რომ განვერიდო
ქვეყნის წინაშე, იმას, ვისაც მე ველოდები;
სწორედ ამისთვის ავირჩიე ეს მონასტერი.
აქ ხომ არ უნდა გვეშინოდეს რამე ღალატის
და თავდასხმისა? თქვენ ხომ გახსოვთ, რაც შემომფიცეთ?

წინამძღვარი

მოგვენდეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მეფეთა ეჟვი
ერუ საფლავებში არ დაიწყებს რაიმის ძებნას.
ცნობისმოყვარე ყური კაცთა მიპყრობილია
ბედნიერების და ვნებათა კარებზე მხოლოდ.
ქვეყნის ხმაური აქ თავდება, ამ კედლებს შიგნით.

კარლოსი

იქნება ფიქრობთ, რომ ამ შიშში, ამ სიფრთხილეში
იმალებოდეს დამნაშავე სინდისი ჩვენი?

წინამძღვარი

მე არაფერსაც არა ვფიქრობ.

კარლოსი

სცდებით, მამაო,
ნამდვილად სცდებით. საიდუმლო ჩემი თრთის მხოლოდ
კაცთა წინაშე, მაგრამ ღვთის კი არ ეშინია.

წინამძღვარი

ეგ, ჩემო შვილო, ჩვენ გვაწუხებს ძალზე ნაკლებად.
ცოდვილთათვისაც, ისე როგორც უცოდველთათვის,
ეს მონასტერი ღია არის; რაც განგიზრახავთ,
კარგია იგი თუ ცუდია, წმინდაა იგი
თუ ბიწიერი—გადაწყვიტოს შენმავე გულმა.

კარლოსი
(გულთბილად)

რასაც ჩვენ ვმალავთ, იგი თქვენ ღმერთს არ შეურაცხ-
ყოფს.
ეს თვითონ მისი მშვენიერი ქმნილება გახლავთ.
თუმც ძალმიძს ეს თქვენც გაგიმხილოთ.

წინამძღვარი

რატომ, რისათვის?
დამიხსენით მე მაგისაგან, ხელმწიფის შვილო.

ქვეყანას და მის სამკაულებს დიდი ხანია
გამოვეთხოვე, ახლა სხვა გზით მივემგზავრები.
და მოკლე ვადით, ჩემს წასვლამდე, ახლა რისათვის
უნდა გავტეხოთ ჩემი აღთქმა? ფრიად მცირე რამ
არის საჭირო საუკუნო ნეტარებისთვის.
ზარებს რეკავენ. სალოცავად უნდა წავიდე.

(წინამძღვარი გადის.)

მეთხუთმეტე გამოსვლა

დონ კარლოსი. მარკიზ პოზა შემოდის.

კარლოსი

ახ, როგორც იქნა, ისევ შეგხვდი...

მარკიზი

ეს მოლოდინი
რარიგად სტანჯავს მოუთმენელ გულს მეგობრისას,
მზე უკვე ორჯერ აღმობრწყინდა და ჩაესვენა
იმის შემდეგ, რაც გადაწყვიტეს კარლოსის ბედი,
მე კი პირველად მხოლოდ ახლა მოვისმენ ამას...
მითხარ, შერიგდით?

კარლოსი

ვინ?

მარკიზი

შენა და მეფე ფილიპე.
ამასთანავე ხომ გადაწყდა ფლანდრიის საქმეც?

კარლოსი

რომ იქ ჰერცოგი ხვალე დილით გაემგზავრება?—
დიახ, გადაწყდა.

მარკიზი

არ იქნება, ვერ გერწმუნები,
მთელი მადრიდი უნდა დარჩეს მოტყუებული?

ამბობენ, თითქოს საიდუმლო აუდიენცია
გქონდა მეფესთან და ხელმწიფე...

კარლოსი

ვერ დავითანხმე.
ერთურთს დავცილდით უარესად წაკიდებულნი,
ვიდრე ოდესმე ჩვენ ვყოფილვართ.

მარკიზი

მაშ ფლანდრიაში
აღარ მიდიხარ?

კარლოსი

არა! არა!

მარკიზი

ვაი ჩემს იმედს!

კარლოსი

ეს სხვათა შორის. ო როდრიგო, რაც შენ დაგცილ
რა არ ვიგრძენ და განვიცადე მე იმის შემდეგ!
მაგრამ ჯერ რჩევა უნდა გკითხო! მე უნდა იმას
ველაპარაკო...

მარკიზი

ვის? დედაშენს?.. არა!.. რისათვის?

კარლოსი

მე იმედი მაქვს... შენ ფითრდები? დამშვიდდი, მარ
მე ბედნიერი უნდა ვიქნე, ვიქნები კიდეც...
მაგრამ ამაზე შემდეგ ვეტყვი. მირჩიე ახლა,
ვით შევძლო მასთან საუბარი.

მარკიზი

ეს რაღას ნიშნავს?
რას ემყარება ეს ახალი შენი ოცნება?

კ ა რ ლ ო ს ი

ზენაარს ვფიცავ, ეს არაა ოცნება მხოლოდ!
ეს სიმართლეა, სინამდვილე, ჭეშმარიტება!

(ამოიღებს მეფის წერილს პრინცესა ებოლისადმი)

ამ მნიშვნელოვან ფურცელშია ის დამალული!
აწ დედოფალი არის უკვე თავისუფალი,
თავისუფალი ზეცისა და კაცთა წინაშე.
ჰა, წაიკითხე და შეწყვიტე ეგ განცვიფრება.

მ ა რ კ ი ზ ი

(ხსნის წერილს)

ამას რას ვხედავ? თვით ხელმწიფის ხელით ნაწერი?

(წერილის წაკითხვის შემდეგ)

ვის სწერს ამ ბარათს?

კ ა რ ლ ო ს ი

ვის?—პრინცესას. დედოფლის პაჟმა
გუშინწინ ჩემთან მოიტანა ერთი ბარათი,
უცნობი ხელით დაწერილი, და გასაღებიც.
მე მანიშნებდნენ, რომ სასახლის მარცხენა ფრთაზე,
იქ, სადაც ცხოვრობს დედოფალი, კაბინეტია,
იქ შელის ერთი ბანოვანი, ვინც ძლიერ მიყვარს,
და მეც მაშინვე მივყევ ნიშანს.

მ ა რ კ ი ზ ი

გიჟო, წახველი?

კ ა რ ლ ო ს ი

ხელი ვერ ვიცან დამწერისა. ვიცნობდი მხოლოდ
ერთ ასეთ ასულს. ვის შეეძლო, თუ არა იმას,
თავისი თავი მიეჩნია კარლოსის სატრფოდ?
ნეტარებისგან რეტდასხმული მივქროდი იქით;
უეცრად მესმის ოთახიდან ღვთიური ჰანგი,
სიმღერა იგი წინ მიმიძღვის... კარი შევაღე...
და ვისა ვხედავ?.. იგრძენ ჩემი საშინელება!

მ ა რ კ ი ზ ი

ო, მე ელეონორს ვხედავ ახლა.

კ ა რ ლ ო ს ი

ელეონორი

ვერ დამიხსნიდა სამუდამო დაღუპვისაგან,
რომ ანგელოზის ხელებში არ მოვხვედრილიყავ-
ო უბედური შემთხვევაა! ჩემი თვალების
დუდუკელარი ენისაგან მოტყუებული,
იგი მიეცა ტკბილ ცდუნებას იქამდისაც კი,
რომ თავის თავი მიიჩნია ამ მზერის კერპად.
ალელეებული ჩემი სულის მშვიდი ტანჯვისგან,
დიდსულოვნურად, განუსჯელად ალაპარაკდა
მისი გული და სიყვარული გამომიცხადა.
თავგანისცემამ მე დუმილი მიბრძანა, მას კი
გაბრაზებულობა აღმოაჩნდა მის დასარღვევად—
და ჩემს წინაშე გადაშალა ლამაზი სული...

მ ა რ კ ი ზ ი

და შენ კი ამას ასე მშვიდად მომითხრობ ახლა?.-
მან გამოგიცნო, შენ სულს ჩასწვდა. უეჭველია,
ის ჩასწვდა შენი სიყვარულის საიდუმლოსაც.
შენ ის საშინლად შეურაცხყავ. იგი კი მეფის
მბრძანებელია.

კ ა რ ლ ო ს ი

(დარწმუნებით)

ის სათნოა.

მ ა რ კ ი ზ ი

სათნოა იგი
მხოლოდ თავისი სიყვარულის ანგარებისგან...
ამ სათნოებას კარგად ვიცნობ და მეშინია;
როგორ შორსაა ებოლი იმ იდეალისგან,
რაც სულიერი, დედობრივი საფუძველიდან

ჩასახულია მშვენიერ და ამაყ გრაციად,
და თავისუფლად, თვით მებაღის დაუხმარებლად
იზრდება, ჰყვავის, იფურჩქნება. ეს უცხო რტოა,
ყალბი სამხრეთის მკაცრ ჰავაზე რომ აღიზარდა.
აღზრდას თუ პრინციპს, როგორც გინდა, უწოდე ამას
და ქვეყანაზე მ ო პ ო ვ ე ბ უ ლ უ მ ა ნ კ ო ე ბ ა ს,
რომელსაც სისხლმა მიაღწია უმძიმეს ბრძოლით
და ცბიერები, მიაწერენ სამართლიანად
ზეცას, რომელიც სთხოვს და უხდის მას ერთნაირად.
თვითონ დაფიქრდი! აპატიებს განა ოდესმე
იგი დედოფალს, რომ საკუთარ ბრძოლით მოხვეჭილ
ამ სათნოებას ჩაუაროს ვაჟკაცმა ახლოს
და იგი მაინც დონ ფილიპეს მეუღლისათვის
მთლად უიმედო სიყვარულის ცეცხლით იწვოდეს?

კ ა რ ლ ო ს ი

პრინცესას ასე კარგად იცნობ?

მ ა რ კ ი ზ ი

ო, სულაც არა!
მე იგი მხოლოდ ორჯერ ვნახე. მაგრამ ჯერ კიდევ
ეს ერთი სიტყვა მათქმევინე: მე მომეჩვენა,
რომ კარგად შესძლო მან აშკარა ცოდვის მიჩქმალვა,
კარგად იცოდა მან თავისი უმანკოებაც.
შემდეგ მე ვნახე დედოფალიც. ო ჩემო კარლოს,
როგორ სულ სხვაა ყველაფერი, რაც აქ შევნიშნე!
მშვიდ და ბუნებით თანდაყოლილ სიდიადეში,
იგი, არმცნობი უზრუნველი ქარაფშუტობის
და კაცთ ზრდილობის ზომიერი ანგარიშისა,
გამბედაობის და შიშისგან ერთგვარ მანძილით
დაშორებული, გმირული სვლით მიემართება
ადამიანთა ჩ ვ ე უ ლ ებ ი ს ვიწრო ბილიკზე
და არც კი იცის, რომ, ვით ქალღმერთს, იქ თაყვანს
სცემენ,

სად მოწონებაც კი არასდროს დასიზმრებია.
ჩემი კარლოსი ამ სარკეში თუ გამოიცნობს
პრინცესას სახეს? ის მხნედ იდგა, რადგან უყვარდა;
თვით სიყვარული იყო იმის სათნოებაში
შიგ ჩაქსოვილი, ვით პირობა გარდაუვალი.
ახლა კი იგი შენ უარჰყავ—ის დაეცემა.

კ ა რ ლ ო ს ი
(ოდნავი გაცხარებით)

ო, არა! არა, გეუბნები.

(აღელვებული დაიარება წინ და უკან)

ჩემმა როდრიგომ
ნეტავ იცოდეს, ვით არ შვენის, რომ მან კარლოსი
გაქურდოს ახლა ამ ღვთაებრივ ნეტარებისგან,
მოჰპაროს რწმენა ადამიანთ სრულქმნილებაზე!

მ ა რ კ ი ზ ი

მე ვიმსახურებ ამ საყვედურს? — ბრა, ძვირფასო,
ეს არა მსურდა, ვფიცავ ღმერთსა, ზეცაში მყოფელს! —
ო, ეს ებოლი — იყოს მართლაც თუნდ ანგელოზი,
მეც მის წინაშე შენებრ კრძალვით დავემხობოდი,
ოღონდაც შენი საიდუმლო მას არ გაეგო.

კ ა რ ლ ო ს ი

ეგ შენი შიში ამაოა! თუ აქვს რაიმე
სხვა საბუთები, გარდა ამის, რაც მასვე არცხვენს?
ნუთუ იყიდის იგი თვისი პატიოსნებით
შურისძიების ამ მწუხარე სიამოვნებას?

მ ა რ კ ი ზ ი

სირცხვილისაგან გაწითლების ასაცილებლად,
ბევრმა ხომ უკვე თვით ამ სირცხვილს ამსხვერპლა თავი.

კ ა რ ლ ო ს ი
(გაცხარებით წამოდგება)

არა, ეს ძალზე სასტიკია და ულმობელი!
ებოლი მეტად ამაყია, კეთილშობილი;
მას კარგად ვიცნობ და არაფრის არ მეშინია.
ამაოდ ცდილობ, შეარყიო ჩემი იმედი.
მე მსურს დედაჩემს ვესაუბრო.

მ ა რ კ ი ზ ი

ახლა? რისათვის?

კ ა რ ლ ო ს ი

ამიერიდან აღარავის არ შევიცოდებ..
უნდა გავიგო ჩემი ბედი. იზრუნე მხოლოდ,
როგორ შევიძლო მისი ნახვა.

მ ა რ კ ი ზ ი

და ეს წერილიც
გინდა აჩვენო? ნამდვილად გსურს?

კ ა რ ლ ო ს ი

ნუ მკითხავ მაგას.
საშუალება გამოძებნე, საშუალება,
რომ მას შევხვდე და ვესაუბრო!

მ ა რ კ ი ზ ი
(მრავალმნიშვნელოვნად)

შენვე არ მითხარ,
რომ დედაშენი ძლიერ გიყვარს?.. ნუთუ შენ გინდა,
რომ ეს ბარათი მას აჩვენო?
(კარლოსი ძირს იკურება და სდუმს.)

მე შენს სახეზე
ჩემთვის სრულიად რაღაც ახალს, უცხოს ვკითხულობ,
რაც დღემდე ჯერ არ შემინიშნავს.—თვალსაც მარიდებ?

და მერე რატომ მარიდებ თვალს? მაშ მართალია?
მაშ მე ნამდვილად წავიკითხე? აბა, მაჩვენე...
(კარლოსი მისცემს წერილს. მარკიზი მას დახვევს)

[illegible]
წიგნი №
[illegible]

კ ა რ ლ ო ს ი

რა? შეიშალე?
(ზომიერი გრძნობიერებით)

დიახ, მართლაც, — გამოგიტყდები —
ბარათი ჩემთვის იყო დიდად მნიშვნელოვანი.

მ ა რ კ ი ზ ი

ასე გეგონა. მეც ამიტომ დავხიე იგი.
(მარკიზი გამგზირავი თვალით უყურებს პრინცს, რომელიც მას სასოწარკვეთილი შესცქეროის. ხანგრძლივი დუმილი)

მაგრამ მითხარ, რა საერთოა შენს სიყვარულს და
ჩვენი დედოფლის სარეცელის შებღალვას შორის?
ან ფილიპე ხომ არ გაშინებს? როგორ იქნება,
რომ მაგ გაბედულ შენს იმედებს დაუკავშირდეს
მეუღლის მიერ დარღვეული მოვალეობა?
მან იქ შესცოდა, სად შენ გიყვარს? ახლა კი კარგად
გაგიცან მე შენ; აქამდე კი რა ძლიერ ცუდად
ესმოდა შენი სიყვარული, ძვირფასო კარლოს!

კ ა რ ლ ო ს ი

როგორ, როდრიგო? რასა ფიქრობ?

მ ა რ კ ი ზ ი

აწ კარგად ვიცი,
თუ რაზეც უნდა ვთქვა უარი. უწინ კი, უწინ
სხვაგვარად იყო ყველაფერი. შენ მაშინ იყავ
ერთობ მდიდარი და ცხოველი სულის პატრონი!
სიელი სამყარო ეტეოდა შენს ფართო გულში.
ახლა კი გაქრა ყველაფერი, ის შთანთქა ვნებამ
და საცოდავმა ანგარებამ შენი გულისამ,
სრულად გაპარტახდა ახლა იგი. მას აღარ ძალუძს

ერთი ცრემლიც კი, ერთი ცრემლი გამოიმეტოს
პროვინციელთა მწარე ბედის დასატირებლად.
ო კარლოს, როგორ დაგლახაკდი შენ იმის შემდეგ.
როცა საკუთარ თავის გარდა აღარვინ გიყვარს.

კ ა რ ლ ო ს ი

(ჩაეშვება სავარძელში... პაუზის შემდეგ, ძლივს იმაგრებს ცრემლებს)

ვიცი, რომ პატივს აღარა მცემ.

მ ა რ კ ი ზ ი

არც ასე, კარლოს!
მე ამ აღგზნებას კარგად ვიცნობ, ეს იყო მხოლოდ
დაბნეულობა კეთილშობილ შენთა გრძნობათა.
შენ გეკუთვნოდა დედოფალი, წარგტაცა მეფემ...
შენ კი უფლებებს შენსას დღემდე არ ენდობოდი.
იქნებ ფილიპე იყო ღირსი ამ უფლებათა?
მხოლოდ ხმადაბლა ძლივს წარმოსთქვი აწ შენი მსჯავრი.
საქმე წ ე რ ი ლ მ ა გადაწყვიტა. შენ ღირსი იყავ.
აწ კი ზვიადი აღტაცებით ამოიკითხე
მტაცებლობაში მხილებული ტირანის ბედი.
ილხენდი, რაკი დაჩაგრულად იგრძენი თავი,
უსამართლობის მოთმინება დიად სულს ხიბლავს,
მაგრამ აქ კი შენს ფანტაზიას გზა აებნია.
კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა იგრძნო შენმა სიამაყემ და
შენი გული კი დ ა ი მ ე ე დ ა; შეხე, მცოდნია
იგი, რაც ახლა შენ თვითონვე არც კი გესმოდა.

კ ა რ ლ ო ს ი

(აღელვებული)

არა, როდრიგო, ძლიერ სცდები. ასე ძალიან
კეთილშობილი არ ყოფილა ფიქრები ჩემი,
როგორც შენ გინდა დამარწმუნო.

მ ა რ კ ი ზ ი

განა მე ასე
ცუდად გიცნობ შენ? თვითონ ხედავ, ძვირფასო კარლოს
როდესაც გზიდან გადასაცდები, ყოველთვის ვცდილობ,
რომ შენს ასეულ სიკეთიდან გამოვარჩიო
ერთი და იმას დავაბრალო შეცდომა შენი.
ახლა კი, მგონი, უკეთ გვესმის ერთმანეთისა.
დე ასე იყოს! დედოფალთან შენ ისაუბრებ.

კ ა რ ლ ო ს ი

როგორ ვწითლდები შენს წინაშე.

მ ა რ კ ი ზ ი

მე სიტყვა მოგეც.
აწ ყველაფერი წარმომიდგა სულ სხვანაირად.
ჩემს ფანტაზიას ერთი აზრი წარმოესახა:
გასაოცარი, ჭკვიანური და გაბედული.—
შენ მას მოისმენ მშვენიერი ბაგეებისგან.
დიახ, მივაღწევ დედოფლამდე და შეიძლება
ხელვე გაცნობო ყველაფერი ამის შესახებ.
მანამდე კი შენ, ჩემო კარლოს, არ დაივიწყო,
რომ „გეგმა, მაღალ გონებისგან მოფიქრებული,
ქაცთა ენებებმა რაც არ უნდა შეავიწროვონ,
ათიათასჯერ სცადონ მისი განადგურება,
არ შეიძლება უკუვაგდოთ!“—გესმის თუ არა?
მუდამ გახსოვდეს შენ ფლანდრია!

კ ა რ ლ ო ს ი

და ყველაფერი,
რასაც მაღალი სათნოება და შ ე ნ მიბრძანებთ.

მ ა რ კ ი ზ ი

(მიდის ფანჯარასთან)

დრო დაგვიმთავრდა. მესმის, შენი ამალა მოდის.

(ერთმანეთს ეხვევიან)

ახლა შენ ისევ პრინცი ხარ და მე—ქვეშევრდომი.

კარლოსი

მაშ შენ ახლავე ქალაქისკენ გაემგზავრები?

მარკიზი

ახლავე წავალ.

კარლოსი

მომისმინე ეს ერთი სიტყვაც!
თქმა კინაღამ არ დამავიწყდა. ერთი ძალიან
მნიშვნელოვანი ცნობა გახლავს: ნიდერლანდებში
გასაგზავნ წერილთ ხელმწიფე ხსნის. ფრთხილად იყავი!
ვიცი, რომ ფოსტას სამეფოსას ნაბრძანები აქვს...

მარკიზი

საიდან იცი?

კარლოსი

დონ რაიმონდ ფონ ტაქსის ჩემი
მეგობარია გულითადი.

მარკიზი

(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

რაღა იქნება!
მაშინ წერილებს გავაგზავნით გერმანიაზე.
(გადიან სხვადასხვა კარიდან.)

მესამე მოქმედება

მეფის საწოლი ოთახი

პირველი გამოსვლა

[illegible]ის მაგიდაზე ორი სანთელი ანთია. ოთახის სიღრმეში სძინავს მუხლე[illegible]
[illegible]ზე რამდენიმე პაუს. ცალი ხელით სავარძელზე დაყრდნობი[illegible]
[illegible]ად გახდილი მეფე ჩაფიქრებული დგას მაგიდასთან, მის წინ აწყ[illegible]
მედალიონი და ქაღალდები.

მეფე

[illegible]ერ მეეჭვება, მეოცნებე რომ იყო წინათ!
[illegible]ი დედოფლის გულს სიყვარული ვერ შთავუნერგე.
ნუთუ ოდესმე იგი ამას საჭიროებდა?
[illegible]ეწ კი ჩანს, რომ ის ცბიერია.

[illegible]ულად ამოძრავდება და გამოერკვევა. გაოცებული მაღლა თავს ასწ[illegible]

სად ვიყავ ახლა?
ნუთუ ირავინ აღარ ფხიზლობს აქ მეფის გარდა?
როგორ? ჩამწვარა ნუთუ უკვე ყველა სანთელი?
უკვე გათენდა? გარდასულა მაშ ჩემი ძილიც.
[illegible], ბუნებავ, ნამდვილ ძილად მიიღე ესეც.
[illegible], ხელმწიფეს იმისათვის სადა სცალია,
რომ დაკარგული ღამეები დაიბრუნოს მან.
[illegible] გათენდეს, რადგან მღვიძავს.

(სანთლებს ჩააქრობს და გასწევს სარკმლის ფარდას. წინ და უკან სიარულის დროს შეამჩნევს მძინარე ბიჭებს და რამდენიმე ხანს მდუმარედ უცქერის მათ. შემდეგ რეკავს)

იქნება ახლა
წინა დარბაზშიც ასე სძინავთ?

მეოთხე გამოსვლა

მეფე. გრაფი ლერმა.

ლერმა
(გაოცდება, მეფეს რომ დაინახავს)

ცუდად ბრძანდებით,
ჩემო ხელმწიფეო?

მეფე

იქ, მარცხენა პავილიონში
სინათლე ენთო. ხმაურობა ხომ არ გსმენიათ?

ლერმა

არა, ხელმწიფეო.

მეფე

როგორ არა? მაშ დამესიზმრა?
არ შეიძლება, ეს შემთხვევით რომ მომხდარიყო.
იმ კუთხეში ხომ დედოფალი იძინებს ხოლმე?

ლერმა

დიახ, ხელმწიფეო!

მეფე

ეს სიზმარი ძალიან მზარავს.
გააორმაგეთ იქ დღეიდან გუშაგთა რიცხვი,
გესმით? მაშინვე, რაწამსაც კი შემოღამდება.
გამომცდელ თვალით რად მიცქერით?

ლერმა

მე კარგად ვხედავ
ანთებულ თვალებს, მოსვენებას რომ თხოულობენ.
ძალმიძს გავბედო, გაგახსენოთ ჩვენთვის ძვირფასი
თქვენი სიცოცხლე, გაგახსენოთ ხალხები თქვენი,
რომელნიც ფრთხილი განცვიფრებით წაიკითხავენ
მეფის სახეზე ამ უძილო ღამეების კვალს...
რომ მოგესვენათ ორიოდე საათით მაინც...

მეფე
(დაბნეული ხმერით)

ძილს, მოსვენებას მე ვიპოვი ესკურიალში...
როს მეფეს სძინავს, შეიძლება დაკარგოს ამით
თვისი გვირგვინი და, ვით ქმარმა, მეუღლის გულიც..
არა! ესაა მაბეზღრობა, ცილისწამება!
განა ის თვითონ დედაკაცი არ იყო, ვინც მე
ამბავი ესე ჩამჩურჩულა? ყველა დედაკაცს
ცილისწამება ჰქვია მხოლოდ. ამ დანაშაულს
ვერ დავიჯერებ, ვიდრე კაცი არ დამიმტკიცებს.

(პაჟს, რომელმაც ამ დროს გამოიღვიძა)

მოუხმეთ ჰერცოგს!

(პაჟი გადის)

გრაფო ლერმა, მომიახლოვდით!
ეს მართალია?

(შეჩერდება და გამომცდელი თვალით დააკვირდება გრაფს)

ნეტავ ვიყო თუნდ ერთი წამით
გულთამხილავი!.. შემომფიცეთ, მართალი არის?
მაშ მომატყუეს? მომატყუეს? ეს მართალია?

ლერმა

ჩემო ძვირფასო, დიდო მეფეო...

მ ე ფ ე

მეფე და მეფე!
მხოლოდ მეფე და კიდევ მეფე! სხვა უკეთესი
პასუხი ნუთუ არაფერი მოგეპოვებათ
ამ ცარიელი ექოს გარდა? მე ვურტყამ კლდესა
და წყალს ვთხოულობ, გესმით, წყალსა!--წყურვილი
მახრჩობს...
კლდე კი წყლის ნაცვლად მოვარვარე ოქროს მთავაზობს.

ლ ე რ მ ა

რა უნდა იყოს, ჩემო მეფევ, ნეტავ მართალი?

მ ე ფ ე

ო, არაფერი, არაფერი. დამტოვეთ, წადით!
(გრაფს სურს წავიდეს. მეფე კვლავ უკან მოუბრუნდება.)
ცოლიანი ხართ? შვილებიც გყავთ?

ლ ე რ მ ა

დიახ, ხელმწიფევ.

მ ე ფ ე

მაშ ცოლი გყავთ და მაინც ბედავთ, რომ მთელი ღამე
თქვენს ხელმწიფესთან გაათიოთ? ეგ თმა ვერცხლისფრად
გაგთეთრებიათ და სირცხვილით არც კი წითლდებით,
რომ ერწმუნებით ერთგულებას თქვენი ცოლისას?
წაბრძანდით შინ და იქ იხილავთ მეუღლეს თქვენსას
სისხლით შერეულს თვით თქვენივე საკუთარ შვილთან.
წადით, ერწმუნეთ თქვენს ხელმწიფეს... რატომ
განცვიფრდით?
იქნებ იმიტომ, რომ ჭალარა თმას მეც ვატარებ?
ჭკუაზე მოდით, უბედურო! თვის სათნოებას
არ შებღალავენ დედოფლები ასე ადვილად.
ვაი თქვენ, თუკი დაეჭვდებით...

ლ ე რ მ ა
(გაცხარებით)

და ეს ვის ძალუძს?
ჩემი ხელმწიფის სამეფოში ვინაა ასე
უტიფარი და კადნიერი, გესლიან ეჭვით
ანგელოზისებრ სათნოებას რომ გაეკაროს?
რომ საუცხოო დედოფალი...

მ ე ფ ე

საუცხოოო?
მაშ, გრაფო ლერმა, ის თქვენთვისაც საუცხოოა?
ეხედავ, ჭყოლია მეგობრები ჩემს ამალაშიც.
ეს ძვირად უნდა დასჯდომოდა მას, მეტად ძვირად,—
იმაზე მეტად, ვიდრე ძალუძს გაცემა თვითონ.
გათავისუფლებთ... შემოვიდეს ჰერცოგი ალბა.

ლ ე რ მ ა

წინა დარბაზში უკვე მესმის ფეხის ხმა მისი.
(ემზადება წასასვლელად)

მ ე ფ ე
(შერბილებული კილოთი)

გრაფო, რაც წელან შემამჩნიეთ, მართალი იყო.
ღამის გატეხით თავი მიხურს... გთხოვთ დაივიწყოთ,
რასაც ვბოდავდი ცხად სიზმარში. გესმით თუ არა?
გთხოვთ დაივიწყოთ... მე ვარ თქვენი მოწყალე მეფე.
(ელს გაუწვდის სამოხვევად. ლერმა მიდის და კარს უღებს ჰერცოგ ალბას.)

მესამე გამოსვლა

მ ე ფ ე დ ა ჰ ე რ ც ო გ ი ა ლ ბ ა.

ა ლ ბ ა
(უახლოვდება ხელმწიფეს უნდობლად)

ბრძანება ჩემთვის ასე ძლიერ მოულოდნელი
და მერე ისიც ასე ფრიად უჩვეულო ყამს.
(შეკრთება, როდესაც მეფეს დააკვირდება.)
ეს თქვენი სახე...

მ ე ფ ე

(დაჯდება და მაგიდიდან მედალიონს აიღებს. დიდხანს უცქერის ჰერცოგს მდუმარედ)

მართალია? მაშ მართალია?
ალარავინ მყავს მე ერთგული მსახური?

ა ლ ბ ა

(დგას შეძრწუნებული)

როგორ?

მ ე ფ ე

ო, მე საშინლად შეურაცხმყვეს... სხვებმა იცოდნენ
და მე კი არვინ გამაფრთხილა!

ა ლ ბ ა

(გაოცებით)

მაშ შეურაცხყვეს
ჩემი ხელმწიფე და ეს ჩემ თვალს გამოეპარა?

მ ე ფ ე

(უჩვენებს ბარათს)

იცნობთ თქვენ ამ ხელს?

ა ლ ბ ა

დონ კარლოსის ნაწერი გახლავთ.

მ ე ფ ე

(პაუზა, რომლის დროსაც მეფე ჰერცოგს დაჟინებით აცქერდება)

და ახლაც კიდევ ვერ მიმხვდარხართ მაინც ვერაფერს?
თქვენ მაგონებდით შვილის პატივმოყვარეობას
და მაფრთხილებდით, მაგრამ ნუთუ ეს იყო მხოლოდ,
რისაც მე უნდა მშინებოდა?

ა ლ ბ ა

მაგ სიტყვას დიდი
მნიშვნელობა აქვს და ჩვენ ძალგვიძს დაუსრულებლად
მასში ბევრი რამ ვიგულისხმოთ.

მ ე ფ ე

მაშ დაწვრილებით
სხვას ველარაფერს გამიმეღავნებთ?

ა ლ ბ ა

ჩემო ხელმწიფევ,
ეს სახელმწიფო თქვენ მიანდეთ სიფხიზლეს ჩემსას
და მის წინაშე მოვალეც ვარ ჩემი შორსმჭვრეტელ
ჭკუით და ცოდნით. მაგრამ ის კი, რასაც მე ვხვდებ
ეფიქრობ თუ ვიცი, მხოლოდ ჩემი საკუთრებაა.
ეს უწმინდესი ქონებაა, რაც ნაყიდ მონას,
ისე ვით ვასალს, შეუძლია დამალოს ჩუმად
ამ დედამიწის მეფეთაგან და უფლებაც აქვს...
ჯერ ყველაფერი, რაც ცხადია ჩემი სულისთვის,
ჩემი მეფისთვის საკმაოდ არ მომწიფებულა.
და თუ მას მაინც სურს დამკითხოს, მე უნდა ვთხოვ
რომ არა მკითხოს, როგორც მეფემ.

მ ე ფ ე

(აძლევს წერილს)

ჰა, წაიკითხეთ.

ა ლ ბ ა

(წაკითხვის შემდეგ შეშინებული შეხედავს მეფეს)

ნეტავ ვინ იყო აგრე შმაგი, რომ საშინელი
ბარათი ესე ჩემი მეფის ხელებს გადმოსცა?

მ ე ფ ე

როგორ? მაშ იცით, შინაარსი ვისაც გულისხმობს?
მგონი, სახელი შიგ არაა მოხსენებული.

ა ლ ბ ა

(შემკრთალი უკან დაიხევს)

ძალზე ვიჩქარე.

მ ე ფ ე

მაშ თქვენ იცით?

ა ლ ბ ა

(რამდენიმე ხნის ფიქრის შემდეგ)

უკვე გამჟღავნდა,
მეფე მიბრძანებს—აღარ ძალმიძს უკან დახევა...
ველარ ვიცრუებ... დიახ, ვიცნობ ამ პიროვნებას.

მ ე ფ ე

(წამოდგება საშინელი მოძრაობით)

ო, შემეწიე, შურისგების სასტიკო ღმერთო,
რომ მოვიგონო სასიკვდილო ტანჯვა ახალი!..
ისე აშკარად, ისე ცხადად სცოდნია ყველას,
რომ თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია,
წამსვე ხვდებიან ყოველგვარი კვლევის გარეშე;
მეტისმეტია, არ ვიცოდი მე ეს აქამდე!
დღესღა შევიტყვე მე ყველაზე უკანასკნელმა!
უკანასკნელმა თვალუწვდენელ ჩემს სამეფოში...

ა ლ ბ ა

(დაემბობა მეფის წინ)

დამნაშავე ვარ, მოწყალეო ჩემო ხელმწიფევ,
მრცხვენია ჩემი მხდალი ჭკუის, რომელიც დუმილს
მირჩევდა მე იქ, სადაც მეფის პატიოსნება,
ჭეშმარიტება და სიმართლე ვალად მდებდა
მე თქვენს წინაშე გაბედულად ამეტყველებას.
რადგან ყველა სდუმს და რადგანაც ყოველ მამაკაცს
ენა დაუბა ჯადოსნურმა მშვენიერებამ,
მაშინ გავბედავ მოგახსენოთ, თუმც ისიც ვიცი,
რომ თქვენი შვილის შემპარავი ფიცი, რწმუნება,
რომ ჯადოსნური, მომხიბლავი მშვენიერება
და ცხარე ცრემლი დედოფლისა...

მ ე ფ ე

(სწრაფად და ცხარედ)

ადექით ფეხზე,
მეფური სიტყვა მომიცია... ადექით ფეხზე.
ილაპარაკეთ გაბედულად.

ა ლ ბ ა

(წამოდგება)

ჩემო ხელმწიფევ,
იქნება გახსოვთ ის შემთხვევა, არანახუესის
ბაღში რომ მოხდა. დედოფალი იქ მარტო ჰპოვეთ,
სრულიად მარტო, სეფე ქალთგან მიტოვებული,
შორს, განაპირა ხეივანში, დაბნეულ სახით...

მ ე ფ ე

ჰა! რას მოვისმენ ნეტავ კიდევ? განაგრძეთ, ალბა!

ა ლ ბ ა

თქვენ მონდეკარი გააძევეთ სახელმწიფოდან,
რადგან აღმოჩნდა იგი ისე დიდსულოვანი,
რომ აჩქარებით შეეწირა დედოფალს მსხვერპლად...
ახლა შევიტყვეთ ყველაფერი... მარკიზას თურმე
ჩაუდენია ეს დედოფლის ბრძანებისამებრ.
ხელმწიფის შვილი იქ ყოფილა,

მ ე ფ ე

(წამოხტება საშინელი სახით)

იქა ყოფილა?
მაშასადამე...

ა ლ ბ ა

კაცის კვალი ნახეს სილაზე.
იგი დაიწყო ხეივანში მარცხენა მხარის
შესასვლელიდან და მღვიმესთან გაუჩინარდა,
სადაც იპოვეს ხელმანდილი უფლისწულისა
და ეჭვიც წამსვე სწორედ ამან გამოიწვია.
ბაბალე შეხვდა ხელმწიფის შვილს სწორედ იმავ დროს,
სწორედ იმ წუთას, როცა თქვენი უდიდესობა
იმ ხეივანში შემოვიდა.

მ ე ფ ე

(წუხარე ფიქრებიდან გამორკვეული)

ის კი ატირდა,
როცა შევხედე გაოცებით! და გამაწითლა
მან მე სირცხვილით თვით ჩემივე ამალის წინა.
ჩემი თავისა შემრცხვა მაშინ... ო ღმერთო ჩემო!
განსჯილი ვიდექ მე დედოფლის სათნოების წინ.

(ხანგრძლივი და ღრმა დუმილი. მეფე დაჯდება და სახეს ხელებში ჩამალავს.)

დიახ, ჰერცოგო... მართალი ხართ... ამ ამბავს ძალუძს
მე საზარელი საქმე რაღაც ჩამადენინოს,
მარტო დამტოვეთ ერთი წუთით.

ა ლ ბ ა

ჩემო ხელმწიფევ,
ეს თავისთავად ჯერ მთლიანად ვერა სწყვეტს საქმეს.

მ ე ფ ე

(ხელს სტაცებს ქაღალდებს.)

მაშ ესაც არა? ესაც არა? არც ხმამაღალი
შეთანხმებული ღაღადი ამ წყეულ საბუთთა?
ო, ეს ამბავი ნათელ დღეზე უნათლესია.
კარგა ხანია მე ვიცოდი ეს წინასწარვე.
ეს შეცოდება დედოფალმა დაიწყო მაშინ,
როს თქვენი ხელით ჩამაბარეთ მადრიდში იგი.
მახსოვს, რარიგად შემკრთალმა და გაფითრებულმა
ჩემს ჰალარაზე შეაჩერა მან თვისი მზერა.
მაშინ დაიწყო ეს თამაშიც ესოდენ ყალბი!

ა ლ ბ ა

ხელმწიფის შვილმა ახალგაზრდა დედინაცვალში
მსხვერპლად გაწირა სანუკვეელი საცოლო თვისი.
სურვილით იყვნენ თავიდანვე შეერთებულნი,
ერთიმეორეს გულმხურვალედ თანაუგრძნობდნენ,
რაც აუკრძალა ვითარებამ ახლად შექმნილმა.

მაგრამ დამარცხდა შიში მალე, შიში, რომელიც
მუდამ თანა სდევს გრძნობის პირველ აღიარებას,
და ამეტყველდა მაცთურობა უფრო თამამად,
მათთვის ახლობელ სურათების მოგონებებში.
შეთანხმებულნი ასაკით და შეხედულებით,
ძალმომრეობით ერთნაირად აღშფოთებულნი
ვნებათა ღელვას გაბედულად დაემორჩილნენ;
მათ სიყვარულს ხომ პოლიტიკამ მოუღო ბოლო.
ვინ დაიჯერებს, ხელმწიფეო, რომ დედოფალი
სამეფო საბჭოს იმ უფლებას მეტ პატივსა სცემს,
რაც ვნებათ ღელვას, აუხორცობას შეავიწროვებს?
და დააფასებს კაბინეტის არჩევნებს უფრო?
ის აქ სიყვარულს მოელოდა, მაგრამ მიიღო
მხოლოდ გვირგვინი.

მ ე ფ ე

(შეურაცხყოფილი, გამწარებით)

ძლიერ, ძლიერ გრძნულადა მსჯელობთ,
ჰერცოგო ალბა, და ეგ თქვენი მჭერმეტყველება
ძალზე მაოცებს. დიდად გმადლობთ.

(ადგება, ცივად და ამაყად)

თქვენ მართალი ხართ,
დიდად შესცოდა დედოფალმა, რომ ამ ბარათის
შინაარსი არ გამომხილა და დამიმალა
არანხუესის ბაღში პრინცის გამოცხადება.
ცრუ სულგრძელობამ შეცოდება ჩაადენინა.
მე თვითონ დავსჯი ამის გამო.

(ზარს რეკავს)

ვინაა კიდევ
წინა დარბაზში?—თქვენ კი ახლა, ჰერცოგო ალბა,
ალარ მჭირდებით, გთხოვთ წაბრძანდეთ.

ა ლ ბ ა

იქნება ჩემი
გულმოდგინებით გავაბრაზე მეორედ კიდევ,
მეფეო, თქვენი ხელმწიფური უდიდესობა?

მ ე ფ ე

(პაჟს, რომელიც შემოდის)

დაე დომინგო შემოვიდეს.

(პაჟი გადის)

შეგინდობთ, ალბა,
მას, რომ მე თითქმის ორი წუთის განმავლობაში
შაიძულებდით მშინებოდა დანაშაულის,
რაც შეიძლება მომხდარიყო თ ქ ვ ე ნ ს წინააღმდეგ.

(ალბა გადის.)

მეოთხე გამოსვლა

მ ე ფ ე. დ ო მ ი ნ გ ო.

მ ე ფ ე

(რამდენჯერმე გაივლ-გამოივლის, რომ გრძნობა მოიკრიბოს)

დ ო მ ი ნ გ ო

(შემოდის ჭერცოგის წასვლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ. მიუახლოვდება მეფეს და რამდენიმე ხანს მდუმარედ უყურებს)

რარიგად მიკვირს და მახარებს, ჩემო ხელმწიფევ,
ასე მშვიდსა და მხნეს რომ გხედავთ.

მ ე ფ ე

ძალიან გიკვირთ?

დ ო მ ი ნ გ ო

განგებას ვმადლობ, ჩემი შიში რომ არ გამართლდა,
საფუძვლიანი არ ყოფილა. ახლა მით უფრო
შევძლებ იმედი ვიქონიო.

მ ე ფ ე

თქვენი შიშიო?
მერედა, რისი გეშინოდათ?

დ ო მ ი ნ გ ო

ჩემო ხელმწიფევ,
მე აღარ ძალმიძს დაგიმალოთ, არა, არ ძალმიძს...
მეც ვიცი ერთი საიდუმლო.

მ ე ფ ე

(პირქუშად)

როდის ვისურვე
მაგ თქვენი რაღაც საიდუმლოს გაზიარება?
ვის შეუძლია მეტიჩრულად ეგ გამიბედოს?
თავხედობაა, სინდისს ვფიცავ!

დ ო მ ი ნ გ ო

ჩემო ხელმწიფევ,
შემთხვევა იგი და ადგილი, სად ეს შევიტყვე,
მდგომარეობა, პირობები, რომელთ მიზეზით
გავიგე მე ეს, თავიდან მხსნის მაგ დანაშაულს.
აღსარებაში გამიმჟღავნეს, გამანდეს, როგორც
ცოდვა, რომელიც გამმჟღავნებლის გრძნობიერ სინდისს
ტვირთად აწვა და ეძიებდა შენდობას ღვთისგან.
ახლა პრინცესა გვიან ნანობს თავის საქციელს,
არც უსაფუძვლოდ შიშობს იგი, რომ შეიძლება
ამ ამბავს მოჰყვეს საშინელი შედეგი მისი
დედოფლისათვის.

მ ე ფ ე

ნუთუ მართლა? კეთილი სული...
თქვენ კარგად მიხვდით, ძალზე კარგად, რისთვისაც
გიხმეთ....
გამომიყვანოთ უნდა თქვენ მე ამ ჯურღმულიდან,
სადაც ჩამაგდო ესოდენ ბრმა ეჭვიანობამ.
თქვენგან სიმართლეს ველოდები. მაშ გულახდილად
მითხარით ახლა, რა ვიფიქრო, რა გადავწყვიტო?
თქვენებრ ღვთისმოსავს სიმართლის თემა მოეთხოვება.

დ ო მ ი ნ გ ო

თუნდაც მე ჩემი წმინდა, ტკბილი მოვალეობა
შებრალებას და პატიებას არ მდებდეს ვალად,
მაინცა გთხოვდით, ჩემო მეფეე, უმორჩილესად,
უმორჩილესად გთხოვდით თქვენი სიმშვიდისათვის,

აღუშფოთებლად შეხვედროდეთ ამ გამხილებას
და არ დაგეწყოთ საიდუმლოს გამოძიება,
რაც თქვენთვის სულაც არ იქნება სახარბიელო.
აწ რაც იციან, შეიძლება შენდობილ იქნას.
ოღონდაც მეფემ ერთი ბრძანოს და დედოფალი
კვლავ უცოდველი შეიქმნება... მბრძანებელს ძალუძს
ადამიანი, ისე როგორც ბედნიერებით,
დააჯილდოვოს უმანკოეს სათნოებითაც.
მხოლოდ სიმშვიდეს, ჩემი მეფის მუდმივ სიმშვიდეს
ძალუძს გაფანტოს, გააქარწყლოს ის ავი ხმები,
რომელნიც ასე თვითნებურად ცილსა სწამებენ.

მ ე ფ ე

ხმები? თვით ჩემზე? და ჩემს ხალხში?

დ ო მ ი ნ გ ო

სიცრუე გახლავთ!
ვფიცავ, ეს მტკნარი სიცრუეა, სამგზის წყეული!
მაგრამ ისეც კი ხდება ზოგჯერ, რომ ხალხის რწმენა,
თუნდაც ჯერ კიდევ ეს არ იყოს დამტკიცებული,
თვის მნიშვნელობით ჩამოაგავს ჭეშმარიტებას.

მ ე ფ ე

ღვთაებას ვფიცავ! აქაც სწორედ...

დ ო მ ი ნ გ ო

კარგი სახელი
არის ძვირფასი, ერთადერთი სიკეთე ქვეყნად,
რისთვისაც უნდა დედოფალი ეჯიბრებოდეს
მდაბიო ქალსა.

მ ე ფ ე

იმედია, აქ ამისათვის
არ მოგვიხდება ათრთოლება!

(დაურწმუნებელი თვალებით ეცქერის დომინგოს, მცირე ხნის დუმილის შემდეგ)

ჩემო ხუცესო!
ნულარ აყოვნებთ. ალბათ, კიდევ უარეს რამეს
მოვისმენ თქვენგან. დიდი ხანი ვკითხულობ ამას
უბედურების მაუწყებელ მაგ თქვენს სახეზე.
ყველაფერი თქვით! დაე მოხდეს, რაც უნდა მოხდეს!
რომ დიდხანს აღარ ვკანკალებდე წამების შიშით.
რას ირწმუნება ჩემი ხალხი?

დ ო მ ი ნ გ ო

ჩემო ხელმწიფევ,
კვლავ ვიმეორებ, შეიძლება ცდებოდეს ხალხი
და ცდება კიდეც უეჭველად. ის, რასაც ხალხი
ამბობს, ამტკიცებს, ჩვენ ხელმწიფეს ვერ შეაძრწუნებს.
საქმე ისაა, ხალხმა ასე ღრმად რომ შესტოპა
და ასეთ რაზეს ირწმუნება.

მ ე ფ ე

როგორ? მე უნდა
წვეთი შხამისთვის ასე დიდხანს გევედრებოდეთ?

დ ო მ ი ნ გ ო

ჩემო მეფეო, ხალხი კიდევ იმ თვეს იგონებს,
როდესაც თქვენი ხელმწიფური უდიდესობა
ავადმყოფობამ მიიყვანა სიკვდილის პირად...
მას შემდეგ მხოლოდ ოცდაათი კვირა გავიდა
და დედოფალმა ბედნიერად მოილოგინა.

(მეფე წამოდგება და ზარს დარეკავს. შემოდის ჰერცოგი ალბა. დომინიგო თავზარდაცემულია.)

განცვიფრებული ვარ, ხელმწიფევ...

მ ე ფ ე
(მიეგებება ჰერცოგს)

ჩემო ტოლედო!
თქვენ ვაჟკაცი ხართ. დამიფარეთ ამ მოძღვრისაგან.

დ ო მ ი ნ გ ო

(დომინგო და ჰერცოგი ერთმანეთს დარცხვენით შეხედავენ. პაუზის შემდეგ)

თუ ჩვენ გვცოდნოდა წინასწარვე, რომ ეს ამბავი
ამბის მომტანსვე თავს სასჯელად დაატყდებოდა,
მაშინ, ხელმწიფევ...

მ ე ფ ე

მაშ თქვენ ამბობთ, ნაბიჭვარიო?
ამბობთ, სიკვდილს ძლივს გადავურჩი სწორედ იმ თვეში,
როს დედოფალი დაორსულდა?.. თქვენ ამბობთ ამას?!
მაგრამ ეს იყო სწორედ მაშინ, თუ არა ვცდები,
როდესაც ყველა ტაძარში თუ სამლოცველოში
წმინდა დომინიკს ადიდებდით სასწაულისთვის,
რაიც მან ჩემთვის მოახდინა... და სასწაული
რაც იყო მაშინ, აღარ არის აწ სასწაული?
ალბათ ან მაშინ მატყუებდით, ან ახლა სცრუობთ.
თქვენვე მითხარით, რაღას უნდა ვერწმუნო ახლა?
მშვენივრად ვხედავ, რაცა გნებავთ... ეგ თქვენი გეგმა
რომ ყოფილიყო მაშინ კარგად მომწიფებული,
თქვენი წმინდანი დაჰკარგავდა თავის დიდებას.

ა ლ ბ ა

გეგმა?

მ ე ფ ე

იშვიათ ჰარმონიით შესთავსებია
თქვენი აზრები ერთმანეთს და მე კი მარწმუნებთ,
თითქოს არ იყოთ ერთმანეთთან შეთანხმებული?

და თქვენ ეგ უნდა დამაჯეროთ? მე დამაჯეროთ?
განა არ ვგრძნობდი, თუ როგორი გაუმაძღრობით,
რაოდენ ხარბად ნადავლს თქვენსას ესხმოდით თავზე?
როგორი შმაგი ავხორცობით გატკბობდათ ხოლმე
ჩემი ტანჯვა და განრისხება ჩემი გულისა?
განა ვერ ვამჩნევ, რანაირი გულმოდგინებით
ცდილობს ჰერცოგი მიითვისოს წყალობა იგი,
რაც განკუთვნილი იყო მხოლოდ ჩემი შვილისთვის?
ან ღვთისმოსავი კაცი ესე როგორ სიამით
აიარაღებს თვის პატარა ბოროტ განზრახვას
ჩემი მეფური მრისხანების ძლიერი ხელით?
და თქვენ გგონიათ, რომ ვარ მშვილდი, რომელიც
ძალგიძთ,
როგორცა გნებავთ, გასასროლად მოზიდოთ ისე?
არა, კიდევ მაქვს ნებისყოფა და რადგან უნდა
ეჭვიანობდე, მას პირველად თქვენგან დავიწყებ.

ა ლ ბ ა

ჩვენი თქვენდამი ერთგულება ამ განმარტებას
არ მოელოდა.

მ ე ფ ე

ერთგულება! ის ჩვენ გვაფრთხილებს
ბოროტ ამბისგან, მომავალში რომ გვემუქრება,
მაგრამ წარსულზე შურისგება საუბრობს მხოლოდ.
გამაგებინეთ, რა მომცა მაგ თქვენმა ერთგულმა
ხათრიანობამ? რასაც ამბობთ, თუ მართალია,
რა დამრჩენია, განშორების ტკივილისა და
შურისძიების სამწუხარო ზეიმის გარდა?
ო, მაგრამ არა, ლაჩრები ხართ და გეშინიათ,
თქვენ მარტოოდენ მერყევ ეჭვებს აღვიძებთ ჩემში,
თქვენ მე მიგყევართ ჯოჯოხეთის უფსკრულის პირას,
იქ მარტოს მტოვებთ და გარბიხართ.

დ ო მ ი ნ გ ო

სხვა რა საბუთი
შეგვიძლია ჩვენ მოვიტანოთ დასამტკიცებლად,
იქ, სად კაცის თვალს მოწმედ ყოფნა არ შეუძლია?

მ ე ფ ე

(დიდი პაუზის შემდეგ სერიოზული და საზეიმო ტონით მიმართავს დომინგოს)

მსურს შემოვკრიბო ჩემი ქვეყნის დიდებულები
და თვითონ დავჯდე მოსამართლედ... იქ წარმოდექით
ყველას წინაშე—იქონიეთ გამბედაობა—
და ბრალი დასდეთ ჩემ მეუღლეს მეძაობაში!—
იგი სიკვდილით დაისჯება—ხსნას ვერა ჰპოვებს—
მას და უფლისწულს, ორთავ ერთად, სიკვდილი ელის...
მაგრამ თუ შესძლო დედოფალმა ბრალდებისაგან
თავის მართლება, თვით თქვენ დაგსჯით სიკვდილით
მაშინ.
გინდათ გაიღოთ სიმართლისთვის ამგვარი მსხვერპლი?
მაშ გადაწყვიტეთ. არა გნებავთ? არაფერს ამბობთ?
აი ესაა თვალთმაქცობის გულმოდგინება.

ა ლ ბ ა

(რომელიც მოშორებით მდუმარედ დგას, ცივად და მშვიდად)

მე მსურს.

მ ე ფ ე

(გაოცებული შემოტრიალდება ჰერცოგისაკენ და რამდენიმე ხანს გაშტერებით ათვალიერებს)

რა დიდი გაბედვაა! მაგრამ მე მახსოვს,
სასტიკ ბრძოლებში თქვენ სიცოცხლეც კი გაგიწირავთ
უფრო მცირედი რამისთვისაც, როს მოთამაშის
ქარაფშუტობით უმაქნისი სახელისათვის

დიდ განსაცდელში ჩაგიგდიათ სიცოცხლე თქვენი.
ანკი სიცოცხლე აბა თქვენთვის რას წარმოადგენს?
არა, მეფურ სისხლს არ შევწირავ მსხვერპლად იმ
შეშლილს,
რომელიც ფიქრობს, რომ სახელით შეავსოს მაინც
არარაობა უმაქნისი პიროვნებისა.
არა მჭირდება თქვენი მსხვერპლი. წაბრძანდით ახლა
წინა ოთახში და ელოდეთ შემდგომ ბრძანებებს.

(ორივენი გადიან.)

მეხუთე გამოსვლა

მ ე ფ ე

ჰოი განგებავ, მომივლინე აწ ერთი კაცი!..
ბევრი მომაგე შენ ისედაც, ახლაც მიბოძე
ეგ ერთი კაცი, შენ ხომ ქვეყნად ერთადერთი ხარ
და შენი თვალი კარგადა სჭვრეტს იდუმალებას.
ერთ მეგობარს გთხოვ, არ ვარ შენებრ ყველაფრის
მცოდნე.
თვითონვე იცი, განგებაო, რანიც არიან
მსახურნი, შენგან ბოძებულნი ჩუმად მშველელად.
მე დავაფასე, რაც მათ ჩემს წინ დაიმსახურეს,
წვრილმან ცოდვებს კი ამოვუდე ლაგამი მძიმე,
რათა ჩემს მიზანს ემსახურონ, როგორც შენ შვრები,
როცა ქვეყანას გასწმენდ ხოლმე მძლავრი ქარიშხლით.
მე სიმართლესა ვსაჭიროებ—ხელმწიფეები
სიცრუისა და შეცდომების მღვრიე ტალახში
ამ წმინდა წყაროს ვერასოდეს გამოიყვანენ.
მაშ მომივლინე, განგებავ, ეგ რჩეული კაცი,
სათნო, გულღია, აზრნათელი და შორსმჭვრეტელი,
რომელიც შესძლებს მაპოვნინოს სიმართლე ქვეყნად.
ხეედრს მივენდობი, დე იმ მრავალ ათასეულში
უდიდესობის მზის ირგვლივ რომ დაფარფატებენ,
ის ერთადერთი მაპოვნინე.

(ზარდახშს გააღებს და ამოიღებს უბის წიგნაკს, რომელსაც რამდენიმე ხანს ფურცლავს და ათვალიერებს.)

მხოლოდ სახელნი,
მარტო სახელნი სწერია აქ და ერთხელაც კი
მოხსენებული არაა ის დამსახურება,
რის წყალობითაც ამ სიაში ისინი მოხვდნენ.
ან მადლობაზე გულმავიწყი სხვა რაღა არის?
მაგრამ აი აქ, სხვა სიაში კი მე ვკითხულობ
მათ დანაშაულს, დაწვრილებით რომ ჩამინიშნავს.
და მერე რისთვის? ეს ცუდია. შურისძიების
მეხსიერებას დახმარება სჭირდება კიდევ?

(განაგრძობს კითხვას.)

გრაფი ეგმონტი? რისთვისაა აქ ჩაწერილი?
დიდი ხანია დავიწყებას მიეცა უკვე
ის გამარჯვება, სენ-კენტენში რომ მოიპოვა.
ეგმონტს მე ახლა გადავრიცხავ მკვდრების სიაში.

(შლის ამ სახელს და წერს მას სხვა სიაში. შემდეგ განაგრძობს კითხვას.)

მარკიზ დე პოზა?.. პოზა?.. პოზა?.. მაგრამ ეს კაცი
ძლივს მაგონდება და ორჯერ კი ხაზგასმულია!
ეს იმიტომ, რომ დიდი საქმე მიმენდო მისთვის!
მერე განა ეს შეიძლება? ეს კაცი დღემდე
ერიდებოდა ჩემთან მოსვლას, ჩემთან შეხვედრას?
რად გაურბოდა ნეტავ იგი იმ მეფის თვალებს,
რომელიც მისგან არის ესდენ დავალებული?
შემოქმედს ვფიცავ, ჩემი ქვეყნის დიდებულთ შორის
ერთადერთია ეგ, რომელსაც მე არ ვჭირდები!
რომ ყოფილიყო ძლიერ ხარბი, პატივმოყვარე,
გამოჩნდებოდა იგი ჩემი ტახტის წინაშე.
მაშ ამ უცნაურ კაცს მივენდო? იგი, ვინც ჩემს თავს
არ საჭიროებს, სიმართლესაც ის მეტყვის სწორედ.

(გადის.)

მისალები დარბაზი

მეექვსე გამოსვლა

ფონ კარლოსი ეგაასება პრინც პარმას. ჰერცოგი ალბა. ფერია დამედინა სიდონია. გრაფი ლერმა და კიდევ სხვა დიდებულები ხელში ქაღალდებით. ყველა მეფეს ელოდება.

მედინა სიდონია

(რომელსაც ყველა აქ მყოფი თვალს არიდებს, მიმართავს ჰერცოგ ალბას, საკუთარ ფიქრებში ჩაძირული რომ დაიარება წინ და უკან.)

თქვენ ხომ დღეს მეფეს ესაუბრეთ, ჰერცოგო ალბა.—
რა გუნებაზე იყო იგი?

ალბა

ძალიან ცუდზე,
გაბრაზებული არის თქვენი ამბების გამო.

მედინა სიდონია

მტრის ზარბაზნების ცეცხლში უფრო თავს ლაღად
ვგრძნობდი,
ვიდრე ამჟამად, ამ დარბაზში.

(კარლოსი, რომელიც მდუმარე თანაგრძნობით შეხედავს, ახლოს მივა მასთან და ხელს ჩამოართმევს.)

დიდადა გმადლობთ
დიდსულოვანი ცრემლებისთვის, ხელმწიფის შვილო.
თქვენც კარგად ხედავთ, რანაირად გამირბის ყველა.
ჩემი დალუპვა, როგორცა ჩანს, გადაწყვეტილა.

კარლოსი

იმედი გქონდეთ, მეგობარო, თქვენი სიმართლის
და მამაჩემის წყალობისა.

მედინა სიდონია

დავლუპე ფლოტი,
მსგავსი რომლისაც ზღვაზე ჯერ არ გამოჩენილა...

რალასა ნიშნავს ჩემი თავი იმ სამოცდაათ
გალერთან, იქ რომ ჩაიძირა?—მაგრამ, მეფის ძევ,—
იქ ხუთი შვილიც დამეღუპა, ხუთი ვაჟკაცი, —
თქვენსავით მხნენი, სასოებით აღჭურვილები —
და გულს ეს მიკლავს, ესა მტანჯავს, ხელმწიფის შვილო,

მეშვიდე გამოსვლა

მ ე ფ ე გამოდის სამეფო სამოსელით. ი გ ი ვ ე ნ ი.
(ყველანი იხდიან ქუდებს, გადგებიან ორივე მხარეზე და ნახევარ წრეს ქმნიან. დუმილი.)

მ ე ფ ე

(ყველას თვალს გადაავლებს)

თავს დაიხურეთ!

(პირველად შიუახლოვდებიან და მეფეს ხელზე ემთხვევიან დონ კარლოსი და პრინცი პარმა. მეფე პრინც პარმას შეხედავს მეგობრული ალეესით და არც კი სურს თავისი შვილი შეაჩნიოს.)

დედათქვენს სურს, ჩემო დისწულო,
გაიგოს, თქვენით კმაყოფილნი ვართ ჩვენ თუ არა.

პ ა რ მ ა

დაე ის ამას ნუ იკითხავს იმაზე ადრე,
ვიდრე მე პირველ ბრძოლას მაინც არ გადავიხდი.

მ ე ფ ე

დამშვიდდით, პარმა, თქვენი რიგიც მოაღწევს ალბათ,
როს ჩემი ქვეყნის სიმაგრენი დაიქცევიან.

(ჰერცოგ ფერიას)

რა მომიტანეთ?

ფ ე რ ი ა

(ცალ მუხლზე დაემხობა)

მღვდელმთავარი კალატრავასი
გარდაიცვალა დღეს, ამ დილით, და მე იმისი
რაინდის ჯვარი დაგიბრუნეთ.

მ ე ფ ე

(იღებს ორდენს და ყველას ათვალიერებს)

ვინაა კიდევ
ნამდვილად ღირსი ამ ორდენის?

(იგი ანიშნებს ალბას, რომელიც ცალ მუხლზე დაემხობა, და ორდენს ჩამოჰკიდებს)

ჰერცოგო ალბა,
თქვენ ხართ პირველი მეომარი ჩემი ქვეყნისა,
და ნურც ინებებთ, გამხდარიყოთ ამაზე მეტი,
ნაშინ თქვენ ჩემი მოწყალება არ მოგაკლდებათ.

(შეაჩნევს ჰერცოგ მედინა სიდონიას.)

თქვენ აქ ხართ, ჩემო ადმირალო?

მ ე დ ი ნ ა ს ი დ ო ნ ი ა

(კანკალით მიუახლოვდება და თავდახრილი მოიყრის მუხლებს
დიდო ხელმწიფევ,
თქვენ ჩამაბარეთ უძლეველი თქვენი არმადა
და ესპანეთის დიდებული ახალგაზრდობა,
იმათგან მხოლოდ ამ საბრალო თავსღა გიბრუნებთ.

მ ე ფ ე

(ხანგრძლივი დუმილის შემდეგ)

თავს დამატეხა ღმერთმა მე ეს უბედურება...
ადამიანთა წინააღმდეგ გაგგზავნეთ თქვენ იქ,
არა გრიგალთან და კლდეებთან შესაბრძოლებლად.
ზიეესალმები ესპანეთში თქვენს დაბრუნებას.

(უბოძებს ხელს საამბორებლად.)

ვამაღლობთ, რომ თქვენით ღირსეული ერთი მსახური
შემინარჩუნეთ. დიდებულნო, სწორედ ამისთვის
ეაფასებ დიდად და მსურს, სხვებმაც რომ დააფასონ.

(ანიშნებს, ადგეს და ქუდი დაიხუროს—შემდეგ მიუბრუნდება
დანარჩენებს.)

რაღაა კიდევ?

(დონ კარლოსს და პრინც პარმას)

დიდად გმადლობთ, ხელმწიფის შვილნო.

(პრინცები მიდიან. დანარჩენი დიდებულები მიუახლოვდებიან მეფეს და გადასცემენ თავიანთ ჭაღალდებს. მეფე მათ აჩქარებით გადაათვალიერებს და მისცემს ჰერცოგ ალბას.)

ჩემს კაბინეტში შეიტანეთ. ყველაფერს მოვრჩი?

(პასუხს არავინ აძლევს.)

რა მიზეზია, რომ თქვენ შორის არ მოჩანს პოზა?
მე კარგად ვიცი, რომ ამ მარკიზს ძალიან დიდი
ღვაწლი მიუძღვის ესპანეთის ტახტის წინაშე.
იქნებ ცოცხალიც აღარაა? რად არ მეახლა?

ლ ე რ მ ა

ჩემო ხელმწიფევ, მაგ რაინდმა მთელი ევროპა
შემოიარა და ახლალა დაბრუნდა იგი
შორ მგზავრობიდან, ამჟამად ის მადრიდში გახლავთ
და ბედნიერ დღეს ელოდება მარკიზი მხოლოდ,
რათა დაემხოს თვისი მეფის წინაშე კრძალვით.

ა ლ ბ ა

მარკიზ დე პოზა? მართალია! ეს ის გულადი
მალტიელია, ხელმწიფეო, რომლის შესახებ
დაუჯერებელ, ფანტასტიკურ ამბებს ჰყვებიან.
როცა მაგისტრის ბრძანებაზე ქვეყნის საშველად
შეკრბენ რაინდნი იმ კუნძულზე, რომელსაც უკვე
სულეიმანმა, თურქთ სულთანმა, დარტყა ალყა,
უცბად ალკალის უმაღლესი სასწავლებლიდან
სადღაცა გაქრა თვრამეტი წლის ჭაბუკი ერთი.
ლავალეტეში გამოცხადდა ის მიუხმობლად.
„ჯვარი მიყიდეს“, წარმოსთქვა მან, „ახლა კი მინდა,
რომ ჯვარი იგი მე ბრძოლაში დავიმსახურო“.
და იგი იყო ერთ-ერთი იმ ორმოც რაინდში,
წინ რომ აღუდგენენ პიალის და ულუჩიალის,
მუსტაფასა და ჰასემის ჯარს პოსტ სანტ ელმოსთან

და სამი მძლავრი შემოტევა მოიგერიეს,
მწვავე სიცხეში ნავსადგურს კვლავ ინარჩუნებდნენ.
საგრამ როდესაც ხელთ ჩაიგდო სანტ ელმო მტერმა
და მკაცრ ბრძოლაში ძირს დაეცა ყველა რაინდი,
ის ბობოქარი ზღვის ტალღებში გადაერია
და მარტოდმარტომ მიაღწია ლავალეტეში.
ორი თვის შემდეგ, როს დასტოვა კუნძული მტერმა,
რაინდი ისევ ალკალაში დაბრუნდა უკან,
დაწყებულ სწავლის განსაგრძობად, დასამთავრებლად=

ფ ე რ ი ა

ეს მარკიზ პოზა იყო სწორედ, ჩემო ხელმწიფევ,
ვინც კატალონელთ შეთქმულება აღმოაჩინა,
შეუნარჩუნა გვირგვინს თქვენსას ფრიად ლამაზი,
მნიშვნელოვანი პროვინცია.

მ ე ფ ე

ფრიად მაოცებს...
რა კაცი არის ნეტავ იგი, ვინც ეს საქმენი
მოიმოქმედა და თქვენ შორის მოშურნე არ ჰყავს?
უეჭველია ეგ რაინდი ან უჩვეულო
ხასიათსა ჰფლობს, ანდა არის არარაობა.
მე უნდა მაგ კაცს ვესაუბრო.

(ჰერცოგ ალბას)

დღეს წირვის შემდეგ
ჩემს კაბინეტში მოიყვანეთ.

(ჰერცოგი გადის. მეფე მოიხმობს ფერიას.)

თქვენ კი, ჰერცოგო,
ჩემს საიდუმლო სამსჯავროში ჩემს ნაცვლად გნიშნავთ.

(გადის.)

ფ ე რ ი ა

მეფე დღეს ძლიერ მოწყალეა.

მ ე დ ი ნ ა ს ი დ ო ნ ი ა

თქვით: ღმერთია-თქო!
ჩემთვის დღეს მართლაც ღმერთი იყო ყოვლად მოწყალე.

ფ ე რ ი ა

თქვენ ღირსეულად იმსახურებთ ბედნიერებას,
მე გულითადად გითანაგრძნობთ.

ე რ თ ი დ ი დ ე ბ უ ლ თ ა გ ა ნ ი

და მეც აგრეთვე.

მ ე ო რ ე

მეც გითანაგრძნობთ.

მ ე ს ა მ ე

მიხარია. თქვენ ღირსეული
გენერალი ხართ.

პ ი რ ვ ე ლ ი

მეფე თქვენთან არა მოწყალე,
არამედ იყო მარტოოდენ სამართლიანი.

ლ ე რ მ ა

(გასვლისას, ჰერცოგ მედინა სიდონიას)

როგორ ერთბაშად გაგამდიდრათ ამ ორმა სიტყვამ.

(ყველანი გადიან.)

მეფის კაბინეტი

მ ე რ ვ ე გ ა მ ო ს ვ ლ ა

მ ა რ კ ი ზ ი პ ო ზ ა დ ა ჰ ე რ ც ო გ ი ა ლ ბ ა.

მ ა რ კ ი ზ ი

(შემოსვლისას)

მაშ იგი მიხმობს? ის მე მიხმობს?—არა მგონია,
ალბათ, სახელი შეგეშალათ... მერედა, რა სურს
ხელმწიფეს ჩემგან?

ა ლ ბ ა

მეფეს თქვენი გაცნობა ნებავს.

მ ა რ კ ი ზ ი

გაცნობა ნებავს თვისი ცნობისმოყვარეობის
გულისთვის მხოლოდ? თუ ასეა, ძალიან ვნანობ
დაკარგულ წუთებს ამისათვის... ისეც ხანმოკლე
ჩვენი სიცოცხლე სწრაფად მიჰქრის.

ა ლ ბ ა

მე თქვენ გადაგცემთ
თქვენს კეთილ ვარსკვლავს. თქვენს ხელთაა ხელმწიფე
ახლა.

ამ წამით კარგად ისარგებლეთ, თუ შეგიძლიათ,
და მხოლოდ თქვენ თავს დააბრალეთ, თუ ის ამაოდ
ჩაივლის თქვენთვის.

(გაშორდება.)

მ ე ც ხ რ ე გ ა მ ო ს ვ ლ ა

მ ა რ კ ი ზ ი

მშვენივრად სთქვით, ჰერცოგო ალბა.
გამოვიყენოთ უნდა წამი, რომელიც მხოლოდ
ერთხელ გვეძლევა. ჭეშმარიტად, კარგი მირჩია
ამ კარისკაცმა. მაგრამ კარგი იმით კი არა,
რასაც ის ფიქრობს, არამედ მე რასაც ვგულისხმობ.

(რამდენჯერმე გაივლ-გამოივლის.)

აქ როგორ მოვხვდი?—ნუთუ მხოლოდ ახირებული
შემთხვევითობის თვითნებობის წყალობით მოხდა,
რომ ამ სარკეში ჩემს საკუთარ სურათსა ვხედავ?
მილიონთაგან რაღა სწორედ მე გავახსენდი
ასე უეცრად ჩვენი მეფის მეხსიერებას?
მხოლოდ შემთხვევა? შეიძლება აქ სხვაც რამ იყოს.
ანდა შემთხვევაც ხომ იგივე უხეში ქვაა,

გაცოცხლებული მოქანდაკის მადლიან ხელით.
შემთხვევას ზოგჯერ თვით განგება მოგვივლენს ხოლმე...
ადამიანმა ის მიზნისკენ უნდა წარმართოს.—
რაც უნდა სურდეს მეფეს ჩემგან—ეს სულერთია!
მე თვითონ ვიცი, რაც უნდა ვქნა მეფესთან ახლა.
ჭეშმარიტების ნაპერწკალი ეგეგ როგორმე
გადავისროლო გაბედულად დესპოტის სულში—
როგორ დიდ ნაყოფს იძლევა ის განგების ხელში!
რაც მე პირველად ახირებად მეჩვენებოდა,
ის ძლიერ მიზანშეწონილი და გონივრული
იქნება იყოს. იქნება ეს თუ არ იქნება—
სულ ერთი არის! მე ამ რწმენით მსურს მოქმედება.

(რამდენჯერმე გაივლ-გამოივლის ოთახში, ბოლოს შეჩერდება ერთი სურათის წინ და მშვიდად ათვალიერებს. მეფე გამოჩნდება მეზობელ ოთახში, სადაც იგი აძლევს რამდენიმე ბრძანებას. შემდეგ შემოდის, წყნარად შეჩერდება კართან და რამდენიმე ხნის განმავლობაში ათვალიერებს მარკიზს, რომელიც მეფეს ვერ ამჩნევს.)

მეათე გამოსვლა

მეფე და მარკიზ პოზა.

(როგორც კი შეამჩნევს, მარკიზი გაემართება მეფისკენ და მის წინ ცალ მუხლზე დაემხობა, წამოდგება და სრულიად შეუმკრთალი დგას მეფის წინ.)

მ ე ფ ე

(გაოცებული მზერით ათვალიერებს მას)

გისაუბრიათ ჩემთან უკვე?

მ ა რ კ ი ზ ი

არა.

მ ე ფ ე

მიგიძღვით
თქვენ ჩემს წინაშე გარკვეული დამსახურება.

რად გაურბიხართ ჩემს მადლობას? მრავალი კაცის
სახელით არის ჩემი თავი გამოჭედილი.
ყოვლისმცოდნე კი სამყაროში ერთია მხოლოდ.
თქვენ აქამდეც კი ჩემს წინაშე მოსვლა გმართებდათ.
რატომ ასე არ მოიქეცით?

მ ა რ კ ი ზ ი

ჩემო ხელმწიფევ,
ორი დღე არის, რაც დავბრუნდი ამ სამეფოში.

მ ე ფ ე

არ განმიზრახავს, რომ მე მუდამ მოვალე ვიყო
ჩემი მსახურის—მოწყალება გამოითხოვეთ.

მ ა რ კ ი ზ ი

კარგადა ვტკბები კანონითაც, ჩემო ხელმწიფევ.

მ ე ფ ე

ეგ უფლება ხომ მკელელსაცა აქვს.

მ ა რ კ ი ზ ი

მით უფრო კეთილ
მოქალაქესა!—მეფეო, მე კმაყოფილი ვარ.

მ ე ფ ე

(თავისთვის)

გამჩენსა ვფიცავ, თავმოყვარე ყოფილა დიდად
და გამბედავი!—მაგრამ ამას ველოდი კიდეც.
მეც ის მინდა, რომ ესპანელი ამაყი იყოს.
ეგ შემიძლია მოვითმინო სიამოვნებით,
თუნდაც ფიალა მთლად აღივსოს... როგორც გავიგე,
სამსახურიდან გადამდგარხართ.

მ ა რ კ ი ზ ი

გზიდან უკუვდექ,
უკეთესისთვის რომ დამეთმო ადგილი ჩემი.

მ ე ფ ე

ძალიან ვწუხვარ, სახელმწიფო რა ბევრსა ჰკარგავს,
ასეთნი კაცნი როცა უქმად არიან ხოლმე.
იქნება შიშობთ, ასცდეთ იმ დარგს, თქვენი სულისთვის
რაც ღირსეული არის უფრო.

მ ა რ კ ი ზ ი

ო, არა, მეფეე!
ვიცი, რომ კაცი, გამოცდილი გულთამხილავი,
ერთი შეხედვით ჩემ სახეზე ამოიკითხავს,
გამოვადგები რაიმეში მას მე თუ არა,
უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ჩემო ხელმწიფეე,
ამ წყალობისთვის, რადგან ჩემზე ასე მაღალი
შეხედულების ბრძანებულხართ; მაგრამ...

მ ე ფ ე

ყოყმანობთ?

მ ა რ კ ი ზ ი

გამოგიტყდებით, ხელმწიფეო, მზად არ გახლავართ,
რომ მე შევმოსო ქვეშევრდომის სიტყვებით იგი,
რაც მიფიქრია მოქალაქეს ჩვენი ქვეყნისას.
მეფეო, როცა სამუდამოდ გამოვეთხოვე
მე სახელმწიფო სამსახურსა, იმას ვფიქრობდი,
რომ განმარტების მიცემა არ მომიხდებოდა,
თუ ეს ნაბიჯი რა საბუთით გადავდგი მაშინ.

მ ე ფ ე

ასე სუსტია ეგ მიზეზნი, რომ გეშინიათ
მათი წარმოთქმა?

მ ა რ კ ი ზ ი

ამ მიზეზთა გადმოსაცემად
დროს რომ მომცემდეთ, — დე დამიჯდეს სიცოცხლედ
თუნდაც.

მაგრამ სიმართლეს ვერ გაგიმხელთ, თუ უარს მეტყვით
ამ წყალობაზე, და თუ მრჩება მე არჩევანი
მხოლოდ თქვენს რისხვას და ზიზღს შორის, მაშინ
ვარჩევდი
ბოროტმოქმედად მიგეჩნიეთ, ვიდრე სულელად.

მ ე ფ ე

(მოლოდინის გამომხატველი სახით)

მემდეგ?

მ ა რ კ ი ზ ი

— არ ძალმიძს ვიყო მეფის მოსამსახურე.

(მეფე უცქერის გაოცებით.)

ვერ მოვატყუებ, ხელმწიფეო, შემსყიდველს ჩემსას...
როდესაც მაძლევთ მე რაიმე თანამდებობას,
ამით წინასწარ გადაწყვეტილ საქმეს მთავაზობთ.
ჩემი მკლავი და სიმამაცე გეპირდებათ ველზე,
ჩემი ჭკუა კი თქვენს სამეფო საბჭოში მხოლოდ.
მე უნდა მიზნად დაუსახავ. ალა თვით საქმე,
არამედ ქება, რასაც ტახტის წინაშე ვპოვებ.
ჩემთვის კი ფასი მარტოოდენ აქვს სათნოებას.
სიკეთეს, რასაც ჩემი ხელით დასთესდა მეფე,
თვით მე შეექმნიდი ეგზრძნობდი უდიდეს შვებას
და ჩემ საკუთარ არჩევანსაც ვპოვებდი მასში,
რაც აწ შეადგენს ჩემს პირდაპირ მოვალეობას.
თქვენც ამ აზრის ხართ? ან თქვენივე ნამოქმედარში
თუ შეგიძლიათ მოითმინოთ სხვა შემოქმედი?
როგორ, მე უნდა გადავიქცე სხვის იარაღად,
როდესაც ძალმიძს მოქანდაკე თვითონვე ვიყო?
კაცობრიობა მიყვარს გულით და იქ კი, სადაც
თვითმპყრობელობა სუფევს, ძალმიძს მიყვარდეს მხოლოდ
ჩემივე თავი, სხვა არავინ.

მ ე ფ ე

ქების ღირსია
ეგ გატაცება. შეგიძლიათ სიკეთე შეჰქმნათ.

და თუ თქვენ ამას როგორ შესძლებთ: ვით პატრიოტი
თუ როგორც ბრძენი—ეგ ორივე ერთია, მგონი.
მაშ აირჩიეთ ის ადგილი ჩემ სამეფოში,
რომლითაც შესძლებთ ეგ სურვილი კეთილშობილი
თვით აღისრულოთ.

მ ა რ კ ი ზ ი

ასეთ ადგილს მე ვერ ვპოულობ.

მ ე ფ ე

როგორ?

მ ა რ კ ი ზ ი

რასაც თქვენ ჩემი ხელით განავრცობთ ქვეყნად,—
განა იქნება ხალხისათვის ბედნიერება?
ბედნიერება სწორედ იგი, რაიც ჩემს წმინდა
სიყვარულსა სურს მიანიჭოს კაცობრიობას?
სულ სხვაგვარია, მეფეო, ის ბედნიერება,
თქვენ მის წინაშე უსათუოდ ათრთოლდებოდით.
ჩვენ პოლიტიკა გვიქმნის სულ სხვა ბედნიერებას,
რომელსაც თვითონ ხალხთ გულებში გააბნევს ხოლმე,
რომ დაამშვიდოს ამით მათი სწრაფვა-წადილი.
თავისი ფულით სჭედავს იგი ჭეშმარიტებას,
ჭეშმარიტებას, რომელს ძალუძს მოთმენა მისი.
სხვა ყველა შტამპი არის მკაცრად უარყოფილი,
თუ ის არ ჰგავს ამ შეთითხნილ ჭეშმარიტებას.
მაგრამ იგი, რაც გვირგვინისთვის სასარგებლოა,
განა მეც, ჩემო მბრძანებელო, მაკმაყოფილებს?
ან მოძმისადმი სიყვარული როგორ შევცვალო
იმავე მოძმის ჩაგვრასა და დამონებაზე?
ნუთუ ვიგულო ბედნიერი იგი, სანამ მას
არ შეუძლია აზროვნება თავისუფალი?
ნუ ამომირჩევთ, ხელმწიფეო, იმ ნეტარების
გამავრცელებლად, რომელსაც თქვენ ჩემთვის ამზადებთ.

უარს ვაცხადებ მე მაგ შტამპთა გავრცელებაზე,
არ შემიძლია ხელმწიფეთა მსახური ვიყო.

მ ე ფ ე

პროტესტანტი ხართ, როგორცა ჩანს.

მ ა რ კ ი ზ ი

მეფეო, თქვენი
სარწმუნოება არის ჩემიც.

(პაუზის შემდეგ)

თქვენ ვერ გამიგეთ.
მეც სწორედ ამის მეშინოდა. ხომ დაინახეთ,
იდუმალების საბურველი ვით ჩამოვხიე
ჩემივე ხელით თქვენს ხელმწიფურ უდიდესობას?
ვინ დაგარწმუნებთ, რომ მე ახლა აღარ ვუწოდებ
წმიდათა წმიდას მას, რაც უკვე აღარ მაშინებს?
საშიშარი ვარ მხოლოდ იმით, რომ მარტოოდენ
ჩემზე ვფიქრობდი. არა, არ ვარ მე საშიშარი.
სურვილებს ჩემსას ჩემს გულშივე ეღება ბოლო.

(დაიწყობს ხელებს მკერდზე.)

ეს განახლების სასაცილო გამბედაობა,
რომელს არ ძალუძს დაამსხვრიოს ჯაჭვები ჩვენი,
არამედ მხოლოდ ამძიმებს მათ, ამიერიდან
გულს ვერ აღმიგზნებს, ვერასოდეს ვერ ამაღელვებს.
ჩემგან დასახულ უდიადეს იდეალისთვის
ეს საუკუნე ჯერ არაა მომწიფებული.
მე, ხელმწიფეო, მოქალაქე ვარ იმათგანი,
რომელნიც შემდეგ, მომავალში, უნდა მოვიდნენ.
აჩრდილს ვით ძალუძს დაარღვიოს სიმშვიდე თქვენი?
მას თქვენი ერთი ამოსუნთქვით მიწიდან აღგვით.

მ ე ფ ე

ამ მხრივ პირველმა გაგიცანით?

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ,—პირველმა.

მ ე ფ ე

(წამოდგება, გადასდგამს რამდენიმე ნაბიჯს და შეჩერდება მარკიზის პირდაპირ, თავისთვის)

ეგ კილო მართლაც ახალია უკიდურესად.
ფარისევლობა დაუძლურდა, გამოიფიტა,
გონიერ კაცს კი დაამდაბლებს მიბაძვა სხვისი.
მო, თუნდა ვცადოთ კიდევ ამის საწინააღმდეგო...
რატომაც არა? მოქმედება ანაზდეული
ბედნიერებას იპყრობს ხოლმე... თუ ასე გესმით
ეს ვითარება, ძლიერ კარგი, მე თქვენ აგირჩევთ
ჩემს სამეფოში ისეთ ახალ თანამდებობას,
სადაც ძლიერ სულს...

მ ა რ კ ი ზ ი

მესმის, მეფევ, როგორ დაბალი
შეხედულების ბრძანებულხართ კაცთ ღირსებაზე.
თავისუფალი მამაკაცის მეტყველებაშიც
თქვენ ხედავთ მხოლოდ ცბიერებას ფარისევლისას.
და ვიცი, მესმის, თუ ვინც გაძლევთ ამის უფლებას.
ეს იმ კარისკაცთ გაიძულეს, რომელთაც თვისი
ნება-სურვილით დაუტევეს ღირსება თვისი
და ასეთ დაბალ საფეხურზე ჩამოქვეითდნენ.
მოჩვენებითი შინაგანი სიდიადისგან
შეშინებულნი სიღატაკის მსხვერპლნი ხდებიან,
ლაჩრული სიბრძნით თავის ჯაჭვებს ალამაზებენ
და მამაცობად მიაჩნიათ ტარება მათი.
ასეთი სახით გადმოეცა ქვეყანა ჩვენი
თქვენს მშობელ მამას, თქვენც ასეთი სახით მიიღეთ.
როგორ შესძლებდით ამ საბრალო ხეიბრობაში
ადამიანი გეპოვათ და პატივი გეცათ!

მ ე ფ ე

რაღაც სიმართლის მსგავსს ვპოულობ მე ამ სიტყვებში.

მ ა რ კ ი ზ ი

მხოლოდ ისაა სავალალო, რომ ძე კაცისა
ღვთის ქმნილებიდან თქვენს ქმნილებად გადააქციეთ
და თვითონ გახდით ამ ახალი არსების ღმერთი.
ერთში კი შესცდით: დარჩით მაინც ადამიანად,
უზენაესის ხელით შექმნილ ადამიანად,
და კვლავ განაგრძობთ, ვით მოკვდავი, ტანჯვას და
სურვილს.

თქვენ თანაგრძნობას საჭიროებთ, ღვთაების წინ კი
ათრთოლებულნი ლოცულობენ და მსხვერპლს სწირავენ
ო, საცოდავო მოტყუებავ! ო უბედურო
სიმახინჯეო ბუნებისა! ადამიანი
ქნარის სიმებად გარდაჰქმენით და აწ ვიღასთან
გაიზიარებთ ჰარმონიას?

მ ე ფ ე

(ღვთაების მადლმა,
ის ჩემს სულს ჩასწვდა!)

მ ა რ კ ი ზ ი

მაგრამ, მეფევ, არაფერს ნიშნავს
ეს მსხვერპლი თქვენთვის. მის სანაცვლოდ, ერთადერ
ხარ

ამ საფასურით თქვენ ღმერთი ხართ. და ვაი მაშინ,
რომ ის არ იყოთ, რომ დაჩაგრულ მილიონების
ბედნიერების შესაქმნელად ამ საფასურიო
თქვენ ვერაფერი ვერ მოიგოთ... რომ მარტოოდენ
თავისუფლება, რომელიც თქვენ გაანადგურეთ,
ის ერთადერთი საგანძური იყოს, რომელიც
შესძლებდა თქვენი სურვილების აღსრულებასა?
გთხოვთ, წასვლის ნება მომცეთ, მეფევ. ვგრძნობ, ან
საგანმ

შორს გამიტაცა. ჩემი გული უკვე აღივსო,
ცთუნება მეტად ძლიერია, რომ ვიდგე მე იმ
ერთადერთის წინ, ვისთვის მსურდა გულის გადაშლა.

(გრაფი ლერმა შემოდის და ჩუმად რამდენიმე სიტყვას ეტყვის ხელმწიფეს. მეფე მას ანიშნებს, რომ გავიდეს, და რჩება თავის უწინდელ მდგომარეობაში.)

მ ე ფ ე

(მარკიზს, მას შემდეგ, როცა ლერმა გავა)

თქვით, დაამთავრეთ!

მ ა რ კ ი ზ ი

ვგრძნობ, მეფეო,—მთელ ამ საუნჯეს...

მ ე ფ ე

თქვით, დაამთავრეთ! ყველაფერი ჯერ ხომ არ გითქვამთ.

მ ა რ კ ი ზ ი

მე ჩამოვედი ბრაბანტიდან და ფლანდრიიდან,—
აყვავებული და მდიდარი კუთხეებია!
რა ფრიად მტკიცე, დიდებული ხალხი ყოფილა!..
ამასთანავე კარგი ხალხიც... და მე ვფიქრობდი,
ბედნიერება იქნებოდა მამობა მათი!
მაგრამ წავაწყდი მე იქ კაცთა ძვლებს დანაცრებულს.

(აქ იგი გაჩუმდება და თვალს მიაპყრობს მეფეს, რომელიც თავის მხრივ ცდილობს მარკიზს თვალი გაუსწოროს, მაგრამ დარცხვენილი და დაბნეული ძიროს დახრის თვალებს.)

თქვენ მართალი ხართ, ვალდებულიც ამასთანავე.
მაგრამ მე იმან, რომ თქვენ ძალგიძთ ის აღასრულოთ,
რაც მიიჩნიეთ საჭიროდ და სავალდებულოდ,
შემაძრწუნებელ განცვიფრებით დამკოდა გულში.
სამწუხაროა, რომ თვის სისხლში მცურავი მსხვერპლი
უსუსურია და ნაკლებად გამოსადეგი
იმისთვის, რომ თვის მსხვერპლშემწირველს შეასხას ქება,
რომ მხოლოდ ხალხი,—არა ღმერთი უზენაესი,—

დასწერს მსოფლიო ისტორიას და უფრო ნაზი
სხვა საუკუნე შესცვლის ამ მკაცრ ფილიპეს ხანას.
იგი მოიტანს სიბრძნეს უფრო ნაზს და ლმობიერს;
მოქალაქეთა სიკეთე და ბედნიერება
შეუთანხმდება სიდიადეს გვირგვინოსნისას.
მაშინ სამეფო თავის შვილებს გაუფრთხილდება
და ადამიანთ გაჭირვებას შეამსუბუქებს.

მ ე ფ ე

მაშ, თქვენი აზრით, როცა მოვა ეგ ბრწყინვალე დრო,
მე შეეძრწუნდები ახლანდელთა წყევლის წინაშე?
აბა, თქვენ თვალი გადაავლეთ ესპანეთს ჩემსას,
აქ ხალხთ სიკეთე მოუღრუბლავ სიმშვიდით ჰყვავის,
მე ამ სიმშვიდეს მივანიჭებ ფლანდრიელებსაც.

მ ა რ კ ი ზ ი

(სწრაფად)

ეს სასაფლაოს სიმშვიდეა. ნუთუ თქვენ ფიქრობთ
მის დამთავრებას, რაც დაიწყეთ? იმედი თუ გაქვთ,
ქრისტიანობის ამ რეფორმას გზა გადულობოთ
და შეაჩეროთ გაზაფხული საყოველთაო,
რაც მთელ ქვეყანას განაახლებს, შეუცვლის სახეს?
მთელ ევროპაში მხოლოდ თქვენ გსურთ მთელი
მსოფლიოს
ბედის ბორბალი, წინ რომ მიჰქრის შეუჩერებლად,
აწ შეაჩეროთ, წინ აღუდგეთ მსვლელობას მისას?
გსურთ მის ძგიდეებს სტაცოთ თქვენი მოკვდავი ხელი?
ამას ვერ შესძლებთ. ჩემო მეფეო, თქვენი ქვეყნიდან
გადაიხვეწა ათასობით ადამიანი,
რომელნიც შვებას გრძნობენ თავის სიღატაკეშიც.
მოქალაქენი, რომელთაც თქვენ სარწმუნოების
გულისთვის უკვე მიგატოვეს, ჩემო ხელმწიფეო,
იყვნენ ყველაზე ღირსეულნი, კეთილშობილნი.
და ეს ლტოლვილნი ედოფალმა ელისაბედმა

ისე მიიღო, როგორც ღვიძლმა, მშობელმა დედამ.
დღეს ჩვენი ქვეყნის ხელოვნებით ინგლისი ჰყვავის,
ხოლო გრენადა დარჩა თითქმის უკაცრიელი,
მოაკლდა ახალ ქრისტიანთა ბეჯითი შრომა.
ნიშნისმომგები სიხარულით შესცქერს ევროპა
თვის მტერს, ყელი რომ გამოიჭრა საკუთარ ხელით.

(მეფე აღელდება; მარკიზი შეამჩნევს ამას და რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდება.)

თქვენ გსურთ დასთესოთ უკვდავება და სიკვდილს
სთესავთ?
მეფეო, ასე იძულებით შექმნილი საქმე
თვითონ მისივე შემოქმედის სულთანვე კვდება.
უმადურია თქვენი შრომა და ბუნებასთან
სასტიკ ბრძოლაში, მბრძანებელო, ამაოდ დაშვრით,
თქვენი დიადი ხელმწიფური სიცოცხლეც ფუჭად
ემსხვერპლა მხოლოდ ნგრევასა და განადგურებას...
ადამიანი მეტად ფასობს, ვიდრე გგონიათ.
იგი ხანგრძლივი ძილის ბადეს დასწყვეტს და თქვენგან
უკან მოითხოვს თვის წმიდათა წმიდა უფლებას.
ის ნერონის დაბუზირისის სახელთა გვერდით
მოიხსენიებს სახელს თქვენსას... და ამას ვწუხვარ;
თქვენ ხომ კეთილი გული გქონდათ.

მ ე ფ ე

ვინ მოგანიჭათ
ასეთი რწმენა?

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ, ვფიცავ ყოვლისშემძლებელს,
დიახ... დიახ... მე მას ხელახლა გავიმეორებ.
გვიბოძეთ ისევ, ხელმწიფეო, რაიც წაგვართვით!
და დიდსულოვნად, ვით ძლიერმა, მიეცით ნება
ადამიანთა სიკეთეს და ბედნიერებას,
გადმოიღვაროს იგი თავის უხვი თასიდან.

დაე იმეფოს აზრმა თქვენს ვრცელ სახელმწიფოში.
მოგვეცით ისევ, რაც წაგვართვით, და შეიქნებით
მეფეთა მეფე ქვეყნის მრავალ მეფეთა შორის.

(იგი გაბედულად უახლოვდება ხელმწიფეს და უცქერის მტკიცე და ანთებული თვალებით.)

შემეძლოს მაინც იმ ათასთა მჭერმეტყველება,
ამ დიად წუთს რომ თანაგრძნობით იზიარებენ,
გადმოვაფრქვიო ბაგეთაგან და შუქი იგი,
მაგ თვალებში რომ შევამჩნიე, დიდო მეფეო,
გავაღვივო და ძლიერ ცეცხლად ავაბრიალო.
უარი თქვით ამ ...ნონ გაღმერთებაზე,
რომელიც ასე გაანადგურებს და მოგვევლინეთ
სიმართლისა და უკვდავების დიდ მაგალითად.
დღემდე ასე ბევრს არვინ ფლობდა და ვერც ვინ შესძლო
დოვლათის ასე ...ად გამოყენება.
ევროპის ყველა მბრძანებელი მოკრძალებულად
თაყვანს სცემს სახელს თქვენი მძლავრი ესპანეთისას.
მაშ ხელმწიფეებს ევროპისას წინ წარუძეხით!
საკმარისია თქვენი კალმის ერთი მოსმა და
მთელი ქვეყანა განახლდება, გარდაიქმნება.
უარს ნუ გვეტყვით, ხელმწიფეო, გვიბოძეთ აზრის
თავისუფლება.

(დაემხობა მის ფერხთით.)

მ ე ფ ე

(გაოცებული, ჯერ სახეს მოარიდებს, შემდეგ კი ისევ მარკიზს დააცქერდება)

საოცარი მეოცნებე ხართ!
მაგრამ... ადექით...

მ ა რ კ ი ზ ი

მიმოავლეთ ბუნებას თვალი!
თავისუფლებას ემყარება აქ ყველაფერი...
რა მდიდარია ბუნება ამ თავისუფლებით.

ის, უდიდესი შემოქმედი, ნამის ერთ წვეთში
ჭიას გადისვრის და მკვდარ მძორში იძლევა ნებას,
რომ თვითნებობამ გაიხაროს, მოიკლას ჟინი.
რა საბრალოა, შეზღუდული თქვენი ქმნილება.
ერთი ფურცელის შრიალიც კი შეაკრთობს წამსვე
საქრისტიანოს დიდ მბრძანებელს... თქვენ ყოველგვარი
სათნოების წინ უნდა თრთოდეთ, ხოლო იგი კი
თავისუფლების მოვლინებას ხელს როდი უშლის...
იგი ნებას რთავს ბოროტ სულთა საშინელ ლაშქარს
თვის სამყაროში იმძვინვაროს, მას კი — ხელოვანს,
ვერსად იხილავს კაცის თვალი, რადგანაც მორცხვად
დამალულია მარადიულ კანონებითა.
კ ა ნ ო ნ ე ბ ს ხედავს ათეისტი, მ ა ს კი ვერ ამჩნევს.
„რად გვინდა ღმერთი, — ამბობს იგი, — ჩვენთვის ქვეყანაც
საკმარისია“. მაგრამ იგი ასეთი კილვით
ღმერთს ქებას ასხამს ქრისტიანის ლოცვაზე მეტად.

მ ე ფ ე

და თქვენ გინდათ, რომ გადმოიღოთ ჩემს ქვეყნებშიაც
ეს დიდებული მაგალითი ადამიანთა?

მ ა რ კ ი ზ ი

ამას თქვენ შესძლებთ, ხელმწიფეო, თქვენ შესძლებთ
მხოლოდ.
თქვენს გარდა ამას ვინ შეიძლებს? ხალხთა სიკეთეს
მსხვერპლად შესწირეთ მართვის ძალა, რაც ასე დიდხანს
აძლიერებდა სიდიადეს თქვენი ტახტისას.
კაცობრიობას დაუბრუნეთ ღირსება თვისი.
დე გადაიქცეს მოქალაქე, ვით უწინ იყო,
ტახტის საზრუნავ მთავარ საგნად და მხოლოდ ერთი
მოვალეობა დაეკისროს: თვისი უფლების
მსგავსად მოძმეთა უფლებასაც პატივსა სცემდეს.
როს კვლავ შეიგრძნობს თვის ღირსებას ადამიანი —
თავისუფლების ზვიადი და განდიდებული

სათნოების ქვეშ აღიზრდება, განვითარდება,
როს თქვენს სამეფოს გადააქცევთ ბედნიერ ქვეყნად,
მაშინღა გმართებთ, რომ დაიპყროთ მთელი მსოფლიო.

მ ე ფ ე

(ხანგრძლივი დუმილის შემდეგ)

მე თქვენ ბოლომდე გათქმევინეთ სათქმელი თქვენი...
მესმის, რომ, სხვებთან შედარებით, თქვენს გონებაში
სულ სხვანაირად იხატება მთელი სამყარო
და მეც არ მინდა, თქვენ მოგმართოთ უცხო საზომით.
მე პირველი ვარ, ვისაც სული გადაუშალეთ.
ეს მჯერა, რადგან თქვენ მაუწყეთ: სწორედ ასეთი
თავშეკავების და სიფრთხილის გულისთვის მხოლოდ,
რომ ეგ აზრები, ანთებული მგზნებარე ცეცხლით,
დღემდე არავის გაუმჟღავნეთ, მხოლოდ ასეთი
თავდაჭერილი ქცევისათვის, ჭაბუკო კაცო,
მსურს დავივიწყო, რაც გავიგე, როგორც გავიგე.
ადექით. მინდა სულსწრაფ ჭაბუკს შევეკამათო,
როგორც მოხუცი და არა ვით ზვიადი მეფე.
მე ეს ასე მსურს, ასე მინდა. თვითონ შხამსაც კი
ხომ შეუძლია შეიცვალოს ავი თვისება,
როდესაც კეთილ ბუნებაში მოხვდება იგი.
მაგრამ თქვენ ძლიერ გაფრთხობთ ჩემი ინკვიზიცია!
ეგ ჩემთვის დიდად საწყენია.

მ ა რ კ ი ზ ი

ნუთუ ნამდვილად?

მ ე ფ ე

ჯერ არ მინახავს მე ამგვარი ადამიანი.
— ო, არა, მარკიზ! ჩემზე ძლიერ მკაცრადა მსჯელობთ.
მე ნერონობა როდი მინდა, არა, ეგ არ მსურს —
არ მსურს თქვენს მიმართ იგი ვიყო. ყველა სიკეთე
ჩემს ქვეყანაში ჯერ მთლიანად არ დაშრეტილა.
ადამიანად უნდა დარჩეთ ჩემს თვალში ისევ.

მ ა რ კ ი ზ ი

(სწრაფად)

მაგრამ, ხელმწიფევ, დანარჩენი მოქალაქენი?
არ მიფიქრია, მბრძანებელო, საკუთარ თავზე,
მე საზრუნავი ჩ ე მ ი როდი მამეტყველებდა.
მეფეო, თქვენი ქვეშევრდომნი?..

მ ე ფ ე

რადგანაც ასე
კარგად გცოდნიათ, თუ ვით განმსჯის შთამომავლობა,
მან მაგალითად თქვენ აგიღოს, რათა გაიგოს,
როგორ მოვეპყარ ადამიანს, როს იგი ვპოვე.

მ ა რ კ ი ზ ი

ო, ასე უ ც ე ბ უსამართლო ნუ შეიქნება
მეფე ყველაზე სწორზე სწორი, სამართლიანი,
თქვენს ფლანდრიაში ათასობით უკეთესები
არიან ჩემზე... მაგრამ თქვენ კი—ძალმიძს გავბედო
და გულახდილად გამოგიტყდეთ, დიდო ხელმწიფევ?—
თქვენ შეიძლება მხოლოდ ახლა ხედავთ პირველად
თავისუფლებას ამ უნაზეს და წყნარ სურათში.

მ ე ფ ე

(ნაკლები სერიოზულობით)

ჭაბუკო კაცო, კმარა უკვე ამის შესახებ...
ვიცი, რომ მალე გამოიცვლით შეხედულებას,
როს ადამიანს თქვენც ჩემსავით კარგად გაიცნობთ.
მაგრამ მე მაინც ვისურვებდი, რომ ამ დარბაზში
უკანასკნელად არ მენახეთ. როგორ დავიწყო,
ვით მოვახერხო თქვენი გულის მონადირება?

მ ა რ კ ი ზ ი

დამტოვეთ ისე, როგორცა ვარ. რა ვიქნებოდი
თქვენთვის, მეფევ, თუ მომისყიდდით?



მ ე ფ ე

ო, ვერ მოვითმენ
ამ სიამაყეს, დღეიდანვე ჩემს სამსახურში
ჩარიცხული ხართ. არ გაბედოთ შეკამათება,
მე ეს ასე მსურს.

(პაუზის შემდეგ)

მაგრამ როგორ? რა მსურდა კიდევ?
ნეტავ სიმართლე იყო იგი, რაც მე მინდოდა?
და აი მე აქ რაღაც უფრო მეტსა ვპოულობ.
თქვენ მე მამხილეთ, ვით ხელმწიფე, სამეფო ტახტზე..
მაგრამ ოჯახში?

(ხედავს, რომ მარკიზი ვერ ბედავს ხმის ამოღებას.)

კარგად მესმის დუმილი თქვენი.
მაგრამ, როცა ვარ უბედური ყველა მამაზე,
თუ შემიძლია ბედნიერი ვიქნე მე მაშინ,
როგორც ძეუღლე?

მ ა რ კ ი ზ ი

საიმედო ვაჟიშვილის და
ღირსეულ ცოლის ყოლა თუკი ვინმე მოკვდავ კაცს
უფლებას აძლევს მაგ სახელით იწოდებოდეს,
მაშინ, მეფეო, ორივე მხრით ხართ ბედნიერი.

მ ე ფ ე

(მოღუშული სახით)

არა, არა ვარ! და რომ არ ვარ მე ბედნიერი,
ჯერ ისე ძლიერ არასოდეს ეს არ მიგრძვნია,
როგორც ამჟამად.

(მწუხარე თვალებით მიაჩერდება მარკიზს.)

მ ა რ კ ი ზ ი

პრინცი საათნო, კეთილშობილურ
ზრახვას ატარებს. მე მას სხვაგვარს არც კი ვიცნობდი.

მ ე ფ ე

მე კი სხვაგვარად გავიცანი... რაც მან წამართვა,
ვეღარ მომიზღავს ვეღარც ერთი გვირგვინი იმას—
ასეთი სათნო დედოფალი!

მ ა რ კ ი ზ ი

ეგ ვინ გაბედა,
მაგას ვინ ამბობს, ხელმწიფეო?

მ ე ფ ე

ქვეყანა, ხალხის
ბოროტი ენა და მე თვითონ. აი, აქაა
საბუთნი ერთობ უტყუარნი, მას რომ ბრალს სდებენ.
არიან კიდევ სხვა საბუთნიც, რომელთ წინაშე
შიშით ვკანკალებ... მაგრამ, მარკიზ... ძნელია ჩემთვის
ძალზე ძნელია მხოლოდ ე რ თ ი რამ დავიჯერო:
ვინა სდებს მას ბრალს? თუკი ი გ ი თავს ნებას აძლევს,
ასე დამდაბლდეს და დაკარგოს ნამუსი თვისი,
მე უფრო მეტი უფლება მაქვს არ დავიჯერო,
ვიღაც ებოლი ცილს რომ სწამებს დედოფალს ჩემსას,
განა არა სძულს მოძღვარს იგი და ჩემი შვილი?
იქნებ ალბასაც შურისგება ალაპარაკებს?
არა, მე მათზე მეტ ფასსა ვდებ მეუღლეს ჩემსას.

მ ა რ კ ი ზ ი

და არის კიდევ ქალის სულში ისეთი რამე,
რაც მოჩვენებით საქციელზე, ცილისმწამებლურ
მოქმედებაზე მაღლა დგას და... მას ეწოდება
დედაკაცური სათნოება.

მ ე ფ ე

მეც მაგას ვამბობ.
როგორც დედოფალს ბრალსა სდებენ, ასე დაცემა
კაცს ძალზე ძვირად უღირს ხოლმე. პატიოსნების
წმინდა კავშირი, როგორც იმათ სურთ დამარწმუნონ,

ასე ადვილად არ ირღვევა. თქვენ კარგად იცნობთ
ადამიანებს, ჩემო მარკიზ. კარგა ხანია
ასეთი კაცი მაკლდა სწორედ. ლაღი, კეთილი
ბუნების ჩანხართ, კარგად იცნობთ ადამიანსაც.
სწორედ ამიტომ აგირჩიეთ.

მ ა რ კ ი ზ ი

(გაოცებული და შეშინებული)

მე?

მ ე ფ ე

თქვენ იდექით
მეფის წინაშე და თქვენთვის კი სულ არაფერი
არ გითხოვიათ. ახალია ეს ჩემთვის მეტად.
სამართლიანი იყავით კვლავ. დაე თქვენს მზერას
გზას ნუ აუბნევს, ნუ შეაცდენს ვნებათა ღელვა.
დაუმეგობრდით პრინცს და ჩასწვდით დედოფლის გულსაც.
ნებას გრთავთ მასთან საიდუმლოდ ილაპარაკოთ.
ახლა დამტოვეთ!

(რეკავს)

მ ა რ კ ი ზ ი

თუ აწ ძალმიძს წავიდე თქვენგან
ისე, რომ თუნდა აღვისრულო ერთი იმედი,
უმშვენიერეს დღედ მივიჩნევ მე ამ დღეს მაშინ.

მ ე ფ ე

(გაუწვდის ხელს სამთხვევად)

ეს დღე არც ჩემთვის დაკარგულა.

(მარკიზი ადგება და მიდის. შემოდის გრაფი ლერმა.)

ამიერიდან
რაინდი ჩემთან შემოვიდეს მოუხსენებლად.

მეოთხე მოქმედება

დედოფლის დარბაზი

პირველი გამოსვლა

დედოფალი. ჰერცოგინია ოლივარესი. პრინცესა ებოლი. გრაფინია ფუანტესი და კიდევ სხვა მანდილოსნები.

დედოფალი

(ადგება, უფროს სეფე ქალს)

მაშ არ აღმოჩნდა გასაღები? მეტი რა გზაა,
უნდა ზარდახშა მე ახლავე გავატეხინო.

(შეამჩნევს პრინცესა ებოლის, რომელიც დედოფალთან მივა და ხელზე ემთხვევა.)

აჰ, გამარჯობათ, საყვარელო, ტურფა პრინცესა.
მოხარული ვარ, განკურნებულს, ჯანმრთელს რომ გხედავთ.
თუმც ისევ ძლიერ ფერმკრთალი ხართ...

ფუანტესი

(ოდნავ გესლიანად)

ციებ-ცხელება
ნერვებზე ძლიერ გასაოცრად მოქმედებს ხოლმე.
ხომ მართალია?

დედოფალი

ძლიერ მსურდა მე თქვენი ნახვა,
ჩემო ძვირფასო. მაგრამ მე ხომ არ მრთავენ_ნებას
და ვერ გავბედე გსტუმრებოდით.

ოლივარესი

მგონი, ისედაც
არ მოჰკლებია მნახველები პრინცესას ჩვენსას.

დედოფალი

ეგ მეცა მჯერა. მთლად კანკალებთ. რა დაგემართათ?

ებოლი

ო, არაფერი, დედოფალო, სულ არაფერი.
ნება მიბოძეთ, გაგეცალოთ.

დედოფალი

რატომ გვიმალავთ?
იქნებ თავს უფრო ცუდადა გრძნობთ, ვიდრე გვარწმუ-
ნებთ?

ფეხზე დგომაც კი გიძნელდებათ. ჰერცოგინია,
გთხოვთ დაეხმაროთ, რომ ჩამოჯდეს ამ ტაბურეტზე.

ებოლი

გარეთ თავს უფრო უკეთ ვიგრძნობ.

დედოფალი

უკან გაჰყევით,
ჰერცოგინია. ჩვენს ებოლის რა დაემართა!

(შემოდის პაჟი და ელაპარაკება ჰერცოგინიას, რომელიც შემდეგ მიმართავს დედოფალს.)

ოლივარესი

მარკიზ დე-პოზა გახლავთ, თქვენო უდიდესობავ,
გამოგზავნილი თქვენთან მეფე ფილიპეს მიერ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მობრძანდეს. ველი.

(პაჟი მიდის და მარკიზს კარს ულებს.)

მეორე გამოსვლა

ი გ ი ნ ი ვ ე. მ ა რ კ ი ზ პ ო ზ ა.

(მარკიზი ცალ მუხლზე დაიჩოქებს დედოფლის წინ, რომელიც მას ანიშნებს, რომ ადგეს)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რას მიბრძანებს ჩემი ხელმწიფე?
თუ ძალმიძს სხვების თანდასწრებით...

მ ა რ კ ი ზ ი

მე დამავალეს,
რომ მარტო შევხვდე თქვენს ხელმწიფურ უდიდესობას.

(დედოფლის ნიშნებაზე მანდილოსნები გაეცლებიან.)

მესამე გამოსვლა

დ ე დ ო ფ ა ლ ი. მ ა რ კ ი ზ პ ო ზ ა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(გაკვირვებით)

როგორ? ჩემ თვალებს დავუჯერო, რაინდო პოზა?
თქვენ ჩემთან მეფემ გამოგგზავნათ?

მ ა რ კ ი ზ ი

ასე საოცრად
მიაჩნია ეს თქვენს ხელმწიფურ უდიდესობას?
მე კი სრულებით არ მაკვირვებს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშ, ჩანს, ქვეყანამ
გადაუხვია თვისი გზიდან... თ ქ ვ ე ნ და ხ ე ლ მ წ ი ფ ე...
გამოგიტყდებით...

მ ა რ კ ი ზ ი

რომ ეს მაინც ეღერს უცნაურად?
ეგ, შეიძლება, ასეც იყოს. მაგრამ ჩვენი დრო
სხვა საოცარი ამბებითაც არის მდიდარი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ამაზე მეტით, არ მგონია.

მ ა რ კ ი ზ ი

თუნდაც დავუშვათ,
რომ შემოვბრუნდი საბოლოოდ... და მე დაქანცულს
აღარ შემეძლოს ესპანეთის სამეფო კარზე
ახირებულის თუ ობროდის როლის თამაში?
დიახ, ობროდის... ან სხვა კიდევ რა ჰქვია ამას?
ვისაც ხალხისთვის სარგებლობის მოტანა ნებავს,
ის ჯერ თანაბრად მასთან დგომას უნდა ეძებდეს.
რად მინდა სექტას მედიდური შესამოსელი?
აბა, ვინაა, დიდება არ ხიბლავდეს ისე,
რომ თვის რწმენისთვის სიხარულით არ ირჯებოდეს?
ვთქვათ, რომ ამ საქმეს მეც იმგვარად შემოვუარე,
სამეფო ტახტზე დავამყარე ჩემი იმედი?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ო, არა. მარკიზ, ბრალს ვერ დაგდებთ, თუნდაც ხუმ-
რობით,
ასეთ უსუსურ, მოუმწიფარ წარმოსახვაში.
არ ხართ თქვენ იგი მეოცნებე, რომელიც ისეთ
საქმეს დაიწყებს, დამთავრება არ ძალუძს რისიც.

მ ა რ კ ი ზ ი

მე კი მგონია, დედოფალო, რომ ეს ჯერ კიდევ
საკითხი გახლავთ.

ლ ე დ ო ფ ა ლ ი

ერთადერთი, რაზეც მე ძალმიძს
გისაყვედურო, ჩემო მარკიზ, და რაიც თქვენგან
ფრიად მაოცებს, იქნებოდა... ეს...

მ ა რ კ ი ზ ი

ორპირობა!
შესაძლო არის, ასე ფიქრობთ.

ლ ე დ ო ფ ა ლ ი

პირდაპირობა
მაინც არაა. განა მეფემ ის დაგაბარათ,
რასაც თქვენ ახლა მეტყვით?

მ ა რ კ ი ზ ი

არა.

ლ ე დ ო ფ ა ლ ი

კეთილი საქმე
ვით გაამართლებს ცუდს და უგვან საშუალებას?
თუ შესძლებს თქვენი სიამაყე კეთილშობილი —
ო, მაპატიეთ მე ეს ეჭვი, რომ შეურიგდეს
ასეთ სამსახურს? არა მჯერა.

მ ა რ კ ი ზ ი

არც მე, თუ საქმე
აქ ჩვენი მეფის მოტყუებას ეხება მხოლოდ.
მაგრამ მე ამას როდი ვფიქრობ. მინდა ხელმწიფეს
დღეს ვემსახურო უფრო წრფელად, უფრო ერთგულად,
ვიდრე ეს თვით მან დამავალა.

ლ ე დ ო ფ ა ლ ი

ო, სწორედ ამით
გიცნობთ თქვენ, მარკიზ. აწ კი კმარა! ვით ცხოვრობს
იგი?

მ ა რ კ ი ზ ი

მეფე? — როგორც ჩანს, შურს ვიძიებ მე უმალ მასზე,
ვინც მომეევლინა პირუთვნელ და სასტიკ მსაჯულად.
რის თქმასაც არც თუ ძლიერ ვჩქარობ, ვით მე მგონია,
უფრო ნაკლებად ჩქარობს თქვენი უდიდესობა
მოსმენას მისას. მაგრამ მაინც მოსმენა გმართებთ.
ხელმწიფე გთხოვთ, რომ არ ინებოთ დღეს საფრანგეთის
ელჩის მიღება. დავალება ეს იყო ჩემი
და აღვასრულე.

ლ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშ ესაა სუყველაფერი,
რაც ჩემთვის უნდა გადმოგეცათ მეფისგან, მარკიზ?

მ ა რ კ ი ზ ი

დაახლოებით, ყველაფერი, რამაც აქ მოსვლის
უფლება მომცა.

ლ ე დ ო ფ ა ლ ი

და მეც მზად ვარ, არ შევეცადო
ამის გაგება-გამორკვევას, რაც, შეიძლება,
იდუმალებით უნდა დარჩეს ჩემთვის მოცული.
ეგ ასე გახლავთ, დედოფალო. თქვენ რომ სხვა იყოთ,
ავჩქარდებოდი, ზოგი რამე გამეგებინა,
გაგაფრთხილებდით ზოგიერთი პიროვნებისგან,
მაგრამ ეს თქვენთან აღარაა საჭირო, მგონი.
დიე მრავალგზის წარმოიშვას თქვენს ირგვლივ საფრთხე
და განელოს ისევ, თქვენ არც უნდა შეიტყოთ იგი.
ეს ყველაფერი იმად არ ღირს, რომ მან განუფრთხოს
ოქროს სიზმარი ანგელოზის ღვთაებრივ თვალებს.
მაგრამ ეს მაინც ის არაა, რისთვისაც მოველ.
პრინცი კარლოსი...

ლ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორაა, რა გუნებაზე?

მ ა რ კ ი ზ ი

ვით თვისი დროის ერთადერთი ბრძენი, რომელსაც

ბრალად ეთვლება სიმართლისთვის ლოცვა-ვედრება
და ვინც მზადაა, რომ თავისი სიყვარულისთვის,
ვით ბრძენმა თვისი სიმართლისთვის, გასწიროს თავი-
ცოტა გითხარით მე კარლოსზე, მაგრამ აქაა
იგი მთლიანად.

(მისცემს წერილს დედოფალს.)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(წერილის წაკითხვის შემდეგ)

იგი ჩემთან შეხვედრას ითხოვს.

მ ა რ კ ი ზ ი

მეც ამას ვამბობ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ნუთუ იგრძნობს თავს ბედნიერად,
როცა ის თვისი თვალით ნახავს, რომ ბედნიერი
არც თვითონ მე ვარ.

მ ა რ კ ი ზ ი

არა... მაგრამ უფრო მოქმედი
და გამბედავი შეიქნება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორა ბრძანეთ?

მ ა რ კ ი ზ ი

ფლანდრიაშია დანიშნული ჰერცოგი ალბა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

დანიშნულია, მეც შევიტყვე.

მ ა რ კ ი ზ ი

მეფე არ შესცვლის
თავის ბრძანებას. ფილიპეს ხომ ჩვენ კარგად ვიცნობთ.

მაგრამ სწორია ისიც, რომ აქ არ უნდა დარჩეს
ხელმწიფის შვილი სწორედ ახლა... არ შეიძლება
ფლანდრია მსხვერპლად გაიწიროს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

თუ შეგიძლიათ
გადაარჩინოთ ის დაღუპვას?

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ... მგონია.
საშუალება, როგორც საფრთხე, საშინელია
და გაჩედული, როგორც თავზე ხელის აღება...
მაგრამ მე სხვა გზას ვერ ვპოულობ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მეც გამიმხილეთ.

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ, მხოლოდ თქვენ, დედოფალო, თქვენ გაგიმჟღავ-
ნებთ.
თქვენგან მოისმენს მას კარლოსი შეუძრწოლებლად,
თუმცა სახელი, მას რომ ჰქვია, ცოტა არ იყოს,
უხეშადა ეღერს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჯანყი?

მ ა რ კ ი ზ ი

ჩვენი ბატონიშვილი
ფილიპე მეფეს აღარ უნდა დაემორჩილოს,
უნდა ბრიუსელს გაემგზავროს ის საიდუმლოდ,
სად ფლამანდელნი გაშლილ ხელით ელოდებიან.
მის დაძახილზე აღდგებიან ნიდერლანდელნი,
მისი წყალობით განმტკიცდება კეთილი საქმე.
ესპანეთის ტახტს ძრწოლას მოჰგვრის მახვილი მისი.

ბრალად ეთვლება სიმართლისთვის ლოცვა-ვედრება
და ვინც მზადაა, რომ თავისი სიყვარულისთვის,
ვით ბრძენმა თვისი სიმართლისთვის, გასწიროს თავი-
ცოტა გითხარით მე კარლოსზე, მაგრამ აქაა
იგი მთლიანად.

(მისცემს წერილს დედოფალს.)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(წერილის წაკითხვის შემდეგ)

იგი ჩემთან შეხვედრას ითხოვს.

მ ა რ კ ი ზ ი

მეც ამას ვამბობ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ნუთუ იგრძნობს თავს ბედნიერად,
როცა ის თვისი თვალით ნახავს, რომ ბედნიერი
არც თვითონ მე ვარ.

მ ა რ კ ი ზ ი

არა... მაგრამ უფრო მოქმედი
და გამბედავი შეიქნება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორა ბრძანეთ?

მ ა რ კ ი ზ ი

ფლანდრიაშია დანიშნული ჰერცოგი ალბა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

დანიშნულია, მეც შევიტყვე.

მ ა რ კ ი ზ ი

მეფე არ შესცვლის
თავის ბრძანებას. ფილიპეს ხომ ჩვენ კარგად ვიცნობთ.

მაგრამ სწორია ისიც, რომ აქ არ უნდა დარჩეს
ხელმწიფის შვილი სწორედ ახლა... არ შეიძლება
ფლანდრია მსხვერპლად გაიწიროს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

თუ შეგიძლიათ
გადაარჩინოთ ის დაღუპვას?

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ... მგონია.
საშუალება, როგორც საფრთხე, საშინელია
და გაბედული, როგორც თავზე ხელის აღება...
მაგრამ მე სხვა გზას ვერ ვპოულობ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მეც გამიმხილეთ.

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ, მხოლოდ თქვენ, დედოფალო, თქვენ გაგიმჟღავ-
ნებთ.
თქვენგან მოისმენს მას კარლოსი შეუძრწოლებლად,
თუმცა სახელი, მას რომ ჰქვია, ცოტა არ იყოს,
უხეშადა ჟღერს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჯანყი?

მ ა რ კ ი ზ ი

ჩვენი ბატონიშვილი
ფილიპე მეფეს აღარ უნდა დაემორჩილოს,
უნდა ბრიუსელს გაემგზავროს ის საიდუმლოდ,
სად ფლამანდელნი გაშლილ ხელით ელოდებიან.
მის დაძახილზე აღდგებიან ნიდერლანდელნი,
მისი წყალობით განმტკიცდება კეთილი საქმე.
ესპანეთის ტახტს ძრწოლას მოჰგვრის მახვილი მისი.

რაზეც მადრიდში მამა უარს ეუბნებოდა,
მას ბრიუსელში აისრულებს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშ ესაუბრეთ
დღეს მეფის ძეს და ამას ფიქრობთ?

მ ა რ კ ი ზ ი

სწორედ იმიტომ,
რომ ვესაუბრე.

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(პაუზის შემდეგ)

თქვენი გეგმა ძლიერ მაშინებს
და თანაც მხიბლავს, ჩემო მარკიზ. ასე მგონია,
რომ თქვენ ამაში არა სცდებით... ეს აზრი ძლიერ
გაბედულია და მეც სწორედ ამიტომ მომწონს.
მე ამ აზრს მივცემ მომწიფების საშუალებას.
იცის ეს პრინცმა?

მ ა რ კ ი ზ ი

მე მინდოდა, რომ ხელმწიფის შვილს
პირველად თქვენგან მოესმინა ამგვარი აზრი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

უდაოდ, დიდი იდეაა.—თუ უფლისწულის
ახალგაზრდობა...

მ ა რ კ ი ზ ი

ეგ საშიში არაა სულაც.
პრინცი იქ ჰპოვებს ეგმონტსა და ვილჰელმ ორანელს,
იმპერატორი კარლის მამაც, ყოჩაღ მეომრებს,
საბჭოში—ჭკვიანთ, ბრძოლის ველზე კი შემზარავებს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(გაცხოველებით)

არა! იდეა დიადია და მშვენიერი.

პრინცს მოქმედება მართებს ახლა, კარგად ვგრძნობ ამას.
როლი, რომელიც მას მადრიდში წილად ხვდომია,
მის ნაცვლად მტანჯავს და მიწასთან მათანასწორებს.
მე მას ვპირდები საფრანგეთსა და საოიენს.
მთლიანად თქვენი აზრისა ვარ, დე იმოქმედოს,—
მაგრამ ეს ჩვენგან ფულს მოითხოვს.

მ ა რ კ ი ზ ი

მზადაა უკვე.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მეც შემიძლია გამოვნახო საშუალება.

მ ა რ კ ი ზ ი

მაშ შემიძლია პრინცს შეხვედრის იმედი მივცე?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მინდა დავფიქრდე მე ამაზე.

მ ა რ კ ი ზ ი

ხელმწიფის შვილი
პასუხს მოითხოვს, დედოფალო,—კარლოსს შევპირდი,
ცარიელ ხელიდან შენთან არ დაბრუნდები-თქო.
(აძლევს დედოფალს თავის უბის წიგნაკს.)
ორი სტრიქონიც კმარა ახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(დაწერის შემდეგ)

თუ გნახავთ კიდევ?

მ ა რ კ ი ზ ი

ყოველთვის, როცა თქვენ მიბრძანებთ, როცა ისურვებთ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ყოველთვის, როცა მე გიბრძანებთ?—მარკიზ დე-პოზა!
როგორ გავიგო მე ამგვარი თავისუფლება?

მარკიზი

ისე უბრალოდ, ვით ყოველთვის შეგეძლოთ თქვენ ეს-
ჩვენ ეტკბებით ამით და ეს, მგონი, საკმარისია,
საკმარისია თვითონ ჩემი დედოფლისათვის.

დედოფალი

(ამთავრებს აუდიენციას)

გავიხარებდი, მარკიზ, ძლიერ, თავისუფლებას
მთელ ევროპაში თუნდ ეს ერთი თავშესაფარი
რომ შერჩენოდა, შერჩენოდა მისი წყალობით.—
ჩემი ფარული თანაგრძნობის იმედი გქონდეთ.

მარკიზი

ო, ვიცოდი, რომ გამიგებდნენ აქ ყოველივეს.

ჰერცოგინია ოლივარესი

(გამოჩნდება კარებში)

დედოფალი

(მარკიზს ცივად)

რაც ჩემს მბრძანებელს, ჩემს ბატონს სურს, მე პატივს ვცემ
კანონის მსგავსად. გთხოვთ, წაბრძანდეთ და დაარწ-
მუნოთ
ჩვენი ხელმწიფე ჩემს უსაზღვრო მორჩილებაში!

(დედოფალი ანიშნებს. მარკიზი გადის.)

გ ა ლ ე რ ე ა

მეოთხე გამოსვლა

დონ კარლოსი და გრაფი ლერმა.

კარლოსი

აქ ხელს არავინ შეგვიშლის ჩვენ. რის გამჟღავნება,
გინდოდათ, ლერმა?

ლერმა

ვგონებ, გყავდათ ამ სასახლეში
ერთი ერთგული მეგობარი.

კარლოსი

(სახტად დარჩენილი)

ვინა? არ ვიცი.
რაო? თქვენ ამით, გრაფო ლერმა, რისი თქმა გნებავთ?

ლერმა

მაშ მომიტევეთ, უფლისწულო, რომ მასზე მეტი
შევიტყვე, ვიდრე მე ამისი უფლება მქონდა.
მაგრამ მე თქვენი ბრწყინვალების დასამშვიდებლად
გეტყვით, მეფის ძევ, რომ გავიგე ეს ყველაფერი
თქვენი ერთგული მსახურისგან, მოკლედ, თვით ჩემგან.

კარლოსი

მითხარით, ვისზე ლაპარაკობთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა
წიგნი №
ინვენტარიზაციის

ლერმა

მარკიზ პოზაზე.

კარლოსი

მერე?

ლერმა

თუ მისთვის გაგინდვიათ იმაზე მეტი,
რის ცოდნაც ვინმე სხვა ჩვენთაგანს შეეფერება,
მაშინ მე ვშიშობ, მეფის ძეო...

კარლოსი

როგორ თუ შიშობთ?

ლერმა

მეფესთან იყო...

კარლოსი

ნუთუ?

ლ ე რ მ ა

სრული ორი საათი,
და საიდუმლოდ ისაუბრეს.

კ ა რ ლ ო ს ი

ნუთუ ნამდვილად?

ლ ე რ მ ა

ვიცი, უბრალო საქმეზე არ ლაპარაკობდნენ.

კ ა რ ლ ო ს ი

ეგ მეცა მჯერა.

ლ ე რ მ ა

უფლისწულო, თქვენი სახელი
მესმოდა ხშირად.

კ ა რ ლ ო ს ი

იმედია, ეგ ცუდ რაიმეს
არ მოასწავებს, გრაფო ლერმა.

ლ ე რ მ ა

და დღეს, ამ დილით,
მის საძინებელ სავანეში ჩვენი დედოფლის
სახელიც ძლიერ უცნაურად მოიხსენიეს.

კ ა რ ლ ო ს ი

(გაოცებული უკან დაიხევს)

რას ამბობთ, ლერმა?

ლ ე რ მ ა

როს მარკიზი წავიდა ჩვენგან,
მეფემ მიბრძანა, რომ შემდგომში მოუხსენებლად
შემეშვა მასთან.

კ ა რ ლ ო ს ი

ეგ კი, მართლა, მეტისმეტია.

ლ ე რ მ ა

უმაგალითო, უფლისწულო! ასეთი რამე
არ მახსოვს, რაც მე ჩვენს ხელმწიფეს ვემსახურები.

კ ა რ ლ ო ს ი

მეტისმეტია, მეტისმეტი!.. რაო? როგორ სთქვი,
როგორ ახსენეს დედოფალი?

ლ ე რ მ ა

(უკან დაიხევს)

არა, მეფის ძევ,
მოვალეობას ვერ გადვუხვევ.

კ ა რ ლ ო ს ი

საოცარია!
ერთს მეუბნებით, მეორეს კი ალარ მიმჟღავნებთ.

ლ ე რ მ ა

პირველი უნდა თქვენთვის მეთქვა, ხოლო მეორე
მე მოვალე ვარ მოვახსენო მბრძანებელს ჩვენსას.

კ ა რ ლ ო ს ი

თქვენ მართალი ხართ.

ლ ე რ მ ა

მარკიზს მუდამ მე პატიოსან
კაცად ვიცნობდი.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ თქვენ იგი ძალიან კარგად
გცნობიათ, ლერმა.

ლერმა

სათნოება ყოველნაირი
ჩირქმოუცხები გახლავთ, ვიდრე არ დასდგომია
გამოცდის წუთი.

კარლოსი

დიახ. გახლავთ ზოგჯერ მის მერეც.

ლერმა

წყალობა დიდი ხელმწიფისა, მგონი, ღირს კითხვად.
ბევრი ძლიერი სათნოება დაცლილა სისხლით,
წამოგებული ამ მომხიბლავ ოქროს ანკესზე.

კარლოსი

ო, დიახ!

ლერმა

არც თუ იშვიათად, სჯობს გავამხილოთ,
რის დამალვაც არ შეიძლება.

კარლოსი

დიახ, სჯობია!
მაგრამ, როგორც სთქვით, თქვენ მარკიზი გიცვნიათ
მხოლოდ
წესიერ კაცად, პატიოსან ადამიანად.

ლერმა

და თუ ის კიდევ არის მართლა პატიოსანი,
მას ჩემი ეჭვი ჩირქს ვერ მოსცხებს, ვერ დაამცირებს,
თქვენ კი ორმაგად მოგებული დარჩებით, პრინცო.
(წასვლას აპირებს.)

კარლოსი

(გულაჩუყებული გამოეთხოვება და ხელს ჩამოართმევს)
და სამმაგადაც, ღირსეულო ადამიანო...

ვხედავ, კვლავ ერთი მეგობარი შემიძენია
ისე, რომ არც ის დამიკარგავს, ვინც უკვე მყავდა.
(ლერმა გადის.)

მეხუთე გამოსვლა

მარკიზი მიდის გალერეაში. კარლოსი

მარკიზი

კარლოს!

კარლოსი

ვინ მიხმობს? აჰ, ეს შენ ხარ! მარჯვე დროს
შეგხვდი
მივეშურები მონასტერში. შენც მალე მოდი.

მარკიზი

ორიოდ წუთით შეიცადე.

კარლოსი

შემოგვასწრებენ...

მარკიზი

ნუ გეშინია. ჩვენ აქ დიდხანს არ დავყოვნდებით.
დედოფალს ნახავ.

კარლოსი

მამაჩემთან იყავი მართლა?

მარკიზი

დიახ! მან მიხმო.

კარლოსი

(მოლოდინით აღსავსე)
მერე?

მარკიზი

კარგად მოეწყო საქმე.
დედოფალს ნახავ სასაუბროდ.

კ ა რ ლ ო ს ი

ნეტავი რა სურს? და მერე, მეფე?

მ ა რ კ ი ზ ი

მეფეს? არც თუ ბევრი რაიმე-
მას სურს გაიგოს, თუ ვინა ვარ. ნებავს აგრეთვე
ხათრიანობა უანგარო მეგობრებისა.
რა შემიძლია? სამსახური შემომთავაზა.

კ ა რ ლ ო ს ი

უარი უთხარ?

მ ა რ კ ი ზ ი

რა თქმა უნდა.

კ ა რ ლ ო ს ი

როგორ დასცილდით? მაშ თქვენ ერთმანეთს

მ ა რ კ ი ზ ი

გვარიანად.

კ ა რ ლ ო ს ი

არა ყოფილა ლაპარაკი? და ჩემს შესახებ

მ ა რ კ ი ზ ი

გაკვრით, საერთოდ... შენზე? კი... მაგრამ...

(ამოიღებს უბის წიგნაკს და პრინცს მისცემს.)

ჰა, დედოფლის ეს ორი სიტყვა-
ხვალ კი გავიგებ, სად და როგორ...

კ ა რ ლ ო ს ი

(კითხულობს ძალზე დაბნეული, უბის წიგნაკს ჯიბეში ჩაიდებს და
წასვლას დააპირებს)

მაშ წინამძღვართან
შემხვდები, მარკიზ.

მ ა რ კ ი ზ ი

მოიცადე. რას ეჩქარები?
ხომ არვინ მოდის.

კ ა რ ლ ო ს ი

(ნაძალადევი ღიმილით)

ჩემო მარკიზ, ნუთუ ნამდვილად
ჩვენი როლები შეიცვალა? შენ დღეს საოცრად
გაბედული ხარ.

მ ა რ კ ი ზ ი

დღეს? რატომ დღეს მაინცდამაინც?

კ ა რ ლ ო ს ი

ნეტავი რას მწერს დედოფალი?

მ ა რ კ ი ზ ი

განა შენ თვითონ
არ წაიკითხე სწორედ ამ წუთს?

კ ა რ ლ ო ს ი

მე? დიახ, მართლა!

მ ა რ კ ი ზ ი

რი გემართება? რასა ფიქრობ?

კ ა რ ლ ო ს ი

(წერილს ერთხელ კიდევ წაიკითხავს. აღტაცებით და მგზნებარედ)

ცის ანგელოზო!
დიახ, ვიქნები... მინდა ვიყო მე შენი ღირსი.
დიადი სული სიყვარულით მაღლდება უფრო.

რახან ასე გსურს, დე მოხდეს, რაც მოსახდენია.
რადგანაც ამას შ ე ნ მიბრძანებ, გემორჩილები...
დედოფალი მწერს მოვემზადო აღსასრულებლად
მნიშვნელოვანი განზრახვისა. რასა გულისხმობს
ის ამ სიტყვებში? შენ არ იცი?

მ ა რ კ ი ზ ი

თუნდაც ვიცოდე,
რასაც გულისხმობს, ნუ თუ ახლა შენ შეგიძლია
მე მომისმინო?

კ ა რ ლ ო ს ი

იქნებ რითმე შეურაცხგყავი?
დაბნეულ ვიყავ, მაპატიე, ჩემო როდრიგო.

მ ა რ კ ი ზ ი

დაბნეულიო? რა მიზეზით?

კ ა რ ლ ო ს ი

თვითონ არ ვიცი.
მაშ ეს წიგნაკი ჩემი არის?

მ ა რ კ ი ზ ი

არც თუ მთლიანად!
პირიქით, მოველ იმისათვის, რომ გთხოვო შენი
უბის წიგნაკიც.

კ ა რ ლ ო ს ი

ჩემი? რისთვის?

მ ა რ კ ი ზ ი

და ყველაფერი,
თვით უმნიშვნელო წვრილმანიც კი, რაც მესამე პირს
ხელში არ უნდა ჩაუვარდეს, ძვირფასო კარლოს,
წერილები თუ ცალკეული ჩანაწერები,
თან რომ ატარებ... მოკლედ, შენი უბის წიგნაკი..

კ ა რ ლ ო ს ი

შერე, რისათვის?

მ ა რ კ ი ზ ი

ისე, ყოველ შემთხვევისათვის.
ვის ძალუძს თავი დააღწიოს უცაბედ ხიფათს?
ჩემთან კი არვინ მოსძებნის მას.

კ ა რ ლ ო ს ი

(ძლიერ შეშფოთებული)

საოცარია!
ეგ აზრი როგორ დაგებადა?..

მ ა რ კ ი ზ ი

დამშვიდდი, კარლოს.
მე ამ სიტყვებში არ ვგულისხმობ სულ სხვა რაიმეს.
არა, ნამდვილად. ეს წინასწარ გაფრთხილებაა
საფრთხის წინაშე. მე აზრადაც კი არ მომსვლია,
არ მსურვებია, რომ შენ ასე შეგშინებოდა.

კ ა რ ლ ო ს ი

(აძლევს უბის წიგნაკს)

აჰა, მაშ კარგად გაუფრთხილდი.

მ ა რ კ ი ზ ი

გავუფრთხილდები.

კ ა რ ლ ო ს ი

(შესცქერის მარკიზს მრავალმნიშვნელოვნად)

როდრიგო! მე შენ ბევრი მოგეც.

მ ა რ კ ი ზ ი

არც თუ იმდენი,
რამდენიც უკვე მიმიღია მე შენგან, კარლოს.

მაშ დანარჩენი—მოსანტერში... აწ კი მშვიდობით.

(წასვლას აპირებს.)

კ ა რ ლ ო ს ი

(ეჭვით შეპყრობილი ებრძვის თავის თავს. ბოლოს მარკიზს უკან მოიხმობს)

მომეც წერილნი ერთხელ კიდევ. მათ შორისაა
ერთი ბარათი, ალკალში მან რომ მომწერა,
როცა მე ძლიერ ავად ვიყავ. მაგ ძვირფას ბარათს
დავატარებდი მარად გულთან, მოუცილებლად
და ახლა მასთან განშორება ძალიან მიმძიმს.
მომეცი იგი... მხოლოდ იგი... დანარჩენი კი
წაიღე, გქონდეს.

(ამოიღებს წერილს და უბის წიგნაკს უკან უბრუნებს.)

მ ა რ კ ი ზ ი

უხალისოდ გიბრუნებ მე მას.
სწორედ ეგ უფრო მჭირდებოდა.

კ ა რ ლ ო ს ი

მშვიდობით, მარკიზ!

(ნელა და მდუმარედ მიდის, კართან ერთ წამს შეჩერდება, ისევ დაბრუნდება და წერილს მისცემს მარკიზს)

აჰა, მაშ გქონდეს.

(ხელი უკანკალებს, თვალთაგან ცრემლები ჩამოსდის, მარკიზს ყელზე შემოეხვევა და სახეს მკერდზე მიაყრდნობს.

მამაჩემი შეიძლებს ამას?
ხომ მართალს ვამბობ? მაშ მამაჩემს ეს შეუძლია?

მეექვსე გამოსვლა

მ ა რ კ ი ზ ი

(გაოცებული ჯვალს გაყოლებს)

ეს შესაძლოა? ნუთუ ასე? მაშ არ მცნობია

კარლოსი კარგად, ზედმიწევნით? ნუთუ მის გულში
ამნაირ ხეულს მე ნამდვილად არ შევხვედრივარ?
ეს ეჭვია და უნდობლობა მეგობრის მიმართ!
არა, მე კარლოსს ცილსა ვწამებ!—რა მიქნა მე მან,
რომ ასეთ ძლიერ სისუსტეში ბრალსა ვდებ ახლა?
რასაც ბრალად ვდებ, მე თვითონვე... ო, რა თქმა უნდა,
იგი გაოცდა, მე ეს მჯერა. როდის უნახავს
მას მეგობარი ასე ძლიერ გულჩახვეული?..
ეს, რა თქმა უნდა, სამწუხარო, გულსატკენია!
მე ვერ დაგზოგავ, ჩემო კარლოს, და უნდა დიდხანს,
ჯერ კიდევ დიდხანს ვტანჯო შენი კეთილი სული.
ხელმწიფე ენდო ჭურჭელს, რაშიც ჩაასხა თვისი
წმიდათა წმიდა საიდუმლო, და ამნაირი
ნდობა მოითხოვს ჭურჭლისგანაც მადლიერებას.
რატომ ვილაყბო, თუ ტკივილებს არ მოგაყენებს
ჩემი დუმილი? შეიძლება, დაგზოგოს კიდეც.
რად გავაღვიძო მძინარე და რად დავანახო
ღრუბელი მის თავს ელვა-ჭექის მომასწავები?
ისიცა კმარა, რომ მას მშვიდად გადაგაცილებ,
და ნათელ ზეცას დაინახავ გაღვიძების ჟამს.

(გადის.)

მეფის კაბინეტში

მეშვიდე გამოსვლა

მ ე ფ ე ზის სავარძელში, მის გვერდით დგას მ ე ფ ი ს ა ს უ ლ ი კ ლ ა რ ა ე ვ გ ე ნ ი ა.

მ ე ფ ე

(ღრმა დუმილის შემდეგ)

არა! ეს ჩემი ასულია... ნუთუ ბუნებას
ძალუძს იცრუოს ამნაირად, რომ ნამდვილს ჰგავდეს?
ეს ლურჯი თვალი ხომ ჩემია! მის ყოველ ნაკვთში
განა საკუთარ ჩემივე თავს არა ვპოულობ?

დიახ, ეს შენ ხარ შვილი ჩემი სიყვარულისა.
გულში გიკონებ... შენ ხარ ჩემი სისხლი და ხორცი.
(განცვიფრდება და სიტყვას შესწყვეტს.)

რაო? ეს რა ვთქვი? როგორ? ჩემი სისხლი და ხორცი?!
ან რისი უნდა მეშინოდეს ამაზე მეტად?
ჩემი ნაკვთები პრინცსაც ხომ აქვს?
(ხელში აიღებს მედალიონს. ხან სურათს დახედავს და ხან პირდაპირ მდგარ სარკეში იმზირება. ბოლოს მედალიონს ძირს დაანარცხებს, წამოდგება სასწრაფოდ და მეფის ასულს მოიცილებს.)

შორს გამეცალე!

მე ამ უფსკრულში ვიღუპები.

მერვე გამოსვლა

გრაფი ლერმა. მეფე.

ლერმა

წინა ოთახში
მობრძანდა ჩვენი დედოფალი სწორედ ამ წუთას.

მეფე

სწორედ ამ წუთას?

ლერმა

ხელმწიფეო, უმორჩილესად
გთხოვთ, მოუსმინოთ...

მეფე

ნუთუ ახლა; სწორედ ამჟამად?
ამ უჩვეულო დროს მივიღო? ო, არა, არა!
ახლა არ ძალმიძს დედოფალთან მე საუბარი.
არ ძალმიძს ახლა...

ლერმა

თვითონ მისი უდიდესობა
გეახლათ უკვე...

(გადის.)

მეცხრე გამოსვლა

მეფე. დედოფალი შემოდის. მეფის ასული.

(მეფის ასული გაეჭანება დედოფლისკენ და მიეკვრება მას. დედოფალი მუხლს მოიყრის მეფის წინ, რომელიც მდუმარე და დაბნეული დგას.)

დედოფალი

ჩემო მეფევ, ჩემო მეუღლევ!..
მე თქვენს წინაშე... გავხდი უკვე იძულებული...
თქვენი ტახტის წინ სამართალი უნდა ვეძიო.

მეფე

რა სამართალი?

დედოფალი

უკვე ვხედავ, ამ სასახლეში
ძალზე ულირსად მექცევიან. ჩემი ზარდახშა
გაუტეხიათ...

მეფე

რაო?

დედოფალი

ჩემთვის ფრიად ძვირფასი
ნივთები უკვე წაულიათ.

მეფე

თქვენთვის ძვირფასი?..

დედოფალი

იმ მნიშვნელობით, რაიც უვიც კადნიერებას
შეუძლია ამ ნივთებს მისცეს...

მეფე

კადნიერება...
და მნიშვნელობა... მაგრამ, ახლა ფეხზე აბრძანდით.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

არა, ვიდრე არ შემპირდებით, ჩემო მეუღლევ,
რომ ხელთ გადმომცემთ დამნაშავეს მეფური ძალით,
ან იმ ამალას საშუდამოდ ჩამომაცილებთ,
რომელიც ახლა ჩემს ქურდს მალავს...

მ ე ფ ე

ფეხზე აბრძანდით!
აბრძანდით ფეხზე. ამ ყოფაში...

დ ე დ ო ფ ა ლ ი
(ადგება)

რომ ჩემი ქურდი
მაღალ წრეს უნდა ეკუთვნოდეს, ვიცი... რადგანაც
იმ ყუთში ეწყო ბრილიანტი, თვალ-მარგალიტი,
ერთ მილიონზე ბევრად მეტი ღირებულების,
და ის კი მხოლოდ წერილებით დაკმაყოფილდა.

მ ე ფ ე

რომელთ შესახებ ვისურვებდი...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

სიამოვნებით,
ჩემო მეუღლევ, წერილები, მედალიონი
გამოგზავნილი იყო თვითონ უფლისწულისგან.

მ ე ფ ე

ვისგან?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

პრინცისგან, თქვენი ძისგან.

მ ე ფ ე

მერე, ვისდამი?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჩემდამი, მეფეო.

მ ე ფ ე

პრინცისაგან, და მერე, ამას
მე მეუბნებით?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რატომ არა, ჩემო მეუღლევ?

მ ე ფ ე

ასეთი სახით?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რად განცვიფრდით, რა დაგემართათ?
მგონია, გახსოვთ, ჩემო მეფევ, ის წერილები,
ორი სამეფოს ნებართვითა და შეთანხმებით
დონ კარლოსმა რომ სენ-ჟერმენში გამომიგზავნა.
იყო თუ არა ნებართვაში მოხსენებული
მისი სურათიც, ამ წერილთ რომ გამოაყოლა,
თუ თვითნებურად გადადგა მან ეს გაბედული
ნაბიჯი თვისი, ფრთაშესხმულმა სწრაფი იმედით,
და თუ ეს პრინცმა ჩაიდინა მოუფიქრებლად,
მე ამის განსჯას, ხელმწიფეო, ვერ შევუდგები,
შესანდობია—თვითონ მე ვარ თავდები მისი,
რადგან პრინცს მაშინ აზრადაც არ მოუვიდოდა,
რომ იმ წერილებს დედას სწერდა.
(მეფეს აღელვებას შეამჩნევს)
რა მოგივიდათ,
რა დაგემართათ?

მ ე ფ ი ს ა ს უ ლ ი

(რომელმაც ამასობაში იატაკზე მედალიონი იპოვა და მას ხელში
თამაში დაუწყო, მოუტანს დედოფალს)

აი, ამას შეხედე, დედა!
რა მშვენიერი სურათია!..

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რაო? აჰ, ჩემი...
(იგი მედალიონს იცნობს და გაოცებისგან დადუმდება, ორივენი ერთ-
მანეთს გაშტერებით უცქერიან. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ)

მართლაც, ხელმწიფევ, ამნაირი საშუალება,
მეუღლის გული უკეთესად რომ გამოიცნოთ,
ფრიად მეფური და ღირსებით აღსავსე გახლავთ...
მაგრამ გავბედავ, ერთი კითხვით მოგმართავთ კიდევ-

მ ე ფ ე

კითხვის მოცემა აქ მე მმართებს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაგრამ უცოდველთ
არ უნდა შეხვდეთ ჩემი ეჭვით მცირედი ვნებაც,
თუ ეს ქურდობა მომხდარია თქვენი ბრძანებით...

მ ე ფ ე

დიახ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშინ ბრალს არავის ვდებ დანაშაულში.
და არც არავინ მებრალება, სულაც არავინ,
თ ქ ვ ე ნ ს გარდა, მეფევ, რომ არ შეგხვდათ ისეთი ცოლი,
ვისაც ეს ხერხი ჭეშმარიტად დასჭირდებოდა.

მ ე ფ ე

ეგ კილო ჩემთვის ნაცნობია... მაგრამ მეორედ
ნუ შეიცდებით, ქალბატონო, ვერ მომატყუებთ,
როგორც ეს ჰქენით თქვენ ოდესღაც არანხუესში.
ანგელოზივით უმანკო და სათნო დედოფალს,
რომელიც მაშინ თავს იცავდა დიდი ღირსებით,
აწ უკეთ ვიცნობ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ეს რას ნიშნავს?

მ ე ფ ე

მაშ მოკლედ გეტყვით,
გეტყვით პირდაპირ, ქალბატონო! იქ თქვენ არვისთან

გისაუბრიათ? მაშ მართლა არ გისაუბრიათ?
სულ არავისთან? მართალია?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

დიახ, უფლისწულს
ველაპარაკე.

მ ე ფ ე

ჰო, მაშ ახლა ეს ნათელია.
აშკარა გახდა ყველაფერი. როგორ უტიფრად,
შეუბრალებლად ეპყრობით ჩემს პატიოსნებას.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

პატიოსნებას? იგი ასე თუ შეურაცხყვეს,
ვშიშობ, სინდისი აქ იმდენად არ შელახულა,
ვით მაშინ, როს მე კასტილია მომიძღვნეს მზითვად.

მ ე ფ ე

მაშინ თქვენ რატომ დამიმალეთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

იმიტომ, მეფევ,
რომ არ მჩვევია კარისკაცთა თანადასწრებით,
ვით სამსჯავროზე, ჩემს დაკითხვას აწარმოებდნენ,
მაგრამ სიმართლეს არ უარვყოფ, თუ მას მომთხოვენ
გულკეთილად და შესაფერი პატივისცემით.
განა ასეთი იყო კილო, რომლითაც თქვენი
უდიდესობა მესაუბრა არანხუესში?
იქნებ სამსჯავროს წარმოადგენს დიდებულთ კრება,
სადაც თავიანთ საქციელზე თვით დედოფლებმაც
ვით დამნაშავეთ, ენდა მკაცრი პასუხი აგონ?
მე ნება დავრთე ხელმწიფის შვილს ჩემი ნახვისა,
რადგანაც იგი დაჟინებით ითხოვდა ამას.
ეს ვქენ, მეუღლევ, ვინაიდან ასე მინდოდა
და ვინაიდან ჩვეულებას მე არასოდეს
ისეთი საქმის მოსამართლედ არ დავაყენებ,

რაც უძრახველად მიმაჩნია; მე ეს ამბავი
არ გაგიმხილეთ თქვენ იმიტომ, რომ არ ვისურვე
ამ უფლებაზე მეკამათნა, მეფეო, თქვენთან
ჩვენი სასახლის კარისკაცთა თანადასწრებით.

მ ე ფ ე

ძლიერ თამამად ლაპარაკობთ...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

და იმიტომაც,
დავსძენ, რომ პრინცი სამართლიან, კეთილ მოპყრობას,
რომელსაც იგი იმსახურებს, ჩემო მეუღლევ,
საეჭვო არის, თვისი მამის გულში ხვდებოდეს.

მ ე ფ ე

რომელსაც იგი იმსახურებს?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რატომ დავფარო?
ძლიერ ვაფასებ ხელმწიფის შვილს და მიყვარს იგი
ისე, ვით ჩემი ნათესავი უძვირფასესი,
რომელსაც ერთხელ ღირსად თვლიდნენ ეტარებინა
სახელი ჩემთვის უფრო მეტად შესაფერისი.
ვერ გამიგია მე ჯერ კარგად, რომ პრინცი ჩემთვის
სწორედ იმიტომ უნდა იყოს აწ უფრო უცხო,
ვიდრე ყოველი დანარჩენი, რომ იგი დღემდე
სხვა ყოველ კაცზე ჩემთვის უფრო ძვირფასი იყო.
მაგრამ თუ თქვენმა პოლიტიკამ კავშირი შეკრა
ისე, როგორც თვით მოისურვა, მგონია, მისთვის
უფრო ძნელია ამ კავშირის დარღვევა ახლა.
ძალდატანებით ხელმწიფის შვილს არ შევიძულებ...
და რადგან მაინც მაიძულებთ, ხელმწიფევ, გითხრათ—
მე არ მინდა, რომ ჩემს არჩევანს ვხედავდე კვლავაც
ასე შებოჭილს.

მ ე ფ ე

ელისაბედ! თქვენ გინახივართ
ულონობის ჟამს, სუსტ წუთებში, ეს მოგონება

გაბედულსა გხდით. ყოვლისშემძლე ძალას ენდობით,
რითაც სიმტკიცეს ჩემსას უკვე მრავალგზის სძლიეთ...
მაგრამ მით უფრო გეშინოდეთ. რამაც აქამდე
მე მიმიყვანა, სიშმაგემდეც მიმიყვანს იგი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

განა ისეთი რა შევცოდე, რა დავაშავე?

მ ე ფ ე

(ხელს ხელში მოჰკიდებს)

და თუ შესცოდეთ—არ მომხდარა ასეთი რამე?
ანდა აღსავსე საწყაული თქვენთა ცოდვათა
თვით სასიკვდილო ამოსუნთქვას თუ გადასწონის...
მოტყუებული თუ ვარ თქვენგან...

(გაუშვებს დედოფალს ხელს)

მაშინ მე ძალმიძს,
ამ უკანასკნელ სისუსტეზეც რომ გავიმარჯვო,
ძალმიძს და კიდეც მოვინდომებ... ვაი ჩვენ მაშინ,
ელისაბედ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

თქვი, რა მიმიძღვის დანაშაული?

მ ე ფ ე

მაშინ კი სისხლი დაიღვრება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ნუთუ აქამდე
მივიდა საქმე? ღმერთო ჩემო!

მ ე ფ ე

ჭკუას დავკარგავ,
აღარ მივხედავ არც ქვეყნის ზნეს, არც ბუნების ხმას,
არც ერთა შორის შეთანხმების წმინდა უფლებას.

დედოფალი

ო, როგორ ძლიერ მეცოდებით.

მეფე

(მოთმინებიდან გამოვა)

აჰ, შეცოდება!
მეძავი ქალის სიბრალული!..

მეფის ასული

(შეშინებული დედას მიეკვრება)

მეფე მრისხანებს,
ჩემი ლამაზი დედიკო კი ცრემლს აფრქვევს.

მეფე

(უხეშად ჰკრავს ხელს ბავშვს, რომ დედას მოაცილოს)

დედოფალი

(ნაზად და ღირსებით, მაგრამ მთრთოლარე ხმით)

ბავშვი
მე განვარიდო უნდა ასეთ უხეშ მოპყრობას.
წამო, წავიდეთ, ჩემო შვილო.

(შვილს ხელში აიყვანს.)

რადგანაც მეფეს
აღარ სურს გიცნოს და უარგყოფს, მე პირინეის
იქეთა მხრიდან ქომაგები უნდა ძოვიხმო,
რათა წარმართონ ჩვენი საქმე.

(წასვლას აპირებს.)

მეფე

ო, დედოფალო!

დედოფალი

არა, მე მეტი აღარ ძალმიძს... მეტისმეტია...

(სურს კარებამდე მიაღწიოს, მაგრამ ბავშვიანად ხლურბლზე დაეცემა.)

მეფე

(შეძრწუნებული ისწრაფვის მისაშველებლად)

რა მოგივიდათ? ღმერთო ჩემო!

მეფის ასული

(შეშინებული ყვირის)

სისხლი სდის დედას!

(გარეთ გარბის)

მეფე

(შეშინებული ფუსფუსებს დედოფლის ახლოს)

რა საშინელი შემთხვევაა! სისხლი! ნუთუ მე
დავიმსახურე, ასე რომ მსჯით? ფეხზე აბრძანდით!
გრძნობაზე მოდით! წამოდექით!—აქეთ მოდიან,
შემოგვისწრებენ... წამოდექით! მთელმა სასახლემ
უნდა უცქიროს ამ საშინელ სანახაობას?
იქნებ ადგომა უნდა გთხოვოთ?

(დედოფალი მეფის დახმარებით ფეხზე წამოდგება.)

მეათე გამოსვლა

იგინივე. ალბა, დომინგო შემოდიან შეშინებულნი; მათ სეფე ქალები შემოჰყვებიან.

მეფე

გთხოვთ, დედოფალი
თავის ოთახში მიაცილოთ. ცუდად შეიქნა.

(სეფე ქალები დედოფალს გააცილებენ. ალბა და დომინგო მეფეს მიუახლოვდებიან.)

ალბა

ცრემლად იფრქვევა დედოფალი, მისი სახე კი
სისხლით შესვრილა...

მეფე

და ეს უკვირთ თვით იმ ავსულებს,
რომელთაც თავგზა ამიბნიეს?

ალბა. დომინგო

ჩვენ?

მეფე

რომელთაც მე
ბევრი რამ მითხრეს, სიშმაგემდე რომ მივეყვანე,
მაგრამ ვერაფრით დამარწმუნეს.

ალბა

რაც ჩვენ ვიცოდით,
თქვენც ის გაცნობეთ.

მეფე

ჯოჯოხეთში მიიღებთ ჯილდოს.
მე საქციელი ჩემი დამრჩა შესანანებლად.
ნუთუ ეს იყო დამნაშავე სინდისის ენა?

მარკიზ პოზა

(სცენის გარედან)

ხელმწიფის ნახვა შეიძლება?

მეთერთმეტე გამოსვლა

მარკიზ პოზა. იგინივე.

მეფე

(ამ ხმის გაგონებაზე ცოცხლად წამოხტება და რამდენიმე ნაბიჯს გადასდგამს მარკიზის შესახვედრად)

აჰ! ეს იგია!
კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. თქვენ კი, ჰერცოგო,
აღარ მჭირდებით მე ამჟამად. დაგვტოვეთ.

(ალბა და დომინგო ერთმანეთს უსიტყვო გაოცებით გადახედავენ და გადიან.)

მეთოთხმეტე გამოსვლა

მეფე და მარკიზ პოზა.

მარკიზი

მეფევ!
მოხუც კაცისთვის, ვინაც სიკვდილს შეჰგებებია
თქვენი გულისთვის ოც ბრძოლაში, ძლიერ სამძიმო
იქნება ასე განშორება!

მეფე

ეს თქვენ შეგფერით,
ასე იფიქროთ, მე კი მმართებს, მოვიქცე ასე:
რა სამსახურიც ამ მცირე ხანს თქვენ გამიწიეთ,
მთელ სიცოცხლეში ვერ შესძლო მაგ მოხუცმა კაცმა.
არ მსურს დავფარო ჩემი კეთილგანწყობილება;
ამიერიდან დაე თქვენს შუბლს ნათლად და მკვეთრად
ჩემი მეფური მოწყალების ბეჭედი ესვას.
მე მინდა იმ კაცს, ვინც მეგობრად ამოვირჩიე,
შურით უმზერდნენ.

მარკიზი

და მაშინაც, თუ მარტოოდენ
წყვდიადის ბნელი საბურველით შეიძლებს იგი
ღირსი გახდეს ამ სახელისა?

მეფე

რა ამბავს მეტყვით?

მარკიზი

წინა დარბაზში ყური მოვკარ საშინელ ამბავს.
დაუჯერებლად მიმაჩნია, რაც მე იქ მითხრეს
ცხარე ჩხუბისა, დედოფლის და სისხლის შესახებ.

მეფე

იქიდან მოხვალთ?

მ ა რ კ ი ზ ი

თავზარს დამცემს, ჭკუიდან შემშლის,
თუ ეს ამბავი, რაც შევიტყვე, არ არის ჭორი
და თუ ნამდვილად, მეფეე, თქვენმა უდიდესობამ
შემთხვევით რაღაც მოახდინა. მნიშვნელოვანი
აღმოჩენანი, რომელთ'უკვე მე მივაგენი,
სცვლიან საქმის მთელ ვითარებას.

მ ე ფ ე

რას ამბობთ!

მ ა რ კ ი ზ ი

კარგი
შემთხვევა ვპოვე, რომ ხელთ მეგდო ხელმწიფის შვილის
უბის წიგნაკი, რამდენიმე წერილთან ერთად,
რომელნიც, ვით მე ვიმედოვნებ, ნათელს მოჰფენენ...

(გადასცემს მეფეს კარლოსის უბის წიგნაკს.)

მ ე ფ ე

(ხარბად ათვალიერებს)

ეს მამაჩემის წერილია, იმპერატორის...
რატომ არ მახსოვს, არ მსმენია ამის შესახებ?

(გადაიკითხავს მას, გვერდზე გადასდებს და ახლა სხვა წერილების
წაკითხვას ჩქარობს.)

ციხე-სიმაგრის გეგმა არის... ეს კი ტაციტის
აზრები გახლავთ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოღებული.
უნდა ვიცნობდე ამ ხელს, მგონი. ქალის ხელია!

(კითხულობს ყურადღებით ხან ხმამაღლა, ხან ჩუმად.)

„ეს გასაღები იმ ოთახის კარებს გააღებს,
რომელიც გადის დედოფალის..." ოჰ, რა იქნება?
„იქ სიყვარული თავისუფლად... ძვირფასი ჯილდო..."
ჯოჯოხეთური გამცემლობა! ახლა კი მესმის,
ეს იგი არის, მისი ხელი!

მ ა რ კ ი ზ ი

დედოფლის ხელი?
ვერ დავიჯერებ ამას, მეფეე...

მ ე ფ ე

არა, პრინცესა
ებოლისაა.

მ ა რ კ ი ზ ი

მაშ მართალი ყოფილა იგი,
რაშიც ახლახან გამომიტყდა პაჟი ჰენარეს,
ვინც მიუტანა პრინცს წერილი და გასაღები.

მ ე ფ ე

(ძლიერ აღელვებული მარკიზს ხელზე ხელს წაავლებს)

ვგრძნობ, რა საშინელ, ვერაგ ხალხის ხელთ ჩავვარდ-
ნილვარ!
ამ ქალმა—მარკიზ, მინდა ახლა თქვენ გამოგიტყდეთ—
გატეხა ყუთი დედოფლისა, დიახ, ამ ქალმა,
და დედოფალზე გამაფრთხილა პირველად მანვე.
ვინ იცის, ბერმა საქმე ესე როგორ მოაწყო?
ო, რა წყეული თაღლითობით მოვტყუებულვარ.

მ ა რ კ ი ზ ი

კარგად ყოფილა მაშ ჯერ საქმე...

მ ე ფ ე

ო, მარკიზ! მარკიზ!
ახლა მე იმის მეშინია, რომ ჩემს მეუღლეს
ასე სასტიკად მოვექეცი.

მ ა რ კ ი ზ ი

თუ უფლისწულს და
დედოფალს შორის საიდუმლო რამ არსებობდა,
მაშინ ის უნდა ყოფილიყო სხვა შინაარსის,
ვიდრე ის, რაშიც ბრალსა სდებენ. ნამდვილად ვიცი,

რომ ფლანდრიაში გამგზავრების განზრახვა კარლოსს
ელისაბედმა შთააგონა.

მ ე ფ ე

მეც ასე მწამდა.

მ ა რ კ ი ზ ი

პატივმოყვარე არის იგი... გავბედო მეტი
გითხრათ, ხელმწიფევ?.. ჩვენს დედოფალს საწყენად
რჩება,
რომ, თავის ზვიად იმედებში მოტყუებული,
სამეფო ტახტის მმართველობას ჩამოაცილეს.
მას ხელთ უპყრია სიჭაბუკე უფლისწულისა
შორსმჭვრეტელური ზრახვებისთვის... მაგრამ მე ვეჭვობ,
რომ დედოფლის გულს სიყვარული შეეძლოს.

მ ე ფ ე

მისი
პოლიტიკური განზრახვანი ვერ ამათრთოლებს.

მ ა რ კ ი ზ ი

ნუთუ ის უყვართ? საშიშია კარლოსი მართლა?
აი, ეს კითხვა მეჩვენება განხილვის ღირსად.
აქ, ჩემის აზრით, საჭიროა სიფხიზლე მკაცრი...

მ ე ფ ე

პრინცის თავდები თქვენ იქნებით.

მ ა რ კ ი ზ ი

(რამდენიმე ხნის დაფიქრების შემდეგ)

თუ, თქვენის აზრით,
მე შემიძლია გავუძღვე ამ მოვალეობას,
მაშინ, ხელმწიფევ, უნდა გთხოვოთ, რომ ხელთ
გადმომცეთ
მისი წარმართვა მ თ ლ ი ა ნ ა დ და განუსაზღვრელად.

მ ე ფ ე

სიამოვნებით, თანახმა ვარ.

მ ა რ კ ი ზ ი

არვინ, არც ერთმა
თანამდგომელმა, რა სახელიც არ უნდა ჰქონდეს,
რასაც საჭიროდ დავინახავ, მე იმ ნაბიჯში
ხელი არ უნდა შემიშალოს.

მ ე ფ ე

არა, არავინ.
პირობას გაძლევთ. თქვენ ხართ ჩემი კეთილი სული,
ჩემი მფარველი ანგელოზი. რა დიდად გმადლობთ
ამ რჩევისათვის!

(ლერმას, რომელიც ამ უკანასკნელი სიტყვების თქმის დროს შემოვა)

დედოფალი როგორ ბრძანდება?

ლ ე რ მ ა

იმ მღელვარების შემდეგ ძლიერ შეუძლოდ გახლავთ.

(იგი ორაზროვნად შეხედავს მარკიზს და გავა.)

მ ა რ კ ი ზ ი

(პაუზის შემდეგ, მეფეს)

ერთი სიფრთხილე, ჩემის აზრით, გვჭირდება კიდევ.
ეშიშობ, ვაითუ ხელმწიფის შვილს გააგებინონ.
ბევრი ჰყავს კარგი მეგობარი... იქნება კიდეც
დაუკავშირდა იგი გენტის ამბოხებულებს.
შესაძლო არის შიშის გამო ხელმწიფის შვილმა
ზომას მიმართოს თავგანწირულს... სწორედ ამიტომ
რჩევას ვიძლევი, ჩვენც ახლავე ზომა მივიღოთ,
რომ ეს შემთხვევა ავიცილოთ თავიდან სწრაფად.

მ ე ფ ე

თქვენ მართალი ხართ. მაგრამ როგორ...

მ ა რ კ ი ზ ი

მიბოძეთ, მეფევ,
დაპატიმრების საიდუმლო ბრძანება, რითაც
განსაცდელის ჟამს ვისარგებლებ დაუყოვნებლად.

(როგორც კი დაინახავს, რომ მეფე ყოყმანობს)

ეს სახელმწიფოს საიდუმლოდ დარჩება, ვიდრე...

მ ე ფ ე

(მიდის საწერ მაგიდასთან და დაპატიმრების ბრძანებას ხელს აწერს)

სამეფოს ბედი საფრთხეშია და ჩვენ ნება გვაქვს
გამოვიყენოთ ეს სასწრაფო საშუალება,
როს გასაჭირი გვაიძულებს... აჰა, ინებეთ.
არავითარი შებრალება თქვენ არ გჭირდებათ.

მ ა რ კ ი ზ ი

(ბრძანებას გამოართმევს)

უკიდურესი შემთხვევის დროს გამოვიყენებ
მე ამ ბრძანებას, ჩემო მეფევ.

მ ე ფ ე

(მხარზე ხელს დაადებს)

წაბრძანდით ახლა.
ძვირფასო მარკიზ, დაუბრუნეთ სიმშვიდე ჩემს გულს
და ჩემს თვალებსაც დაუბრუნეთ კვლავ მშვიდი ძილი.

(ორივენი გადიან სხვადასხვა მხრით.)

გ ა ლ ე რ ე ა

მეცამეტე გამოსვლა

კ ა რ ლ ო ს ი შემოდის ძალზე აღელვებული. წინ შემოხვდება
გ რ ა ფ ი ლ ე რ მ ა.

კ ა რ ლ ო ს ი

თქვენ გეძებთ სწორედ.

ლ ე რ მ ა

მეც თქვენ გეძებთ.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ მართალია?
ღვთის გულისათვის, მართალია?

ლ ე რ მ ა

რაა მართალი?

კ ა რ ლ ო ს ი

რომ იგი ხანჯლით დასჭრა მეფემ და გაიტანეს
ჩვენი ხელმწიფის ოთახიდან სისხლით მოსვრილი.
ყველა წმინდანის გულისათვის, თქვით, მიპასუხეთ!
რა დავიჯერო, რას ვერწმუნო, რაა მართალი?

ლ ე რ მ ა

ულონოდ ქმნილი ძირს დაეცა, დაშავდა ოდნავ...
სხვა არაფერი არ მომხდარა.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ საშიშარი
არაფერია? არაფერი? სინდისს გაფიცებთ!

ლ ე რ მ ა

დედოფლისათვის—არაფერი... მით უფრო—თქვენთვის.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ დედაჩემი კარგადაა! მადლობა უფალს!
მე კი სხვაგვარი საშინელი ამბავი მესმა,
თითქოს ხელმწიფე გაუბრაზდა ბავშვსა და დედას
და საიდუმლო გამომჟღავნდა.

ლ ე რ მ ა

უკანასკნელი,
ვგონებ, მართალი უნდა იყოს.

კ ა რ ლ ო ს ი

მართალი? ნუთუ?

ლ ე რ მ ა

მე ერთხელ უკვე გაგაფრთხილეთ, ხელმწიფის შვილო,
თქვენ კი არაფრად მიიჩნიეთ. გირჩევთ, აწ მაინც
გამოიყენოთ უკეთესად.

კ ა რ ლ ო ს ი

რაო?

ლ ე რ მ ა

მეფის ძევ,
თუ არა ვცდები, რამდენიმე დღის წინათ ვნახე
ცისფერ ხავერდის ყდებიანი უბის წიგნაკი,
ოქროქსოვილით შემკობილი, ხელში გეჭირათ.

კ ა რ ლ ო ს ი

(ცოტა შეფიქრიანებული)

დიახ, მასეთი მე მაქვს. მერე?

ლ ე რ მ ა

ზედ სილუეტი,
მარგალიტებით მოოქვილი, შევნიშნე, მგონი.

კ ა რ ლ ო ს ი

სიმართლეს ბრძანებთ.

ლ ე რ მ ა

როს სავსებით მოულოდნელად
შევედი მეფის კაბინეტში, მე დავინახე,
თითქოს ხელთ ეპყრა მეფეს ჩვენსას წიგნაკი იგი.
მასთან კი მხოლოდ მარკიზ პოზა იმყოფებოდა.

კ ა რ ლ ო ს ი

(მცირე ხნის დუმილის შემდეგ, ცხარედ)

ეს სიცრუეა.

ლ ე რ მ ა

(შეურაცხყოფილი)

მატყუარა ვყოფილვარ მაშინ!

კ ა რ ლ ო ს ი

(უცქერის დიდხანს)

დიახ, ბრძანდებით.

ლ ე რ მ ა

ოჰ! შეგინდობთ, მეფის ძევ, ამას.

კ ა რ ლ ო ს ი

(საშინლად აღელვებული დაიარება წინ და უკან და ბოლოს
შეჩერდება მის წინ)

რა დაგიშავა მან ასეთი? ან უწყინარმა
ჩვენმა კავშირმა, მეგობრობამ თუ გავნო რამე,
რომ ახლა ასეთ ჯოჯოხეთურ გულმოდგინებით
ისწრაფვი იგი დაარღვიო.

ლ ე რ მ ა

ხელმწიფის შვილო,
პატივს ვცემ იმ ჯავრს, რაიც ასე უსამართლოს გხდით.

კ ა რ ლ ო ს ი

ო, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო ჩემო, ეჭვისგან მიხსენ!

ლ ე რ მ ა

მახსოვს აგრეთვე თვით სიტყვები, მეფისგან თქმული:
„რაოდენ დიდად“, უთხრა მეფემ, როცა შევედი,
„დავალებული ვარ მე თქვენგან ამ ამბის გამო“.

კ ა რ ლ ო ს ი

ო, კმარა! კმარა!

ლ ე რ მ ა

უფლისწულო, ჰერცოგი ალბა
უკვე დაეცა... თვით მეფისწულ რუი გომესსაც
დიდი ბეჭედი ჩამოართვეს და მარკიზ პოზას
გადასცეს იგი.

კ ა რ ლ ო ს ი

(ლრმა ფიქრში ჩაძირული)

მარკიზმა კი ეს მე არ მითხრა.
ნეტავი რატომ დამიმალა?

ლ ე რ მ ა

მთელი სასახლე
მარკიზს უცქერის, როგორც მინისტრს ყოვლისშემძ-
ლებელს,
როგორც მედროვეს, განუსაზღვრელ უფლებით მოსილს.

კ ა რ ლ ო ს ი

მე მას ვუყვარდი, დიახ, მარკიზს ვუყვარდი ძლიერ,
სულზე უტკბესი ვიყავ მისთვის. ო, ეს მე ვიცი,
ვიცი ათასი შემთხვევით და გამოცდილებით.
მაგრამ ერთ კაცზე უფრო ძვირად არ უნდა ღირდეს
მისთვის სამშობლო, ათასები, მილიონები?
მარკიზის გული თურმე ძლიერ ფართოა ერთი
მეგობრისათვის და კარლოსის ბედნიერება
უმნიშვნელოა, ალბათ, მისი სიყვარულისთვის.
მან ხომ თავისი სათნოება შემწირა მსხვერპლად.
ძალმიძს ამიტომ ის გავკილო? დიახ, ცხადია,
ეს ნათელია. მე მარკიზი დავკარგე უკვე.

(მიდგება კუთხეში და სახეს ხელებში იმალავს)

ლ ე რ მ ა

(მცირე პაუზის შემდეგ)

ძვირფასო პრინცო, რა ძალმიძს მე ვიღონო თქვენთვის?

კ ა რ ლ ო ს ი

მეფესთან წადით, მიღალატეთ, გამყიდეთ თქვენაც,
გასაბოძები არა მაქვს რა.

ლ ე რ მ ა

ნუთუ თქვენ გნებავთ
შედეგს ელოდოთ?

ა რ ლ ო ს ი

(მოაჯირს დაეყრდნობა და გაშტერებული გასცქერის სივრცეს)

მე მარკიზი დავკარგე უკვე.
ო, ახლა ქვეყნად მარტო დავრჩი, მთლად განწირული!

ლ ე რ მ ა

(მიუახლოვდება კარლოსს თანაგრძნობით გულაჩვილებული)

არ გსურთ იფიქროთ თქვენი თავის გადარჩენაზე?

კ ა რ ლ ო ს ი

გადარჩენაზე, ჩემს დახსნაზე?—კეთილო კაცო!

ლ ე რ მ ა

მაშ არავისზე აღარ ფიქრობთ, არ გეშინიათ?

კ ა რ ლ ო ს ი

(წამოხტება)

ო, ღმერთო! რისთვის გამახსენეთ მე დედაჩემი!
წერილი, მარკიზს რომ მივეცი, რომლის მიცემა
არ მინდოდა და მაინც მივეც.

(ძალზე გამწარებული ხელებს იფშვნეტს და წინ და უკან დაიარება.)

და მერე ამით
რა დააშავა დედოფალმა მეფის წინაშე?
მეფემ ის უნდა შეიბრალოს. ასე არაა?

(სწრაფად, გადაწყვეტით)

უნდა გავიქცე დედოფალთან და გავაფრთხილო,
რომ ამ ამბისთვის მოემზადოს... ძვირფასო ლერმა...
ან ვინ გავგზავნო? ნუთუ მართლა აღარავინ მყავს?
მადლობა ღმერთს, რომ ერთი მაინც შემომრჩა კიდევ...
აქ არაფერი დაშავდება.

(სწრაფად გადის.)

ლ ე რ მ ა

(უკან მისდევს და მისძახის)

მეფის ძევ! საით?

(გადის.)

მეთოთხმეტე გამოსვლა

დ ე დ ო ფ ა ლ ი. ა ლ ბ ა. დ ო მ ი ნ გ ო.

ა ლ ბ ა

თუ ნებას მოგვცემთ, დედოფალო...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რაზე გარჯილხართ?

დ ო მ ი ნ გ ო

ჩვენი გულწრფელი შეშფოთება თქვენი მეფური
უდიდესობის გულისათვის არ გვაძლევს ნებას,
არაფერი ვთქვათ ამ მომხდარი შემთხვევის გამო,
თქვენს სიმშვიდეს რომ ემუქრება.

ა ლ ბ ა

ჩვენ მივისწრაფვით
ამ წინასწარი, გაფრთხილებით უვნებელი ვყოთ
ის ინტრიგები, თქვენს გარშემო რომ იხლართება.

დ ო მ ი ნ გ ო

და თქვენს წინაშე, დედოფალო უდიადესო,
დავამხოთ ჩვენი სამსახური, გულმოდგინება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(უყურებს ორივეს გაოცებით)

წმინდაო მამავ და ჰერცოგო კეთილშობილო,
თქვენ მე მაოცებთ ჭეშმარიტად. ამ ერთგულებას
დომინგოსა და ალბასაგან არ მოველოდი.
ვიცი, ვით უნდა დავაფასო ამგვარი გრძნობა.
თქვენ ხომ მითხარით, ინტრიგები რომ მემუქრება.
ძალმიძს შევიტყო, თუ ვინაა...

ა ლ ბ ა

ჩვენ გვინდა გთხოვოთ,
მარკიზ პოზასთან ფრთხილად იყოთ—იგი ხელმწიფის
ერთგული გახლავთ, დედოფალო, მის საიდუმლო
საქმეთ განაგებს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მსიამოვნებს, რომ ჩვენს ხელმწიფეს
ასეთი კარგი არჩევანი მოუხდენია.
დიდი ხანია, რაც ამბობენ, რომ მარკიზ პოზა
კარგი კაცია, დიდებული ადამიანი,
სახელგანთქმული თვისი ნიჭით. მეფის წყალობა
ამაზე სწორად არასოდეს არ გაცემულა...

დ ო მ ი ნ გ ო

ამაზე სწორად? ეს ჩვენ უკეთ მოგვეხსენება.

ა ლ ბ ა

აწ საიდუმლო აღარაა, თუ რისთვისაა
ეს კაცი ასე საჭირო და გამოსადეგი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორ? რისათვის? მან ასეთი რა ჩაიდინა?
ჩემს მოთმინებას ძლიერ სძაბავთ.

დ ო მ ი ნ გ ო

დიდი ხანია
იმის შემდეგ, რაც, დედოფალო, უკანასკნელად
თქვენს ზარდახშაში ჩაიხედეთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორ?

დ ო მ ი ნ გ ო

როდისმე
ძვირფასი ნივთი ზარდახშიდან არ დაგკარგვიათ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რაო? რისათვის? ეს ხომ მთელმა სასახლემ იცის,
რაც დამეკარგა... მაგრამ პოზა რა შუაშია?
რა კავშირი აქვს მარკიზ პოზას ამ დანაკარგთან?

ა ლ ბ ა

ძალიან დიდი, დედოფალო... ხელმწიფის შვილმაც
მნიშვნელოვანი საბუთები დაკარგა უკვე,
რაიც ამ დილით ჩვენი მეფის ხელში შენიშნეს,
როს პოზა მასთან კაბინეტში იმყოფებოდა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

საოცარია, ღმერთსა ვფიცავ! ფრიად მაკვირვებს!
მტერს იქ ვპოულობ, სადაც სულ არ ველოდებოდი.
და ახლა ვიძენ ორ მეგობარს, რომელნიც, როგორც
მე მახსოვს, ჩემი მეგობრები არასდროს იყვნენ...

(უცქერის ორივეს გამსჭვალავი თვალით.)

მაგრამ მე უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეშინოდა,
ასე უგვანი სამსახური, რაც გამიწევს
ჩემი მეუღლის და მეფის წინ—შემენდო თქვენთვის.

ა ლ ბ ა

ჩვენთვის?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჰო, თქვენთვის.

დ ო მ ი ნ გ ო

ალბა! ჩვენთვის!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(არც ერთს თვალს არ აშორებს)

მოხარული ვარ,
რომ აჩქარება ჩემი ასე სწრაფად შევნიშნე.
ამის გარეშეც გადავწყვიტე და ჩემს ხელმწიფეს
თხოვნით მივმართე, დღესვე ჩემთვის წარმოედგინა
დამნაშავენი. და ახლა კი მით უკეთესი!
მაშ მე ჰერცოგის ჩვენებაზე დავემყარები.

ა ლ ბ ა

ჩემს ჩვენებაზე? ეს მართლა გსურთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რატომაც არა?

დ ო მ ი ნ გ ო

რომ ყოველგვარი სამსახური გაანადგურეთ,
რაც გვსურდა თქვენთვის საიდუმლოდ...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რა? საიდუმლოდ?

(ამაყად და სერიოზულად)

მე კი მინდოდა, რომ გამეგო, ჰერცოგო ალბა,
მეუღლეს თქვენი ხელმწიფისას რა შეიძლება
ჰქონდეს თქვენთან ან დომინგოსთან სალაპარაკო,

რისი გაგებაც არა მართებს მეუღლეს მისას..
დამნაშავე ვარ მე თუ არა?

დ ო მ ი ნ გ ო

ეს რა კითხვაა?

ა ლ ბ ა

მაგრამ, მეფე რომ არ მოიქცეს სამართლიანად?
თუ უსამართლოდ მოგვეპყრას ის?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

დავიცდი მაშინ,
ვიდრე ასე არ მოიქცევა. ნეტავი იმას,
ვინაც დარჩება მოგებული სიმართლით მისით.

(თავის ოდნავი დაკვრით გამოეთხოვება მათ და გადის. ალბა და დომინგო კი გადიან სხვა მიმართულებით.)

პრინცესა ებოლის ოთახი

მეთხუთმეტე გამოსვლა

პ რ ი ნ ც ე ს ა ებ ო ლ ი. მაშინვე შემოდის კ ა რ ლ ო ს ი ც.

ე ბ ო ლ ი

მაშ ის ამბავი უცნაური გამართლდა უკვე,
მთელ სასახლეს რომ მოეფინა?

კ ა რ ლ ო ს ი

(შემოდის)

არ შეგეშინდეთ,
მე მსურს ბავშვივით უწყინარი და მშვიდი ვიქნე.

ე ბ ო ლ ი

ასე უეცრად... უფლისწულო...

კ ა რ ლ ო ს ი

თქვენ ისევ ბრაზობთ?
კვლავ მოგდით გული?

ე ბ ო ლ ი

უფლისწულო!

კ ა რ ლ ო ს ი

(დაჟინებით)

კვლავ მოგდით გული?
მითხარით, პრინცო, გევედრებით!

ე ბ ო ლ ი

ეს რასა ნიშნავს?
ჩანს, დაგავიწყდათ, მეფის ძეო... რა გნებავთ ჩემგან?

კ ა რ ლ ო ს ი

(მხურვალედ სწვდა ხელებზე)

თუ შეგიძლია, ქალიშვილო, ყოველთვის გძულდე?
მაშ გულნატკენი სიყვარული არ მაპატიებს?

ე ბ ო ლ ი

(ცდილობს განთავისუფლდეს)

რა გინდათ ამით გამახსენოთ?

კ ა რ ლ ო ს ი

შენი სიკეთე,
გულკეთილობა და ჩემი კი—უმადურება.
ეჰ! კარგად ვიცი, თუ რა ძლიერ შეურაცხგყავი,
მე დავამსხვრიე შენი გული, ეგ ნაზი გული
და ცხარე ცრემლი ვაფრქვევინე მაგ ლამაზ თვალებს.
ახლაც იმისთვის როდი მოველ, მოვინანიო.

ე ბ ო ლ ი

დამტოვეთ, პრინცო... მე...

კ ა რ ლ ო ს ი

იმიტომ მოვედი შენთან,
რომ უწყინარი, გულკეთილი ქალიშვილი ხარ
და შენს მშვენიერ, კეთილ სულზე ვამყარებ იმედს.
შენც კარგად ხედავ, ქალიშვილო, რომ მე ამქვეყნად
აღარავინ მყავს მეგობარი ახლა შენს გარდა.
შენ ხომ გიყვარდი მე ოდესღაც... აწ სამუდამოდ
ვერ შემიძულებ, უსათუოდ შემირიგდები.

ე ბ ო ლ ი

(ხელგს შეაქცევს)

ღვთის გულისათვის, უფლისწულო, გაჩუმდით, კმარა!

კ ა რ ლ ო ს ი

ნება მიბოძე, ის ძვირფასი დრო გაგახსენო,
ნება მიბოძე, მოგაგონო ის სიყვარული,
შენი ლამაზი სიყვარული, ქალწულო, რომელს
ასე უღირსად მოვეპყარი. მიბოძე ნება,
იგივე ვიქნე ახლა შენთვის, რაც მაშინ ვიყავ,
რაც მომანიჭა შენი გულის ოცნებამ ტკბილმა.
ო, ერთხელ კიდევ... ერთხელ კიდევ დაე წარმოვდგე
შენი სულის წინ ისეთივე, ვით ვიყავ მაშინ,
და ამ ლანდს მაინც შესწირე ის, რისი შეწირვაც
ჩემთვის არასდროს აღარ ძალგიძს.

ე ბ ო ლ ი

ო კარლოს, კარლოს!
როგორ სასტიკად მათამაშებთ!

კ ა რ ლ ო ს ი

დაე ამაღლდი
შენსავე სქესზე! დაივიწყე, რაც გაწყენინე!
ჰქენი, რაიც ჯერ არ უქნია არც ერთ დედაკაცს,
რის ქმნას შენს მერეც ვერ შეიძლებს ვერც ერთი ქალი.
რაღაც უცნაურს, გაუგონარს მოვითხოვ შენგან...

ნება მიბოძე — მუხლმოყრილი გემუდარები —
ორიოდ სიტყვა მათქმევინე მე დედაჩემთან.

(მუხლს მოიყრის მის წინ.)

მეთექვსმეტე გამოსვლა

ინანივე. მ ა რ კ ი ზ ი ა ზ ა შემოიჭრება, მას შემოჰყვება მეფის სამცველოს ორი ოფიცერი.

მ ა რ კ ი ზ ი

(სულმოუთქმელად, თავდავიწყებით ჩადგება მათ შორის)

რა გაგიმეღავნათ? ნუ უჯერით!

კ ა რ ლ ო ს ი

(ისევ მუხლმოყრილი, ხმამაღლა)

გაფიცებთ ყველა
წმინდა ანგელოზს...

მ ა რ კ ი ზ ი

(გაცხარებით შეაწყვეტინებს)

ჩანს, შეშლილა. რა საჭიროა,
ჭკუაზე შეშლილს მოუსმინოთ?

კ ა რ ლ ო ს ი

(უფრო ხმამაღლა, დაბეჯითებით)

საქმე ეხება
აქ ჩემს სიკვდილსა და სიცოცხლეს. გთხოვთ წამიყვანოთ
ახლავე მასთან.

მ ა რ კ ი ზ ი

(ირონიულად ხელს ჰკრავს და კარლოსს მოაცილებს)

წამსვე მოგკლავთ, თუ გაუგონებთ.
გრაფ ფონ კორდუა, ესპანეთის მეფის სახელით,

(უჩვენებს დაპატიმრების ბრძანებას.)

პრინცი აწ თქვენი ტუსაღია.

(კარლოსი მეხდაცემულივით გაქვავდება. პრინცესა შეშინებული შეჰკივლებს და სურს გაიქცეს, ოფიცრები გაოცდებიან. ხანგრძლივი და ღრმა დუმილი. ჩანს, მარკიზი ძალზე აღელვებულია და თავს ძლივს იკავებს.)

(პრინცს)

გთხოვთ ჩამაბაროთ

მე თქვენი დაშნა, უფლისწულო... თქვენ კი, პრინცესა,
აქვე დარჩებით;

(ოფიცრებს)

პასუხს აგებთ თქვენ ჩემს წინაშე,
რომ პრინცს არავინ ესაუბროს... ხმა არვინ გასცეს...
და არც თქვენ თვითონ, თორემ ყველას სიკვდილით
დაგსჯით!

(რაღაცას ჩუმად ეტყვის ოფიცერს, შემდეგ მეორეს მიმართავს)

მე კი ახლავე დავემხობი ხელმწიფის ფერხთით,
რომ ანგარიში ჩავაბარო...

(კარლოსს)

და თქვენც აგრეთვე...
მელოდეთ, პრინცო... ერთ საათში გამოვცხადდები.

(ცნობიერებადაკარგული კარლოსი მიჰყვება ოფიცრებს... მხოლოდ, მარკიზს რომ ჩაუვლის, შეხედავს მას დაღლილი, უსიცოცხლო თვალებით. მარკიზი პირს მოარიდებს. პრინცესა კიდევ ცდილობს გაეცალოს, მაგრამ პოზა ხელს გაუყრის და უკან აბრუ.

მეჩვიდმეტე გაცოცხლება

პრინცესა ებოლი. მარკიზ პოზა.

ებოლი

ყველა წმინდანის გულისათვის, ნება მიბოძეთ,
ამ ადგილს ახლავ გავეცალო.

მარკიზი

(გამოიყვანს ავანსცენაზე, მკაცრად და სერიოზულად)

რა გითხრა პრინცმა,
შე უბედურო?

ებოლი

არაფერი... სულ არაფერი...
გამიშვით, წავალ.

მარკიზი

(ძალით აბრუნებს უკან, უფრო სერიოზული ტონით)

თუ შეიტყვე ბევრი რაიმე?
თავს ვერ დააღწევ შენ აქედან. ამ საიდუმლოს
ქვეყნად ვერავის ვერ უამბობ.

ებოლი

(შეშინებული ჭესცქერის თვალებში)

ო, დიდო ღმერთო!
რა გსურთ თქვენ ამით? ჩემი მოკვლა ხომ არა გნებავთ?

მარკიზი

(იძრობს ხანჯალს)

სწორედ ამგვარი განზრახვა მაქვს. მაშ მოემზადე.

ებოლი

მაშ მომკლავ? მომკლავ? ო, ციურო ლმობიერებავ!
რა დავაშავე მე ასეთი?

მარკიზი

(ხეცას შეხედავს და პრინცესას მკერდზე ხანჯალს მიაბჯენს)

ჯერ კიდევ დროა.
ამ ბაგეთაგან შხამი ჯერ არ გადმონთხეულა.
ჰურჰელს დავამსხვრევ... ყველაფერი ისე დარჩება,
ვით უწინ იყო... ან სიცოცხლე ერთი ქალისა,
ან ესპანეთის მომავალი...

(ეჭვით აღსავსე, რჩება უწინდელ მდგომარეობაში)

ებოლი

(თავგადაგდებული, პირდაპირ შესცქერის მარკიზს თვალებში)

რაღას აყოვნებთ?
მე შებრალებას არ ვთხოულობ. არა! სიკვდილი
დავიმსახურე და მსურს იგი.

მარკიზი

(ნელ-ნელა დაუშვებს ხელს. მცირეოდენი ფიქრის შემდეგ)

ეს იქნებოდა

ბარბაროსობა და სიმხდალე... ო, არა, არა!
მადლობა უფალს! გვაქვს კიდევ სხვა საშუალებაც!

(ხელიდან გააგდებს ხანჯალს და სასწრაფოდ გადის. პრინცესა კი გარბის სხვა მიმართულებით.)

დედოფლის ოთახი

მეთვრამეტე გამოსვლა

დედოფალი. გრაფინია ფუანტესი.

დედოფალი

რა ჩოჩქოლია სასახლეში? დღეს ყოველგვარი
მცირე ხმაურიც, გრაფინია, შიშსა მგვრის ძლიერ.
წადით, ნახეთ და მომახსენეთ, რაშია საქმე.

(გრაფინია ფუანტესი გადის, ოთახში შემოიჭრება პრინცესა ებოლი.)

მეცხრამეტე გამოსვლა

დედოფალი. პრინცესა ებოლი.

ებოლი

(სულმოუთქმელად, ფერმკრთალი და გაწამებული დაეცემა დედოფლის ფეხთით)

ჩქარა უშველეთ, დედოფალო! შეიპყრეს იგი.

დედოფალი

რაო, რას ამბობთ? ვინ შეიპყრო?

ებოლი

მარკიზ დე-პოზამ

დააპატიმრა იგი ჩვენი მეფის ბრძანებით.

დედოფალი

და ვინ? არ იტყვი?

ებოლი

უფლისწული.

დედოფალი

ხომ არ გაგიჟდი?

ებოლი

ეს არის ახლა წაიყვანეს.

დედოფალი

და ვინ შეიპყრო

ხელმწიფის შვილი?

ებოლი

მარკიზ პოზამ.

დედოფალი

მაშ მადლი უფალს,

რომ იგი მარკიზს შეუპყრია.

ებოლი

თქვენ ამას ბრძანებთ

ასე გულგრილად, ასე მშვიდად?—ო ღმერთო ჩემო!
სულ ვერ მიმხვდარხართ... თქვენ არ იცით...

დედოფალი

რატომ შეიპყრეს?

ალბათ, რაიმე დაუდევარ საქციელისთვის,
მის ფიცხ ხასიათს თან რომ სდევდა ძალიან ხშირად.

ებოლი

ო, არა, არა, დედოფალო!—მე უკეთ ვიცი
ჯოჯოხეთური, საზიზღარი საქციელია!
ხსნას ველარ ჰპოვებს, მას მოჰკლავენ!

დედოფალი

რაო? მოჰკლავენ?

ებოლი

და მე გახლავართ მისი მკვლელი.

დედოფალი

მაშ მას მოჰკლავენ?

გადარეულო, რასა ბოდავ?

ებოლი

და რისთვის, რისთვის

მოკვდება იგი! ო, მაშინვე მცოდნოდა მაინც,
რომ ეს აქამდე მიაღწევდა.

დედოფალი

ჩემო პრინცესა!

გონს ვერ მოსულხართ თქვენ ჯერ კიდევ. მაშ მოიკრიბეთ
მთელი ძალ-ღონე, რომ მწუხარე თქვენი მოთხრობით,
რაც ჩემ სულს ზარავს, ასე ძლიერ არ შემაშფოთოთ,
და უფრო დინჯად, დაკვირვებით მომიყვეთ ამბავს.
აბა, რა იცით? თქვით, რა მოხდა?

ებოლი

ოჰ, დედოფალო!

ნუ, ნუ მიჰბაძავთ ამ ღვთაებრივ შემწყნარებლობას
და ნურც ამნაირ მიუბაძავ გულკეთილობას!
ის ჯოჯოხეთის ალის მსგავსად სწვავს სინდისს ჩემსას.
ღირსი არა ვარ, უწმინდური თვალი მივაპყრო
შარავანდედით გაბრწყინებულ თქვენს დიად სახეს;
მაშ მთლად გასრისეთ უბედური, რომელსაც ასე
შეზიზღებია თვისი თავი, ვინც, გაქელილი
სინანულის და სირცხვილისგან, თქვენს ფერხთით ხოხავს.

დედოფალი

რის გამხელა გსურთ, უბედურო?

ებოლი

ცის ანგელოზო,

დიდო წმინდანო! თქვენ არ იცით, ჯერ ვერ მიმხვდარ-
ხართ,

თუ რა სატანას უღიმოდით ეგოდენ ნაზად.
მაშ დღეს გაიგეთ. მე... დიახ, მე ვიყავ ის ქურდი,
ვინც თქვენ მოგპარათ...

დედოფალი

თქვენ?

ებოლი

რომელმაც ის წერილები

გადასცა მეფეს...

დედოფალი

ეს თქვენ ჰქენით?

ებოლი

და ვინც გაბედა,

მეფის წინაშე დაესმინეთ.

დედოფალი

თქვენ, თქვენ შესძელით...

ებოლი

შურისძიება... სიყვარული... უგუნურება...
ხელმწიფის შვილი მიყვარდა მე და თქვენ კი მძულდით.

დედოფალი

გძულდით, რადგანაც ის გიყვარდათ?

ებოლი

რადგან უფლისწულს

გამოეუტყდი და თანაგრძნობა ვერ ვპოვე მასში.

დედოფალი

(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

ო, აწ ყველაფერს კარგად მივხვდი!.. აბრძანდით ფეხზე!
თქვენ ის გიყვარდათ... ყოველივე შეგინდეთ უკვე
და ყველაფერი დავიწყებას მიეცა ახლა.
ფეხზე აბრძანდით. წამოდექით!

ებოლი

ო, არა! არა!

მე ჯერ არ მითქვამს საზარელი ამბავი ერთი...
სანამ არ გეტყვით, ნუ შემინდობთ...

დედოფალი

(ყურადღებით)

ამაზე მეტი

კიდევ რა უნდა მოვისმინო? ილაპარაკეთ...

ებოლი

მეფე... ცთუნება... თვალს მარიდებთ... მე თქვენს სახეზე
ამოვიკითხე უკვე ზიზღი... დანაშაული,
რაშიაც მე თქვენ ბრალსა გდებდით, თვით ჩავიდინე.

(ანთებულ სახეს იატაკს დაადებს. დედოფალი გადის. დიდი პაუზა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჰერცოგინია ოლივარესი გამოდის კაბინეტიდან, სადაც დედოფალი გაკიდა, და პრინცესას ჰპოვებს უწინდელ მდგომარეობაში. იგი ჩუმად მიუახლოვდება მას; მისი ნაბიჯების ხმაზე პრინცესა თავს ასწევს და, როგორც კი შენიშნავს, რომ დედოფალი იქ აღარაა, გიჟივით წამოხტება.)

მეოცე გამოცვლა

პრინცესა ებოლი. ჰერცოგინია ოლივარესი.

ებოლი

ღმერთო, დამტოვა! ყოველივე გათავდა ახლა.

ოლივარესი

(მიუახლოვდება)

პრინცესა!..

ებოლი

ვიცი, თუ რისთვისაც მოხვედით ჩემთან.
თქვენ დედოფალმა გამოგგზავნათ, რომ განაჩენი
გამომიცხადოთ... მაშ იჩქარეთ!

ოლივარესი

მან მე მიბრძანა,

რომ დავიბრუნო თქვენგან ჯვარი და გასაღები...

ებოლი

(მკერდიდან იხსნის ოქროს ჯვრის ორდენს და აძლევს ჰერცოგინიას)

მაგრამ ხომ ძალმიძს ერთხელ კიდევ ვემთხვიო ჩემი
უძვირფასესი დედოფლის ხელს?

ოლივარესი

ჩემო ებოლი,

წმინდა მარიას მონასტერში მოგახსენებენ
განაჩენს თქვენსას.

ებოლი

(ცრემლის ფრქვევით)

მაშ დედოფალს ვეღარა ვნახავ?

ოლივარსი

(მოეხვევა და თან სახეს მოარიდებს)

მალალმა ზეცამ მოგანიჭოს ბედნიერება!

(სწრაფად გადის. პრინცესა მისდევს კაბინეტის კარამდე, რომელიც ოლივარესის ხურგს უკან ჩაიკეტება. რამდენიმე წუთს რჩება იგი

(დუმარედ და გაუნძრევლად, მუხლებზე დამხობილი, შემდეგ წამოდგება
და სახეზე ხელებაფარებული სასწრაფოდ გადის.)

ოცდამეერთე გამოსვლა

დედოფალი, მარკიზ პოზა.

დედოფალი

აჰ, როგორც იქნა! კარგი ჰქენით, რომ მინახულეთ.

მარკიზი

(გაფითრებული, უგუნებო სახით, ათრთოლებული ხმით, მთელი გამოსვლის მანძილზე განიცდის ღრმა მღელვარებას)
მარტო ბრძანდებით, დედოფალო? მეზობლებიდან
ხომ არვინ შესძლებს ყური უგდოს საუბარს ჩვენსას?

დედოფალი

ვერც ერთი კაცი... რად კითხულობთ? რა ამბავს მეტ-
ყვით?
(დაკვირვებით შეხედავს მარკიზს და შეშინებული უკან დაიხევს)
როგორ მთლიანად გამოცვლილხართ? რა დაგემართათ?
თქვენი შეხედვა ძრწოლასა მგვრის! მკვდრის ფერი
გაძევთ!..

მარკიზი

თქვენ, ალბათ, უკვე შეიტყობდით...

დედოფალი

რომ უფლისწული
შეპყრობილ იქნა, ვით ამბობენ, თვითონ თქვენს ძიერ...
მარკიზ, ნუთუ ეს მართალია? ვერ დავუჯერე
ეს მე ვერავის, თქვენს გარეშე.

მარკიზი

მართალი გახლავთ.

დედოფალი

თქვენ შეიპყარით?

მარკიზი

მე შევიპყარ.

დედოფალი

(რამდენიმე წამს უცქერის ეჭვით)

დიდად ვაფასებ
თქვენს მოქმედებას, მაშინაც კი, როცა არ მესმის,
მაგრამ ამჯერად მიუტევეთ მშიშარა დიაცს,
ვშიშობ, თამაში სახიფათო არ წამოგეწყოთ.

მარკიზი

მე ის წავაგე.

დედოფალი

ღმერთო ჩემო!

მარკიზი

ნუ შეშფოთდებით,
დამშვიდდით, ჩემო დედოფალო; უფლისწულისთვის
ვიზრუნე უკვე. ჩემთვისაა ის წაგებული.

დედოფალი

ღმერთო! რა უნდა მოვისმინო!

მარკიზი

ვინ, ვინ მიბრძანა
ამ ცრუ სასწორზე რომ შემეგდო სუყველაფერი?
სუყველაფერი? ანდა ასე გულდანდობილად,
ასე უშიშრად მე ზეცასთან რად ვთამაშობდი?
ანდა ამქვეყნად ვინაა ის ადამიანი,
რომელს არ შესწევს ყოვლისმცოდნე ღვთაების ძალა
და შემთხვევათა მძიმე საჭის მართვას კი ბედავს?
ეს მართალია! მაგრამ ახლა მე ჩემს შესახებ

რად ვისაუბრო? დრო ისევე ძვირფასი არის,
როგორც სიცოცხლე თვით კაცისა! ან კი ვინ იცის,
რომ ზეციური მოსამართლის ძუნწი ხელიდან
უკანასკნელი წუთები არ ითვლება ჩემთვის?

დედოფალი

რა? ზეციური მოსამართლე?—ეს საზეიმო
კილო რას ნიშნავს? ვერ მივმხვდარვარ, თუ რაზე მსჯელობთ;
მაგრამ ნათქვამი ძრწოლასა მგვრის.

მარკიზი

ის გადარჩება!
და თუ რა ფასად გადარჩება, ეგ სულერთია.
მაგრამ მხოლოდ დღეს. რამდენიმე საათი დარჩა
და მათ ის კარგად გაუფრთხილდეს. ის ამაღამვე
უნდა წავიდეს მადრიდიდან.

დედოფალი

რა? ამაღამვე?

მარკიზი

მიღებულია საამისო ზომები უკვე.
კარტენზიანთა მონასტერში, რომელიც დიდხანს
იყო ჩვენისა მეგობრობის თავშესაფარი,
მას ფოსტა ელის. აქვეა, ამ თამასუქებში,
სუყველაფერი, რაც ამქვეყნად ბედმა მარგუნა.
რაც დააკლდება, დაუმატეთ. თუმც ბევრი რამე
მაქვს კიდევ ჩემი კარლოსისთვის გასამჟღავნები,
დიახ ბევრი რამ, რომელიც მან უნდა იცოდეს,
მაგრამ იქნება ყველაფრის თქმა არ დამაცალონ.
ამ სალამოსვე მოგიხდებათ შეხვედრა მასთან
და ამიტომაც თქვენ მოგმართავთ.

დედოფალი

ჩემი სიმშვიდის
გულისათვის გთხოვთ, უფრო ნათლად გამაგებინოთ...
ასეთ საშინელ ქარაგმებით ნუ მეუბნებით...
რა მოხდა, მარკიზ?

მარკიზი

ერთი რამ მაქვს სათქმელი კიდევ.
ამ მნიშვნელოვან აღსარებას გავანდობ თქვენს გულს.
ქვეყნად წილად მხვდა მე ისეთი ბედნიერება,
როგორიც მხოლოდ მცირეოდენთ რგებიათ ხოლმე:
პრინცი მიყვარდა და ეს გული, ერთს რომ შევწირე,
იყო შემცველი მთელი ქვეყნის!... მილიონთათვის
ჩემი კარლოსის ლამაზ სულში სამოთხე შევქმენ.
ო, მშვენიერი იყო მაშინ ოცნება ჩემი.
მაგრამ განგებამ მოისურვა, რომ დროზე ადრე
გამიხმოს ჩემი მშვენიერი პლანტაციიდან.
თვისი როდრიგო მალე კარლოსს არ ეყოლება,
მაგრამ მიჯნური დაიკავებს მეგობრის ადგილს.
აქ... აქ... აი, აქ, ამ უწმინდეს საკურთხეველზე,
მისი დედოფლის კეთილ გულში ვტოვებ მე ახლა
ჩემს უკანასკნელ, უძვირფასეს ანდერძნამაგსა.
აქ ჰპოვოს მან ის, როდესაც მე აღარ ვიქნები...

(შეტრიალდება, ცრემლი ხმას ჩაუხშობს)

დედოფალი

ეს მომაკვდავის სიტყვებია. მაგრამ მგონია,
თქვენ ამას მხოლოდ სისხლის ღელვა გალაპარაკებთ.
ან იქნებ მათში აზრიცაა?

მ ა რ კ ი ზ ი

(ცდილობს თავის თავს დაეუფლოს, შემდეგ განაგრძობს უფრო მტკიცე კილოთი)

პრინცს გადაეცით,

რომ არასოდეს დაივიწყოს მან იგი აღთქმა,
რომელიც ჩვენ იმ მეოცნებე ყრმობის დღეებში
წმინდა ნაწილთა მიღებისას მივეცით ერთურთს.
მე შევასრულე ჩემი სიტყვა და სიკვდილამდე
ერთგული დავრჩი. ამჟამად კი მისი ჯერია,
რომ მან თავისი...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

სიკვდილამდე?

მ ა რ კ ი ზ ი

თქვენ მას უთხარით,

რომ სინამდვილედ აქციოს მან სიზმარი იგი,
ლაღი სიზმარი იმ ჩვენს ახალ სახელმწიფოზე,
რაც მეგობრობის ღვთაებრივი ნაყოფი გახლავთ.
დე ამ უხეშ ქვას მან პირველმა შეავლოს ხელი.
დაამთავრებს თუ დამარცხდება—ორივ ერთია.
ოღონდ შეავლოს... და როდესაც საუკუნენი
ჩაიქროლებენ, განგება კვლავ გაიმეორებს
სამეფო ტახტზე პრინცს, რომელიც კარლოსის მსგავსად
კვლავ აღინთება ამგვარ ცეცხლით და გატაცებით.
უთხარით კარლოსს, რომ თავისი ყრმობის ოცნებებს
პატივი დასდოს, როცა იგი დავაჟკაცდება;
ნუ გადაუშლის გულს ღვთაების ნაზ ყვავილისას
გონებისაგან განდიდებულ მოკვდავსა ჭიას
და არ დაიბნეს, როცა სიბრძნე ამქვეყნიური
ზეშთაგონებას, ზეცის ასულს, გაუტეხს სახელს.
მე ეს წინასწარ ვუთხარი მას...

63

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რას ამბობთ, მარკიზ?

ეს რასა ნიშნავს?..

მ ა რ კ ი ზ ი

გადაეცით მეფის ძეს ასე,

რომ მის სულს ვანდობ ჩვენი ხალხის ბედნიერებას,
ამას მოვითხოვ სიკვდილის წინ უფლისწულისგან...
დიახ, მოვითხოვ და უფლებაც მაქვს მოვითხოვო.
მე შევიძლებდი განთიადი ამომებრწყინა
ამ სამეფოზე: დიდებული, სულ სხვა, ახალი.
მეფემ მიბოძა თვისი გული, თავისი შვილი
მიწოდა მე მან... მე ვატარებ ხელმწიფის ბეჭედს
და უკვე აღარ არსებობენ ალბები მისი.

(იგი შეჩერდება და რამდენიმე წამს მდუმარედ უცქერის დედოფალს)

თქვენ სტირით... ვიცნობ მე მაგ ცრემლებს, ლამაზო სულო!

ეს სიხარულის ცრემლებია. მაგრამ... აღსრულდა,
უკვე გათავდა ყველაფერი. ან მე, ან იგი.
სასწრაფო იყო არჩევანი და საშინელი.
უნდა ერთ-ერთი სასიკვდილოდ განწირულიყო
და ის ერთი მე მინდა ვიყო... სჯობია ასე...
ნუ მოისურვებთ, დედოფალო, მეტის გაგებას.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ო, ახლა მივხვდი, ახლა მივხვდი განზრახვას თქვენსას,
ეს რა გიქნიათ, უბედურო, თქვენი თავისთვის?

მ ა რ კ ი ზ ი

მსხვერპლად გავიღე მე დაისის საათი ორი,
რათა ზაფხულის ნათელი დღე გადამერჩინა.
მეფე დავტოვე, ან საერთო რა მქონდა მასთან?
ამნაირ ხრიოკ, მწირ მიწაზე ვერ გაიხარებს,

ვერ აყვავდება ჩემი ვარდი. ევროპის ბედი
ნაყოფს მოიწვევს ჩემი დიდი მეგობრის გულში!
უფლისწულს ვანდობ მრავალტანჯულ ესპანეთს ჩვენსას..,
დე იცლებოდეს ის სისხლისგან ფილიპეს ხელში!
მაგრამ ვაითუ სანანებლად გამიხდეს საქმე
და არჩევანი კარლოსისა არ გამიმართლდეს!
ო, არა, არა! კარგად ვიცნობ მეგობარს ჩემსას,
ეს არ მოხდება. თ ქ ვ ე ნ იქნებით თავდები ჩემი.

(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

კარგად ვხედავდი, სიყვარული ვით ღვივდებოდა,
ვხედავდი, ვნება, ავბედითი და საშინელი,
რა ღრმად უშვებდა თავის ფესვებს კარლოსის გულში...
მაშინ შემეძლო, რომ ამ ვნებას შევბრძოლებოდი,
მაგრამ ეს არ ვქენ, პირიქით მას ვასაზრდოებდი,
რადგანაც იგი არ მიმაჩნდა ავბედით გრძნობად.
თუმც კარგად ვიცი, ხალხი ამას სხვაგვარად განსჯის,
მაინც არ ვნანობ, დანაშაულს არ მიგრძნობს გული.
სიცოცხლეს ვეჭვრეტდი, სადაც სხვები სიკვდილს ხე-
დავდნენ.
ამ უიმედო სიყვარულის მგზნებარე ალში
ადრე შევნიშნე ოქროსფერი იმედის სხივი.
მსურდა კარლოსი გამეხადა სრულქმნილი უფრო,
რომ უზენაეს სილამაზეს ზიარებოდა.
მაგრამ მოკვდავმა ვერ შევძელი დახატვა მისი,
და ვერც გამოთქვა იგი ჩემმა უძლურმა ენამ.
აი, მაშინღა მივუთითე მე კარლოსს თ ქ ვ ე ნ ზ ე
და მთელი ჩემი ხელმძღვანელი როლი ის იყო,
რომ მისთვის თვისი სიყვარული ამეხსნა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მარკიზ,
მაგ მეგობარმა თქვენი გული აღავსო ისე,
რომ მე მთლიანად დამივიწყეთ. ნუთუ ფიქრობდით,
რომ ჩემში ქალის ყოველგვარი სინაზე ჩაქრა

და, რაკი მე მის ანგელოზად გადამაქციეთ,
ხელში მიეცით იარაღად მას სათნოება?
ანდა იქნება დაივიწყეთ, ჩვენი გულისთვის
რაოდენ დიდად საშიშია მაშინ, როდესაც
ასეთ სახელით ვნებას ჩვენსას ვხდით კეთილშობილს?

მ ა რ კ ი ზ ი

ყველა ქალისთვის, მარტოოდენ ე რ თ ი ს თ ვ ი ს არა.
და მე ამ ე რ თ ი ს თავდები ვარ. ანდა იქნება
კეთილშობილი სურვილისა გრცხვენიათ კიდეც,
რომ ამ გმირული სათნოების შემქმნელი გახდეთ?
რა ესაქმება ჩვენს ხელმწიფეს, ესკურიალში
„ფერისცვალება“ მისი მხატვარს, მის წინ მდგომარეს,
მარადისობის მგზნებარ ალით თუკი აღანთებს?
ან ნუთუ ტკბილი ჰარმონია, რომელიცა თვლემს
ქნარის სიმებში, მის შემსყიდველს განეკუთვნება,
რომლის ყურები დახშულია მის მოსასმენად?
მან შეისყიდა უფლება, რომ ის დაამსხვრიოს,
მაგრამ არა თვით ხელოვნება, რომ გადაადნოს
იგი სიმღერის ნეტარებად, ვერცხლის ჰანგებად.
ჭეშმარიტება ბრძნისთვისაა ქვეყნად შექმნილი,
მშვენიერება კი—გრძნობიერ გულისთვის მხოლოდ.
ისინი ერთურთს ეკუთვნიან. ლაჩრულ ცრურწმენას
მე ამგვარ რწმენას არასოდეს დავარღვევინებ.
აღმითქვით, რომ თქვენ გეყვარებათ ის სამუდამოდ;
ქვეყნის შიშის და მოჩვენებით გმირობის გამო
ნუ შეეცდებით ჩამოშორდეთ და დასთმოთ იგი.
გიყვარდეთ იგი მუდმივად და გულშეუცვლელად!
მომცემთ თუ არა, დედოფალო, ამგვარსა აღთქმას
და ხელს მიბოძებთ თქვენ თუ არა დასტურად ამის?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

აღგითქვამთ, მარკიზ, ჩემი გული იქნება მუდამ
მსაჯული ჩემი უანგარო სიყვარულისა.

მ ა რ კ ი ზ ი

(ხელს ჩამოართმევს)

დამშვიდებული ვკვდები ახლა... უკვე დამთავრდა
აწ ჩემი საქმე, აღვასრულე მე ჩემი ვალი.

(დედოფალს თავს დაუკრავს და წასვლას დააპირებს.)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(მდუმარედ გააყოლებს თვალს)

მიდიხართ, მარკიზ, მიდიხართ და არც მეუბნებით,
მალე ვიხილავთ ჩვენ ერთმანეთს კიდევ თუ არა?

მ ა რ კ ი ზ ი

(დაბრუნდა და სახემიბრუნებული ლაპარაკობს)

კიდევ შევხვდებით, რა თქმა უნდა!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მიგიხვდით, პოზა...
კარგად მიგიხვდით... ასე რატომ მატკინეთ გული?

მ ა რ კ ი ზ ი

ან მე, ან იგი!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

არა, არა! თვით გაეხვიეთ
თქვენ ამ საქმეში, კეთილშობილს რომ უწოდებდით.
ნუ, ნუ უარყოფთ, ნუ იცრუებთ ოლონდაც, მარკიზ!
მე კარგად გიცნობთ, ვიცი, ვიცი, დიდი ხანია
გწყუროდათ თქვენ ეს—დე დაიმსხვრეს ასობით გული,
რაში გადარდებთ, სიამაყე დაიცხროთ ოლონდ.
ო, ახლა, ახლა მესმის თქვენი, აწ კარგად გიცნობთ!
შესტრფოდით მხოლოდ განცვიფრებას.

მ ა რ კ ი ზ ი

(შეძრწუნებული თავისთვის)

არა! სრულებით
მზად არ ვყოფილვარ ამისათვის...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

მაშ ნუთუ, ნუთუ
არავითარი ხსნა არაა!

მ ა რ კ ი ზ ი

არავითარი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

არავითარი? არა, ერთი დაფიქრდით კარგად.
არავითარი? თუნდაც ჩემი შემწეობითაც?

მ ა რ კ ი ზ ი

არა, არც თქვენი შემწეობით.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვერ მიცნობთ კარგად.
გამბედაობა დიდი შემწევს.

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ, ეგ ვიცი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშ ხსნა არ არის?

მ ა რ კ ი ზ ი

არა, არა!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

წაბრძანდით, მარკიზ!
არც ერთ მამაკაცს აღარა აქვს ჩემს გულში ფასი.

მ ა რ კ ი ზ ი

(ძლიერ აღელვებული დაემხობა დედოფლის ფერხთით)

ო, ღმერთო ჩემო, ლამაზია სიცოცხლე მაინც.

(წამოხტება და სასწრაფოდ გადის. დედოფალი თავის კაბინეტში შედის.)

მეფის მისალები ოთახი

ოცდამეოთხე გამოსვლა

ჰ ერ ცო გ ი ალ ბ ა [და] დ ო მ ი ნ გ ო ჩუმად და განცალკევებით წინ და უკან დაიარებიან. გ რ ა ფ ი ლ ე რ მ ა გაბოდის მეფის კაბინეტიდან, შემდეგ დ ო ნ რ ა ი მ ო ნ დ დ ე ტ ა ქ ს ი ს ი, ფოსტის უფროსი

ლ ე რ მ ა

კიდევ არა ჩანს მარკიზ პოზა?

ა ლ ბ ა

ჯერ კიდევ არა.

(ლერმა დააპირებს ისევ მეფის კაბინეტში შესვლას.)

ტ ა ქ ს ი ს ი

(შემოდის)

გთხოვთ ჩემს შესახებ მოახსენოთ ხელმწიფეს, ლერმა.

ლ ე რ მ ა

მეფე არავის დღეს არ იღებს.

ტ ა ქ ს ი ს ი

უთხარით მეფეს,
რომ მე მ ჭ ი რ დ ე ბ ა მისი ნახვა აუცილებლად.
მეფისთვისაა სწორედ ძლიერ მნიშვნელოვანი
ის, რაც მე უნდა მოვახსენო. იჩქარეთ ოღონდ!
საქმე არ ითმენს გადადებას.

(ლერმა შედის კაბინეტში.)

ა ლ ბ ა

(მივა ფოსტის უფროსთან)

ძვირფასო ტაქსის,
სჯობს მოთმინებას მიეჩვიოთ. თქვენ ხელმწიფესთან
ვერ ისაუბრებთ...

ტ ა ქ ს ი ს ი

რატომ ვერა?

ა ლ ბ ა

ამის ნებართვა
უნდა ითხოვოთ ჯერ წინასწარ მარკიზ პოზასგან,
რომელსაც ძალუძს პატიმარ ჰყოს მამაც და შვილიც.

ტ ა ქ ს ი ს ი

როგორ? პოზასგან? აჰ, ნამდვილად! ეს ხომ იგია,
ვინც ეს ბარათი თვისი ხელით გადმომცა ახლა...

ა ლ ბ ა

ბარათი? მერე, რა ბარათი?

ტ ა ქ ს ი ს ი

რაც ბრიუსელში
უნდა გავგზავნო...

ა ლ ბ ა

(ყურადღებით)

ბრიუსელში?

ტ ა ქ ს ი ს ი

რომელიც სწორედ
ახლა ხელმწიფეს მოვუტანე.

ა ლ ბ ა

ბრიუსელშიო! გესმით, დომინგო?

დ ო მ ი ნ გ ო

(ახლოს მიდის)

ო, ეს ფრიად საეჭვო გახლავთ.

ტ ა ქ ს ი ს ი

და მერე როგორ დარცხვენით და გაუბედავად
გადმომცა პოზამ ეს ბარათი.

დ ო მ ი ნ გ ო

გასაგებია! გაუბედავად?

ა ლ ბ ა

ვის სწერს ნეტავ?

ტ ა ქ ს ი ს ი

პრინც ნასაუელს
და პრინც ორანელს.

ა ლ ბ ა

ჩემო კაპელან! რომელს, ვილჰელმს? — აქ ღალატია,

დ ო მ ი ნ გ ო

რა თქმა უნდა. სხვა რა იქნება?
უნდა ახლავე გადაეცეს წერილი მეფეს.
რარიგ დიდია, ღირსეულო ადამიანო,
დამსახურება თქვენი ესე მეფის წინაშე,
ასე ბეჯითად რომ ასრულებთ სამსახურს მისას.

ტ ა ქ ს ი ს ი

მე შევასრულე მხოლოდ ჩემი მოვალეობა,
წმინდა მამაო.

ა ლ ბ ა

და კარგადაც.

ლ ე რ მ ა

(გამოდის კაბინეტიდან ფოსტის უფროსი)

მეფემ ისურვა
თქვენი მიღება.

(ტაქსისი შედის.)

მარკიზი კი მაინც არ მოჩანს?

დ ო მ ი ნ გ ო

ყველგან ეძებენ.

ა ლ ბ ა

უცნაური, საოცარია!
პრინცი შეიპყრეს და თვით მეფემ ჯერაც არ იცის,
რისათვის, რატომ?

დ ო მ ი ნ გ ო

ნუთუ პოზა არ გამოცხადდა,
ხელმწიფისათვის ანგარიშის ჩასაბარებლად?

ა ლ ბ ა

როგორ მიიღო ეს ამბავი ჩვენმა ხელმწიფემ?

ლ ე რ მ ა

მეფეს ჯერ სიტყვაც არ დაუძრავს.

(მოისმის ხმაური კაბინეტიდან.)

ა ლ ბ ა

ო, ჩუმად, ჩუმად!
რა ხმაურია?

ტაქსისი

(კაბინეტიდან გამოსული)

გრაფო ლერმა!

(ორივენი შედიან.)

ალბა

(დომინგოს)

რა ხდება ნეტავ?

დომინგო

ასეთი ტონით საუბარი? თუ ეს ბარათი?..
ვგრძნობ კარგს არაფერს მოასწავებს.

ალბა

მან ლერმას უხმო!

თუმცა არ იცის, რომ მე და შენ აქ ვიმყოფებით,
მის მისალებში...

დომინგო

ეჰ, ჩვენი დრო წავიდა უკვე.

ალბა

ნუთუ მე იგი ალარა ვარ, რომლის წინაშეც
აქ ყველა კარი იღებოდა? ჩემს გარეშემო
რარიგ საოცრად შეიცვალა აწ ყველაფერი.

დომინგო

(ჩუმად მიუახლოვდა კაბინეტის კარებს და შეჩერდა მის წინ
მისაყურადებლად)

სუ!

ალბა

(პაუზის შემდეგ)

ყოველივე საფლავივით დადუმებულა.
მათ სუნთქვასაც კი გაიგონებს ადამიანი.

დომინგო

კარის ორმაგი ფარდა ბგერას მთლიანად ახშობს.

ალბა

უკვე მოდიან! კარს მოსცილდი!

დომინგო

ისე შემიპყრო
მე შემზარავმა, ცივმა შიშმა, თითქოს ამ წამმა
გადასწყვიტაო დიდი ბედი.

ოცდამესამე გამოსვლა

შემოდიან პრინციპარმა, ჰერცოგები ფერია და მედინა
სიდონია რამდენიმე დიდებულის თანხლებით. იგივე.

პარმა

თუ შეიძლება

ხელმწიფის ნახვა?

ალბა

არა.

პარმა

არა? ვინაა მასთან?

ფერია

ალბათ, მარკიზი.

ალბა

მოელიან მას სწორედ ახლა.

პარმა

ჩვენაც ამ წუთში ჩამოვედით სარაგოსიდან.
მთელი მადრიდი საშინელმა შიშმა შეიპყრო.
მართალი არის?

დ ო მ ი ნ გ ო

(იმავე დროს)

დაწყევლილიო?

რაშია საქმე, გრაფო ლერმა?

ლ ე რ მ ა

მეფე ატირდა.

დ ო მ ი ნ გ ო

როგორ? ატირდა?

ყ ვ ე ლ ა

(ერთად, შეძრწუნებული გაოცებით)

მაშ ატირდა მეფე ფილიპე?

(მოისმის ზარის ხმა კაბინეტიდან. გრაფი ლერმა საჩქაროდ შედის.)

დ ო მ ი ნ გ ო

(მისდევს ალბას და ცდილობს შეაჩეროს)

ერთ სიტყვას გეტყვით... მაპატიეთ... იგი წავიდა!
ჩვენ კი აქ ვდგავართ შიშისაგან გაქვავებულნი.

ოცდამეოთხე გამოსვლა

პ რ ი ნ ც ე ს ა ე ბ ო ლ ი. ფ ე რ ი ა. მ ე დ ი ნ ა სი დ ო ნ ი ა. პ ა რ მ ა
დ ო მ ი ნ გ ო და სხვა დიდებულნი.

ე ბ ო ლ ი

(შემორბის შეშლილივით)

სად არის მეფე? სადა? უნდა მე ვნახო იგი!

(ფერიას)

გოხოვთ, გრაფო, მასთან შემიყვანოთ!

ფ ე რ ი ა

არა სცალია
დიდმნიშვნელოვან საქმეთ გამო და ვერვინ ბედავს
მეფესთან შესვლას.

ე ბ ო ლ ი

იქნება ის ხელს აწერს უკვე
სასტიკ განაჩენს? მეფე არის მოტყუებული.
მე დავუმტკიცებ, რომ ის არის მოტყუებული.

დ ო მ ი ნ გ ო

(შორიდან მნიშვნელოვნად ანიშნებს)

ებოლი!

ე ბ ო ლ ი

(წავა მისკენ)

აჰ, თქვენც აქ ბრძანდებით, ჩვენო ხუცესო?
საუცხოოა, ახლა სწორედ თქვენ მჭირდებოდით.
თქვენ უნდა მე ეს დამიმოწმოთ.

დ ო მ ი ნ გ ო

მე?.. სრულ ჭკუაზე
თუ ხართ, პრინცესა?

ფ ე რ ი ა

არ შეხვიდეთ, დაბრუნდით უკან!
მეფე თქვენ ახლა ვერ მოგისმენთ!

ე ბ ო ლ ი

არა, მან უნდა
მე მომისმინოს. მან სიმართლეს, ჭეშმარიტებას
უნდა უსმინოს, თუნდ ის ათგზის ღვთაება იყოს!

დ ო მ ი ნ გ ო

წადით! ნუ შეხვალთ! არაფერი აღარ გაშინებთ!

ებოლი

შენ შიშითა თრთი თვით შენივე კერპის წინაშე,
მისი რისხვისა გეშინია, მოკვდავო კაცო!
მე კი არაფრის მეშინია.

(როგორც კი კაბინეტში დააპირებს შესვლას, იქიდან გამოვარდება თვალებგაბრწყინებული ჰერცოგი ალბა; სიარულზე სახეიმო განწყობილება ემჩნევა. იგი მიირბენს დომინგოსთან და გადაეხვევა.)

ალბა

უბრძანეთ, ყველა
ეკლესიაში Te Deum-ის გალობა იწყონ!
უკვე ჩვენია გამარჯვება.

დომინგო

ჩვენი?

ალბა

(დომინგოს და სხვა დიდებულებს)

ყველანი
ახლა მეფესთან! ჩემს შესახებ მოისმენთ კიდევ.

მეხუთე მოქმედება

ოთახი მეფის სასახლეში; რკინის ბადეებიანი კარი გადის ეზოში, სადაც გუშაგები მიდი-მოდიან

პირველი გამოსვლა

კარლოსი ზის მაგიდასთან ხელებში თავჩარგული, თითქოს თვლემდეს. ოთახის სიღრმეში რამდენიმე ოფიცერია, რომლებიც მასთან ერთად არიან დაპატიმრებული. შემოდის მარკიზ პოზა; კარლოსი მას ვერ შეამჩნევს; პოზა ჩუმად ესაუბრება ოფიცრებს. ოფიცრები მაშინვე გაეცლებიან. თვით მარკიზი კი ძალზე ახლოს მივა კარლოსთან და რამდენიმე წამს ჩუმად და ნაღვლიანად დასცქერის. ბოლოს იგი ხელს შეახებს კარლოსს და გამოიყვანს გარინდებიდან.

კარლოსი

(ადგება, მარკიზის დანახვაზე შეკრთება. შემდეგ უყურებს მას გაშტერებული თვალებით და შუბლზე ხელს მიიდებს, თითქოს რაღაცის მოგონება უნდაო)

მარკიზი

ეს მე ვარ, კარლოს.

კარლოსი

(ხელს ჩამოართმევს)

და შენ მაინც მოხვედი ჩემთან?
რა კარგი ჰქენი, მეგობარო.

დ ო მ ი ნ გ ო

სამწუხაროდ.

ფ ე რ ი ა

მაშ მართალია?
პრინცი კარლოსი მალტიელმა დააპატიმრა?

ა ლ ბ ა

დიახ.

პ ა რ მ ა

რა მოხდა? რისთვის?

ა ლ ბ ა

რისთვის? ეს არვინ იცის,
გარდა მეფის და მარკიზისა.

პ ა რ მ ა

დააპატიმრეს
ჩვენი კორტესის ჩაურევლად?

ფ ე რ ი ა

ვაი მას, ვინაც
ხელს შეახებს და შეურაცხყოფს კანონებს ჩვენსას.

ა ლ ბ ა

დიახ, ვაი მას! მეც ვიძახი.

მ ე დ ი ნ ა ს ი დ ო ნ ი ა

მეც.
დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი დ ი დ ებ უ ლ ე ბ ი
ჩვენც ყველანი.

ა ლ ბ ა

ვინ შემომყვება კაბინეტში?.. უნდა ახლავე
ხელმწიფეს ფერხთით ჩავუვარდე.

ლ ე რ მ ა

(გამოიჭრება კაბინეტიდან)

ჰერცოგო ალბა!

დ ო მ ი ნ გ ო

დიდება უფალს! როგორც იქნა!

(ალბა აჩქარებით შედის კაბინეტში.)

ლ ე რ მ ა

(სულმოუთქმელად, დიდი მღელვარებით)

როდესაც მოვა
აქ მალტიელი, გადაეცით, რომ ჩვენი მეფე
მარტო არაა! თვით მოუხმობს...

დ ო მ ი ნ გ ო

(ლერმას. რომელსაც ყველა დანარჩენნი ცნობისმოყვარეობით აღსავსენი ირგვლივ შემოერტყმიან)

რა მოხდა, გრაფო?
გაფითრებულხართ ისე, როგორც მიცვალებული.

ლ ე რ მ ა

(წასვლას დააპირებს)

ეს დაწყევლილი საქმე არის!

პ ა რ მ ა და ფ ე რ ი ა

რაო? რა მოხდა?

მ ე დ ი ნ ა ს ი დ ო ნ ი ა

რა დაემართა მეფეს ჩვენსას?

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ, ვფიქრობდი,
რომ ახლა შენი მეგობარი დაგჭირდებოდა.

კ ა რ ლ ო ს ი

ნუთუ ნამდვილად, ნუთუ მართლა ფიქრობდი ამას?
მოხარული ვარ, მოხარული მე განუზომლად.
კარგად ვიცოდი, რომ შენ ისევ გიყვარდი ძლიერ.

მ ა რ კ ი ზ ი

მაგგვარი რწმენა, მგონია, მეც დავიმსახურე.

კ ა რ ლ ო ს ი

ხომ მართალია? ერთმანეთის კვლავ კარგად გვესმის.
მოხარული ვარ. ეს სინაზე და შებრალება
უხდება ისეთ დიად სულებს, როგორნიც ჩვენ ვართ.
დე იყოს თუნდაც უკანონო სურვილი ერთი
ყველა, დანარჩენ სურვილთაგან, განა ამიტომ
ჩემს კანონიერ სურვილებზე შენ უარს მეტყვი?
იქნება იყოს სათნოება პირქუში, მკაცრი,
მაგრამ სასტიკი, ულმობელი ის არ იქნება,
ძვირად დაგიჯდა ყოველივე ეს, კარგად ვხედავ,
ო, დიახ, ვიცი, კარგად ვიცი, თუ როგორ ძლიერ
გტკიოდა გული, იცლებოდა სისხლისგან იგი,
როდესაც შენს მსხვერპლს საკურთხეველს სწირავდი.

მ ა რ კ ი ზ ი

კარლოს!
რასა გულისხმობ მაგ სიტყვებში?

კ ა რ ლ ო ს ი

შენ დაამთავრებ,
რის დამთავრებაც მე მმართებდა და ვეღარ შევძელ.

აღმოუბრწყინებ ოქროს დღეებს ესპანეთს ჩვენსას,
რომელთაც ჩემგან ის ამაოდ ელოდებოდა.
მე კი დაღუპვა, სამუდამოდ დაღუპვა მელის;
შენ ეს წინასწარ დაინახე. ო, წარიტაცა
ამ საშინელმა სიყვარულმა დაუბრუნებლად
ყველა ყვავილი, ნაადრევი, ჩემი სულისა.
დაღუპული ვარ მე უკვე შენს დიდ იმედთათვის.
ბედმა, განგებამ თუ შემთხვევამ შენ მიგიყვანა
მეფესთან... ოღონდ საიდუმლო გაანდე ჩემი,
შენი იქნება, ანგელოზი გახდები მისი.
ჩემი საშველი აღარაა, ხოლო ესპანეთს
იქნებ ეშველოს კიდევ რამე. სასჯელის ღირსი
არა არის რა აქ, ჩემივე სიბრმავის გარდა:
დღემდე ვერ მივხვდი, ვერ შევნიშნე, ვერ დავინახე,
რომ შენ ისევე დიადი ხარ, ვით ნაზი.

მ ა რ კ ი ზ ი

არა!
ეს მე წინასწარ ვერ განვჭვრიტე... ვერ დავინახე,
რომ სულგრძელობა მეგობრისა აღმოჩნდებოდა
წინდახედული, გონივრული, ვიდრე თვით ჩემი
ასეთი ბრძნული მზრუნველობა. უკვე დაინგრა
ჩემი შენობა—დამავიწყდა მე შენი გული.

კ ა რ ლ ო ს ი

მართლა რომ შენ ეს შეგძლებოდა და ჩემი გული
გეხსნა ამგვარი ბედისაგან, ჰოი, რა ძლიერ,
რა განუზომლად მადლიერი გაგიხდებოდი.
ნუთუ არ ძალმიძს ეს მე მარტომ გადავიტანო?
რა საჭიროა ამისათვის მეორე მსხვერპლი?
მაგრამ... არაფერს აღარ ვიტყვი ამის შესახებ.
არა, არა მსურს, მეგობარო, გისაყვედურო.
რა გესაქმება დედოფალთან? შენ გიყვარს იგი?
ან შენს ეგზომ მკაცრ სათნოებას აინტერესებს

მეოთხე გამოსვლა

(ჰერცოგი ალბა. იგინივე)

ალბა

(მოწიწებით მიუახლოვდება პრინცს და მთელი სცენის განმავლობაში მარკიზისაკენ ზურგშექცეული დგას)

თავისუფალი ხართ, მეფის ძევ. ჩვენმა ხელმწიფემ
მე გამომგზავნა, რათა ეს თქვენ შეგატყობინოთ.

(კარლოსი გაოცებით შეხედავს მარკიზს. ყველა სდუმს.)

და ბედნიერად ვთვლი მე ჩემს თავს, ხელმწიფის შვილო,
რომ წყალობა მაქვს თქვენ პირველად...

კარლოსი

(შეათვალიერებს ორივეს განცვიფრებით. პაუზის შემდეგ, ჰერცოგს)

ჯერ პატიმარ მყვეს
და ახლა ისევ მანიჭებენ თავისუფლებას,
მე კი არ ვიცი, ეს ორივე რისათვის მოხდა?

ალბა

შეცდომის გამო, უფლისწულო; როგორც მე ვიცი,
ერთმა ვიღაცა მატყუარამ შეიძლო თურმე
ჩვენი ხელმწიფის ამ საქმეზე დაყოლიება.

კარლოსი

კი მაგრამ, ნუთუ მე აქ ვზივარ მეფის ბრძანებით?

ალბა

დიახ, მეფის ძევ, ჩვენი მეფის შეცდომის გამო.

კარლოსი

სამწუხაროა, ეს ნამდვილად გულსა მტკენს ძლიერ.
მაგრამ თუ შესცდა ჩვენი მეფე, იმასვე მართებს,
შეცდომა ესე აწ თვითონვე გამოასწოროს.

(ცდილობს მარკიზს თვალებში შეხედოს და ჰერცოგს უცქერის მედიდური მძულვარებით)

დონ ფილიპეს შვილს მიწოდებენ, მაგრამ ყოველთვის
მიცქერის თვალი—გამკილავი, ცნობისმოყვარე.
რის ქმნაც ხელმწიფეს უკარნახა მოვალეობამ,
სულაც არა მსურს მე მივიღო თქვენს მოწყალებად.
მზად ვარ კორტესთა სამსჯავროს წინ ახლავე წარვდგე,
მაგრამ ხმალს ჩემსას არ მივიღებ ასეთ ხელიდან.

ალბა

უარს არ იტყვის ჩვენი მეფე, ხელმწიფის შვილო,
რომ აღასრულოს ეგ სურვილი კანონიერი,
თუკი ინებებთ, ხელმწიფესთან რომ მიგაცილოთ.

კარლოსი

მე აქ დავრჩები, ვიდრე ის ან მისი მადრიდი
ჩემთან არ მოვლენ და ციხიდან არ გამიყვანენ.
გადაეცით მას ეს პასუხი.

(ალბა გადის. ჩანს, რამდენიმე ხანს ეზოშია გაჩერებული და ბრძანებებს აძლევს.)

მესამე გამოსვლა

კარლოსი და მარკიზ პოზა

კარლოსი

(მას შემდეგ, რაც ჰერცოგი გარეთ გავა, ცნობისმოყვარეობით და გაკვირვებით მარკიზს)

ეს რაღას ნიშნავს?
ამოხსენ, მარკიზ. განა შენ აქ მინისტრი არ ხარ?

მარკიზი

მინისტრი ვიყავ, როგორც ხედავ.

(მიუახლოვდება კარლოსს, ძლიერი მღელვარებით)

ო, ჩემო კარლოს,
ჩანს, იმოქმედა. უკვე გასჭრა. ჩანს, გამოვიდა.
უკვე აღსრულდა, მეგობარო, დიდება უფალს,
ეს გამარჯვება მან მარგუნა.

კ ა რ ლ ო ს ი

რა გამარჯვება?
შენი სიტყვები მე არ მესმის.

მ ა რ კ ი ზ ი

(ხელს ხელზე წაავლებს)

გეშველა, კარლოს...
განთავისუფლდი... მაგრამ მე კი...

(შეჩერდება)

კ ა რ ლ ო ს ი

და შენ კი არა?

მ ა რ კ ი ზ ი

მაგრამ მე... მე კი, მეგობარო, მიგიკრავ მკერდზე
ჩემს სიცოცხლეში აწ პირველად სრული უფლებით,
მე ხომ ამაში ყველაფერი, მთლად ყველაფერი,
რაც ჩემთვის მეტად ძვირფასია, გადავიხადე.
ო, კარლოს, რარიგ ნეტარია, რა დიდებული
ამგვარი წამი! ჩემი თავის ვარ კმაყოფილი.

კ ა რ ლ ო ს ი

რა უეცარი ცვლილება ჩანს აწ შენს სახეზე,
ჩემს სიცოცხლეში ჯერ ასეთი არ მინახავხარ.
ამაყად ფეთქავს შენი გული, შენი თვალებიც
ჯერ არნახული, უცნაური ცეცხლით ბრწყინავენ.

მ ა რ კ ი ზ ი

კარლოს, ჩვენ უნდა აწ ერთმანეთს გამოვეთხოვოთ,
იყავ ვაჟკაცი, მეგობარო, არ შეგეშინდეს.
აწ რაც არ უნდა მოისმინო, აღმითქვი, რომ შენ
თავშეუკავებ მწუხარებით, ვაით და ვიშით,
დიად სულთათვის რაიც ასე სამარცხვინოა,
განშორების წუთს უფრო მეტად არ დამიმძიმებ.

შენ მკარგავ, კარლოს, მრავალი წლით, სულელნი ამას
სამარადისოს უწოდებენ.

(კარლოსი მის ხელს გაუშვებს, გაშტერებით უცქერის მარკიზს და პასუხს
არ აძლევს)

იყავ ვაჟკაცი!..
დიდი იმედი მქონდა შენი, სწორედ ამიტომ
ამ საშინელ წუთს შენთან ყოფნას არ განვერიდე,
ამ საშინელ წუთს, უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ს რომ უწოდებენ.
მაშ, კარლოს, უნდა გამოგიტყდე? მე ამის გამო
გახარებული ვიყავ კიდეც. მოდი, ჩამოვსხდეთ...
უღონობას ვგრძნობ, დავიღალე...

(იგი მიუახლოვდება კარლოსს, რომელიც კვლავ მკვდარივით დადუმებულია
თავისდა უნებურად დაეშვება მარკიზის გვერდით).

სადა ხარ ახლა?
პასუხს არ მაძლევ, მეგობარო? მაშ მოკლედ გეტყვი.
ერთი დღის შემდეგ, იმ დროდან, როს უკანასკნელად
კარტეზიანთა მონასტერში ერთმანეთს შევხვდით,
მეფემ თავისთან დამიბარა, რომლის შედეგი
უკვე შენც იცი და მადრიდმაც. მაგრამ არ იცი,
მეფეს რომ შენი საიდუმლო შეატყობინეს,
რომ წერილები, რომლებიცა დედოფლის ყუთში
აღმოაჩინეს, მეტყველებენ შენს წინააღმდეგ,
რომ ყოველივე მეფემ მითხრა თავისი პირით
და სანდო პირი გავხდი მისი.

(შეჩერდება, კარლოსის პასუხის მოლოდინში, მაგრამ პრინცი ისევ სდუმს).

დიახ, ძვირფასო!
ჩემი პირითვე ერთგულება გავტეხე ჩემი.
ემეთაურობდი მე თვითონვე იმ შეთქმულებას,
შენ რომ დაღუპვას გიმზადებდა. ეს საქმე უკვე
აშკარა იყო, შენი დაცვა—ძლიერ გვიანი.
ეს გზაღა დარჩა—წარმემართა შურისძიება.
მტრად გადაგექეცი, რათა შენთვის უკეთ მეზრუნა.
— შენ მე არ მისმენ?

ესრეთ წვრილმანი საზრუნავი ჩემი ტრფობისა?
შემინდე—მე ხომ უსამართლო ვიყავი.

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ.

მაგრამ ამ ერთი საყვედურის გამო კი არა.
რადგან თუ ერთი საყვედური დავიმსახურე,
შემეძლებოდა მაშინ ყველას დამსახურება
და ასე აღარც ვიდგებოდი მე შენს წინაშე.

(ამოიღებს თავის უბის წიგნაკს)

აქ რამდენიმე წერილია, შესანახად რომ
შენ გადმომეცი, მეგობარო. აჰა, მიიღე
ისინი უკან.

კ ა რ ლ ო ს ი

(განცვიფრებით უცქერის ხან წერილებს, ხან მარკიზს)

რაო?

მ ა რ კ ი ზ ი

მე მათ გიბრუნებ ისევ,
რადგან ისინი აწ შენს ხელში უფრო უშიშრად
შეინახება, ვიდრე ჩემთან.

კ ა რ ლ ო ს ი

ეს რაღას ნიშნავს?
ეს ბარათები ჩვენს ხელმწიფეს არ წაუკითხავს?
იქნებ თვალითაც არ უნახავს?

მ ა რ კ ი ზ ი

ეს ბარათები?

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ შენ მას ყველა არ უჩვენე?

მ ა რ კ ი ზ

ვინ მოგახსენა,
რომ მას ვუჩვენე ოუნდაც ერთი?

კ ა რ ლ ო ს ი

(ძალზე განცვიფრებული)

ო, ნუთუ? ნუთუ?
ვინა და ლერმამ.

მ ა რ კ ი ზ ი

ეს მან გითხრა? ახლა ცხადია,
ცხადია ახლა ყველაფერი! სხვა ვინ შესძლებდა,
რომ ეს წინასწარ დაენახა?—მაშ ლერმამ გითხრა?
ამ კაცს ტყუილი, სიცრუის თქმა არა სჩვევია.
სხვა, დანარჩენი ბარათები მეფესთანაა.

კ ა რ ლ ო ს ი

(დიდხანს უცქერის მარკიზს მდუმარე გაოცებით)

კი მაგრამ, აქ რად ვიმყოფები?

მ ა რ კ ი ზ ი

სიფრთხილის გამო,
რომ, თუ ხელახლა რაიმეში გადასცდებოდი,
ებოლი აღარ აგერჩია გულის მეგობრად.

კ ა რ ლ ო ს ი

(თითქოს ძილიდან გამოერკვა)

ეჰ! ბოლოს უკვე, როგორც იქნა! ახლა კი ვხედავ...
აწ ყველაფერი ნათელია...

მ ა რ კ ი ზ ი

(მიდის კარისკენ)

ვინ მოდის აქეთ?

კ ა რ ლ ო ს ი

როგორ არა! განაგრძე შემდეგ.

მ ა რ კ ი ზ ი

აი, აქამდის უბრალო ვარ მე შენს წინაშე.
მაგრამ უეცრად შემაცდინა მეფის ახალი,
უხვი წყალობის ბრწყინვალებამ შეუჩვეველმა...
და ეს შენც გითხრეს, როგორც ამას წინასწარ ვგრძნობდი.
მაგრამ მე, ეგრეთ ცრუ სინაზით მოტყუებულმა,
დაბრმავებულმა ქედმაღლური ილუზიითა,
ვცადე უშენოდ დამთავრება გაბედულ საქმის,
ჩემი საშიში საიდუმლო არ გაგიმხილე.
აი, ეს იყო განუსჯელი შეცდომა ჩემი.
ვიცი, რომ ამით შენს წინაშე შევცოდე დიდად.
სიგიჟე იყო ჩემი თავის ამგვარი რწმენა.
მაგრამ შემინდე—იგი იყო დაფუძნებული
შენს სამუდამო მეგობრობა-ერთგულებაზე.

(აქ იგი გაჩუმდება. კარლოსი გარინდებიდან გამოერკვევა და გამოცოცხლება შეემჩნევა)

რასაც ვუფრთხოდი, იგი მოხდა. შენ დაგაშინეს—
განგებ მოგონილ საფრთხეთა წინ დაიწყე თრთოლა.
სისხლით მოსვრილი დედოფალი... საშინელება,
ექოსავით რომ მთელ სასახლეს მოედო უცებ...
ლერმას შენდამი მზრუნველობა საუბედურო...
ბოლოს აგრეთვე უცნაური დუმილი ჩემი—
შენს გულს დაატყდა ყველაფერი ანაზდეულად
და იწყე რყევა, დაკარგულად ჩამთვალე უკვე.
მაგრამ შენ თვითონ, ასე ძლიერ კეთილშობილი,
შენი მეგობრის სინდისში რომ არც ეჭვდებოდი,
დაცემას მისას სიდიადით მოსავდი მაინც.
და ორგულობა მხოლოდ მაშინ ირწმუნე მისი,
როს პატივი ეც შენ თვითონვე მის ორგულობას.
მიტოვებული ერთადერთი თანამგზავრისგან
თავდავიწყებით მიესვენე ებოლის მკერდზე,

სატანას მკერდზე, უბედურო! რადგან ის იყო,
ვინაც შენ გაგცა.

(კარლოსი წამოდგება)

დაგინახე, მისკენ მიჰქროდი.
და უცებ ცუდმა წინაგრძნობამ შემიპყრო გული.
გამოგედევნე, მაგრამ ძლიერ დამაგვიანდა.
მის ფერხთით იყავ დამხობილი და საიდუმლო
შენს ბაგეთაგან იფრქვეოდა. არავითარი
ხსნა აღარ იყო უკვე შენთვის.

კ ა რ ლ ო ს ი

ო, არა, არა!
იგი აღელდა, დამერწმუნე შენ შემცდარი ხარ.
გული ნამდვილად აუჩვილდა.

მ ა რ კ ი ზ ი

თვალთ დამიბნელდა,
გონება ჩემი დაიბინდა, და ვერავითარ,
ვეღარავითარ გამოსავალს, ხსნასა თუ საშველს
ვეღარ ვხედავდი თვალუწვდენელ მთელ სამყაროში!
სასოწარკვეთამ დემონად და მხეცად მაქცია...
დედაკაცის მკერდს დავაბჯინე ხანჯალი ბასრი.
მაგრამ ანაზდად მზის ნათელი ჩამიდგა სულში.
ვთქვი: ხელმწიფე რომ შევაცდინო? თუ მომიხერხდა,
დამნაშავედ რომ მოვაჩვენო მას ჩემი თავი?
ეს მართალია თუ ტყუილი, მეფისთვის კმარა,
ფილიპესათვის მარტო ეჭვიც საკმარისია,
რადგანაც გულით ბოროტია. დე ასე იყოს!
იქნებ როგორმე შეაჩეროს ტირანი წამით
ჭექა-ქუხილმა, მისთვის ასე მოულოდნელმა.
მეც მეტი რა მსურს? ფიქრს დაიწყებს და კარლოსი კი
დროს მოიგებს, რომ მოახერხოს ბრაბანტს გაქცევა.

კ ა რ ლ ო ს ი

და ეს... ეს მართლა გააკეთე?

ვზრუნავდი შენთვის და, ვისთვისაც ეს გავაკეთე,
იგი ამისთვის უნდა პასუხს მაგებინებდეს?

კარლოსი

როგორ? ვერ მიხვდით, ეს მოკლული რა იყო ჩემთვის?
უთხარით ერთი, დაეხმარეთ მის ყოვლისმცოდნე
ჭკუა-გონებას, რომ ამოხსნას ეს ამოცანა.
ის მეგობარი იყო ჩემი... და გსურთ გაიგოთ,
თუ რისთვის მოკვდა?—პოზამ ჩემთვის გასწირა თავი.

მეფე

აჰ, საშინელო წინაგრძნობავ!

კარლოსი

შემინდე, გვამო,
რომ ასეთ ყურებს გავუმჟღავნებ ამ საიდუმლოს!
მაგრამ ეს კაცთა უდიდესი გულთამხილავი
დაე დაიწვას სირცხვილისგან, რომ მის ჭაღარა
სიბრძნესა სძლია ახალგაზრდის მახვილმა ჭკუამ.
დიახ, ხელმწიფევ, ჩვენ ნამდვილი ძმები ვიყავით,
ძმები, შეკრულნი მეგობრობის წმინდა კავშირით,
რომლის მსგავსს ხოლმე თვით ბუნებაც ვერ გამოსჭედავს.
მისი სიცოცხლე შეადგენდა სიყვარულს მხოლოდ
და სიყვარული იყო ჩემთვის მისი სიკვდილიც.
იგი მაშინაც ჩემი იყო, როს განადიდეთ,
როცა მან თვისი დამცინავი ენამჭევრობით
თქვენს გოლიათურ ზვიად სულთან თამაში იწყო.
ფიქრობდით მასზე გებატონათ, მაგრამ აღმოჩნდით
მორჩილი მონა, იარაღი მისთა ზრახვათა.
და თუ შემიპყრო მე მარკიზმა, ესეც იმიტომ,
რომ გამოეხსნა მეგობარი განსაცდელისგან.
ამავე მიზნით მან მისწერა ვილჰელმ ორანელს
ყალბი ბარათი – ო, შეუნდე მაღალო ღმერთო!—
თვის სიცოცხლეში მან პირველად იცრუა ამით!

ჩემი გულისთვის შეეგება სიკვდილს პირდაპირ.
თქვენ მას მეფური მოწყალებით აჯილდოებდით,
მარკიზ პოზამ კი მაინც ჩემთვის გასწირა თავი.
თქვენ მას სიყვარულს, მეგობრობას ახვევდით თავზე,
მაგრამ მის ხელში თქვენი კვერთხი ჩილიკად იქცა;
შორს გადისროლა და ის ჩემთვის დაეცა მსხვერპლად!

(ხელმწიფე დგას გაუნძრევლად, თვალები დაბლა დაუხრია, ყველა დიდებული აღელვებული და შეშინებული შესცქერის მეფეს)

ამგვარი რამე ან კი როგორ შეიძლებოდა?
ნუთუ ერწმუნეთ ამ სიცრუეს, უტიფარს, უხეშს?
ხედავთ, მის თვალში რარიგ მცირე ფასი გდებიათ,
თქვენთან ამგვარი ტლანქი ფარსი რომ წამოიწყო?
რა გაბედულად ეძიებდით მის მეგობრობას,
მაგრამ ამ იოლ გამოცდას კი ვერ გაუძელით!
ო, არა! პოზა არასოდეს არ იყო თქვენი.
ის თქვენი კაცი არასოდეს არა ყოფილა!
ეს მან თვითონაც ძლიერ კარგად იცოდა მაშინ,
როცა უარგყოთ, უკუგაგდოთ ყველა გვირგვინით.
ეს ნაზი ქნარი აწ დაიმსხვრა თქვენს რკინის ხელში.
ან რა შეგეძლოთ, ხელმწიფეო, თქვენ ამის გარდა?—
მოკვლა შეგეძლოთ და კიდევაც მოჰკალით იგი.

ალბა

(აქამდე მეფეს თვალს არ აშორებდა და აშკარა მღელვარებით ადევნებდა თვალყურს მისი სახის ყოველგვარ ცვლილებას. ახლა კი იგი მოწიწებით მიუახლოვდება მეფეს)

ნუ სდუმხართ, მეფევ, დაარღვიეთ სიჩუმე მკვდრული.
მიმოიხედეთ თქვენს გარშემო! გვითხარით რამე!

კარლოსი

არ გიყურებდათ, ხელმწიფეო, იგი გულგრილად,
დიდი ხანია თანაგრძნობით ფიქრობდა თქვენზე,
შეეძლო თქვენთვის მოეტანა ბედნიერება.

მ ა რ კ ი ზ ი

ფლანდრიისთვის თავს გაუფრთხილდი,
შენი ვალია ჩვენი ხალხის წინამძღოლობა
და ქვეყნის მართვა, ხოლო ჩემი—შენთვის სიკვდილი.

კ ა რ ლ ო ს ი

(მიუახლოვდება მარკიზს და ხელს გაუყრის, გულთბილი გრძნობებით აღსავსე)

ო, არა, არა! არ იქნება. ის არ იქნება
წინააღმდეგი, ფილიპე წინ ვერ აღუდგება
განზრახვას შენსას, ასე დიდად კეთილშობილურს.
წაგიყვან მასთან და ხელიხელგადახვეულნი
წარვდგეთ მეფის წინ. „მამაჩემო,—ვეტყვი მე ასე,—
ეს გააკეთა მეგობარმა მეგობრისათვის“.
გულს აუჩვილებს ეს სიტყვები. მერწმუნე, მარკიზ,
ის კაცურ გრძნობებს როდი არის მთლად მოკლებული.
დიახ! ნამდვილად, ეს სიტყვები გულს აუჩვილებს,
მისი თვალები ცხარე ცრემლებს გადმოაფრქვევენ.
და ჩვენ ორივეს გვაპატიებს.

(გაისმის სროლის ხმა რკინის ბადეებიანი კარის მიმართულებით. კარლოსი წამოხტება)

აჰ! ვის ესროლეს?

მ ა რ კ ი ზ ი

მგონი—მე, კარლოს.

(ძირს ეცემა)

კ ა რ ლ ო ს ი

(შემზარავი გოდებით დაეცემა მის გვერდით)

ო, ციურო ლმობიერებავ!

მ ა რ კ ი ზ ი

(მიმწყდარი ხმით)

როგორ აჩქარდა... ჩვენი მეფე... ასეც ვიცოდი.
უნდა იფიქრო ახლა თავის გადარჩენაზე...

შენს თავს უშველე, მეგობარო... გესმის თუ არა?
სხვა ყოველივე უკვე იცის ელისაბედმა.
მე მეტი ძალა აღარ შემწევს... ღონე მელევა.

(კარლოსი მკვდარივით ასვენია ცხედრის გვერდით. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოდის მეფე, მრავალი დიდებულის თანხლებით, და ამ სურათის დანახვისას უკან დაიხევს. საყოველთაო ღრმა დუმილია. დიდებულები უკან მიდგებიან. ნახევარ წრეს ათავისუფლებენ და უცქერიან ხან მეფეს, ხან მის შვილს, რომელიც კვლავ ძირს ასვენია, სიცოცხლის ყოველივე ნიშანს მოკლებული. მეფე დასჩერებია კარლოსს, მდუმარედ და დაფიქრებით.)

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲚᲕᲚᲐ

მ ე ფ ე, კ ა რ ლ ო ს ი, ჰ ე რ ცო გ ი ა ლ ბ ა. ფ ე რ ი ა, მ ე დ ი ნ ა ს ი დ ო ნ ი ა. პ რ ი ნ ც ი პ ა რ მ ა. გ რ ა ფ ი ლ ე რ მ ა. დ ო მ ი ნ გ ო და მრავალი დიდებული.

მ ე ფ ე

(თავაზიანად)

ხელმწიფის შვილო, აღვასრულე სურვილი შენი,
აი, მოვედი შენთან ჩემი დიდებულებით,
თავისუფლების საუწყებლად.

(კარლოსი აიხედავს და გარშემო იცქირება ახლად გამოღვიძებული ადამიანივით, მისი თვალები ჩერდება ხან მეფეზე, ხან მიცვალებულზე. პასუხს არ იძლევა)

აჰა. მიიღე

მახვილი შენი, მეტისმეტად აჩქარებულან.

(მიუახლოვდება კარლოსს, ხელს გაუწვდის და ადგომაში შველია)

არ გეკადრება, ჩემო შვილო, ამ ადგილს ყოფნა.
წამოდექ ფეხზე! მო, მამაშენს გადაეხვიე!

კ ა რ ლ ო ს ი

(თავის თავისათვის ანგარიშის მიუცემლად დანებდება მეფის მოხვევას, მაგრამ უცებ გონს მოვა, შეჩერდება და მეფეს მიაშტერდება)

მკვლელობის სუნი აგდის, მეფევ, ვერ მოგეხვევი.

(ხელს ჰკრავს მეფეს. დიდებულები აღელდებიან.)

რამ გაგაცვიფრათ, რა ვქენ ასე შესაზარავი?

იქნებ ზეცისგან მირონცხებულს შევახე ხელი?
ნუ გეშინიათ, მე მეფეზე ხელს არ აღვმართავ.
ნუთუ ვერ ხედავთ თქვენ მის შუბლზე დაღსა მკვლელისას?
იგი თვით უფალს აღუბეჭდავს.

მ ე ფ ე

(სწრაფად მიბრუნდება წასასვლელად)

მომყევით, ჩემო
დიდებულებო!

კ ა რ ლ ო ს ი

საით, მეფეე? — ფეხს ვერ მოიცვლი!

(ძალით შეაჩერებს მეფეს. ერთი ხელით ხელმწიფე უჭირავს, მეორეთი წასწვდება მის მოტანილ ხმალს, და ქარქაშიდან უცებ აძრობს)

მ ე ფ ე

ხმალი აღმართე მამაშენზე?

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი

(ხმლებს იშიშვლებენ)

მეფის მკვლელობა!

კ ა რ ლ ო ს ი

(ცალი ხელი მეფისათვის აქვს ჩაჭიდებული, ცალით კი შიშველი ხმალი უპყრია)

ჩააგეთ ხმლები! ნეტა რა გსურთ? იქნებ გგონიათ,
ჭკუიდან შევცდი? არა, არა. თქვენ ძლიერ სცდებით.
და თუნდა მართლაც გიჟი ვიყო, კარგს ვერ სჩადიხართ,
ამით თქვენ მხოლოდ მომაგონეთ, მეფის ერთგულნო,
მისი სიცოცხლე რომ ჩემი ხმლის წვერზე ჰკიდია.
იქით მიდექით!.. ახლა ისეთ გუნებაზე ვარ,
უნდა მერიდოთ... ამიტომაც მიდექით უკან!
რაც მე ამ მეფეს უნდა ვუთხრა, ის სრულებითაც

არ შეეხება თქვენს თავადურ ფიცსა თუ აღთქმას.
ერთი შეხედეთ, ვით შესვრია ხელები სისხლით!
კარგად შეხედეთ, ძლიერ კარგად! ხომ დაინახეთ?
ო, ახლა აქაც გადმოხედეთ. ეს ჩაიდინა
ამ თქვენმა დიდმა ხელოვანმა.

მ ე ფ ე

(დიდებულებს, რომელთაც სურთ მჭიდროდ შემოერტყან მეფეს)

უკან მიდექით!
რატომ კანკალებთ? ჩვენ აღარ ვართ მამა და შვილი?
ვნახოთ, რანაირ სირცხვილამდე მივა ბუნება.

კ ა რ ლ ო ს ი

რაო? ბუნება? მე არ ვიცნობ ამგვარ ბუნებას,
ახლა ლოზუნგად კაცთმკვლელობა გადაქცეულა,
კაცობრიობის დარღვეულა ყველა კავშირი,
იგი შენ თვითონ დაარღვიე შენს სამეფოში.
მას პატივი ვცე, რაც შენ ასე შეგზიზღებია?
ო, შეხეთ, შეხეთ, აბა, ერთი შეხედეთ ამას!
ჯერ არ მომხდარა ამნაირი მკვლელობა ქვეყნად,
ვით ეს დღეს მოხდა. ნუთუ ღმერთი არსებობს სადმე?
და თუ არსებობს, მის თვალუწვდენ სამფლობელოში
რად მძვინვარებენ ხელმწიფენი ასე სასტიკად?
მე გეკითხებით, განა ღმერთი არსებობს სადმე?
იმის შემდეგ, რაც ქვეყნად გაჩნდა ადამიანი,
არ დაქცეულა ასე წმინდა, უმანკო სისხლი.
თუ იცი, რა ჰქენ? არა, არა, ეს მან არ იცის!
არ იცის, რომ მან მოიპარა ამ სამყაროდან
სიცოცხლე უფრო დიდებული, კეთილშობილი,
უფრო ძვირფასი, ვიდრე თვითონ სიცოცხლე მეფის,
მთელი თავისი საუკუნით.

მ ე ფ ე

(ლმობიერი კილოთი)

თუ მე ავჩქარდი,

მ ა რ კ ი ზ ი

დიახ, მივწერე
ვილჰელმ ორანელს, დედოფალი მიყვარდეს თითქოს,
რომ მოვახერხე აცილება მეფის ეჭვისა,
რაიც ტყუილად შენ გბრალდება, და რომ თვით მეფემ
გზა მაპოვნინა დედოფალთან დაახლოვებით.
იმასაც დავსძენ, გამჟღავნების რომ მეშინია,
რომ შენ შეიტყვე საიდუმლო ჩემი ვნებების
და ებოლისკენ გაეშურე, რათა როგორმე
ეს დედოფლისთვის მისი პირით გეცნობებინა.
ვწერ იმასაც, რომ სწორედ ამ დროს დაგაპატიმრე
და ახლა, რადგან ყველაფერი განწირულია,
ბრიუსელში მსურს გადახვეწა.—მე ეს წერილი...

კ ა რ ლ ო ს ი

(შეშინებული სიტყვას შეაწყვეტინებს)

ფოსტისთვის ხომ არ მიგიცია? შენ უკვე იცი,
რომ ბრაბანტსა და ფლანდრიაში გასაგზავნ წერილთ...

მ ა რ კ ი ზ ი

მეფეს აძლევენ. როგორცა ჩანს, ტაქსისმა უკვე
თავისი ვალი აღასრულა.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ დავიღუპე!

მ ა რ კ ი ზ ი

შენ? შენ რატომღა?

კ ა რ ლ ო ს ი

და შენც, დიახ, შენც ჩემთან ერთად
დაღუპული ხარ, უბედურო! ასეთ საშინელ,
შემზარავ ტყუილს მამაჩემი არ გაპატიებს.
არა! არასდროს არ შეგინდობს ხელმწიფე ამას.

მ ა რ კ ი ზ ი

ტყუილს? გონს მოდი, მეგობარო! რამ დაგაბნია?
ვინ ეტყვის, რომ ეს ტყუილია?

კ ა რ ლ ო ს ი

(თვალებში ჩააშტერდება)

ვინაო, მკითხავ?

მე თვითონ ვეტყვი.

(წასვლას დააპირებს)

მ ა რ კ ი ზ ი

დარჩი, დარჩი! ხომ არ გაგიჟდი?

კ ა რ ლ ო ს ი

შორს, შორს გამეცა, ღვთის გულისთვის! ნულარ მაკავებ-
მე აქ ვყოვნდები და ის უკვე ამასობაში
მკვლელთ მოისყიდის.

მ ა რ კ ი ზ ი

მით უფრო ჩვენ დრო ძვირად გვიღირს.
სათქმელი კიდევ ბევრი დაგვრჩა.

კ ა რ ლ ო ს ი

რაო? რას ამბობ?

ვიდრე ჯერ კიდევ ყველაფერი...

(კვლავ დააპირებს წასვლას. მარკიზი ხელს გაუყრის და დიდმნიშვნელოვ-
ნად უცქერის).

მ ა რ კ ი ზ ი

მისმინე, კარლოს!

განა მეც მაშინ ასე სწრაფი, წრფელი ვიყავი,
პატარა ბიჭს რომ გაწამებდნენ ჩემი გულისთვის?

კ ა რ ლ ო ს ი

(გულაჩვილებული და გაოცებული შედგება მის წინ)

ოი, განგებავ!

კარლოსი

გადაეცით დედოფალს თქვენსას,
რომ დამელოდოს.

(მერკადო გადის)

მეშვიდე გამოსავლა

კარლოსი, გრაფი ლერმა

ლერმა

თავს უშველეთ, ხელმწიფის შვილო!
ძლიერ მრისხანებს მეფე თქვენზე. თავისუფლების
დაკარგვა გელით და იქნება თვით სიცოცხლისაც.
ამის მეტს ახლა ნულარაფერს შემეკითხებით.
გამოვიპარე აქეთ მე თქვენს გასაფრთხილებლად.
დაუყოვნებლივ თავს უშველეთ.

კარლოსი

აწ მე განგების
ხელთ ვიმყოფები.

ლერმა

დედოფალმა როგორც მანიშნა,
უნდა დასტოვოთ, უფლისწულო, მადრიდი დღესვე,
უნდა ახლავე გაეშუროთ ბრიუსელისკენ.
ნუ დააყოვნებთ, ნუ გადასდებთ. ეს აჯანყება
გაქცევას თქვენსას ხელს შეუშყობს. სწორედ ამ მიზნით
მოაწყო იგი დედოფალმა. ვერ გაბედავენ,
რომ თქვენზე ახლა ძალადობა გამოიყენონ.
კარტეზიანთა მონასტერში ცხენები გელით,
ჰა იარაღიც, თუ შეიქნეთ იძულებული...

(მისცემს ხანჯალს და დანბაჩას.)

კარლოსი

ო, გმადლობთ, გმადლობთ, გრაფო ლერმა!

ლერმა

ამ დღევანდელმა
თქვენმა ამბავმა აძიჩუყა გული ძალიან.
ასეთ სიყვარულს მეგობრისას ველარსად ვპოვებთ.
ყველა ერთგული სამშობლოსი ცრემლს აფრქვევს თქვენზე.
ახლა მეტის თქმა, მეფის ძეო, არ შემიძლია.

კარლოსი

ამ განსვენებულს კეთილშობილ კაცად მიაჩნდით,
ძვირფასო ლერმა.

ლერმა

ერთსაც გკადრებთ, ხელმწიფის შვილო!
ღმერთს ვთხოვ, გემგზავროთ ბედნიერად. სხვა, მშვენიერი
ხანა დადგება, მაგრამ მე მას ვერ მოვესწრები.
მაშ აწ მიიღეთ ფიცი ჩემი ერთგულებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
წიგნები

(კარლოსს წინ ცალ მუხლს მოიდრეკს)

კარლოსი

(სურს წამოაყენოს, ძალზე გულაჩუყებული)

ო, ასე არა, ასე არა... თქვენ გულს მიჩუყებთ...
მე კი არ მინდა, რომ დღეს სწორედ გულჩვილი ვიყო...

ლერმა

(დიდი გრძნობით ემთხვევა ხელზე)

დიდო ხელმწიფევ ჩემთა შვილთა! ისინი შენთვის
თავს გასწირავენ, მე კი ამას დღეს ვერა ვბედავ.
მომიგონებდეთ მაშინ ჩემი შვილების სახით.
ღმერთს ვთხოვ, დაბრუნდეთ ესპანეთში მშვიდობიანად.
იყავით კაცი, როცა ახვალთ ფილიპეს ტახტზე!
თქვენ ტანჯვა უკვე განიცადეთ და მამათქვენზე
ხელს ნუ აღმართავთ, მშობლის სისხლში ნუ გაერევით.

ჩემი სახელი მერკადოა—მე ვარ დედოფლის
კარის ექიმი—აი, აქ მაქვს მოწმობა ჩემი.

(უჩვენებს ბეჭედდასმულ სიგელს. კარლოსი კი ისევ სდუმს.)

დედოფალს ნებავს, რომ დღესვე თქვენ მოგესაუბროთ
მნიშვნელოვანი საქმის გამო.

კ ა რ ლ ო ს ი

ამქვეყნად ჩემთვის
მნიშვნელოვანი საქმე უკვე აღარ არსებობს.

მ ე რ კ ა დ ო

დედოფალმა თქვა, პოზასაგან დატოვებული
დავალება მაქვს, რაიც უნდა პრინცს გადავცეო.

კ ა რ ლ ო ს ი

(სასწრაფოდ წამოხტება)

რაო? ახლავე.

(სურს წაჰყვეს)

მ ე რ კ ა დ ო

ახლა არა, მოწყალე პრინცო,
ახლავე არა! მოცდა გმართებთ დაღამებამდე.
გზა შეკრულია, ყოველ კართან დარაჯნი დგანან,
იქ მათი რიცხვი უკვე ყველგან გაორკეცეს.
ახლა სასახლის იმ ნაწილში ვერ მიხვალთ ისე,
რომ არავინ არ შეგამჩნიოთ. ეს თქვენი მხრიდან
მთლად უგნურება იქნებოდა.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ რა ვქნათ?

მ ე რ კ ა დ ო

მხოლოდ
ერთი გზა დარჩა, მარტო ერთი გამოსავალი.

ეს დედოფალმა მოისაზრა და თქვენ გთავაზობთ...
მაგრამ ის ძლიერ თამამი და იშვიათია,
თან სახიფათოც.

კ ა რ ლ ო ს ი

ეს რა გზაა?

მ ე რ კ ა დ ო

როგორც თქვენც უწყით,
დიდი ხანია ჩვენში დადის ერთი თქმულება,
რომ შუალამით სასახლეში ბერის სამოსით
განსვენებული მეფის სული დაიარება.
ბრბოს მართლა სჯერა ეს თქმულება და დარაჯები
საგუშაგოზე შიშით, თრთოლვით ძლივს ჩერდებიან.
რომ გაბედავდეთ, გადიცვამდეთ ბერის სამოსელს,
ყველა დარაჯი თავისუფლად გაგატარებდათ
და თვით დედოფლის სავანესთან აღმოჩნდებოდით.
იქ კი მის ოთახს გაგიღებდათ ეს გასაღები.
თავდასხმისაგან დაგიცავდათ წმინდანის სახე.
მაგრამ ეს აქვე გადაწყვიტეთ, ხელმწიფის შვილო.
საჭირო სამოსს და ნიღაბს თქვენს ოთახში ჰპოვებთ.
უნდა ვიჩქარო, რომ დედოფალს შევატყობინო
პასუხი თქვენი.

კ ა რ ლ ო ს ი

მაგრამ რა დროს?

მ ე რ კ ა დ ო

შუალამისას,
თორმეტ საათზე.

მარკიზის გული იყო ისე უხვი, მდიდარი,
რომ თქვენც გაგხდიდათ ამ სიუხვით, მეფევ, კმაყოფილს,
ღმერთად გაქცევდათ ნამსხვრევნიც კი მისი სულისა.
თვითონ გაჰქურდეთ, მბრძანებელო, თქვენივე თავი,
აწ რას გაიღებთ, მსგავსი სული რომ დაიბრუნოთ?

(ღრმა დუმილი. დიდებულნი ზურგს შეაქცევენ და სახეს
მოსასხამებში იმალავენ)

ო, თქვენ, რომელნიც აქა სდგეხართ და შიშისა და
განცვიფრებისგან ხმას ვერ იღებთ... ნუ შეაჩვენებთ
ჭაბუკს, რომელიც ხელმწიფესთან ასე საუბრობს
და თვისი მამის წინააღმდეგ ამხედრებულა.
აქ გადმოხედეთ! ჩემთვის მოკვდა! თუ შეგრჩათ ცრემლი,
თუ თქვენ ძარღვებში სისხლი გიდუღთ და არა რკინა,
აქ გადმოხედეთ და ამისთვის ნუ შემაჩვენებთ!

(მიმართავს მეფეს უფრო მეტი დამშვიდებული და თავშეკავებული
კილოთი)

იქნება უცდით, ეს ამბავი რით დამთავრდება?
აი, აქაა ჩემი ხმალი. თქვენც ისევ ჩემი
მეფე ბრძანდებით. მამაჩემო, ხომ არა ფიქრობთ,
რომ მეშინია თქვენი მკაცრი შურისძიების?
მეც, მეც მომკალით, ვით ეს ყოვლად კეთილშობილი!
ჩემი დღეები დათვლილია, მე კარგად ვიცი.
ან კი სიცოცხლე რადღა მიღირს ამიერიდან?
ყოველივეზე უარს ვამბობ, რის მიღებასაც
ველოდებოდი ამ ქვეყნიდან. ჩემო ხელმწიფევ,
ეძიეთ შვილი უკეთესი უცხოთა შორის.
ჩემი სამეფო კი აქაა.

(დაემხობა გვამზე და შემდეგომს მოქმედებაში მონაწილეობას აღარ იღებს.
ამ დროს შორიდან მოისმის ხალხის გაურკვეველი ჩოჩქოლი და ხმაური.
მეფის ირგვლივ ღრმა დუმილი სუფევს. ხელმწიფე თვალს მიაპყრობს დი-
დებულთა მთელ წრეს, მაგრამ მის ნაზერას ყველა გაურბის)

მ ე ფ ე

მაშ არვის ნებავს
პასუხი გასცეს? ყველას თავი ძირს დაუხრია,

ყველა მარიდებს პირისახეს... ეს იმას ნიშნავს,
რომ უკვე ჩემი განაჩენი გამოტანილა.
მაგ თქვენს მდუმარე სახეებზე ვკითხულობ ამას.
უკვე განმსაჯეს თვით ჩემივე ქვეშევრდომებმა.

(ისევ სიჩუმეა. ხმაური ჩარეულნ თანდათან მატულობს და ახლოვდება. დიდე-
ბულთა შორის ჩურჩული ჩქეფნება. ისინი ერთმანეთს დარცხვენით გადახე-
დავენ. ბოლოს გრაფი ლერმა შეუმჩნეველად წაჰკრავს იდაყვს ჰერცოგ ალბას.)

ლ ე რ მ ა

ამბოხებაა ეს ნამდვილად!

ა ლ ბ ა

(ჩუმად)

მეც ეგ მაშინებს.

ლ ე რ მ ა

ზევით მორბიან. აქ მოდიან.

მეხუთე გამოსვლა

მეფის სამცველოს ოფიცერი. იგინივე.

ო ფ ი ც ე რ ი

(შემოიჭრება)

აჯანყებაა.

სად არის მეფე?

(ამალას გაარღვევს და მეფესთან მიიჭრება)

იარაღი აიღო ხელში
მთელმა მადრიდმა, ჯარისკაცნი, მოქალაქენი
გაშმაგებულნი გარს ერტყმიან სასახლეს თქვენსას.
ხმა გავარდნილა, რომ კარლოსი დააპატიმრეს,
თითქოს საფრთხეში იმყოფება სიცოცხლე მისი.
ხალხი მოითხოვს, გვიჩვენეთო ცოცხალი იგი,
თორემ მთელ მადრიდს გადავწვავთო.

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი

(შეშფოთდებიან)

ვუშველოთ მეფეს!

მეფეს ვუშველოთ!

ა ლ ბ ა

(მეფეს, რომელიც მშვიდად და გაუნძრევლად დგას)

გაეცალეთ ამ ადგილს, მეფევ!..
თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია... ჩვენ ჯერ არ ვიცით,
ბრბოს ვინ ამხედრებს...

მ ე ფ ე

(გარინდებიდან გამოერკვევა, წელში გაიმართება და მედიდურად ჩადგება დიდებულთა შორის)

ჩემი ტახტი კვლავ დგას თუ არა?
და კვლავ ხელმწიფე ვარ თუ არა ამა ქვეყნისა?—
არა! მე მეფე აღარა ვარ, ო, ეს ლაჩრები
როგორ ატირდნენ, ბავშვმა როგორ მოულბო გული!
აწ მხოლოდ ნიშანს მოელიან, რომ გამეცალონ.
როგორც ჩანს, ყველამ მიღალატა და ამიჯანყდა.

ა ლ ბ ა

ეგ საშინელი აზრი, მეფევ, რამ მოგაფიქრათ?

მ ე ფ ე

აგერ, იქ მის წინ დაემხენით. იმ ახალგაზრდა
მეფის წინაშე მოიდრიკეთ სუყველამ მუხლი!
მე კი რაღა ვარ—უსუსური მოხუცებული.

ა ლ ბ ა

ესპანელებო!—სადამდე არ მივიდა საქმე!

(ყველანი მჭიდროდ შემოეხვევიან მეფეს, ხმლებს იშიშვლებენ და მეფის წინ დაემხობიან. ყველასაგან მიტოვებული კარლოსი მარტო რჩება მარკიზის ცხედართან)

მ ე ფ ე

(პორფირს მოიხსნის და გადაისვრის)

ამ ხელმწიფური სამოსელით შემოსეთ იგი
და ჩემს გაქელილ გვამზე ისე გადაატარეთ!

(ლონემიხდილი გადაესვენება ალბა და ლერმას მკლავებზე)

ლ ე რ მ ა

გვიშველე, ღმერთო!

ფ ე რ ი ა

ღმერთო ჩემო, რა საშინელი
შემთხვევა არის!

ლ ე რ მ ა

გრძნობა სუმთლად დაკარგა მეფემ...

ა ლ ბ ა

(მიატოვებს მეფეს ლერმასა და ფერიას ხელებზე)

სარეცელისკენ წაასვენეთ. მე კი წავალ და
მადრიდს სიმშვიდეს დავუბრუნებ ამასობაში.

(გადის. მეფეს მიასვენებენ, დიდებულნი უკან მისდევენ.)

მეექვსე გამოსვლა

კარლოსი ცხედართან დარჩება. რამდენიმე წამის შემდეგ გამოცხადდება ლუდვიგ მერკადო, ირგვლივ მორიდებულად იმზირება და რამდენიმე ხანს მდუმარედ დგას პრინცის უკან, რომელიც მას ვერ ამჩნევს.

მ ე რ კ ა დ ო

დედოფლისგან ვარ მოგზავნილი, ხელმწიფის შვილო.

(კარლოსი ისევ სხვა მხარეს იცქირება და პასუხს არ აძლევს)

დაე დამწყევლოს, აღარაფერს არ დაგიდევდით,
ოღონდ როგორმე მიმეღო მე მადლობა მისი.

დ ო მ ი ნ გ ო

რა ჯადოსნობით...

მ ე ფ ე

და მერე ვის ემსხვერპლა იგი?
ბიჭსა, შვილს ჩემსას? არასოდეს! ეს არა მჯერა.
თავს არ გასწირავს ბიჭისათვის ამგვარი კაცი.
და ამ საბრალო, მცირე ალსაც მეგობრობისას
არ შეუძლია, მთლად აღავსოს მარკიზის გული.
კაცობრიობის საქმისათვის ფეთქავდა იგი.
ის შეჰხაროდა, თაყვანს სცემდა, თვის კერპად ხდიდა
ქვეყნიერებას მომავალი თაობებისას.
თავისი მიზნის მისაღწევად მან ტახტი ჰპოვა—
და მას გზას უქცევს? ან თავის თავს თუ შეუნდობდა
პოზა საკუთარ ხალხისადმი ამნაირ ღალატს?
ო, არა, არა! მარკიზ პოზას მე კარგად ვიცნობ.
მან ფილიპე კი არ შესწირა დონ კარლოსს მსხვერპლად,
არამედ მხოლოდ მოხუცი ყრმას, მოწაფეს თვისას.
მოხუცი მამის ჩამავალი მზე აღარ ღირდა
მის დღიურ შრომად, ამიტომაც თავისი ძალა
გამოიყენა იმისათვის, რომ მოკლე ხანში
აღმოსულიყო ნათელი მზე მისი შვილისა.
— ჰო, ეს ცხადია! ჩემს სიკვდილსღა უცდიან ახლა.

ა ლ ბ ა

ეს წერილებიც სწორედ მაგას ადასტურებენ.

მ ე ფ ე

(წამოდგება)

მაგრამ იქნება ანგარიშში მოტყუვდა იგი.
კვლავ ცოცხალი ვარ, ცოცხალი ვარ, მადლობა ზეცას!

და ჩემს ძარღვებშიც ისევა ვგრძნობ ჭაბუკის ძალას.
სამასხროდ გავხდი მას ამქვეყნად და დავამტკიცებ,
რომ მარკიზ პოზას სათნოება მხოლოდ და მხოლოდ
ფუჭი, უსაგნო ზრახვა იყო მეოცნებისა
და დაიღუპა იგი კიდეც, ვით უგუნური.
თვისი დამხობით ის ძირს დასცემს თავის მეგობარს
და თავის ეგზომ საოცნებო საუკუნესაც!
ვნახოთ, უჩემოდ რას იზამენ. ქვეყანა ესე
კვლავ მე მეკუთვნის, კვლავ ჩემია საღამო მისი
და ამ საღამოს აწ იმგვარად გამოვიყენებ,
რომ ჩემს შემდგომად აქ მოსულმა ათმა თაობამ
ერთი თავთავიც ვერ მოიმკოს მის ნახანძრალზე.
მსხვერპლად შემწირა მან თავის კერპს, კაცობრიობას.
დაე ამ კერპმა ჩემს წინაშე პასუხი აგოს,
დე დაისაჯოს იგი ახლა მარკიზის ნაცვლად.

(ჰერცოგ ალბას)

ახლა კი მისი თოჯინიდან დავიწყებ საქმეს.
ხელმწიფის შვილზე რას ამბობდით? გაიმეორეთ!
მაგ ბარათებში რა სწერია?

ა ლ ბ ა

ეს წერილები,
დიდო ხელმწიფევ, შეიცავენ მარკიზის ანდერძს,
ბატონიშვილი კარლოსისთვის გადასაცემად.

მ ე ფ ე

(წერილებს ათვალიერებს, რომლის დროსაც ირკვლივ მდგარი დიდებულები მეფეს გაფაციკებით ადევნებენ თვალს. რამდენიმე ხნის კითხვის შემდეგ, წერილებს გადასდებს და ოთახში მდუმარედ გაივლ-გამოივლის)

ახლავე უხმეთ ინკვიზიტორ კარდინალს ჩემთან,
სთხოვეთ, მოხუცმა შემომწიროს საათი ერთი.

(ერთი დიდებულთაგანი გადის. მეფე წერილებს კვლავ აიღებს, კითხვას დაიწყებს, მაგრამ ისევ გადასდებს.)

დ ო მ ი ნ გ ო

(ჰერცოგ ალბას ჩუმად)

უთხარით რამე.

მ ე ფ ე

(როგორც უწინ)

მცირე აზრისა იყო ჩემზე და იგი მოკვდა.
ის კვლავ მჭირდება. აზრი უნდა გამოიცვალოს
მარკიზმა ჩემზე.

ა ლ ბ ა

(შეშინებული ფრთხილად მიუახლოვდება)

ხელმწიფეო...

მ ე ფ ე

ვინ ლაპარაკობს?

(დიდხანს ათვალიერებს ირგვლივ მდგარ დიდებულებს)

როგორ? ნამდვილად დაგავიწყდათ, თუ მე ვინა ვარ?
თქვე მიწის მტვერნო, რატომ ჩემს წინ არ დაემხობით?!
ისევ მეფე ვარ! მორჩილებას მოვითხოვ თქვენგან.
ყველა გამირბით, რადგან ერთმა მე შემიხიზლა?

ა ლ ბ ა

დიდო ხელმწიფევ, მალტიელზე იკმარეთ ფიქრი.
თქვენი სამეფოს გულში დგება ახალი მტერი,
უფრო საშიში მაგ მარკიზზე.

ფ ე რ ი ა

პრინცი კარლოსი.

მ ე ფ ე

უფლისწულს ჰყავდა მეგობარი, რომელიც სიკვდილს
ემსხვერპლა მისთვის, მისთვის დასდო მარკიზმა თავი!
შეეძლო ჩემთან მას სამეფოს განაწილება!..
რარიგ მაღლიდან დამცქეროდა მე იგი თურმე!
ასე ზვიადად ხელმწიფეც კი არვის დაჰყურებს

თავის ტახტიდან. და განა ეს არ ჩანდა ცხადად,
კარლოსი როგორ ამაყობდა ამ გამარჯვებით?
რაც მან დაკარგა, მისმა ტანჯვამ გამოამჟღავნა.
წარმავალს ასე არასოდეს არ დასტირიან.
იგი რომ ისევ აღდგებოდეს, გაცოცხლდებოდეს,
მე ამისათვის მთელ ინდოეთს გავცემდი ჯილდოდ.
რა შეგიძლია, ყოვლისშემძლევ, თუ ერთხელ მაინც
ვერ ააყენებ მიცვალებულს ბნელ სამარიდან
და სულ უბრალოს, ანაზდეულს, ადამიანურ
შეცდომას შენსას ვეღარაფრით გამოასწორებ?!
ვაგლახ, რომ მკვდრები საფლავიდან აღარ დგებიან.
ვინ გამიბედავს, ვინ მეტყვის, რომ ვარ ბედნიერი?
სამარეში წევს იგი, ვინც მე არ მცემდა პატივს,
ცოცხლებთან რაღა მესაქმება, რა დამრჩენია?
ის ერთი აღდგა, ერთადერთი არსება ქვეყნის,
თავისუფალი სული იყო ამ საუკუნის,
სწორედ იმ ერთმა შემიზიზღა და ისე მოკვდა.

ა ლ ბ ა

მაშ ჩვენ ამაოდ გვიცხოვრია ამქვეყნად ყველას,
სჯობს დავიხოცოთ, ესპანელნო, შთავიდეთ საფლავს!
ეს კაცი მკვდარიც ხელმწიფის გულს ხელიდან გვტაცებს.

მ ე ფ ე

(დაჯდება და ხელზე თავს დაიყრდნობს)

ნეტავ ჩემთვისაც იგი ასე განწირულიყო!
მე შევიყვარე, შევითვისე მარკიზი ძლიერ,
ძვირფასი იყო ჩემთვის, როგორც ნამდვილი შვილი.
ვფიქრობდი, მისით განთიადი დამიდგებოდა,
სულ სხვა, ახალი, მშვენიერი შუქით მოსილი,
ან კი ვინ უწყის, რა ბედს ვწევდი ამ ახალგაზრდას?
მარკიზი იყო სიყვარული ჩემი პირველი.
ვიცი, დამწყევლის, შემაჩვენებს მთელი ევროპა!

ფილიპე მეფემ მამა ტახტით გადააყენა,
დღეს კი თვითონ ძრწის საკუთარი შვილის წინაშე.
გახსოვდეთ თქვენ ეს და გფარვიდეთ მაღალი ზეცა!

(სასწრაფოდ გადის. კარლოსიც სასწრაფოდ გაემართება სხვა მიმართულებით, მაგრამ უეცრად დაბრუნდება და დაემხობა მარკიზის ცხედრის წინ, რომელსაც ერთხელ კიდევ მოხვევს ხელებს. შემდეგ კი სასწრაფოდ ტოვებს ოთახს.)

მერვე გაჩოჩსვლა

ჰერცოგი ალბა და ჰერცოგი ფერია
შემოდიან ლაპარაკით

ალბა

ქალაქი უკვე დავამშვიდე. რა გუნებაზე
ბრძანდება მეფე?

ფერია

ო, საშინლად გულამღვრეული
ჩაკეტილია კაბინეტში სრულიად მარტო;
ხელმწიფემ ბრძანა, რომ არავინ შევუშვა მასთან.
პოზას ღალატმა მთლად შესცვალა იგი უეცრად.
ასე განსაჯეთ, მეფეს ჩვენსას ვეღარ ვცნობთ კარგად.

ალბა

უნდა შევიდე. აწ არ ძალმიძს დაზოგვა მისი,
მნიშვნელოვანი საიდუმლო აღმოვაჩინე
ამ რამდენიმე წუთის წინათ.

ფერია

აღმოაჩინეთ?

ალბა

კარტეზიანელ ბერს წააწყდნენ მცველები ჩემი,
როს იგი პრინცის სავანეში შეპარულიყო
და კითხულობდა მარკიზ პოზას სიკვდილის ამბავს

ფრიად საეჭვო, დიდი ცნობისმოყვარეობით.
ის გუშაგებმა დააკავეს, დაჰკითხეს მკაცრად
და მან მაშინვე აღიარა სიკვდილის შიშით,
რომ მოიტანა ქაღალდები მნიშვნელოვანი,
რომლებიც თურმე მიუღია მარკიზისაგან,
რათა პრინცისთვის გადაეცა საკუთარ ხელში,
თუ მზის ჩასვლამდე იგი აღარ დაბრუნდებოდა.

ფერია

და მერე? შემდეგ?

ალბა

წერილები გვატყობინებენ,
რომ დონ კარლოსმა ამაღამვე, გათენებამდე,
მადრიდი უნდა მიატოვოს.

ფერია

რაო?

ალბა

კადიქსში
უკვე მზადაა ერთი გემი გასამგზავრებლად,
რათა მეფის ძე ფლისინგენში გადაიყვანოს.
ნიდერლანდები პრინცის წასვლას უცდიან მხოლოდ,
რომ მოიცილონ ბორკილები ესპანეთისა.

ფერია

აჰ! ეს რას ნიშნავს?

ალბა

სხვა წერილნი კი გვაუწყებენ,
რომ როდოსიდან გამოსულა კარგა ხანია
სულეიმანის ფლოტი თურმე ხმელთაშუა ზღვის
გაშლილ სივრცეში ჩვენს მეფეზე თავდასასხმელად —
აშკარა არის, შეკავშირდნენ ჩვენს წინააღმდეგ.

განა ამგვარად თამაშობენ, ხელმწიფევ, ჩვენთან?
როს თვითონ მეფე დაიფარავს ბოროტის მოქმედს
და ჩვენს ზურგს უკან გამონახავს საერთოს მასთან,
რაღა დაგვრჩება, მბრძანებელო, ჩვენ სანუგეშოდ?
თუ ერთს უფლება მიენიჭა შეცოდებისა,
რა უფლებითღა განიწირნენ მსხვერპლად ათასნი?

მ ე ფ ე

იგიც ხომ მსხვერპლად განიწირა.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი

არა, ის მოკლეს,
მოკლეს უღირსად, უსახელოდ, როგორც ცოდვილი!
სისხლი, რომელიც ჩვენთვის უნდა დანთხეულიყო,
რათა სახელი და პატივი შეგვმატებოდა,
ვერაგმა მკვლელმა დააქცია ბინძური ხელით.
ის ჩვენი იყო, ჩვენი ხვედრი, ვინ მოგცათ ნება,
რომ გამოსტაცეთ წმინდა მსხვერპლი ჩვენს ეკლესიას?
მარკიზი იშვა ჩვენი ხელით მოსაკვდინებლად.
ის ჩვენს წამხდარ დროს მოუვლინა უფალმა ჯილდოდ,
რომ ჩვენთვის მისი მაგალითით ეჩვენებინა,
თუ რა საზიზღარ, სამარცხვინო გახრწნილებამდე
მიიყვანს ხოლმე ადამიანს, ქმნილებას ღვთისას,
ამპარტავანი აზროვნება, გონება თვისი.
თუმც მე წინასწარ მოვიფიქრე ამგვარი გეგმა,
ვხედავ, ამაოდ ჩაუვლია დიდი ხნის შრომას,
თქვენ ხომ გაჰქურდეთ ეკლესია, წარგვტაცეთ მსხვერპლი,
მაგრამ რა შეგრჩათ, სისხლში შესვრილ ხელების გარდა?

მ ე ფ ე

შემინდეთ, ვნებამ ამაღელვა.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი

ვნებამ? — ამ პასუხს

მაძლევს ფილიპე, ახალგაზრდა ბატონიშვილი?
იქნება მარტო მე მოვხუცდი? ვნება, რის ვნება!
(გაბრაზებით აქნევს თავს)

მაშ მიანიჭე კაცთა სინდისს თავისუფლება
შენს სამეფოში, რაკი თვითონ ხარ შებორკილი.

მ ე ფ ე

გამოუცდელი, ახალი ვარ ამგვარ საქმეში.
გთხოვთ, მოთმინება იქონიოთ.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი

არა, ხელმწიფევ!
მე არ ვარ თქვენით კმაყოფილი, ვით შეიძლება,
მთელი წარსული შეიბღალოს თქვენი მეფობის!
სად იყო მაშინ ის ფილიპე, რომლის ძლიერი,
ურყევი სული, პოლარული ვარსკვლავის მსგავსად,
მარად, უცვლელად ტრიალებდა თავის გარშემო?
ნუთუ მიეცით დავიწყებას მთელი წარსული?
ნუთუ იმ წუთში შეიცვალა ქვეყანა ისე,
როს მეგობრულად გაუწოდეთ ურჯულოს ხელი?
ნუთუ დაკარგა შხამმა უკვე ავი თვისება
და წაეშალა განსხვავების მტკიცე საზღვარი
კეთილს და ბოროტს, სიცრუეს და ჭეშმარიტებას?
რაღასა ნიშნავს მიზანი და შეურყევლობა
ან ვაჟკაცური ერთგულება, თუ სისუსტის ჟამს
მტკიცე წესრიგი, განმგებლობა სამოცი წლისა
ისე გაქრება, ვით დიაცის ჟინიანობა?

მ ე ფ ე

მე ჩავიხედე მის თვალებში, მე ვნახე იგი.
გთხოვთ აპატიოთ ჩემს მოკვდავ სულს ეს შეცოდება,
თუმცა ქვეყანას დაუხშია ჭიშკარი თვისი
შენი გულისკენ, დაშრეტილან თვალები შენი.

მეფე

დიახ.

ინკვიზიტორი

ამას აღარ ველოდი.

მეფე

მსურს განვაახლო ერთი სცენა გარდასულ წლების,
ოდეს ფილიპე, უფლისწული, რჩევასა სთხოვდა
თავის აღმზრდელს და დამრიგებელს.

ინკვიზიტორი

ჩემი მოწაფე
დიდი კარლოსი, მამათქვენი, რჩევას არასდროს
საჭიროებდა.

მეფე

ბედნიერი იყო ესოდენ.
მე კი მკვლელი ვარ, აღარა აქვს სულს მოსვენება.

ინკვიზიტორი

რისთვის მოჰკალით?

მეფე

მოტყუება უმაგალითო!

ინკვიზიტორი

ვიცი.

მეფე

რა იცით? ვისგან იცით? როდის გაიგეთ?

ინკვიზიტორი

მრავალი წლის წინ, რაც შეიტყვეთ თქვენ მხოლოდ გუშინ,
მზის ჩასვლის შემდეგ.

მეფე

(გაოცებით)

მაშ იცოდით, ვინც იყო იგი?

ინკვიზიტორი

დიდი ხანია, რაც აღვნუსხეთ სიცოცხლე მისი
და შევიტანეთ სანტა კასას წმინდა სიაში.

მეფე

მაშ რისთვის, რადღა დადიოდა ის თავისუფლად?

ინკვიზიტორი

ბაგირი, რაზეც ის ეკიდა და ქანაობდა,
თუმც გრძელი იყო, მაგრამ მტკიცე, გაუწყვეტელი.

მეფე

ჩემი სამეფოს საზღვრებსაც ხომ გასცილდა ერთხელ?

ინკვიზიტორი

სადაც არ უნდა წასულიყო, მეც იქ ვიყავი.

მეფე

(უკმაყოფილოდ გაიკვლ-გამოიკვლის)

თუკი იცოდით, ვის ხელთ ვიყავ, რად დააყოვნეთ
და არ მაცნობეთ?

ინკვიზიტორი

მე ამ კითხვას გიბრუნებთ უკან—
რატომ არ მკითხეთ, რომ ამ კაცის ხელთ ვარდებოდით?
თქვენ მას იცნობდით. ერეტიკოსს ერთი შეხედვით
ახდიდით ნიღაბს... მაგრამ, მეფევ, რამ გაიძულათ,
რომ დაუმალეთ წმინდა ტაძარს თავისი მსხვერპლი?

ფ ე რ ი ა

ნუთუ ნამდვილად?

ა ლ ბ ა

და ამავე წერილებიდან
აშკარად მივხვდი, თუ რა მიზნით შემოიარა
მთელი ევროპა ამას წინათ მაგ მალტიელმა.
არა ჰქონია მარკიზ პოზას მიზანი მცირე,
მას განუზრახავს, აამხედროს ჩრდილო ქვეყნები,
რომ ფლამანდიელთ ძოიპოვონ თავისუფლება.

ფ ე რ ი ა

ეგ ვინ ყოფილა!

ა ლ ბ ა

და ამ წერილს დართული ჰქონდა
დაწვრილებითი, მთელი ომის მსვლელობის გეგმა,
თუ როგორ უნდა ჩამოსცილდნენ ესპანეთის ტახტს
ნიდერლანდები სამუდამოდ. არაფერია,
არაფერია ამ გეგმიდან გამორჩენილი:
აღნუსხულია ზედმიწევნით თავისი ძალა
და ძალა მტრისა, ქვეყნის მთელი შესაძლებლობა,
მთელი ქონება—ყოველგვარი სიმდიდრის წყარო,
ყველა კავშირი, რომელიც კი უნდა შეიკრას,
და ყველა წესი, რასაც უნდა დაემორჩილონ.
თუმც ეშმაკური გეგმა გახლავთ, მაგრამ ამავ დროს
არის ნამდვილად ღვთაებრივი და დიდებული.

ფ ე რ ი ა

რა საშინელი მოღალატე ყოფილა იგი!

ა ლ ბ ა

გარდა ამისა, იმ ბარათში ავალებს კარლოსს,
რომ საიდუმლოდ ნახოს დედა და ესაუბროს
მას გაქცევის წინ.

ფ ე რ ი ა

რაო? მაშ დღეს...

ა ლ ბ ა

შუაღამისას.
მეც ამის გამო ჩემს გუშაგებს ვუბრძანე უკვე.
ხომ კარგად ხედავთ, თუ რარიგ ვარ იძულებული...
დრო აღარ ითმენს... ხელმწიფესთან შემიშვი ჩქარა.

ფ ე რ ი ა

არა, არ ძალმიძს. მეფის ნახვა არ შეიძლება.

ა ლ ბ ა

მაშ თვითონ შევალ. კარსმომდგარი საშიშროება
ჩემს თავხედობას გაამართლებს...

(როგორც კი კართან მივა, ის მაშინვე გაიღება და გამოვა მეფე)

ფ ე რ ი ა

აგერ, ის თვითონ!

მეცხრე გამოსვლა

მ ე ფ ე. ი გ ი ნ ი ვ ე.

(მეფის დანახვისას ყველანი შეშინდებიან, უკან დაიწევენ და მოწიწებით გაატარებენ შუაში. მეფე მოდის, თითქოს ფხიზელ ძილში იმყოფებაო, როგორც მთვარეული... მისი ტანსაცმელი და გარეგნობა ისევ უწესრიგობაშია, რაც მნახველს მისი გულისწასვლის ამბავს აგონებს. დინჯი ნაბიჯით ჩაუვლის იქ მყოფთ და ყოველ მათგანს მიაშტერდება, მაგრამ ვერავის ხედავს. ბოლოს ფიქრში წასული შედგება და თვალებს ძირს დახრის, ვიდრე მისი სულიერი მღელვარება სიტყვებით არ გამოვლინდება.)

მ ე ფ ე

ო, დამიბრუნე, დამიბრუნე მიცვალებული!
ის კვლავ ცოცხალი უნდა მყავდეს.

მაშ ამაღამვე?

ტ ა ქ ს ი ს ი

დიახ, ღამის სრულ ორ საათზე
კარტეზიელთა მონასტრის წინ დახვდება ეტლი.

ა ლ ბ ა

ჯაშუშებს ჩემსას, რომელნიც მე იქ გავაგზავნე,
უნახავთ ბარგი, ზედდასმული სამეფო ღერბით,
კარტეზიელთა ტაძრისაკენ მიჰქონდათ თურმე.

ფ ე რ ი ა

მავრიტანელი აგენტების საშუალებით
დედოფალს ჩვენსას უშოვია დიდძალი ფული,
რომ ბრიუსელში გადაგზავნოს აჯანყებულთა
დასახმარებლად.

მ ე ფ ე

სად დასტოვეთ ხელმწიფის შვილი?

ა ლ ბ ა

პოზას ცხენდართან.

მ ე ფ ე

კვლავ ანთია შუქი დედოფლის
საწოლ ოთახში?

ა ლ ბ ა

იქ აწ სრული სიწყნარე სუფევს.
დედოფალს ჩვენსას თურმე თვისი სეფე ქალები
დღეს ჩვეულებრივ დროზე ადრე დაუთხოვია.
ჰერცოგინია არკოსელმა, რომელიც ბოლოს,

უკანასკნელი გამოვიდა მის ოთახიდან,
დასტოვა იგი ძილში მყოფი.

(შემოდის სამეფო კარის საჭცველო ოფიცერი, გაიხმობს ჰერცოგ ფერიას
და ჩუმად ელაპარაკება. ჰერცოგი ფერია გაოცებული მიმართავს ჰერცოგ
ალბას. სხვები ცდილობენ მათ მიუახლოვდნენ. ზეიქნება ჩურჩული.)

ფ ე რ ი ა, ტ ა ქ ს ი ს ი, დ ო მ ი ნ გ ო
(ერთად)

საოცარია!

მ ე ფ ე

რაო, რა მოხდა?

ფ ე რ ი ა

მოიტანეს ერთი ამბავი,
რომელიც ძალზე ძნელი არის დასაჯერებლად.

დ ო მ ი ნ გ ო

ორი მეკარე, რომელთ აწლა დასტოვეს პოსტი,
იუწყება რომ... მაგრამ ამის გამეორება
სასაცილოა, ხელმწიფეო.

მ ე ფ ე

რა მოხდა მაინც?

ა ლ ბ ა

თურმე აჩრდილი გამოცხადდა იმპერატორის,
შარცხენა მხარეს სასახლისა, და დიდებული,
მტკიცე ნაბიჯით გაიარა მეკარეთ შორის.
ამავე ამბავს დარაჯებიც ადასტურებენ,
იმ დროს სასახლის ამ ნაწილში გუშაგად მდგარნი,
და თან დასძენენ, რომ აჩრდილი ჩვენი დედოფლის
საწოლ ოთახში შევიდა და გაუჩინარდა.

მ ე ფ ე

რანაირ სახით გამოცხადდა აჩრდილი იგი,
როგორი ეცვა სამოსელი?

მძიმე, ხანგრძლივი სიზმრით ვიყავ მე შეპყრობილი.
ძლიერ მიყვარდით... მაგრამ ახლა გამოვიღვიძე.
დაე მიეცეს დავიწყებას წარსული ჩვენი!
მიიღეთ თქვენი წერილები, ჩემი კი დაწვით.
ჩემი ახალი აღგზნებისა ნუ გეშინიათ.
უკვე დამთავრდა, ყოველივეს მოეღო ბოლო.
ამ წმინდა ცეცხლმა განმიწმინდა სული სრულიად,
ჩემი ვნებები განისვენებს საფლავთა შინა
და ბიწიერი სწრაფვა ჩემს გულს აღარ აღელვებს.

(მცირე ხნის დუმილის შემდეგ ხელში აიღებს დედოფლის ხელს.)

თქვენთან მოვედი, დედაჩემო, დაგემშვიდობოთ.
ახლალა მივხვდი, რომ არსებობს უფრო დიადი,
უფრო მაღალი, სანუკვარი საუნჯე სულის,
ვიდრე ის, რომ თქვენ მოგიპოვოთ და დაგეუფლოთ.
ამ მოკლე ღამემ ფრთა შეასხა ჩემს წელთა სრბოლას
და დროზე ადრე ყრმა ვაჟკაცად გადამაქცია.
ამქვეყნად მე სხვა საზრუნავი არ დამრჩენია,
გარდა მეგობრის ღირსეული მოგონებისა.
წარვიდა, გაქრა, წარმეხოცა ყველა იმედი.

(მიუახლოვდება დედოფალს, რომელიც სახეს ხელებით იფარავს.)

არაფერს მეტყვით, დედაჩემო?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ო, ნუ მიაქცევთ
ჩემს ცხარე ცრემლებს ყურადღებას — სხვაგვარ არ ძალმიძს.
მაგრამ მერწმენეთ, კარლოს, თქვენით ვარ მოხიბლული.

კ ა რ ლ ო ს ი

ჩვენი კავშირის ერთადერთი თანამგრძნობელი
თქვენ ბრძანდებოდით, დედოფალო... და ამ სახელით
დარჩებით ჩემთვის ყველა არსზე უძვირფასესი.
დღეს მე არ ძალმიძს მეგობრობა შემოგთავაზოთ
ისე, ვით გუშინ არ შემეძლო სხვა ქალისათვის

მომეძღვნა ჩემი სიყვარული... მაგრამ იქნებით
ჩემთვის ყოველთვის წმინდა ქვრივი გვირგვინოსნისა,
თუ მე განგება აღმავლინებს სამეფო ტახტზე.

(მეფე, დიდი ინკვიზიტორისა და დიდებულთა თანახლებით, შეუმჩნეველად შემოვა სცენის სიღრმეში.)

აწ მე მივდივარ მშობლიური ესპანეთიდან
და ვერასოდეს ვერ ვიხილავ მამაჩემს თვალით.
პატივს აღარ ვცემ, დაეკარგა ჩემს თვალში ფასი,
ხმა ბუნებისა სამუდამოდ ჩაკვდა ჩემს გულში.
მეფე ფილიპემ თვისი შვილი დაკარგა უკვე.
დე კვლავ იყავით, დედოფალო, მეუღლე მისი
და დაუბრუნდით აწ ისევ თქვენს მოვალეობას.
მე კი ვისწრაფი, ჩემი ხალხი, ჩაგრული დიდად,
ვიხსნა ტირანის უღლისაგან... მადრიდი ჩვენი
მნახავს ან როგორც გვირგვინოსანს, ან ვერასოდეს.
აწ კი: „მშვიდობით!“ — უნდა გითხრათ უკანასკნელად.

(ჰკოცნის.)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ო, ეს რა ქენით, რა მიყავით, ძვირფასო კარლოს?
ვერა, ვერ ვბედავ, გავუსწორდე თქვენს სიდიადეს,
ძალმიძს მიგიხვდეთ მარტოოდენ და დაგაფასოთ.

კ ა რ ლ ო ს ი

მაშ მტკიცე არ ვარ, ელისაბედ? ხელში მიპყრიხართ,
მაგრამ მშვიდად ვარ, აღარ ვდრკები, არ მეშინია;
ჯერ კიდევ გუშინ თქვენ ასე რომ მყოლოდით ხელში,
თვითონ სიკკდილიც ვერ დაშძრავდა ამ ადგილიდან.

(ხელს გაუშვებს.)

მაგრამ დაუდგა აღსასრული ყველაფერ ამას.
ახლა მზადა ვარ ავუმხედრდე ბედს მოკვდავისას.
თქვენ ხელში მყავდით და სიმშვიდე შევინარჩუნე.
ჩუ! რა მოისმა? არაფერი გაგიგონიათ?

(საათი რეკავს.)

ოფიცერი

სწორედ იმგვარი, რომელიც მას უკანასკნელად
ეცვა სან-ხუსტში, სიკვდილის წინ, ბერად ყოფნისას.

მეფე

ბერად ყოფნისას? მაშ დარაჯებს სცნობიათ იგი
სიცოცხლეშივე, თორემ ისე ვით მიხვდებოდნენ,
რომ ეგ აჩრდილი იყო მართლა იმპერატორი?

ოფიცერი

რომ იგი უნდა ყოფილიყო იმპერატორი,
ადასტურებდა ამას ნათლად სამეფო კვერთხი,
რომელიც აჩრდილს ხელში ეპყრა.

დომინგო

როგორც ხმა დადის,
თურმე წინათაც ძლიერ ხშირად უნახავთ იგი
ამგვარი სახით.

მეფე

აჩრდილს ვერვინ გაესაუბრა?

ოფიცერი

ვერვინ გაბედა, ხელმწიფეო. დარაჯნი მხოლოდ
ჩუმად, ჩურჩულით ლოცულობდნენ და აჩრდილს კრძალვით,
თაყვანისცემით გზა დაუთმეს.

მეფე

მაშ მოჩვენება
გაუჩინარდა დედოფლის სამყოფ ოთახში?

ოფიცერი

დიახ, დედოფლის სავანეში.

(საყოველთაო დუმილი)

მეფე

(უცბად მოტრიალდება)

აბა, რას იტყვით?

ალბა

ჩვენ ვდუმვართ, მეფევ!

მეფე

(მცირე ხნის დაფიქრების შემდეგ, ოფიცრებს)

გამოვიდეს ჩემი გვარდია
თოფ-იარაღით და ჩაკეტოს ყოველი კარი.
ორიოდ სიტყვით მინდა აჩრდილს გავესაუბრო.

(ოფიცერი გადიან. მაშინვე ზემოდის პაჟი).

პაჟი

ინკვიზიტორი კარდინალი!

მეფე

(ყველა იქ მყოფს)

დაგვტოვეთ მარტო!

(ორ დომინიკანელს შემოჰყავს დიდი ინკვიზიტორ-კარდინალი, ოთხმოცდაათი წლის ბრმა მოხუცი, რომელიც ყავარჯენზეა დაყრდნობილი. როდესაც იგი დიდებულთა რიგებს ჩაუვლის, ეს უკანასკნელნი კარდინალის წინ მუხლს მოიყრიან და მისი სამოსელის კალთებს ეამბორებიან. იგი მათ ლოცვა-კურთხევას გაუზიარებს. ყველანი გადიან.)

მეათე გამოსვლა

მეფე და დიდი ინკვიზიტორი

(ხანგრძლივი დუმილი)

ინკვიზიტორი

მეფის წინ ვდგევარ?

ინკვიზიტორი

რად გჭირდებოდათ ნეტავი ეს ადამიანი,
რა უნდა ეთქვა მას ისეთი ახალი თქვენთვის,
რომ არ გცოდნოდათ, რომ წინასწარ ვერ განგეჭვრიტათ?
ან მეოცნების ახალ აზრებს ნაკლებად იცნობთ?
ნუთუ თქვენს ყურებს არასოდეს ჯერ არ სმენია
ვითომდაც ქვეყნის გარდამქმნელთა მკვეხარა კილო?
თუ თქვენი რწმენის დიად ტაძარს, შენობას მტკიცეს,
ასე უეცრად დაანგრევდა უბრალო სიტყვა,
მაშ, გეკითხებით, რა უფლებით აწერდით ხელსა
იმ მრავალ ათას მერყევ სულის სიხლის განაჩენს,
ცეცხლს რომ მიეცნენ უფრო ნაკლებ შეცოდებისთვის?

მეფე

ძლიერ სწყუროდა ჩემს სულს წრფელი ადამიანი,
კაცური კაცი, რადგანაც ეს დომინგოები...

ინკვიზიტორი

რისთვის გინდოდათ, თქვენთვის ხალხი რას წარმოადგენს?
— უბრალო ციფრებს, მხოლოდ ციფრებს და სხვა
არაფეოს.

ნუთუ მეფობის ანბანური ჭეშმარიტება
ჭაღარა შეგირდს მე კვლავ უნდა გავუმეორო?
ქვეყნის უფალმა არასოდეს უნდა ისურვოს
ასეთი რამე, რაზედაც მას ეტყვიან უარს.
და თუ თქვენ უხმობთ თანაგრძნობას, ამითი განა
არ აღიარებთ თქვენს თანაბრად ამქვეყნად სხვებსაც?
მაშ, რა სინდისით, მსურს გავიგო, ამაღლდით მათზე,
თქვენსავე მსგავსებს რა უფლებით განაგებთ ქვეყნად?

მეფე

(ჩაეშვება სავარძელში)

ვგრძნობ, რომ მოკვდავი კაცუნა ვარ... შენ კი მოითხოვ

ქმნილებისგან მას, რაც მხოლოდ შემოქმედს ძალუძს.

ინკვიზიტორი

არა, ხელმწიფევ, ვეღარავინ ვერ მომატყუებს.
ზრახვას მიგიხვდით—თქვენ გინდოდათ გაქცევა ჩვენგან.
უკვე ცხადია, გემძიმებათ ჯაჭვები ჩვენი.
თქვენ თავისუფლად, მარტოდმარტო გინდოდათ ყოფნა.

(შეჩერდება. მეფე სდუმს)

არად ჩაგვაგდეთ... უმადლოდეთ ჩვენს ეკლესიას,
რომ ის, ვით დედა, ნაზ სასჯელით კმაყოფილდება.
ის არჩევანი, ალალბედად რომელიც შეგხვდათ,
იყო სასჯელი, თქვენთვის ჭკუის სასწავლებელი.
ახლა კი უკან დაგვიბრუნდით... მე რომ არ ვიდგე
დღეს თქვენს წინაშე, მარად უკვდავ ღვთაებას ვფიცავ,
ხვალე თქვენ თვითონ ჩემს წინაშე წარმოდგებოდით.

მეფე

კმარა, მოძღვარო! დაიცავი ზომიერება!
არ შემიძლია, ვერ ავიტან მაგგვარ საუბარს.
ასეთ კილოთი ლაპარაკის მოსმენაც არ მსურს.

ინკვიზიტორი

მაშ რისთვის უხმობთ, მეფევ, აჩრდილს სამეფოსას?
ესპანეთის ტახტს ორი მეფე მე აღვუზარდე,
ვიმედოვნებდი, რომ ჩემს შემდგომ აქ დავტოვებდი
მკვიდრ საძირკველზე დაფუძნებულ დიდებულ საქმეს,
მაგრამ, აწ ვხედავ, ჩაუვლია ჩემს შრომას ფუჭად;
თვით დონ ფილიპემ დაანგრია შენობა ჩემი.
ახლა კი, მეფევ, ეს მიბრძანეთ, რისათვის მიხმეთ?
მე აქ რა მინდა? აღარა მსურს, რომ ხელმეორედ
გესტუმროთ კიდევ.

მ ე ფ ე

(წამოდგება)

უკვე შეეთანხმდით. მაშ წავიდეთ.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი

საით? რისათვის?

მ ე ფ ე

რომ აწ მიიღოთ მსხვერპლი იგი ჩემი ხელიდან.

(გაჩყვეს.)

დედოფლის ოთახი

უკანასკნელი გამოსვლა

კ ა რ ლ ო ს ი. დ ე დ ო ფ ა ლ ი. ბოლოს მ ე ფ ე ა მ ა ლ ი თ

კ ა რ ლ ო ს ი

(ბერის სამოსელსა და ნიღაბში, რომელსაც მაშინვე იხსნის, იღლიაში შიშველი ხმლით. მთლად ბნელა. უახლოვდება კარს, რომელიც გაიღება. გამოდის დედოფალი, ღამის ტანსაცმელში, ხელში ანთებული სანთლით. კარლოსი მის წინ ცალ მუხლზე დაემხობა)

ო, ელისაბედ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(ჩუმი მწუხარებით შეაჩერებს მის სახეზე მზერას)

ასე ვხვდებით ერთმანეთს კიდევ?

კ ა რ ლ ო ს ი

დიახ, ერთმანეთს ა ს ე ვხვდებით!

(სიჩუმე)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(ცდილობს ძალ-ღონე მოიკრიბოს)

ადექით ფეხზე,

ნუ ავუჩუყებთ ერთმანეთს გულს, ხელმწიფის შვილო,
დიდ ცხედარს არ სურს პატივი ვცეთ უძლური ცრემლით.
ცრემლებს აფრქვევენ მხოლოდ მცირე მწუხარების ჟამს!
ის თქვენთვის მოკვდა, დიდებული თვისი სიცოცხლე
გასწირა მსხვერპლად, რომ დაეხსნა სიცოცხლე თქვენი.
ნუთუ ამაოდ დაიღვარა ეს წმინდა სისხლი?
მე თვითონ დავდექ თქვენს თავდებად, ბატონიშვილო.
და, ჩემს აღთქმაზე დაყრდნობილი, ის სიხარულით
განშორდა სოფელს. ნუთუ ახლა მიცემულ სიტყვას
გამატეხინებთ?

კ ა რ ლ ო ს ი

(აღტაცებით)

მე მას ისეთ ძეგლს აღვუმართავ,
მსგავსი რომლისაც ჯერ არ სდგმია არც ერთ მბრძანებელს.
დაე აყვავდეს მის საფლავზე ტურფა სამოთხე!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

სწორედ ასეთი მსურდა, კარლოს, ყოფილიყავით!
მისი სიკვდილის დიდი აზრიც ეს იყო სწორედ!
მე ამირჩია მარკიზ პოზამ თავის ანდერძის
აღმასრულებლად, მოგაგონებთ ყოველთვის ამას.
მტკიცედ დავიცავ, მე არ გავტეხ ჩემს წმინდა აღთქმას.
— პოზამ გამანდო სიკვდილის წინ ანდერძი თვისი...
მეც მას აღვუთქვი... და რატომღა უნდა დავმალო?
მან ჩამაბარა თვისი კარლი... აწ თვალთმაქცობას
აღარ დავიწყებ, არ შევკრთები კაცთა წინაშე,
მსურს მეც თამამი ვიქნე ერთხელ, ვით მეგობარი,
რომ ჩემმა გულმაც თავისუფლად ილაპარაკოს.
ხომ სათნოება უწოდა მან სიყვარულს ჩვენსას?
მე მჯერა მისი და ჩემს გულსაც აღარ სურს კვალად...

კ ა რ ლ ო ს ი

ო, კმარა, კმარა, დედოფალო, ნუ დაამთავრებთ...

დედოფალი

მხოლოდ ზარის ხმა... საშინელმა საათმა დაჰკრა,
საათმა, ჩვენი განშორების მაუწყებელმა.

კარლოსი

ღამე მშვიდობის, დედაჩემო. ქალაქ გენტიდან
მიიღებთ ჩემგან პირველ წერილს, რაც ფარდას ახდის,
რაც ნათელს მოჰფენს ჩვენს იდუმალ ურთიერთობას.
ახლა მივდივარ სამშობლოდან სწორედ იმისთვის,
რომ დონ ფილიპეს გავუმართო აშკარა ბრძოლა.
აწ ჩვენს შორისაც საიდუმლო აღარ არსებობს,
აღარ გჭირდებათ შიში ქვეყნის თვალთა წინაშე.
ეს იყოს ჩემგან მოტყუება უკანასკნელი.

(სურს ნიღაბი გაიკეთოს. მათ შორის ჩადგება მეფე.)

მეფე

დიახ, იქნება შენგან მართლაც უკანასკნელი!

(გულწასული დედოფალი ძირს დაეცემა.)

კარლოსი

(სასწრაფოდ მიეშველება დედოფალს და მკლავებს შემოხვევს.)

გარდაიცვალა? ცის და ქვეყნის საშინელებავ!

მეფე

(მშვიდად და გულგრილად მიმართავს ინკვიზიტორს)

მე ჩემი ვქენი, კარდინალო, თქვენია რიგი.

(გადის.)



დონ კარლოსი

„დონ კარლოსზე“ მუშაობის წლები (1582—1587) დაემთხვა შილერის მოღვაწეობის ე. წ. „გარდატეხის პერიოდს“, როდესაც მწერალი თანდათან რწმუნდება „ქარიშხლისა და შტევის“ იდეათა განუხორციელებლობაში და დგება საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის რეფორმისტულ გზაზე. თუ თავის ადრინდელ დრამებში („ყაჩაღები“, „ვერაგობა და სიყვარული“, „ფიესკოს შეთქმულება“) შილერი აყენებდა ფეოდალურ-აბსოლუტური წყობილების ძირფესვიანად გარდაქმნის პრობლემას ბუნტარული გზით, „დონ კარლოსში“ ამის მიღწევას „განათლებული მონარქიის“ საშუალებით ფიქრობს. ამ დრამატულ პოემაში, როგორც მას თვით ავტორი უწოდებს, შილერის ყურადღება მიპყრობილია „დიდ, ბრწყინვალე პიროვნებაზე“, რომელიც „ორი ძალის, ორი პრინციპის (თავისუფლების იდეა და აბსოლუტიზმი) შეჯახების დროს იბადება“. „დიდი ადამიანების მაგალითი გვიჩვენებს“,— წერს შილერი თავის „წერილებში დონ კარლოსზე“,— რომ ასეთი ხასიათი წარმოიშობა წყვდიადსა და სინათლეს შორის და დგას განმარტოებულ, თვალსაჩინო მოვლენად. იგი გამომუშავდება ხალხის მღელვარების, ცრუ რწმენასთან გონების ჭიდილისა და შეხედულებათა ანარქიის ეპოქაში. განთიადი სიმართლისა მაშინ დგება, როცა დიდი ადამიანები იბადებიან“.

ასეთ პიროვნებად შილერს წარმოდგენილი ჰყავს მარკიზ პოზა, რომელიც პიესაში ბურჟუაზიული რევოლუციის წინამორბედად გვევლინება. პოზა მოითხოვს ნიდერლანდების განთავისუფლებას ესპანეთის უღლისაგან, მაგრამ მისი იმედები უფრო „განათლებულ მონარქზეა“ დამყარებული, ვიდრე თვით ჩაგრულ მასებზე. ასეთი მონარქი, პოზას რწმენით, უნდა გახდეს დონ კარლოსი, ესპანეთის მეფის ფილიპე II შვილი. „კარლოსზე,—წერს ავტორი,—პოზა ამყარებს იმედს, როგორც ჩაგრული ქვეყნების მხსნელზე, როგორც იარაღზე,

ვაგლახ რომ მკვდრები სამარიდან არა დგებიან.
ვინ გამიბედავს, ვინ მეტყვის, რომ ვარ ბედნიერი?
სამარეში წევს იგი, ვინც მე არ მცემდა პატივს.
ცოცხლებთან რაღა მესაქმება, რა დამრჩენია?
ის ეოთი აღდგა, ერთადერთი არსება ქვეყნის,
თავისუფალი სული იყო ამ საუკუნის,
სწორედ იმ ერთმა შემიზიზღა და ისე მოკვდა.

მაგრამ ფილიპეს სულში ისევ იმარჯვებს ტირანი მბრძანებელი.

...ქვეყანა ესე
კვლავ მე მეკუთვნის, კვლავ ჩემია საღამო მისი
და ამ საღამოს აწ იმგვარად გამოვიყენებ,
რომ ჩემს შემდგომად აქ მოსულმა ათმა თაობამ
ერთი თავთავიც ვერ მოიმკოს მის ნაბანძრალზე".

„დონ კარლოსში" მკვეთრადაა გამოხატული ის, რასაც მარქსი და ენგელსი უწოდებდნენ „შილეროვშჩინას" ანუ „ინდივიდების გადაქცევას ეპოქის სულის უბრალო რუპორად". მისი გმირები უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე მოქმედებენ და ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ შილერი გამომდინარეობს მცდარი იდეალისტური კონცეფციიდან, თითქოს „კეთილ ნებაზე" და „შემთხვევაზე" იყოს დამყარებული საზოგადოების განვითარება. მაგრამ მთელი დრამის მანძილზე მწერალი გვეკლინება, როგორც მკაცრი მსჯავრმდებელი დესპოტიზმისა და აბსოლუტიზმისა, რომელიც თავისუფლების ყოველგვარი გამოვლინების დამღუპველ ძალას წარმოადგენს, და სწორედ ამაშია ნაწარმოების უდავო ღირსებაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი[1]

მოქმედი პირები

კ ა რ ლ ო ს ი — ფილიპე II-და მარიამ პორტუგალიელის შვილი. როგორც ჩანს, იგი იზიარებდა ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციის იდეებს. იმის შემდეგ, რაც მამისაგან უარი მიიღო ნიდერლანდთა მმართველად დანიშვნაზე, მან გადაწყვიტა ესპანეთიდან გაქცევა. კარლოსი საიდუმლოდ დაუკავშირდა ნიდერლანდებს და სურდა ამბოხებულთა მხარეზე გადასულიყო, მაგრამ ფილიპე მეორემ ეს შეიტყო და გასცა შვილის დაპატიმრების ბრძანება (1858 წ. 18 იანვარი). იმავე წელს კარლოსი გარდაიცვალა; როგორც ფიქრობენ, იგი მეფემ მოაწამვლინა.

კარლოსი, სიყვარულს დედინაცვლისადმი სინამდვილეში ისეთი ტრაგიკული როლი არ უთამაშნია, როგორც ეს შილერს აქვს მოცემული.

მ ა რ კ ი ზ დ ე-პ ო ზ ა — შილერს ამ გმირის სახით გამოყვანილი ჰყავს ნიდერლანდების ელჩი მ ე ნ ტ ი ნ ი, რომელიც მადრიდში ყოფნისას ცდილობდა კარლოსი აჯანყებულთა მხარეზე გადაეყვანა, მაგრამ იგი მეფე ფილიპეს ბრძანებით საიდუმლოდ იქნა დასჯილი.

ა ლ ბ ა — ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ - ა ლ ი ვ ა რ ე ც დ ე-ტ ო ლ ე დ ო. ესპანეთის სახელმწიფო მოღვაწე და მხედარმთავარი. ფილიპე II იგი გააგზავნა ნიდერლანდებში მღელვარების დასაწყნარებლად. ალბამ, ითვლებოდა რა მეფის მოადგილედ (1567—1573 წ. წ.), ამ ქვეყნებში გაატარა შეუბრალებელი საგადასახადო პოლიტიკა, მთლიანად გაძარცვა ხალხი და ათასობით პროტესტანტი ეშაფოტზე გააგზავნა. მისი სასტიკი მმართველობა გახდა ნიდერლანდების რევოლუციის ერთ-ერთი მიზეზი.

გ რ ა ფ ი ლ ე რ მ ა — სახელმწიფო მოღვაწე, პირველი მინისტრი, რომელიც ესახურობდა ესპანეთის სამეფო კარზე 29—30 წლით გვიან, ვიდრე ეს შილერს ჰყავს გამოყვანილი.

მ ე დ ი ნ ა - ს ი დ ო ნ ი ა — წინამძღოლი ე. წ. „დამარცხებული არმადისა", ესპანეთის საზღვაო ფლოტისა, რომელიც დაიღუპა ინგლისის ნაპირებთან 1588 წელს. შილერს ეს ამბავი დაახლოებით ოცი წლით წინ აქვს გადატანილი.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

გვ. 5. ა რ ა ნ ხ უ ე ს ი — პატარა ქალაქი, მადრიდიდან 8 მილის დაშორებით, სადაც აშენებული იყო მეფის საზაფხულო ციხე-დარბაზი.

[1] ცნობები ამოღებულია რუსული წყაროებიდან.

მეფე

ერთი საქმეც უკანასკ^ელი,
რის შემდეგ ძალგიძთ თქვენ აქედან მშვიდობით წასვლა.
რაც იყო იყო, დავივიწყოთ. დაე ჩვენს შორის
ისევ მშვიდობა ჩამოვარდეს!.. ხომ შემირიგდით?

ინკვიზიტორი

რახან ფილიპე ასე წყნარად თავს იხრის ჩემს წინ...

მეფე

(პაუზის შემდეგ)

პრინცს ამბოხება განუზრახავს.

ინკვიზიტორი

რა გადასწყვიტეთ?

მეფე

არაფერი ან ყველაფერი.

ინკვიზიტორი

და ეს რას ნიშნავს?

მეფე

მე მას გაქცევის ნებას დავრთავ, თუ სასიკვდილოდ
ვერ გავიმეტე.

ინკვიზიტორი

მერე, მეფევ?

მეფე

არ შეგიძლია
შემიქმნა ახლა შენ ისეთი სარწმუნოება,
შვილის მკვლელობა სისხლიანი რომ გაამართლოს?

ინკვიზიტორი

ქვეყნად სიმართლის და მშვიდობის გამოსასყიდლად
თვითონ ძე ღვთისა, მაცხოვარი, გაეკრა ჯვარზე.

მეფე

გსურს ევროპაში გაავრცელო ამგვარი აზრი?

ინკვიზიტორი

ყველგან, სადაც ჯვარს თაყვანს სცემენ.

მეფე

ამით ბუნების
წინაშე ვცოდავ და შენ ძალგიძს, რომ ეს ძლიერი
ხმა დაადუმო?

ინკვიზიტორი

ბუნება ხმას ვერ ამოიღებს
სარწმუნოების წინააღმდეგ.

მეფე

შენს ხელს ვაბარებ,
მოძღვარო, ჩემი მსაჯულობის მოვალეობას.
მაშ ძალმიძს მე მთლად უკან დავდგე?

ინკვიზიტორი

მე გადმომეცით.

მეფე

ის ერთადერთი ძეა ჩემი. რისთვის ვიღწვოდი,
ვის შევუგროვე ეს ქონება, აწ ვის გადავცე?

ინკვიზიტორი

ისევ ხრწნილებას, ვიდრე ზვიად თავისუფლებას.

მისი დიადი გეგმების განსახორციელებლად... როგორც მისი
ოცნების სათაყვანო მომავალი სახელმწიფოს შემოქმედზე...
მის ხასიათში უნდა მოცემული იყოს ყველა საჭირო თვისება
იმისათვის, რომ გახდეს ქვეყნის შესანიშნავი მმართველი,
რათა გაამართლოს თავისი მეგობრისა და ჩაგრული ქვეყნე-
ბის იმედი, აღასრულოს მომავალი სახელმწიფოს შექმნის
იდეალი".

მეფე ფილიპესთან შეხვედრისას პოზა ცდილობს გამოიყე-
ნოს „ძვირფასი საათები" მხოლოდ იმისთვის, რომ „ჭეშმა-
რიტების ნაპერწკალი ეგეგ როგორმე გაბედულად გადაის-
როლოს დესპოტის სულში". მის პოლიტიკურ იდეალს შეად-
გენს მოქალაქეთა თავისუფლება, რომელიც შეიძლება ხალხს
მისცეს „განათლებულმა მონარქმა". ამიტომ პოზა შემდეგი
სიტყვებით მიმართავს ხელმწიფეს:

...კაცობრიობას დაუბრუნეთ ღირსება თვისი.
დე გადაიქცეს მოქალაქე, ვით უწინ იყო,
ტახტის საზრუნავ მთავარ საგნად და მხოლოდ ერთი
მოვალეობა დაეკისროს: თვისი უფლების
მსგავსად მოძმეთა უფლებასაც პატივსა სცემდეს...

მაგრამ ახალგაზრდა მეოცნებე მალე დარწმუნდა, რომ
დესპოტი მონარქის მოდრეკა შეუძლებელია. იგი ადამიანზე
ძალიან დაბალი შეხედულებისაა და თვით მოითხოვს, რომ
მარკიზმა შეიცვალოს შეხედულება („ვიცი, რომ მალე გამო-
იცვლით შეხედულებას, როს ადამიანს თქვენც ჩემსავით კარ-
გად გაიცნობთ").

როგორც სამართლიანად მიუთითებენ შილერის მკვლევა-
რები, მწერალს ამ პოლიტიკური იდეალის განხორციელება
შესაძლებლად მიაჩნია ორი გზით:

ა) ახალი საზოგადოებრივი წყობილება უნდა წარმოიშვას
და განვითარდეს არსებული წყობილებიდან. ფეოდალურ-
აბსოლუტური წესრიგის დაცვა, თავისუფლების „საყოველ-
თაო გაზაფხულისათვის" ხელის შეშლა ისეთივე სულელური
განზრახვაა, როგორც „განახლების სასაცილო" გამბედაობა,
რომელსაც არ ძალუძს დაამსხვრიოს ჯაჭვები მონობისა".

ბ) ახალი წესრიგი სასურველია დამყარდეს ზემოდან მო-
მხდარი რეფორმის გზით და არა რევოლუციის საშუალებით.

მეფესთან ბრძოლაში დამარცხებული მარკიზი იმედს მაინც
თავის მეგობარზე, ესპანეთის მომავალ მონარქზე ამყარებს:

მსხვერპლად გავიღე მე დაისის საათი ორი,
ოათა ზაფხულის ნათელი დღე გადამერჩინა.
მეფე დავტოვე, ან საეროთ რა ექონდა მასთან?
ამბაირ ხრიოკ, მწირ ბიწაზე ვერ გაიხარებს,
ვერ აყვავდება ჩემი ვარდი. ევროპის ბედი
ნაყოფს მოიწევს ჩემი დიდი მეგობრის გულში!
უფლისწულს ვანდობ მრავალტანჯულ ესპანეთს ჩვენსას...

დრამაში ერთმანეთისადმი დაპირისპირებულია ორი პრინ-
ციპი: პოლიტიკური თავისუფლებისა და აბსოლუტიზმისა.
პირველის წარმომადგენლებია დონ კარლოსი და მარკიზ პოზა,
რომელთა მხარეზე გადადის დედოფალი ელისაბედი და ბო-
ლოს წამყვან როლს თამაშობს; მეორის მომხრენი კი არიან
ფილიპე II, ჰერცოგი ალბა და მეფის მოძღვარი დომინგო.
დანარჩენ გმირებს (პრინცესა ებოლი, გრაფი ლერმა, მედინა
სიდონია და სხვ.) მეორეხარისხოვანი ადგილი უკავიათ და
ამ ორ მხარეს შორის წარმოქმნილი ინტრიგის გაშლა განვ-
ითარებისათვის არიან საჭირო. პიესაში მკვეთრადაა გამო-
კვეთილი ესპანეთის მეფის ფილიპე II ხასიათი. იგი მკაცრი
მბრძანებელი, თავისუფლების ჩამხშობი, სასტიკი დესპოტია.
მარკიზ პოზა და დონ კარლოსი ამაოდ ცდილობენ თავიანთ
მხარეზე გადაიყვანონ მეფე. ეს ცდა ახალგაზრდა მეგობრების
მარცხით მთავრდება (ფილიპე მარკიზ პოზას მოაკვლევინებს,
ხოლო თავის საკუთარ შვილს ინკვიზიციის სამსჯავროს გა-
დასცემს). მაგრამ შილერს წინ წამოწეული აქვს მეფის პიროვ-
ნების მეორე მხარეც: ფილიპე II ოჯახის მამაა, მეუღლეა
და მის გულში ღრმა ეჭვები დაბუდებულა. მას უყვარს თავისი
ცოლი, რომელსაც მისი კარისკაცნი ღალატს სწამებენ. თით-
ქოს ფილიპე II სასახლეში მოწყობილი ინტრიგებიდან გა-
მარჯვებული გამოდის, მაგრამ სულიერად განადგურებუ-
ლია, მარტოდმარტო დარჩენილი ადამიანია და ასეთი გა-
მარჯვება დამარცხების უდრის. მან განსაკუთრებით მძიმე
სულიერი ტკივილები განიცადა მარკიზ პოზას ღალატის გა-
მო, რადგან: